

# ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პროკურორებისთვის



## პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია

Council of Europe  
Conseil de l'Europe



European Union  
Union européenne

გამოცემა დაფინანსებულია  
ევროკომისიის და ევროპის საბჭოს  
ერთობლივი პროგრამით



ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო  
პროკურორებისთვის

ეგბერტ მიერი,  
ბარი ჰანკოვი,  
ნიკოლას კოუდერი (რედაქტორები)

კრებული შეადგინა მარნიძე ალინა

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია

## **ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პროკურორებისთვის**

ეგბერტ მიერი, ბარი ჰანკოკი, ნიკოლას კოუდერი (რედაქტორები)  
კრებული შეადგინა მარნიქს ალინკმა და გამოქვეყნებულია პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ უოლფ ლეგალ უებლიშერთან (WLP) თანამშრომლობით, 2003 წელი  
ISBN: 90-5850-031-4

### **პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია**

ჰარტოგსტრაატი 13

2514 EP ჰააგა

ჰოლანდია

ტელ: +31 70 3630345

ფაქსი: +31 70 3630367

ელ-ფოსტა: [sg@iap.nl.com](mailto:sg@iap.nl.com)

[info@iap.nl.com](mailto:info@iap.nl.com)

**რედაქტორები:** ეგბერტ მიერი, ბარი ჰანკოკი, ნიკოლას კოუდერი

**ყდის გაფორმება:** სანდერ ნეიინენსი

**გამომცემელი:** ვილემ-იან ვან დერ ვოლფი

წინამდებარე წიგნი გამოქვეყნდა ევროკომისიისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის – „ადამიანის უფლებათა კულტურის ხელშეწყობა“ – ფარგლებში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და უკრაინაში ადამიანის უფლებათა ევროპული კულტურის განსავრცობად.

სამართლებრივ და ადამიანის უფლებათა შესაძლებლობების განვითარების განყოფილება

ტექნიკური თანამშრომლობის დეპარტამენტი

თანამშრომლობის დირექტორატი

ადამიანის უფლებათა და სამართლებრივ საქმეთა გენერალური დირექტორატი

ევროპის საბჭო

F-67075 სტრასბურგი Cedex

© ევროპის საბჭო, 2008

ქართული გამოცემა, 2008 წლის ოქტომბერი

დაიბეჭდა შპს „პეტიტი“-ს მიერ

თარგმანი – ლალი კერესელიძე

პასუხისმგებლობის თავიდან აცილება: მიუხედავად იმისა, რომ ავტორებმა, რედაქტორებმა და გამომცემელმა ყველაფერი იღონეს კრებულის სიზუსტის უზრუნველყოფისთვის, გამომცემელი, ავტორები და რედაქტორები ვერ აიღებენ პასუხისმგებლობას რაიმე შეცდომისთვის, უზუსტობისთვის ან არასწორი მოსაზრებისთვის, ასევე ამ ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენებისთვის.

## შინაარსი

წინათქმა .....	VII
შესავალი .....	IX
წინამდებარე სახელმძღვანელოში ციტირებული საერთაშორისო დოკუმენტები .....	XI
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეები .....	XIV
შემოკლებები .....	XV
<b>საჯარო პროკურორი: “ადამიანის უფლებათა სადარაჯოზე” ..</b>	<b>1</b>
<b>ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი; მიმონიღვა .....</b>	<b>5</b>
<b>სასამართლოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები და იურისტიის პროფესია .....</b>	<b>8</b>
<b>ადამიანის უფლებები და სიცოცხლის უფლება .....</b>	<b>15</b>
<b>ადამიანის უფლებები და დანაშაულის გამომქიება .....</b>	<b>34</b>
<b>ადამიანის უფლებები და დაკითხვა .....</b>	<b>43</b>
<b>ადამიანის უფლებები დაკავების და წინასწარი პატიმრობის დროს .....</b>	<b>52</b>
<b>ადამიანის უფლებები და წინასწარი პატიმრობის პროცედურები .....</b>	<b>69</b>
<b>ადამიანის უფლებები და სასამართლო პროცესი .....</b>	<b>86</b>
<b>ადამიანის უფლებები და სასჯელის შეფარდება .....</b>	<b>108</b>

<b>ადამიანის უფლებები და კატიმართა მიმართ მოპყრობა ..</b>	<b>115</b>
<b>სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელება საგანგებო მდგომარეობების დროს .....</b>	<b>124</b>
<b>ადამიანის უფლებები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება .....</b>	<b>131</b>
<b>დისკრიმინაცია მართლმსაჯულების სისტემაში .....</b>	<b>148</b>
<b>ქალთა თანასწორობა მართლმსაჯულების განხორციელების დროს .....</b>	<b>160</b>
<b>დანართები:</b>	
<b>გაერთიანებული ერების ორგანიზაცია:</b>	
სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ .....	162
<b>ევროპის საბჭო:</b>	
მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია [REC(2000) 19] წევრი სახელმწიფოებისათვის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში საჯარო პროკურორთა როლის შესახებ .....	169
<b>პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია:</b>	
პროკურორთა პროფესიული პასუხისმგებლობის, ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების სტანდარტები .....	179
<b>სასარგებლო ვებგვერდები ინტერნეტში .....</b>	<b>184</b>

## წინათქმა

გაეროს 1993 წლის ვენის დეკლარაცია აცხადებს, რომ ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები არის საყოველთაო, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული და მათი ხელშეწყობა და განხორციელება უნდა მოხდეს სამართლიანი და მიუკერძოებელი გზით. აღნიშნულის რეალიზებაში პირველადი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება. პროკურორები სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან.

ეს სახელმძღვანელო წინა პლანზე აყენებს მიზნებს, რომლებიც დასახულია გაეროს 1998 წლის დეკლარაციაში *პირთა, პირთა ჯგუფების და საზოგადოებრივი ორგანოების უფლების და პასუხისმგებლობის და საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ*. დეკლარაცია სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, შექმნან საჭირო პირობები და უზრუნველყონ სამართლებრივი გარანტიები, რათა მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ყველა პირს ამ უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის პრაქტიკული საშუალება ჰქონდეს. ეს სახელმძღვანელო პროკურორებს ამ მიზნების მიღწევაში დაეხმარება.

ეს სახელმძღვანელო პრაქტიკული დანიშნულებისაა. პროკურორების მიერ ყოველდღიურ საქმიანობაში გამოსაყენებელი პრინციპები მოიპოვება საერთაშორისო დოკუმენტებში, რეგიონულ დოკუმენტებში და განმარტებებში, როგორც ეს შიდასახელმწიფო კანონმდებლობით არის დადგენილი. სახელმძღვანელო პრაქტიკოსებს სთავაზობს საყოველთაო და რეგიონული მნიშვნელობის საკითხებსა და პრინციპებს. კონკრეტული იურისდიქციის სისტემებში მომუშავე პრაქტიკოსებს შეუძლიათ, შესაბამისი პრინციპები დაუკავშირონ მათი იურისდიქციის შიდასახელმწიფო კანონების დებულებებს და ამის შედეგად მიიღონ ქვეყნის სრული კოდექსი მსოფლიოს ნებისმიერი კუთხისთვის და ნებისმიერი ოფიციალური პროცედურისთვის. სახელმძღვანელოში მოცემულია განმარტებები, რომლებიც მათ ამ პროცესში დაეხმარება ციტირებული ტექსტების პრაქტიკულ კონტექსტში გადატანის გზით.

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია სრულად აცნობიერებს, რომ მისი წევრები მრავალი და ერთმანეთისაგან განსხვავებული სისხლის სამართლის სისტემის წარმომადგენლები არიან, რომლებიც ერთსულოვნად არ ეთანხმებიან სახელმძღვანელოში განხილულ ზოგიერთ საკითხს.

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია მადლობას უხდის პროფესორ ეგბერტ მიერს და მის სტუდენტებს ამ სახელმძღვანელოს შექმნისთვის. იგი ამ სფეროში დიდი მნიშვნელობისა და ღირებულების მქონე ძირითადი ნაშრომია და ყველა პროკურორის თაროზე (ან ელექტრონულ ბიბლიოთეკაში) უნდა იდოს.

ეს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია მისი მიზნისკენ — ხელი შეუწყოს სისხლის სამართლის დანაშაულზე ეფექტიანი, სამართლიანი, მიუკერძოებელი და ქმედითი დევნის განხორციელებას და პროკურორებს დაეხმაროს საერთაშორისო დონეზე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ნიკოლას კოუდერი**, სამეფო ადვოკატი

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი



## შესავალი

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის სტანდარტების მიღების (1999) შემდეგ, კეიპტაუნში ჩატარებული მე-5 ყოველწლიური კონფერენციის (2000 წ.) თემა გახლდათ ადამიანის უფლებები და პროკურორი. კონფერენციის ერთ-ერთი შედეგი იყო პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ფორუმის დაარსება. ფორუმის პირველი პროექტი ითვალისწინებდა პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოს შემუშავებას უშუალოდ პროკურორებისთვის. სახელმძღვანელოში უნდა შესულიყო და განხილულიყო ყველა ძირითადი საერთაშორისო ტექსტი და პრინციპი, როგორც გაეროს, ისე რეგიონული დოკუმენტებიდან, რომლებიც საინტერესო იქნებოდა მთელი მსოფლიოს პროკურორებისთვის.

შესაბამისად, პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ამ სახელმძღვანელოში, რომელიც პროკურორებისთვისაა განკუთვნილი, პროკურორი იპოვის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საერთაშორისო ტექსტებს, როგორც გაეროს, ისე რეგიონულ დონეზე, რომლებიც მას, სავარაუდოდ, ყოველდღიურ საქმიანობაში დაეხმარება. სახელმძღვანელოში ასევე თავმოყრილია ამონარიდები სამართლებრივად არასავალდებულო დოკუმენტებიდან (ე.წ. “რბილი” საერთაშორისო სამართალი), რომლებიც შესაძლოა გამოსადეგი და საინტერესო აღმოჩნდეს პროკურორებისათვის, აგრეთვე ზოგიერთი სასარგებლო კომენტარი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ზოგიერთი საგულისხმო ზოგადი კომენტარის ჩათვლით, რომლებიც ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერაა მომზადებული.

თითოეული თავი ასევე მოიცავს დამატებით რესურს-მასალას, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებთანაა დაკავშირებული. ამ მასალის ჩართვა არ ითვალისწინებს, არაევროპულ პროკურორებს თავს მოახვიოს ევროპული ხედვა პროკურორის როლისა და ადამიანის უფლებების შესახებ. იგი უბრალოდ ასახავს, თუ როგორ შეიმუშავა გარკვეული პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უძველესი და დატვირთული ორგანოა (2002 წლის ბოლომდე სასამართლომ 3442 გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეებზე, რომლებიც 44 ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეხებოდა).

ტექსტებს, ჩემი ზედამხედველობით, თავი მოუყარა მარნიქს ალინკმა, რომელიც იმ დროს ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი გახლდათ. ამ საქმიანობით მან დაამტკიცა, რომ ნამდვილად იმსახურებს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს.

ჩვენ ასევე მადლიერებას გამოვხატავთ პროკურორთა საერთაშორისო ასო-

ციაციის წევრების - კნუტ კალერუდის (ნორვეგია), ჩორდონ ლერვის (ავსტრალია), დანიელ ბელემარეს და ალთეა ფრანცისის (კანადა) და მაიკლ ჩერტოფის (აშშ) მიმართ მათ მიერ შეტანილი დიდი წვლილისთვის.

ნიკოლას კოუდერმა, ბარი ჰანკოკმა (პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია) და მე მოვახდინეთ საბოლოო ტექსტის რედაქტირება.

### **ეგბერტ მიერი**

*ამსტერდამის სააპელაციო სასამართლოს*

*მთავარი გენერალური ადვოკატი*

*ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი*

# წინამდებარე სახელმძღვანელოში ციტირებული საერთაშორისო დოკუმენტები<sup>1</sup>

## გაეროს დონა

სახელმძღვანელო პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ (გაეროს მეშვიდე კონგრესი დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის შესახებ; მილანი, 1985 წლის 6 სექტემბერი)

პატიმართა მიმართ მოპყრობის ძირითადი პრინციპები (გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია 45/111)

ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ (1990 წლის 7 სექტემბრის მერვე კონგრესის მოხსენება, თავი I, განყოფილება B.3)

ძირითადი პრინციპები სამართალდამცავი მუშაკების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ (1990 წლის 7 სექტემბრის მერვე კონგრესის მოხსენება, თავი I, განყოფილება B.2)

ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპების ნაკრები (გენერალური ასამბლეის 1988 წლის 9 დეკემბრის რეზოლუცია 43/173)

სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი (გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის რეზოლუცია 43/169)

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (გენერალური ასამბლეის 1979 წლის 18 დეკემბრის რეზოლუცია 34/180; ძალაში შევიდა 1981 წლის 3 სექტემბერს)

კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (გენერალური ასამბლეის 1965 წლის 21 დეკემბრის რეზოლუცია 2106 (XX); ძალაში შევიდა 1969 წლის 4 იანვარს)

კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ (გენერალური ასამბლეის 1984 წლის 10 დეკემბრის რეზოლუცია 39/46; ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს)

ბავშვის უფლებების კონვენცია (გენერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის რეზოლუცია 44/25; ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს)

დეკლარაცია ყველა პირის იძულებით გაუჩინარებისაგან დაცვის შესახებ (გენერალური ასამბლეის 1992 წლის 18 დეკემბრის რეზოლუცია 47/133)

1 სრული ტექსტი იხ., გვ. 204, სასარგებლო ვებგვერდები. ადამიანის უფლებათა შესახებ ისტორიული ტექსტები და მასალა შეიძლება მოიძიოთ გამოცემაში: უ. ვან დერ ვოლფი და დე ჰარდტი; Global Human Rights Law Collection, WLP, Nijmegen 2003.

დეკლარაცია უნარშეზღუდულ პირთა უფლებების შესახებ (გენერალური ასამბლეის 1975 წლის რეზოლუცია 3447/30)

დეკლარაცია გონებრივად ჩამორჩენილ პირთა უფლებების შესახებ (გენერალური ასამბლეის 1971 წლის რეზოლუცია 2856/26)

ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ მიღებული ზოგადი კომენტარები (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტზე)

სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ (გაეროს მერვე კონგრესი დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის შესახებ; ჰავანა, 1990 წლის 27 აგვისტო — 7 სექტემბერი, U.N. Doc. A/CONF.144/28/Rev.1 at 189 (1990), თავი I, განყოფილება C, 1990 წლის 7 სექტემბერი)

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ნიუ-იორკი, 1966 წლის 16 დეკემბერი; ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს)

საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპები აივ/მიდსის და ადამიანის უფლებების შესახებ (გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი; რეზოლუცია 1997/33, 1997 წ.)

სამედიცინო ეთიკის პრინციპები, რომლებიც დაკავშირებულია მედიცინის მუშაკთა, განსაკუთრებით ექიმების როლთან პატიმართა და დაკავებულთა წამებისაგან ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისგან ან დასჯისგან დაცვაში (გენერალური ასამბლეის 1982 წლის რეზოლუცია 37/194)

ფსიქიკურად დაავადებულ პირთა დაცვისა და ფსიქიატრიული დახმარების გაუმჯობესების პრინციპები (გენერალური ასამბლეის 1991 წლის 17 დეკემბრის რეზოლუცია 46/119)

სიკვდილმისჯილთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია 1984/50, 1984 წ.)

პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (გაეროს პირველი კონგრესი დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის შესახებ: სამდივნოს მოხსენება; მიღებულია 1955 წლის 30 აგვისტოს)

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (გენერალური ასამბლეის 1948 წლის 10 დეკემბრის რეზოლუცია 217A(III))

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ, “რიადის პრინციპები” (გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია 45/112)

გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი პირების დასაცავად (გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია 45/113)

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, “პეკინის წესები” (გენერალური ასამბლეის 1985 წლის ნოემბრის რეზოლუცია 40/33)

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასაპატიმრო ღონისძიებათა შესახებ, “ტოკიოს წესები” (გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია 45/110)

## რეგიონული დონე

ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია (ნაირობი, 1981 წლის 26 ივნისი; ძალაში შევიდა 1986 წლის 21 ოქტომბერს)

აფრიკული ქარტია ბავშვის უფლებათა და კეთილდღეობის შესახებ (1990 წელი; ძალაში შევიდა 1999 წლის 29 ნოემბერს)

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (სან-ხოსე, 1969 წლის 22 ნოემბერი; ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს)

ადამიანის უფლებათა არაბული ქარტია (კაირო, 1994 წლის 15 სექტემბერი) კაიროს დეკლარაცია ისლამში ადამიანის უფლებათა შესახებ (კაირო, 1990 წლის 5 აგვისტო)

ევროპის კავშირში ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია (მიღებულია 2000 წლის 7 დეკემბერს)

ევროპული საპატიმრო წესები (მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(87)3 ნევრი სახელმწიფოებისთვის, მიღებულია 1987 წლის 12 თებერვალს)

ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ (ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს)

ევროპული კონვენცია წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის შესახებ (ძალაში შევიდა 1989 წლის 1 თებერვალს).

ინტერამერიკული კონვენცია წამების აღკვეთისა და დასჯის შესახებ (ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს)

რეზოლუცია გასაჩივრების უფლებისა და სამართლიანი სასამართლოს შესახებ (ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისიის მე-11 რიგითი სესია, ტუნისი, 1992 წლის 9 მარტი)

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია [REC(2000) 19] ნევრი სახელმწიფოებისათვის “სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში საჯარო პროკურორთა როლის შესახებ” (მიღებულია 2000 წლის 6 ოქტომბერს)

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მეექვსე ოქმი (ძალაში შევიდა 1985 წლის 1-ლ მარტს)

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მეთორმეტე ოქმი (ხელმოწერისთვის გაიხსნა 2000 წელს)

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მეცამეტე ოქმი (ძალაში შევიდა 2003 წლის 1 ივლისს)

## არასამთავრობო ორგანიზაციები

პროკურორთა პროფესიული პასუხისმგებლობის, ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების სტანდარტები (პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია, მიღებულია 1999 წლის 23 აპრილს).

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეები

*საქმეები დალაგებულია ლათინური ანბანის მიხედვით*

აქსოი (1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება)  
ალანი (2002 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება)  
ალენე დე რიბემონტი (1995 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება)  
ბარბერა, მესეგუე და ჯაბარდო (1988 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება)  
ბრანიგანი და მაკბრაიდე (1993 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება)  
ბრენანი (2001 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება)  
ბროგანი (1988 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება)  
კოლას ესტი (2002 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება)  
დუგოზი (2001 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება)  
ედვარდსი (1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება)  
ფოქსი, კემპბელი და ჰარტილი (1990 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება)  
ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება)  
კელი (2001 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება)  
კილიჩი (2000 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება)  
კოსტოვსკი (1989 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება)  
ლოულესი (1961 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება)  
ლეტელიე (1991 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება)  
მაცნეტერი (1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება)  
მეჩენელი, ვანი (1997 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება)  
მაკკანი (1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება)  
მურეი (1996 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება)  
ნეუმეისტერი (1968 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება)  
ოჯალანი (2003 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება)  
ოსმანი (1998 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება)  
ოზთურქი (1984 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება)  
პირსი (2001 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება)  
პიერსაკი (1982 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება)  
სონდერსი (1996 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება)  
შიესერი (1979 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება)  
შონენბერგერი და დურმაზი (1988 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება)  
შიოპსი (2001 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება)  
სოერინგი (1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება)  
თომასი (1992 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება)  
ციმერმანი და შტიენერი (1983 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება)

## შემოკლებები

CPT	წამების საინსალმდეგო კომიტეტი
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
IAP	პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია
ICCPR	საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OAS	ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოთა ორგანიზაცია
U.N.	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)





## საჯარო პროკურორი: “ადამიანის უფლებათა სადარაჯოზე”

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა გადამწყვეტ როლს ასრულებს კანონის უზენაესობის დაცვაში, ხოლო მის შიგნით მნიშვნელოვანი ამოცანა აქვთ დაკისრებული პროკურორებს. ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სიტემაში პროკურორის როლის შესახებ ეს ამოცანა შემდეგნაირადაა აღწერილი: “საჯარო პროკურორები არიან სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირები, რომლებიც, საზოგადოების სახელით და მისი ინტერესების დაცვით, უზრუნველყოფენ კანონის შესრულებას, როდესაც ეს პროცესულურად არის სანქცირებული, ამასთან ითვალისწინებენ როგორც ინდივიდუალურ პირთა უფლებებს, ისე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის საჭირო ეფექტიანობას”.<sup>1</sup> ეს ნიშნავს, რომ საჯარო პროკურორები იყენებენ კანონს და ზრუნავენ, რომ იგი გამოყენებულ იქნეს. ამგვარი მიდგომით, პროკურორი მოქმედებს არა საკუთარი ან რომელიმე პოლიტიკური ორგანოს სახელით, არამედ საზოგადოების სახელით, და, აქედან გამომდინარე, მან უცილობლად უნდა დაიცვას ორი მოთხოვნა: ერთი მხრივ, ინდივიდუალურ პირთა უფლებები, ხოლო მეორე მხრივ, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის საჭირო ეფექტიანობა, რისთვისაც პროკურორი ნაწილობრივ ანგარიშვალდებულია.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის სისტემებში პროკურორები წამყვან როლს ასრულებენ, მათი კონკრეტული ამოცანები, რომლებიც სისხლის სამართლის ეროვნული კანონმდებლობითაა განსაზღვრული თითოეულ ქვეყანაში, ერთმანეთისაგან განსხვავდება. სხვადასხვა ქვეყანაში პროკურორთა ინსტიტუციური მდგომარეობა მკვეთრად განსხვავებულია; პირველი, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მათი ურთიერთობის თვალსაზრისით (რომელიც შეიძლება იცვლებოდეს დაქვემდებარებიდან დამოუკიდებლობამდე); და მეორე, პროკურორებსა და მოსამართლეებს შორის ურთიერთობის თვალსაზრისით. ზოგ სისტემაში პროკურორები და მოსამართლეები ერთ პროფესიულ კორპუსს მიეკუთვნებიან, მაშინ, როცა სხვაგან სრულიად გამიჯნული არიან ერთმანეთისაგან.<sup>2</sup>

1 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია [Rec (2000) 19] წევრი სახელმწიფოებისთვის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორთა როლის შესახებ, მიღებულია 2000 წლის 6 ოქტომბერს

2 ევროპის საბჭოს განმარტებითი მემორანდუმი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე [Rec (2000) 19] წევრი სახელმწიფოებისთვის “სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორთა როლის შესახებ”, მიღებულია 2000 წ. 6 ოქტომბერს, გვ. 3.

განსხვავებები არის სხვა დონეებზედაც. ზოგ ქვეყანაში პოლიციის სამსახური დამოუკიდებელია პროკურატურისაგან და საგულისხმო დისკრეციული უფლებებით სარგებლობს არა მხოლოდ გამოძიების წარმოებაში, არამედ სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტის საკითხშიც. ზოგ ქვეყანაში კი პოლიციას პროკურატურა ზედამხედველობს, ან წარმართავს. მაგალითად, ზოგჯერ პროკურორი გამოძიებაში მხოლოდ მაშინ ერთვება, როდესაც სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ მას პოლიციის საგამოძიებო ორგანო აცნობებს, მაშინ, როცა სხვა შემთხვევებში შესაძლებელია პროკურორმა პირველმა გადადგას ნაბიჯი და აქტიური როლი შეასრულოს კანონის დარღვევის გამოვლენაში.<sup>3</sup>

სხვადასხვა სისტემაში ასევე განსხვავებულია პროკურორის როლი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით. ზოგიერთ იურისდიქციაში პროკურორი იძლევა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ბრძანებას; სხვა შემთხვევებში იგი მეთვალყურეობს აღსრულების პროცედურას. თუმცა არის შემთხვევები, როცა პროკურორს გადაწყვეტილების აღსრულებაში საერთოდ არ აკისრია არანაირი როლი.

პროკურორის ამოცანებთან მიმართებით მსოფლიოში არსებული ამ ყველა განსხვავების მიუხედავად, პროკურორი ვალდებულია პატივი სცეს და უზრუნველყოს ინდივიდუალური პირის უფლებები. პროკურორი ძირითად როლს ასრულებს არა მხოლოდ კანონის აღსრულებაში, არამედ, და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, უფლებების სრულ განხორციელებაში, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებების ჩათვლით. რაც არ უნდა იყოს მისი სპეციფიკური ამოცანა ეროვნულ სისხლის სამართლის სისტემაში, ერთი ამოცანა უდავოდ არის “ადამიანის უფლებათა სადარაჯოზე” დგომა. ამ სახელმძღვანელოში აქცენტი გაკეთებულია ადამიანის საერთაშორისო უფლებებზე, ასევე საერთაშორისო ორგანოების გადაწყვეტილებებსა და განმარტებებზე, რამეთუ ისინი საერთო წყაროებია ადამიანის უფლებების თანამედროვე სტანდარტებისთვის. თუმცა ჩვენ, როგორც პროკურორებს, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა და მხარდაჭერა საუკეთესო გზით შიდასახელმწიფო დონეზე ხორციელდება. პროკურორებმა თავიანთ სახელმწიფოებში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ პრაქტიკულ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვაში.

პროკურორი, როგორც სახელმწიფო მოხელე, მაგალითს უნდა აძლევდეს საზოგადოებას ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თვით პროფესიისთვის, არამედ მთლიანად მთავრობის მიმართ ნდობისთვის.

პროკურორის უპირველესი საზრუნავია მისი იურისდიქციის კანონი, ხოლო მისი ქცევა ამ კანონს უნდა შეესაბამებოდეს. მაგრამ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი პროფესიული მოვალეობების სათანადო შესრულებასთანაა დაკავშირებული და გამოხატავს მსოფლიო თანამეგობრობის იმ სტანდარტებსა და მოთხოვნებს, რომლებიც 1948 წლიდან, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების შემდეგ ჩამოყალიბდა. ადამიანის უფლებათა

3 ევროპის საბჭოს განმარტებითი მემორანდუმი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე [Rec (2000) 19] წევრი სახელმწიფოებისთვის “სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორთა როლის შესახებ”, მიღებულია 2000 წლის 6 ოქტომბერს, გვ. 17

საერთაშორისო სამართალი, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს იმპერატიულ საერთაშორისო კანონმდებლობას, როგორცაა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები (მაგალითად, გაეროს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ) და ადამიანის უფლებათა რეგიონული ხელშეკრულებები. ამ ხელშეკრულებათა დებულებებზე ზოგად კომენტარებს შეიმუშავებენ ან ძირითად პრინციპებს კიდევ უფრო ავითარებენ ხელშეკრულებების ორგანოები, როგორცაა, მაგალითად გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ, განსაკუთრებით გაეროს დონეზე, ამ ზოგადი კომენტარების სამართლებრივ ძალასთან დაკავშირებით მონაწილე სახელმწიფოებს შორის არ არსებობს ერთიანი შეთანხმება, ეს დოკუმენტები, სულ მცირე, მნიშვნელოვანი წყარო მაინც არის შესაბამისი დებულებების საერთაშორისო განმარტებისთვის და გარკვეულ მიმართულებებს აძლევს პრაქტიკოსებს.

ადამიანის უფლებათა სფეროსთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო ტექსტები ასევე გაეროს და რეგიონულ დონეებზე არსებობს. ცხადია, რომ ისინი, როგორც ასეთი, სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტები არ არის და არც საერთაშორისო ფორუმებსა თუ ეროვნულ სასამართლოებში აღსრულების ძალის მქონე უფლებებს აყალიბებს. ზოგი მათგანი პირდაპირაა გამიზნული პროკურორის პროფესიისთვის, როგორცაა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ და ევროპის საბჭოს რეკომენდაცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორთა როლის შესახებ. ზოგი მათგანი კი პრინციპებს, ინსტრუქციებს, დამცავ მექანიზმებს და მინიმალურ სტანდარტულ წესებს აყალიბებს სისხლის სამართლის პროცესის უფრო კონკრეტული სფეროებისთვის.

პროკურორის პროფესიაზე ორიენტირებული ამ სახელმწიფოთაშორისი სტანდარტების გარდა, არის სტანდარტები, რომლებიც მიღებულია პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ. 1999 წელს *პროკურორთა პროფესიული პასუხისმგებლობის, ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების სტანდარტების (IAP Standards)* მიღება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ, რადგან პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია არც სამთავრობო ორგანიზაციაა და არც პოლიტიკური, მაგრამ იგი არის პროკურორთა პირველი და ერთადერთი მსოფლიო გაერთიანება. პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის სტანდარტები არ ასახავს სახელმწიფოთა საერთაშორისო შეთანხმებას პროკურორის პროფესიის მოქმედებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ეს არის თვით ამ პროფესიის ადამიანებისგან წამოსული განაცხადი, რომლითაც ისინი ახდენენ იმ (მინიმალური) ნორმებისა და ღირებულებების დეკლარირებას, რომლებისთვისაც ეს პროფესიაა მონოდებული. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებში გათვალისწინებული მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი ნორმა, რომ პროკურორი უნდა იყო “სამართლიანი”, ახლა უკვე დეტალურადაა აღწერილი პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის სტანდარტებში. გზავნილი ნათელია: იმის მიუხედავად, თუ როგორ არის ორგანიზებული სისხლის სამართლის სისტემა და რა კონრეტული ამოცანები აქვს დაკისრებული სახელმწიფო ბრალმდებელს ეროვნულ დონეზე, ეს არის (მინიმალური) სტანდარტები და ღირებულებები, რომლებსაც იცავენ მთელი მსოფლიოს პროკურორები.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციაში ჯერ კიდევ არ არიან წარმოდგენილი პროკურორები მსოფლიოს ყველა კუთხიდან, ვი-

ნაიდან პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის სტანდარტების მომზადებაში ჩართული იყვნენ მსოფლიოს თვალსაჩინო პროკურორები და მართლმსაჯულების განხორციელების სხვადასხვა სისტემას წარმოადგენდნენ, შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესში პროფესია წარმოდგენილი იყო. ცხადია, რომ ამ სახელმძღვანელოში ხშირად იქნება ციტირებული პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის სტანდარტები, იმ ზემოაღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად, რომლებიც სახელმწიფო ბრალდების სისტემაზეა ორიენტირებული. ასევე მითითებული იქნება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო ტექსტები უფრო ფართო პერსპექტივით და რომელიმე კონკრეტული სისხლის სამართლის სისტემის სიღრმისეული განხილვის გარეშე, რომლებიც უფრო ზოგადად თუ კონკრეტულად არის ფოკუსირებული სახელმწიფო ბრალდებაზე.

კრებულში ნახსენებია როგორც გაეროს, ისე რეგიონული დონის დოკუმენტები და, როგორც ნახავთ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ტექსტებს შორის ბევრია საერთო. ამ სახელმძღვანელოს მიზანია ხელი შეუწყოს ამ ტექსტების პატივისცემას და მათთან შესაბამისობას, რაც, ერთი მხრივ, განხორციელდება მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის პრაქტიკის უკვე არსებული მსგავსებების ჩვენებით, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიოს ყველა პროკურორს საშუალება მიეცემა, გაეცნოს ადამიანის უფლებათა დაცვის მიმდინარე სიტუაციას.

# ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ვიმოხილვა

## გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულმა ერებმა გადაწყვიტეს, საერთაშორისო სამართალში შემოეღოთ ახალი ცნებები, რომელებიც მომავალში კანონგარეშედ გამოაცხადებდა ადამიანის უფლებების ასეთ საშინელ და სისტემატურ დარღვევებს და მათ განმეორებას, სულ ცოტა, ნაკლებად შესაძლებელს გახდიდა. ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნა ახალი – სამთავრობათაშორისი ორგანიზაციები, როგორცაა, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, და ამ ორგანიზაციების ფარგლებში განვითარდა საერთაშორისო სამართლის ახალი სფერო. 1945 წელს გაეროს წესდების ხელმოწერა ყველა ინდივიდუალური პირის უფრო ფართო დაცვის უზრუნველყოფის ნათელი მცდელობა იყო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება შემდეგი სიტყვებით იწყება: “ჩვენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხები, ვისწრაფვით ... კვლავ დავადასტუროთ რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებების, ღირსებისა და პიროვნების ღირებულების, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის და დიდი და პატარა ერების თანასწორობის მიმართ (...)”. ყველა სახელმწიფოს მიერ, რომლებმაც გაეროს წესდების რატიფიცირება მოახდინეს, ადამიანის უფლებათა მნიშვნელობის ამგვარმა აღიარებამ დასაბამი მისცა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში დღეისათვის არსებული საერთაშორისო კანონმდებლობის განვითარებას. საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებები ძირითადად გაეროს წესდების მიღების შემდეგ განვითარდა, რადგან იგი სახელმწიფოებისაგან ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის ხელშეწყობას და ნახალისებას მოითხოვს, თუმცა ეს უფრო მორალური ვალდებულებაა, ვიდრე სამართლებრივი.

გაეროს წესდების შემდეგ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის პირველი ძირითადი დოკუმენტია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო. უდავოა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ სათავე დაუდო ადამიანის უფლებათა შემდგომ საერთაშორისო დოკუმენტებს. საყოველთაო დეკლარაციის დებულებებს, – რომლებიც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს აცხადებს, შედარებით შორეული იდეალების

დეკლარირებად განიხილება და მხოლოდ რამდენიმე სამართლებრივ ვალდებულებას შეიცავს, – ძალიან სწრაფად მოჰყვება სხვა საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც კანონის სამართლებრივად სავალდებულო და დეტალურ ნორმებს შეიცავს.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) იყო პირველი ხელშეკრულება, რომელმაც გაეროს წევრ ქვეყნებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპების სამართლებრივად სავალდებულო უფლებებში გადატანა შესთავაზა; ეს პაქტი გაერომ 1966 წელს მიიღო. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი უზრუნველყოფს მონიტორინგის სისტემას. პაქტის საფუძველზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომელიც ამზადებს კომენტარებს პაქტის მუხლებზე და იხილავს მოხსენებებს, რომლებსაც სახელმწიფოები წარადგენენ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის საფუძველზე. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტს თან სდევს საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ (ICESCR), რომელიც ასევე 1966 წელს მიიღეს; იგი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს მოხსენებების წარმოდგენას ამ სფეროში, მაგრამ მას არა აქვს ინდივიდუალური საჩივრების მექანიზმი.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტისა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის გარდა, ადამიანის უფლებათა სფეროში გაეროს მიღებული აქვს სხვა ხელშეკრულებები და დოკუმენტები. ეს დოკუმენტები იცავს კონკრეტულ უფლებებს ან უფლებათა წყებას, რომლებიც კონკრეტულ საკითხთანაა დაკავშირებული, მაგალითად, როგორცაა, გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არა-ადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ და ბავშვის უფლებების კონვენცია.

## რეგიონული დოკუმენტები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წინააღმდეგობრივი იდეოლოგიისა და ინტერესთა კონფლიქტის გამო ზოგჯერ რთულია თანხმობის მიღწევა ადამიანის უფლებათა საკითხებზე. შეთანხმება უფრო ადვილია რეგიონულ დონეზე, სადაც სახელმწიფოებს მეტი საერთო ღირებულებები და ინტერესები აქვთ. ზოგჯერ მიაჩნიათ, რომ რეგიონული ხელშეკრულებები უკეთ გამოხატავს სახელმწიფოს შიგნით არსებულ კულტურებსა და საზოგადოებებს, ვიდრე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები. ამ მიზნით შეიქმნა ადამიანის უფლებათა მრავალი რეგიონული ხელშეკრულება და ნორმა — ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია, ადამიანის უფლებათა არაბული ქარტია და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია ამ კრებულში მოხსენიებული რეგიონული ხელშეკრულებებია და ისინი რატიფიცირებულია რეგიონის თუ არა ყველა, უმრავლესი სახელმწიფოს მიერ მაინც (არაბული ქარტიის გარდა). როგორც ჩანს (განსაკუთრებით ამ სახელმძღვანელოდან), ყველა რეგიონული ხელშეკრულება ძირითადად იმ საფუძველზე მოიცავს, რომლებსაც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

ადამიანის უფლებათა რეგიონული ხელშეკრულებების საზედამხედველო მექანიზმები ერთმანეთისგან განსხვავდება. ევროპული კონვენციით, მე-11 ოქმით შეტანილი ცვლილების საფუძველზე, დღეისათვის უკვე არსებობს მუდმივმოქმედი სასამართლო და ამ სასამართლოსადმი ინდივიდუალური საჩივრით პირდაპირი მიმართვის უფლება. ამერიკულ კონვენციას ორდონიანი სისტემა აქვს. აქ არის კომისია, რომელიც დასაშვებობის საკითხს ამონმებს, და სასამართლო. აფრიკულ ქარტიას დღეისათვის მხოლოდ კომისია აქვს, რომელიც აწარმოებს ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოძიებას და წარადგენს მოხსენებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია დღეისათვის ადამიანის უფლებათა დაცვის ყველაზე უფრო სრულყოფილი და პრაქტიკულად მონინავე საერთაშორისო სისტემაა. სწორედ ამიტომ, ამ სახელმძღვანელოში, მითითებები კეთდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეებზე.

## “რბილი” საერთაშორისო სამართალი

ადამიანის უფლებათა მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი, სამართლებრივად სავალდებულო ხელშეკრულებებისა და კონვენციების გარდა, ე.წ. “რბილ” საერთაშორისო სამართალსაც მოიცავს. დეკლარაციები, რეკომენდაციები და სახელმძღვანელო მითითებები სახელმწიფოებისათვის სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტები არ არის. ისინი შეიცავს იმ პრინციპების, სტრატეგიებისა და შეხედულებების კონოტაციებს, რომლებსაც შეუძლიათ უკეთ მართონ სახელმწიფოთა მოქმედება კონკრეტულ სიტუაციაში, თუმცა არ არსებობს რაიმე სამართლებრივი ვალდებულება. მიუხედავად ამისა, “რბილი” სამართლის პრინციპები არ ასახავს სახელმწიფოთა მიზანს მოცემულ საკითხთან მიმართებით. მაგალითად, გაეროს რეკომენდაციები და დეკლარაციები შეიძლება მიჩნეულ იქნეს თანამშრომლობისა და კეთილი ნების ვალდებულებებად. ეს კონცეფციები “რბილია”, რადგან მათ არა აქვთ კანონის იმპერატიული თვისება, თუმცა შეუძლიათ შეიძინონ ეს სტატუსი შესაბამისი სამართლებრივი პროცედურით — კანონმდებლობის ოფიციალურ წყაროებში გადატანის მეშვეობით.

## არასამთავრობო ორგანიზაციები

არასამთავრობო ორგანიზაციათა ძალისხმევასა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის ზუსტი კავშირის განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა აშკარაა, რომ ისინი ზემოქმედებას ახდენენ სახელმწიფოებზე ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის კუთხით, რასაც აღწევენ ფაქტების მოძიებით, საჯაროობით ან ადამიანის უფლებათა ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდების გზით. გარდა ამისა, როგორც ეს ამ სახელმძღვანელოში იქნება ნაჩვენები, სამართლის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა ადამიანის უფლებათა საკუთარი სტანდარტები შეიმუშავეს. მაგალითად, პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციამ ჩამოაყალიბა ადამიანის უფლებათა სტანდარტები, რომლებიც პროკურორებმა უნდა გაითვალისწინონ. ამ სახელმძღვანელოში პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის ეს სტანდარტები ხშირად იქნება ნახსენები.

# სასამართლოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები და იურისტის პროფესია

## შესავლისი ტექსტები

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი ადგენს, რომ “თითოეული პირი უფლებამოსილია საქმის სამართლიან და საჯარო განხილვაზე კანონის საფუძველზე შექმნილი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ”.

## რბილი საერთაშორისო სამართალი

### გაეროს დონე

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ამ, მე-14 მუხლის საფუძველზე შემუშავდა მნიშვნელოვანი, თუმცა სამართლებრივად არასავალდებულო დოკუმენტი: 1985 წლის გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, სადაც 1-ლ პრინციპში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სასამართლოს დამოუკიდებლობის პატივისცემა:

1. ‘სასამართლოს დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს სახელმწიფო და იგი დაცულია ქვეყნის კონსტიტუციით ან კანონით. ყველა სამთავრობო და სხვა დანესებულების მოვალეობაა, პატივი სცეს და დაიცვას სასამართლოს დამოუკიდებლობა’.

ზემოხსენებული დოკუმენტის მომდევნო პრინციპები ამ დებულებას ავრცობს:

2. ‘სასამართლო საქმეზე გადანყვეტილებას იღებს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ყოველგვარი პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვის, არასათანადო ზეგავლენის, ცდუნების, ზეწოლის, საფრთხის ან ჩარევის გარეშე ნებისმიერი წრის ან პირის მხრიდან.
3. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება სამართლებრივი ბუნების მქონე ყველა საკითხზე და მხოლოდ მას აქვს უფლებამოსილება, გადანყვიტოს,



მის წინაშე წარმოდგენილი საკითხი შედის თუ არა კანონით დადგენილ მის კომპეტენციაში.

4. დაუშვებელია რაიმე შეუსაბამო ან არამართლზომიერი ჩარევა სასამართლო პროცესში, ასევე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა. ეს პრინციპი ხელს არ უშლის სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის სასამართლო გადასინჯვას ან სასჯელის შემსუბუქებას ან შეცვლას კომპეტენტური ორგანოს მიერ, კანონის შესაბამისად.
5. ყველას აქვს მისი საქმის განხილვის უფლება ჩვეულებრივი სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ, დადგენილი სამართლებრივი პროცედურების გამოყენებით. ტრიბუნალი, რომელიც არ იყენებს სასამართლო პროცესის სათანადოდ ჩამოყალიბებულ პროცედურებს, არ უნდა შეიქმნას იმ იურიდიულის შესაცვლელად, რომელიც ჩვეულებრივ სასამართლოებს ან სასამართლო ტრიბუნალებს ეკუთვნის.
6. დამოუკიდებლობის პრინციპი სასამართლოს უფლებას ანიჭებს და მისგან მოითხოვს, უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლო პროცესი და მონაწილე მხარეების უფლებათა პატივისცემა’.

გაეროს 1990 წლის სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ შეიცავს დამატებულ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროკურორთა დამოუკიდებლობას მათი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ზოგიერთი დებულება სახელმწიფოსგან მოითხოვს პროკურორის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. მნიშვნელოვანია, რომ პროკურორი თავისუფალი იყოს მის საქმიანობაში არასათანადო ჩარევისაგან ან ზეგავლენისაგან. შესაბამისი დებულებები აცხადებს:

3. ‘პროკურორები, როგორც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები, განუხრელად იცავენ მათი პროფესიის პატივსა და ღირსებას.
4. სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ პროკურორებს თავიანთი პროფესიული მოვალეობების შესრულება შეეძლოთ დაშინების, დაბრკოლების, მუქარის, არასათანადო ჩარევის ან სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან სხვა სახის გაუმართლებელი პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე.
5. პროკურორებს და მათი ოჯახის წევრებს ფიზიკურად იცავს ხელისუფლება, როცა მათი პირადი უსაფრთხოება საშიშროების წინაშე დგას სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელების შედეგად’.

სახელმძღვანელო პრინციპები ეჭვის საფუძველს არ ტოვებს პროკურორის პროფესიასთან მიმართებით, მის სასამართლო ფუნქციასთან დაკავშირებით, რამეთუ მე-10 პრინციპი აცხადებს:

‘პროკურორთა თანამდებობა მკვეთრადაა გამიჯნული სასამართლოს ფუნქციებისგან’.

1990 წლის ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ ადვოკატებისთვის უზრუნველყოფს მათი პროფესიის დამოუკიდებელ განხორციელებას, რისთვისაც სახელმწიფოებისაგან მოითხოვს შემდეგი პოზიტიური ნაბიჯების გადადგმას:

16. 'სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ადვოკატებს:
- (a) საშუალება ჰქონდეთ შეასრულონ თავიანთი პროფესიული ფუნქცია მუქარის, დაბრკოლების, შევიწროების ან არასათანადო ჩარევის გარეშე;
  - (b) საშუალება ჰქონდეთ, თავისუფლად შეხვდნენ და კონსულტაცია გაუწიონ თავიანთ კლიენტებს საკუთარ ქვეყანაში და საზღვარგარეთ; და
  - (c) არ ემუქრებოდეთ სისხლის სამართლებრივი დევნა ან ადმინისტრაციული, ეკონომიკური ან სხვა სახის სანქციები რაიმე ქმედებისთვის, რომელიც ხორციელდება აღიარებული პროფესიული მოვალეობების, სტანდარტებისა და ეთიკის შესაბამისად.
17. თუ ადვოკატებს საფრთხე ემუქრებათ მათი მოვალეობების შესრულებისას, მათ სახელმწიფო უზრუნველყოფს ადეკვატური დაცვით.
18. თავიანთი ფუნქციების შესრულებისას დაუშვებელია ადვოკატთა გაიგივება მათ კლიენტებთან ან მათი კლიენტების ქმედებებთან.
19. სასამართლომ ან ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომელსაც აღიარებული აქვს იურიდიული დახმარების უფლება, არ შეიძლება უარი თქვას ადვოკატის უფლებაზე, წარდგეს მის წინაშე თავისი კლიენტის ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ადვოკატი დისკვალიფიცირებულია ეროვნული კანონის და პრაქტიკის საფუძველზე და ამ პრინციპების შესაბამისად.
20. ადვოკატები სარგებლობენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის იმუნიტეტით შესაბამისი განცხადებებისთვის, რომლებსაც ისინი პატიოსნად, წერილობით ან ზეპირად აკეთებენ კლიენტის დაცვის პროცესში, ან სასამართლოს, ტრიბუნალის თუ სხვა სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე პროფესიული გამოსვლისას.
21. კომპეტენტური ორგანოები მოვალე არიან დროის საკმარის პერიოდში უზრუნველყონ ადვოკატთა ხელმისაწვდომობა, მათი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, სათანადო ინფორმაციაზე, საქმეებსა და დოკუმენტებზე, რომლებსაც ისინი ფლობენ ან აკონტროლებენ, რათა ადვოკატებს საშუალება ჰქონდეთ, უზრუნველყონ თავიანთი კლიენტების ეფექტიანი იურიდიული დახმარება. ასეთი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მაქსიმალურად სწრაფად.
22. მთავრობა აღიარებს და პატივს სცემს ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის ყველა კომუნიკაციისა და კონსულტაციის კონფიდენციალობის დაცვას, მათი პროფესიული ურთიერთობების ფარგლებში'.

## ვერობა

ვერობის საბჭოს 2000 წლის რეკომენდაცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორთა როლის შესახებ ამ საკითხზე შემუშავებული მნიშვნელოვანი რეგიონული დოკუმენტია. ამ დოკუმენტში მოცე-

მუღია მრავალი დამცავი მექანიზმი პროკურორთა პროფესიული მოვალეობის დამოუკიდებლად განხორციელებისთვის. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე შესაბამისი დებულება:

11. 'სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა პროკურორებმა თავიანთი პროფესიული მოვალეობების შესრულება შეძლონ გაუმართლებელი ჩარევის ან სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივი ან სხვა პასუხისმგებლობის გაუმართლებელი დაკისრების გარეშე. თუმცა პროკურორმა პერიოდულად და საჯაროდ ანგარიში უნდა ჩააბაროს თავისი საქმიანობის შესახებ, კერძოდ, იმ გზების შესახებ, რომლის მეშვეობითაც მისი პრიორიტეტები განხორციელდა.
12. პროკურორები არ უნდა ჩაერიონ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციებში.
13. იქ, სადაც პროკურატურა არის მთავრობის შემადგენელი ნაწილი ან მას ექვემდებარება, სახელმწიფოებმა ეფექტიანი ზომები უნდა მიიღონ, რათა უზრუნველყონ, რომ:
  - a) პროკურატურის მიმართ მთავრობის უფლებამოსილების ბუნება და ფარგლები დადგენილი იყოს კანონით;
  - b) მთავრობა თავის უფლებამოსილებას ახორციელებდეს გამჭვირვალედ და საერთაშორისო ხელშეკრულებების, ეროვნული კანონმდებლობის და სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად;
  - c) იქ, სადაც მთავრობა ზოგადი ხასიათის მითითებებს იძლევა, ასეთი მითითებები უნდა გაკეთდეს წერილობით და შესაბამისი სახით გამოქვეყნდეს;
  - d) იქ სადაც მთავრობა უფლებამოსილია მითითება მისცეს კონკრეტულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით, ასეთი მითითებები აღჭურვილი უნდა იყოს ადეკვატური გარანტიებით, რომლებიც იცავს გამჭვირვალებას და ობიექტურობას ეროვნული კანონის შესაბამისად; მთავრობას ევალება, მაგალითად:
    - წინასწარ მოიპოვოს წერილობითი რჩევა კომპეტენტური საჯარო პროკურორისაგან, ან ორგანოსგან, რომელიც დევნას ახორციელებს;
    - ჯეროვნად ახსნას თავისი მითითებები, განსაკუთრებით, როცა ისინი განსხვავდება საჯარო პროკურორის რჩევისაგან, და გადასცეს ისინი იერარქიული არხების მეშვეობით;
    - სასამართლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყოს, რომ რჩევები და მითითებები დაერთოს საქმეს, რათა მათ შესახებ ინფორმაცია ჰქონდეთ სხვა მხარეებს და კომენტარის გაკეთება შეეძლოთ;
  - e) საჯარო პროკურორებს დაუბრკოლებლივ შეეძლოთ სასამართლოს წარუდგინონ ნებისმიერი სამართლებრივი არგუმენტი თავიანთი შეხედულებისამებრ, მაშინაც კი, თუ ისინი ვალდებული არიან წერილობით გამოხატონ მიღებული მითითებები;

- f) მითითება სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების შესახებ პრინციპში აკრძალულ იქნეს. თუ საკითხი ამგვარად არ დგას, მაშინ ამგვარი მითითება უნდა იყოს გამონაკლისი და იგი უნდა დაექვემდებაროს არა მხოლოდ ზემოთ (d) და (e) ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებს, არამედ აგრეთვე შესაბამის კონტროლს, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გამჭვირვალება;
14. ქვეყნებში, სადაც პროკურატურა მთავრობისგან დამოუკიდებელია, სახელმწიფომ ეფექტიანი ზომები უნდა მიიღოს, რათა უზრუნველყოს, რომ პროკურატურის დამოუკიდებლობის ბუნება და ფარგლები კანონით იქნეს დადგენილი.
15. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის სამართლიანობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად პროკურორებმა უნდა ითანამშრომლონ სახელმწიფო ორგანოებთან და ინსტიტუტებთან, კანონით დადგენილ ფარგლებში.
16. საჯარო პროკურორები, ნებისმიერ შემთხვევაში, ისეთ მდგომარეობაში უნდა იყვნენ, რომ მათ შეძლონ დევნა განახორციელონ ოფიციალურ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე ამ პირებისაგან ხელშეშლის გარეშე, განსაკუთრებით კორუფციასთან, ძალაუფლების არამართლზომიერ გამოყენებასთან, ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებთან და სხვა სახის დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლით არის აღიარებული’.
- დოკუმენტში ასევე არის მნიშვნელოვანი დებულებები პროკურორისა და მოსამართლის პროფესიებს შორის ურთიერთობების შესახებ:
17. ‘სახელმწიფოებმა ზომები უნდა მიიღონ, რათა საჯარო პროკურორთა სამართლებრივი სტატუსი, კომპეტენციები და საპროცესო როლი კანონით იქნეს დადგენილი, იმგვარად, რომ რაიმე მართლზომიერ ეჭვს არ იწვევდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ. სახელმწიფოებმა განსაკუთრებით უნდა უზრუნველყონ, რომ ერთი და იმავე პირი ერთდროულად არ ასრულებდეს პროკურორისა და მოსამართლის მოვალეობებს.
18. თუმცა, თუ სამართლებრივი სისტემა ამის უფლებას იძლევა, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა ერთმა და იმავე პირმა შეძლოს ერთმანეთის მიმდევრობით განახორციელოს პროკურორისა და მოსამართლის ფუნქციები, ან პირიქით. ფუნქციათა ასეთი მონაცვლეობა შესაძლებელია მხოლოდ მოცემული პირის პირდაპირი მოთხოვნით და დაცვის მექანიზმების გათვალისწინებით.
19. საჯარო პროკურორები განუხრელად უნდა იცავდნენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას; კერძოდ, მათ ეჭვი არ უნდა შეიტანონ სასამართლოს გადანყვეტილებებში, ან ხელი არ უნდა შეუშალონ მათ აღსრულებას, გარდა გასაჩივრების საშუალებების ან სხვა ოფიციალური პროცედურების გამოყენებისას.
20. სასამართლო პროცესის განმავლობაში საჯარო პროკურორები უნდა

იყვნენ ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, მათ სასამართლო უნდა უზრუნველყონ ყველა შესაბამისი ფაქტითა და სამართლებრივი არგუმენტით, რომლებიც აუცილებელია მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელებისთვის’.

## პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის 1999 წლის სტანდარტები შეიცავს პუნქტებს როგორც დამოუკიდებლობის, ისე მიუკერძოებლობის შესახებ. ვინაიდან ამ დოკუმენტით მიღებული დებულებები თვით ამ პროფესიის წარმომადგენლების მიერ არის შემუშავებული, მათი გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

დამოუკიდებლობის შესახებ პუნქტი აცხადებს:

- 2.1. ‘დევნაზე დისკრეციის გამოყენება, როდესაც ეს კონკრეტულ იურისდიქციაშია დაშვებული, უნდა განხორციელდეს დამოუკიდებლად და იგი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური ჩარევისაგან’.
- 2.2. თუ არასაპროკურორო ორგანოებს უფლება აქვთ ზოგადი ან კონკრეტული ინსტრუქციები მისცენ პროკურორებს, ასეთი ინსტრუქციები უნდა:
  - იყოს გამჭვირვალე;
  - იყოს კანონიერი უფლებამოსილების შესაბამისი;
  - ექვემდებარებოდეს დადგენილ სახელმძღვანელო პრინციპებს, რათა დაცულ იქნეს დევნის ორგანოების დამოუკიდებლობის რეალური განხორციელება და მისი აღქმა.
- 2.3. არასაპროკურორო ორგანოების ნებისმიერი უფლება, რომელიც მიმართულებას აძლევს პროცესს ან წყვეტს კანონიერად მიმდინარე პროცესს, იმავე სახით უნდა განხორციელდეს’.

მე-3 პუნქტი, რომელიც მიუკერძოებლობას ეხება, აცხადებს:

‘პროკურორებმა თავიანთი მოვალეობები უნდა შეასრულონ შიშის, უპირატესობის მინიჭების ან წინასწარი განზრახვის გარეშე, კერძოდ:

- a) თავიანთი ფუნქციები უნდა განახორციელონ მიუკერძოებლად;
- b) არ უნდა დაექვემდებარონ კერძო ან ჯგუფურ ინტერესებს და საზოგადოებისა და მედიის ზეწოლას, და გაითვალისწინონ მხოლოდ საჯარო ინტერესები;
- c) იმოქმედონ ობიექტურად;
- d) გაითვალისწინონ ყველა შესაბამისი გარემოება, იმის მიუხედავად, ისინი ეჭვმიტანილისთვის ხელსაყრელია თუ არახელსაყრელი;
- e) ადგილობრივი კანონმდებლობის ან სამართლიანი სასამართლოს მო-

თხოვნების შესაბამისად, ისწრაფვოდნენ, რომ უზრუნველყონ ყველა საჭირო და გონიერული მოკვლევის განხორციელება და შედეგების გამჟღავნება, იმის მიუხედავად, ისინი ეჭვმიტანილის ბრალეულობაზე მიუთითებს თუ უდანაშაულობაზე;

- f) მუდამ ეძიონ ჭეშმარიტება და სასამართლოს დაეხმარონ ჭეშმარიტების დადგენაში და საზოგადოებას, დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის სამართლიანობის დამკვიდრებაში, კანონის და სამართლიანობის მოთხოვნის შესაბამისად’.

## **განმარტება და დასკვნები**

როგორც ამ ტექსტებიდან ნათლად ჩანს, სასამართლოს და მთლიანად სამართლის პროფესიათა დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანი საკითხია. მოსამართლეებს, პროკურორებსა და ადვოკატებს უცილობლად უნდა ჰქონდეთ საშუალება, თავიანთი მოვალეობა შეასრულონ არასათანადო ჩარევის გარეშე. ამ მიზნის მისაღწევად შემუშავებული და მიღებული იქნა “რბილი” სტანდარტები, რომლებიც ამგვარი ჩარევებისაგან დამცავ მექანიზმებს უზრუნველყოფს. მთავრობას სწორედ აქ ეკისრება მნიშვნელოვანი ამოცანა, რადგან მან ისეთი სახით უნდა უზრუნველყოს ეს დამცავი მექანიზმები, რომ სამართლის სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მუშაობის საშუალება ჰქონდეთ.

თუმცა, როგორც ციტირებული ტექსტები ასევე უჩვენებს, თვით სამართლის სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსები ვალდებული არიან თავიანთი პროფესია დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განახორციელონ. პროკურორიც ასევე განცალკევებული უნდა იყოს სასამართლო ფუნქციებისაგან.

## ადამიანის უფლებები და სიცოცხლის უფლება

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია აღიარებს, რომ სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის ფორმის შესახებ, მსოფლიოში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ზოგიერთ სისხლის სამართალში სიკვდილით დასჯა არასოდეს არსებულა; ზოგან იგი გაუქმდა ან ახლა უქმდება; ზოგან სიკვდილით დასჯა კვლავ გამოიყენება და მიიჩნევა არა ადამიანის უფლებების ნორმების დარღვევად, არამედ დანაშაულის შეკავების, სათანადოს მიზლის და დასჯის მიზნების მიღწევის შესაბამის საშუალებად. ეს ძალზე წინააღმდეგობრივი საკითხებია საერთაშორისო დონეზე და პროკურორებმა შეადგინეს მნიშვნელოვანი საკითხების შესაბამისად უნდა იმოქმედონ. პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია არ იწონებს ამ საკითხის მიმართ არსებულ რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკას ან მიდგომას, თავისი წევრების მოსაზრებებისაგან განსხვავებით. ეს თავი ეძღვნება ამ საკითხს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული დოკუმენტების და სახელმძღვანელო მითითებების კონტექსტში, იქ სადაც ისინი გამოიყენება.

### შესავალი

ადამიანის სიცოცხლისთვის დამახასიათებელი ღირსების აღიარებისას, სიცოცხლის უფლება უზენაესია ყველა სხვა ფუნდამენტურ უფლებას შორის. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საერთაშორისო ტექსტში სიცოცხლის უფლება ამოსავალი წერტილია. სიცოცხლის უფლებას, რა თქმა უნდა, მწვავე ურთიერთობა აქვს სიკვდილით დასჯის საკითხთან. აქედან გამომდინარე, სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული შესაბამისი საერთაშორისო დებულებები ზოგჯერ შეიცავს პუნქტებს, რომლებიც ეხება სიკვდილით დასჯას, სიკვდილით დასჯის პირობებს ან მისი გაუქმების რეკომენდაციებს, ხოლო მრავალ ხელშეკრულებას აქვს დამატებითი ოქმები, რომლებიც სიკვდილით დასჯას კრძალავს.

### შესაბამისი ტექსტები გაეროს დონეზე

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლი სიცოცხლის უფლებას ეხება:

‘ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება’.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში ამ პრინციპს უფლების სტატუსი მიენიჭა. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი აცხადებს:

‘სიცოცხლის უფლება არის თითოეული ადამიანისაგან განუყოფელი უფლება. ეს უფლება დაცულია კანონით. არავის არ შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე’.

სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით მე-2 პუნქტი ადგენს:

‘ქვეყნებში, რომლებსაც არ გაუქმებიათ სიკვდილით დასჯა, სიკვდილის განაჩენი შეიძლება გამოიტანონ მხოლოდ ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის, დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი კანონის შესაბამისად, და თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ პაქტისა და გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციის დებულებებს. ასეთი სასჯელი შეიძლება სისრულეში მოყვანილ იქნეს მხოლოდ კომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო განაჩენის შესასრულებლად’.

ეს განვითარებულია მე-3 პუნქტში:

‘როცა სიცოცხლის ხელყოფა წარმოადგენს გენოციდის დანაშაულს, იგულისხმება, რომ ამ მუხლში არაფერი აძლევს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს უფლებას, რომ რაიმე საშუალებებით გადაუხვიონ თავიანთ ვალდებულებებს, რომლებიც სახელმწიფოებმა იკისრეს გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციის დებულებათა შესაბამისად’.

ამის შემდეგ მე-4 პუნქტი მიუთითებს დამატებით უფლებებზე, რომლებიც ნებისმიერ სიკვდილმისჯილ ადამიანს აქვს:

‘თითოეულ სიკვდილმისჯილ პირს უფლება აქვს ითხოვოს შეწყალება ან განაჩენის შემსუბუქება. ამნისტია, შეწყალება ან სიკვდილით დასჯის განაჩენის შეცვლა შეიძლება ნაბოძები იყოს ყველა შემთხვევაში’.

მე-5 პუნქტი მკაფიოდ ადგენს, რომ სიკვდილით დასჯა არ შეიძლება მიესაჯოს არასრულწლოვან დამნაშავეებს ან აღსრულებულ იქნეს ორსული ქალების მიმართ:

‘სასიკვდილო განაჩენის შეფარდება არ შეიძლება დანაშაულისთვის, რომელიც ჩაიდინეს თვრამეტ წლამდე ასაკის პირებმა, და მისი აღსრულება არ შეიძლება ორსული ქალების მიმართ’.

და ბოლოს, მე-6 პუნქტი მკაცრ რეკომენდაციას იძლევა სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით:

‘ამ მუხლში არაფერი არ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფომ დააყოვნოს ან ხელი შეუშალოს სიკვდილით დასჯის გაუქმებას’.

1989 წელს ძალაში შევიდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატიური ოქმი, რომელიც სიკვდილით დასჯის გაუქმებას ისახავს მიზნად. მის პრეამბულაში გაცხადებულია:

‘ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოებს,

სჯერათ რა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება ხელს შეუწყობს ადამიანის ღირსების ამაღლებას და ადამიანის უფლებების პროგრესულ განვითარებას, (...)



აღნიშნავენ რა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლი მკაცრად მიუთითებს, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება სასურველია,

ითვალისწინებენ რა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება განხილულ უნდა იქნეს, როგორც პროგრესული ნაბიჯი სიცოცხლის უფლებით სარგებლობის საკითხში,

არიან რა სურვილით განმსჭვალულნი, მოქმედებაში მოიყვანონ საერთაშორისო მიზანდასახულობა სიკვდილით დასჯის გაუქმების გზაზე, (...)'

ამის შემდეგ ოქმის 1-ლი მუხლი მარტივად აცხადებს:

1. 'არავინ არ შეიძლება სიკვდილით დაისაჯოს ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციაში.
2. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა მისი იურისდიქციის ფარგლებში გაუქმდეს სიკვდილით დასჯა'.

მე-2 მუხლის თანახმად ოქმზე დათქმა დასაშვებია მხოლოდ სამხედრო დანაშაულთან დაკავშირებით:

1. 'ამ ოქმზე დათქმები დაუშვებელია, გარდა რატიფიკაციისა და მიერთების დროს დადებული დათქმებისა, რომლებიც უზრუნველყოფს ომის დროს სიკვდილით დასჯის გავრცელებას სამხედრო ხასიათის ყველაზე საშიშ დანაშაულზე'.

1990 წლის კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ კრძალავს სიკვდილით დასჯის შეფარდებას ბავშვების მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის. 37-ე მუხლის 'ა' ქვეპუნქტი აცხადებს:

'არც ერთი ბავშვი არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. პირისთვის, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა 18 წლის ასაკამდე, არ შეიძლება შეფარდებულ იქნეს სასიკვდილო განაჩენი ან სამუდამო პატიმრობის განაჩენი განთავისუფლების შესაძლებლობის გარეშე'.

## შესაბამისი ტექსტები რეგიონულ დონეზე

### ევროპა

ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ სიცოცხლის უფლებას მე-2 მუხლში შეიცავს. ეს მუხლი ტოვებს სიკვდილით დასჯის საშუალებას, როდესაც აცხადებს, რომ:

1. 'ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისთვის,

რომლისთვისაც ეს სასჯელი კანონითაა გათვალისწინებული.

2. სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:
  - a) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;
  - b) კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;
  - c) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად’.

1960-იანი წლების ბოლოს ევროპაში მიაღწიეს კონსენსუსს სიკვდილით დასჯის რაც შეიძლება სწრაფად გაუქმებასთან დაკავშირებით. ამის შედეგი გახლდათ კონვენციის მე-6 ოქმი, რომელიც სიკვდილით დასჯის გაუქმებას ეხება. იგი ძალაში შევიდა 1985 წელს. ამ ოქმის შესაბამისი მუხლები ადგენს:

#### ‘მუხლი 1

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. არ შეიძლება, ვინმეს შეეფარდოს სიკვდილით დასჯა ან ვინმეს მიმართ აღსრულდეს ასეთი განაჩენი.

#### მუხლი 2

სახელმწიფოს შეუძლია, თავის კანონმდებლობაში გაითვალისწინოს სიკვდილით დასჯა ომის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს ჩადენილი ქმედებებისთვის; ამგვარი სასჯელი გამოიყენება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და მისი დებულებების შესაბამისად. სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ასეთი კანონის შესაბამისი დებულებების შესახებ.

#### მუხლი 3

დაუშვებელია კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე ამ ოქმის დებულებებიდან გადახვევა’.

1994 წლიდან ევროპის საბჭოში მიღებული ახალი სახელმწიფოებისთვის ერთ-ერთი პირობაა სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმის გამოცხადება და მე-6 ოქმის ხელმოწერა და რატიფიცირება ერთიდან სამ წლამდე ვადაში.

2002 წელს მიიღეს კონვენციის მე-13 ოქმი, რომელიც ეხება სიკვდილით დასჯას ყველა გარემოებაში. იგი ძალაში შევიდა 2003 წლის 1 ივლისს.

ევროპის კავშირში ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიამი გამეორებულია, რომ არავის არ შეიძლება შეეფარდოს სიკვდილით დასჯა. მე-2 მუხლი აცხადებს:

1. ‘ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება;
2. არავის შეიძლება შეეფარდოს სიკვდილით დასჯა, ან არავინ არ შეიძლება სიკვდილით დაისაჯოს’.

## აფრიკა

ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით მხოლოდ ზოგად დებულებებს შეიცავს. მასში სიკვდილით დასჯა კონკრეტულად ნახსენები არ არის. მე-4 მუხლი აცხადებს:

‘ადამიანი ხელშეუხებელია. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, პატივი სცენ მის სიცოცხლეს და მისი პიროვნების ხელშეუხებლობას. არავის არ შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე’.

თუმცა 1990 წლის აფრიკულ ქარტიაში ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ მე-5 მუხლით მკაცრად არის აკრძალული სასიკვდილო განაჩენის შეფარდება დანაშაულისთვის, რომელიც ბავშვის მიერ არის ჩადენილი:

1. ‘ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის განუყოფელი უფლება. ეს უფლება დაცულია კანონით.
2. ამ ქარტიის მონაწილე სახელმწიფოები, თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმალურ ფარგლებში, უზრუნველყოფენ ბავშვის გადარჩენას, დაცვას და განვითარებას.
3. დაუშვებელია სასიკვდილო განაჩენის შეფარდება ბავშვის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის’.

## არაბული სამყარო

სიცოცხლის უფლებას მოიცავს კაიროს დეკლარაცია ისლამში ადამიანის უფლებათა შესახებ. ამ დოკუმენტის მე-2 მუხლის “ა” ქვეპუნქტი აცხადებს:

‘სიცოცხლე უფლის მიერ ნაწყალობევი საჩუქარია და სიცოცხლის უფლება უზრუნველყოფილია ყოველი ადამიანისთვის. პირთა, საზოგადოებათა და სახელმწიფოთა მოვალეობაა, ეს უფლება დაიცვან ნებისმიერი ხელყოფისაგან, და აკრძალულია სიცოცხლის წართმევა, გარდა შარიათით დადგენილი მიზეზებისა’.

მეორე მხრივ, ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკულ ქარტიაში უფრო მეტი დებულებები გვხვდება სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით, ასევე სიკვდილით დასჯის შესახებ. სიცოცხლის უფლება მე-5 მუხლითაა დადგენილი:

‘ყველა ინდივიდს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება. ეს უფლებები დაცული უნდა იყოს კანონით’.

შემდეგ, მე-10 მუხლში, განხილულია სიკვდილით დასჯა:

‘სიკვდილით დასჯის განაჩენის შეფარდება შეიძლება მხოლოდ ყველაზე სერიოზული დანაშაულის შემთხვევაში და ნებისმიერ სიკვდილმისჯილს უფლება აქვს მოითხოვოს შეწყალება ან სასჯელის შეცვლა’.

მე-11 მუხლი კრძალავს სიკვდილით დასჯას პოლიტიკური დანაშაულისთვის:

‘ნებისმიერ გარემოებაში დაუშვებელია სიკვდილით დასჯის შეფარდება პოლიტიკური დანაშაულისთვის’.

და ბოლოს, მე-12 მუხლი კრძალავს სიკვდილით დასჯის შეფარდებას ბავშვებისა და ორსული ქალებისათვის:

‘დაუშვებელია სიკვდილით დასჯის შეფარდება 18 წლამდე ასაკის პირისთვის, ან ორსული ქალისთვის ბავშვის გაჩენამდე, ან მეძუძური დედისთვის მის მიერ ბავშვის გაჩენიდან ორი წლის განმავლობაში’.

## ამერიკის კონტინენტები

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-4 მუხლი სიცოცხლის უფლებას იცავს. ამ მუხლის პირველი პუნქტი აცხადებს:

‘ყოველ ადამიანს აქვს უფლება, პატივს სცემდნენ მის სიცოცხლეს. ეს უფლება დაცული უნდა იქნეს კანონით, ხოლო ზოგადად, - ჩასახვის მომენტიდან. არავის არ შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე’.

მე-4 მუხლში სიკვდილით დასჯის გამოყენების შემდეგი შეზღუდვებია მოცემული:

2. ‘ქვეყნებში, სადაც არ არის გაუქმებული სიკვდილით დასჯა, სასიკვდილო განაჩენი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულისათვის, კომპეტენტური სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის თანახმად და ასეთი სასჯელის დამდგენი კანონის შესაბამისად, რომელიც დანაშაულის ჩადენამდეა შესული ძალაში. ასეთი სასჯელის გამოყენება არ ვრცელდება დანაშაულებზე, რომლებსაც იგი დღეისათვის არ ეხება.
3. არ შეიძლება სიკვდილით დასჯის აღდგენა იმ ქვეყნებში, სადაც იგი გაუქმებულია.
4. დაუშვებელია სიკვდილით დასჯის გამოყენება პოლიტიკური დანაშაულისთვის ან ჩვეულებრივი დანაშაულისთვის.
5. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება შეეფარდოს პირებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის არიან თვრამეტ წლამდე ან 70 წლის ზემოთ; ასევე დაუშვებელია ორსული ქალების მიმართ სიკვდილით დასჯის გამოყენება.
6. ყოველ სიკვდილმისჯილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ამნისტია, შეწყალება ან სასჯელის შეცვლა, რომელიც მას შეიძლება ებოძოს ყველა შემთხვევაში. სიკვდილით დასჯის განაჩენის შეფარდება დაუშვებელია მანამ, სანამ კომპეტენტური ორგანო ამგვარ მოთხოვნაზე გადაწყვეტილებას არ მიიღებს’.

1990 წელს მიიღეს და ხელმოსაწერად გაიხსნა ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის ოქმი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. ოქმის პრეამბულაში აღწერილია თუ რატომ უნდა გაუქმდეს სიკვდილით დასჯა:

‘მიიჩნევენ რა:

რომ ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-4 მუხლი აღიარებს სიცოცხლის უფლებას და ზღუდავს სიკვდილით დასჯის გამოყენებას;

რომ ყველას აქვს განუყოფელი უფლება, პატივი სცენ მის სიცოცხლეს, უფლება, რომელიც არ შეიძლება შეწყდეს რაიმე მიზეზით;

რომ ამერიკის კონტინენტის ქვეყნებს შორის არსებული ტენდენცია მხარს უჭერს სიკვდილით დასჯის გაუქმებას;

რომ სიკვდილით დასჯის გამოყენებას შეუცვლელი შედეგები მოსდევს, გამორიცხავს სასამართლოს შეცდომის გამოსწორებას და ხელს უშლის ასეთ მსჯავრდებულთა სასჯელის შეცვლის ან რეაბილიტაციის რაიმე შესაძლებლობას;

რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება ხელს უწყობს სიცოცხლის უფლების უკეთ დაცვის უზრუნველყოფას (...)

ამის შემდეგ ოქმის 1-ლი მუხლი აცხადებს:

‘ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიებზე არ იყენებენ სიკვდილით დასჯას მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი არც ერთი პირის მიმართ’.

თუმცა მე-2 მუხლი ტოვებს გარკვეულ ადგილს ოქმზე დათქმებისთვის სამხედრო ხასიათის მქონე განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულებისთვის:

‘ამ ოქმზე დათქმები დაუშვებელია. თუმცა, რატიფიკაციისა და მიერთების დროს, ამ დოკუმენტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ განაცხადონ, რომ ისინი იტოვებენ უფლებას, სიკვდილით დასჯა გამოიყენონ ომის დროს, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სამხედრო ხასიათის მქონე განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულებისათვის’.

## რბილი საერთაშორისო სამართალი

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დონე

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 1982 წლის №6 ზოგად კომენტარში ეს დებულებები შემდეგნაირადაა განმარტებული:

1. ‘პაქტის მე-6 მუხლში გამოცხადებული სიცოცხლის უფლება ყველა სახელმწიფოს მოხსენებაშია განხილული. ეს არის უზენაესი უფლება, რომლისგან გადახვევაც დაუშვებელია საგანგებო მდგომარეობის დროსაც, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს (მუხლი 4). თუმცა კომიტეტმა შენიშნა, რომ საკმაოდ ხშირად მე-6 მუხლთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაცია ამ უფლების მხოლოდ ამა თუ იმ ასპექტით შემოიფარგლება. ეს არის უფლება, რომელიც ვინაობა არ უნდა იქნეს განმარტებული. (...)

3. სიცოცხლის თვითნებური ხელყოფისაგან დაცვა, რომელიც მკაფიოდ არის მოთხოვნილი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მესამე წინადადებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კომიტეტი მიიჩნევს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა სისხლის სამართლის აქტების მეშვეობით ზომები უნდა მიიღონ არა მხოლოდ სიცოცხლის წართმევის პრევენციისა და სათანადო დასჯისათვის, არამედ ასევე უნდა აღკვეთონ თვითნებური მკვლევლობები საკუთარი უსაფრთხოების ძალების მიერ. სახელმწიფო ორგანოების მიერ სიცოცხლის წართმევა უდიდესი სიმძიმის მქონე საკითხია. აქედან გამომდინარე, კანონი მკაცრად უნდა აკონტროლებდეს და ზღუდავდეს გარემოებებს, რომელთა დროსაც პირს შეიძლება სიცოცხლე წაერთვას ასეთი ორგანოების მიერ.
4. მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე კონკრეტული და ეფექტიანი ღონისძიებები უნდა განახორციელონ ინდივიდუალურ პირთა გაუჩინარების აღსაკვეთად. ასეთი შემთხვევები სამწუხაროდ ძალზე გახშირდა, რაც ხშირად სიცოცხლის თვითნებურ წართმევას იწვევს. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ეფექტიანი საშუალებები და პროცედურები პირთა დაკარგვისა და გაუჩინარების საგულდაგულო გამოძიებისათვის ისეთ გარემოებებში, რომლებსაც შესაძლოა თან სდევდეს სიცოცხლის უფლების დარღვევა’.

მე-6 და მე-7 პუნქტებში ადამიანის უფლებათა კომიტეტი კომენტარს აკეთებს იმ დებულებებზე, რომლებიც სიკვდილით დასჯას ეხება, და მკაცრ რეკომენდაციას იძლევა სიკვდილის დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით:

6. ‘მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის მე-2–მე-6 პუნქტები მონაწილე სახელმწიფოებს არ ავალდებულებს, სრულად გააუქმონ სიკვდილით დასჯა, ისინი ვალდებული არიან შეამცირონ მისი გამოყენება, კერძოდ, გააუქმონ სიკვდილით დასჯა ყველა სახის დანაშაულზე, გარდა “ყველაზე სერიოზული დანაშაულებისა”. შესაბამისად, ისინი ვალდებული არიან ამ ფონზე გადახედონ თავიანთ სისხლის სამართლის კანონებს და ყველა შემთხვევაში ვალდებული არიან სიკვდილით დასჯა შეზღუდონ “მხოლოდ ყველაზე სერიოზული დანაშაულებით”. ეს მუხლი ასევე ზოგადად მიუთითებს გაუქმებაზე ისეთი ტერმინებით, რომლებიც მტკიცე რეკომენდაციას იძლევა (პუნქტები 2 და 6), რომ გაუქმება სასურველია. კომიტეტი ასკვნის, რომ გაუქმების მიზნით მიღებული ყველა ზომა განხილულ უნდა იქნეს, როგორც სიცოცხლის უფლებით სარგებლობის სფეროში მიღწეული პროგრესი მე-40 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში და, შესაბამისად, ამის შესახებ კომიტეტს უნდა მოხსენდეს. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ბევრმა სახელმწიფომ უკვე გააუქმა სიკვდილით დასჯა ან შეაჩერა მისი გამოყენება. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი მოხსენებები უჩვენებს, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმების ან მისი გამოყენების შეზღუდვის თვალსაზრისით მიღწეული პროგრესი საკმაოდ არაადეკვატურია.
7. კომიტეტს მიაჩნია, რომ გამოთქმა — “ყველაზე სერიოზული დანაშაულები” — წაკითხულ უნდა იქნეს ისეთი მკაცრი მნიშვნელო-

ბით, რომ სიკვდილით დასჯა იყოს საკმაოდ გამონაკლისი ზომა. მე-6 მუხლის მკაფიო დებულებებიდან ასევე გამომდინარეობს, რომ მისი შეფარდება დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, რომელიც ძალაშია დანაშაულის ჩადენის მომენტში, და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონვენციას. დაცული უნდა იქნეს მასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები, დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი განხილვის უფლების, უდანაშაულობის პრეზუმფციის, დაცვის მინიმალური გარანტიებისა და უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოში განხილვის უფლების ჩათვლით. ეს უფლებები გამოიყენება იმ კონკრეტულ უფლებასთან ერთად, რომელიც შეწყალების ან სასჯელის შეცვლის საშუალებას იძლევა’.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის (რომელიც მოიცავს წამების და სხვა არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვას) 1992 წლის №20 ზოგად კომენტარში ადამიანის უფლებათა კომიტეტი ასევე კომენტარს უკეთებს სიკვდილით დასჯას, სადაც დასძენს:

6. (...) ‘გარდა ამისა, როდესაც მონაწილე სახელმწიფო სიკვდილით დასჯას იყენებს ყველაზე სერიოზული დანაშაულებისთვის, იგი არა მხოლოდ მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული მე-6 მუხლის შესაბამისად, არამედ ეს ასევე უნდა განხორციელდეს ისეთი გზით, რომელიც ყველაზე მინიმალურ ფიზიკურ და გონებრივ ტანჯვას იწვევს’.

გაეროს 1984 წლის “სიკვდილმისჯილთა უფლებების დაცვის მექანიზმები” ზღუდავს სიკვდილით დასჯის გამოყენებას და, იმავდროულად დამატებით უფლებებს ადგენს სიკვდილმისჯილებისათვის. ეს დოკუმენტი აცხადებს:

1. ‘ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებული არ არის, სიკვდილის განაჩენი შეიძლება შეფარდებულ იქნეს მხოლოდ ყველაზე სერიოზული დანაშაულებისთვის; ეს გაგებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მისი ფარგლები არ გასცდეს საერთაშორისო დანაშაულებს, რომლებიც სიკვდილით ან სხვა, განსაკუთრებით მძიმე შედეგებით მთავრდება.
2. სასიკვდილო განაჩენი შეიძლება პირს შეეფარდოს მხოლოდ იმ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც სიკვდილით დასჯა კანონითაა დადგენილი დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის. ეს იმგვარად უნდა იქნეს გაგებული, რომ თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ კანონს შემოაქვს დებულება უფრო მსუბუქი სასჯელის შესახებ, დამნაშავემ უნდა ისარგებლოს ამ დებულებით.
3. სიკვდილის განაჩენი არ გამოიტანება პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა 18 წლის ასაკამდე, და არ შეიძლება აღსრულებული იქნეს ორსული ქალის მიმართ, ან ახალშობილი ბავშვის დედის, ან იმ პირის მიმართ, რომელიც შეურაცხი გახდა.
4. სიკვდილით დასჯა შეიძლება პირს შეეფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ბრალეულობა დაფუძნებულია ცხად და და-

მაჯერებელ მტკიცებულებაზე, რომელიც ფაქტების ალტერნატიული ახსნის შესაძლებლობას არ ტოვებს.

5. სიკვდილით დასჯა შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ კომპეტენტური სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო განაჩენის შესაბამისად, სასამართლო პროცესის შემდეგ, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის ყველა შესაძლო დამცავ მექანიზმს, სულ მცირე, იმ მოთხოვნების ეკვივალენტურს, რომლებსაც შეიცავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი, იმ უფლების ჩათვლით, რომელიც ისეთ დანაშაულში ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ პირს, რომელიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს, სამართალწარმოების ნებისმიერ საფეხურზე ადეკვატური იურიდიული დახმარების უფლებას ანიჭებს.
6. ყოველ სიკვდილმისჯილს უფლება აქვს მიმართოს უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოს და მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რომ ასეთი მიმართვა სავალდებულო გახდეს.
7. ყოველ სიკვდილმისჯილს უფლება აქვს ითხოვოს შეწყალება ან განაჩენის შემსუბუქება; შეწყალება ან სიკვდილის განაჩენის შემსუბუქება შეიძლება ბოძებული იქნეს სიკვდილით დასჯის განაჩენის ყველა შემთხვევაში.
8. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება აღსრულდეს ნებისმიერი გასაჩივრების ან თხოვნის პროცედურის დასრულებამდე, რომელიც დაკავშირებულია შეწყალებასთან ან სასჯელის შეცვლასთან.
9. სიკვდილით დასჯის განაჩენის აღსრულება იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ მან მინიმალური შესაძლო ტანჯვა გამოიწვიოს’.

1992 წლის გაეროს დეკლარაცია ყველა პირის იძულებით გაუჩინარებისაგან დაცვის შესახებ შეიცავს დებულებებს, რომლებიც აცხადებს, რომ იძულებით გაუჩინარება საფრთხეს უქმნის სიცოცხლის უფლებას. 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

‘იძულებით გაუჩინარების ნებისმიერი ქმედების შედეგად პირი აღმოჩნდება მდგომარეობაში, რომლის დროსაც იგი კანონით აღარ არის დაცული და რომელიც სასტიკ ტანჯვას აყენებს მას და მის ოჯახს. იგი არის საერთაშორისო სამართლის პროცედურების დარღვევა, რომლებიც, *ინტერ ალია*, უზრუნველყოფს პირის უფლებას აღიარებულ იქნეს კანონის წინაშე, თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლებას და უფლებას, არ დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. იგი ასევე არღვევს ან მძიმე საფრთხეს უქმნის სიცოცხლის უფლებას’.

ამის შემდეგ, მე-2 მუხლი სახელმწიფოს უბრალოდ უკრძალავს, დაუშვას იძულებით გაუჩინარება:

1. ‘არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია დაუშვას ან შეეგუოს იძულებით გაუჩინარებას.



2. სახელმწიფოები მოქმედებენ ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, რათა ყველა საშუალებით წვლილი შეიტანონ იძულებით გაუჩინარების აღკვეთასა და აღმოფხვრაში.

## ევროპული პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მრავალჯერ მოუხდა საკითხის განხილვა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დებულებებთან დაკავშირებით. მე-2 მუხლის დებულებები განსაკუთრებით იმ საქმეებზე გამოიყენება, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებთან. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო მოხელეთა მიერ ძალის გამოყენება უნდა იყოს აბსოლუტური აუცილებლობა, მაგრამ, ამასთანავე, სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ დაგეგმილი ოპერაციები მთლიანობაში უნდა ითვალისწინებდეს ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნას. *მაკკეინის* საქმეზე (1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება) სასამართლომ მე-200 პუნქტში მიუთითა:

‘მას (სასამართლოს) მიაჩნია, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ ძალის გამოყენება, კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული რომელიმე მიზნის შესაბამისად, შეიძლება გამართლებულ იქნეს ამ დებულების საფუძველზე, სადაც იგი დაფუძნებულია პატიოსან რწმენაზე, რომ ქმედება იმ დროისათვის, გამამართლებელი მიზეზებით, მიჩნეულ იქნა კანონიერად, მაგრამ შემდეგ იგი მცდარი აღმოჩნდა. სხვაგვარი მიდგომა იქნებოდა სახელმწიფოსთვის და მისი სამართალდამცავი მუშაკებისთვის არარეალური ტვირთის დაკისრება მათ მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, შესაძლოა მათი ან სხვათა სიცოცხლის საზიანოდ’.

ამის შემდეგ, 201-ე პუნქტში სასამართლო განაგრძობს:

‘თუმცა წარმოიშობა კითხვა, იყო კი ანტიტერორისტული ოპერაცია მთლიანობაში იმგვარად გაკონტროლებული და ორგანიზებული, რომ იგი პატივს სცემდა მე-2 მუხლის მოთხოვნას, და იყო კი ჯეროვნად გათვალისწინებული სამი ეჭვმიტანილის სიცოცხლის უფლება იმ ინფორმაციითა და ინსტრუქციებით, რომლებიც ჯარისკაცებს მისცეს და რომელთა საფუძველზედაც მათ გარდაუვლად მიიჩნიეს სასიკვდილო ძალის გამოყენება’.

გარდა ამისა, სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოებით შემუშავდა “პოზიტიური ვალდებულების” დოქტრინა. სასამართლოს შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულება მე-2 მუხლის საფუძველზე, რომელიც სიცოცხლის უფლების დაცვას მოითხოვს, ნაკითხულ უნდა იქნეს მის ზოგად ვალდებულებასთან კავშირში, რომელიც კონვენციის 1-ლ მუხლშია ჩამოყალიბებული, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კონვენციით განსაზღვრული უფლებები. გარკვეული გარემოებების დროს შესაძლებელია მოსალოდნელი იყოს, რომ ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფო განახორციელებს პოზიტიურ ქმედებას მოქალაქის დაცვის მიზნით. სისხლის

სამართლის კანონმდებლობის ეფექტიანი დებულებების არსებობა შეიძლება ამ მოქმედების ნაწილი გახდეს. სასამართლომ ამ “პოზიტიური ვალდებულებების” შესახებ განცხადება გააკეთა *ოსმანის საქმეზე* (1998 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება). ამ გადაწყვეტილების 115-ე და 116-ე პუნქტებში ნათქვამია:

‘სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის პირველი წინადადება სახელმწიფოს ავალებს, არა მხოლოდ თავი შეიკავოს სიცოცხლის განზრახ ან უკანონო ხელყოფისაგან, არამედ ასევე სათანადო ზომები მიიღოს მის იურისდიქციაში მყოფ პირთა სიცოცხლის დასაცავად (...). საზოგადოებად მიჩნეულია, რომ ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს ვალდებულება სცდება მის პირველად მოვალეობას, უზრუნველყოს სიცოცხლის უფლება პრაქტიკაში ეფექტიანი სისხლის სამართლის კანონმდებლობის დებულებების არსებობით, რომლებიც ემსახურება პირის მიმართ დანაშაულის ჩადენის შეკავებას, რომელსაც ზურგს უმაგრებს სამართალდამცავი სისტემა, რომელიც მოწოდებულია აღკვეთოს, შეზღუდოს და სამართლებრივი ზომები მიიღოს ასეთი დებულებების დარღვევისთვის. ამრიგად, მათთვის, ვინც სასამართლოს წინაშე წარდგება, მისაღებია, რომ კონვენციის მე-2 მუხლი ასევე ითვალისწინებს გარკვეულ, კარგად განსაზღვრულ გარემოებებს, რომელთა დროსაც ხელისუფლებას ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, პრევენციული ოპერატიული ზომები მიიღოს იმ პირის დასაცავად, რომლის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება სხვა პირის დანაშაულებრივი ქმედების გამო. ამ ვალდებულების ფარგლები დავის საგანია მხარეებს შორის.

სასამართლოსთვის და თანამედროვე საზოგადოებებში იმ სირთულეების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია საპოლიციო სამსახურთან, ადამიანის ქცევის პროგნოზირებასთან და ოპერატიული მოქმედების არჩევანთან, რომელიც პრიორიტეტებისა და რესურსების შესაბამისად უნდა განხორციელდეს — ასეთი ვალდებულება უნდა განიმარტოს ისეთი სახით, რომელიც ხელისუფლებას შეუძლებელ და არაპროპორციულ ტვირთს არ აკისრებს. შესაბამისად, სიცოცხლისადმი რისკთან დაკავშირებული ყველა სარჩელი არ შეიძლება ხელისუფლებისაგან მოითხოვდეს კონვენციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას — მიიღოს ოპერატიული ზომები ასეთი რისკის მატერიალიზების თავიდან ასაცილებლად. კიდევ ერთი რელევანტური მოსაზრებაა ის, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს პოლიციის მიერ თავისი უფლებამოსილებების განხორციელება დანაშაულის კონტროლისა და პრევენციის კუთხით, ისეთი გზით, რომლებიც სრულად იცავს სავალდებულო პროცესს და სხვა გარანტიებს, რომელიც კანონიერად აწესებს მათი მოქმედების ფარგლების შეზღუდვას დანაშაულის გამოძიების და დამნაშავის მართლმსაჯულებისადმი წარდგენის პროცესში, კონვენციის მე-5 და მე-8 მუხლებით განსაზღვრული გარანტიების ჩათვლით (მუხლი 5: თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება; მუხლი 8: პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება).

სასამართლოს აზრით, როდესაც არის განცხადება, რომ ხელისუფლებამ დაარღვია პოზიტიური ვალდებულება სიცოცხლის უფლების დაცვასთან მიმართებით მისი ზემოაღნიშნული ვალდებულების კონტექსტში, ანუ აღეკვეთა და არ დაემვა დანაშაული პირის მიმართ (იხ. ზემოთ, პუნქტი 115), მისი დაკმაყოფილებისათვის უნდა დადგინდეს, რომ ხელისუფლებამ

იმ დროისათვის იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ დადგენილი პირის ან პირების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა მესამე მხარის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისაგან და რომ მან არ მიიღო ზომები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც, გონივრული შეფასებით, სავარაუდოდ, თავიდან ააცილებდა ასეთ რისკს (...)'.

კილიჩის საქმეზე (2000 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება) სასამართლომ დაამატა, რომ სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, განახორციელოს პირის დალუპვასთან დაკავშირებული გარემოებების ეფექტიანი გამოძიება. ამ საქმის 78-ე პუნქტში სასამართლო აცხადებს:

‘სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, კონვენციის 1-ლი მუხლით დაკისრებულ ზოგად ვალდებულებასთან – ”თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციით განსაზღვრულ უფლებებს და თავისუფლებებს” – ერთად ნაკითხვით, მოითხოვს, რომ როდესაც პირი ძალის გამოყენების შედეგად იღუპება, უნდა არსებობდეს ოფიციალური გამოძიების ეფექტიანი ფორმა (...)'.

გარდა ამისა, კელის საქმეზე (2001 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება) სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის დალუპვასთან დაკავშირებული გარემოებების გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი და სწრაფი. სასამართლომ დაადგინა:

‘სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ პირის სავარაუდოდ უკანონო მოკვდინების გამოძიების ეფექტიანობის მიზნით ზოგადად შესაძლოა საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გამოძიებისთვის და აწარმოებენ გამოძიებას, დამოუკიდებელი იყვნენ იმ პირებისაგან, რომლებიც მოცემულ შემთხვევასთან არიან დაკავშირებული (...). ეს ნიშნავს, რომ არა მხოლოდ იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირი არ უნდა არსებობდეს, არამედ ასევე სახეზე უნდა იყოს პრაქტიკული დამოუკიდებლობა (იხ., მაგალითად, *ერგი თურქეთის წინააღმდეგ* (1998 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1998-IV, §§83-84), სადაც საჯარო პროკურორმა, რომელიც სავარაუდოდ დაპირისპირების დროს გოგონას დალუპვის საქმეს იძიებდა, სათანადო დამოუკიდებლობა ვერ გამოავლინა და ძირითადად დაეყრდნო ინფორმაციას, რომელიც მას ინციდენტის მონაწილე ჟანდარმებმა მიაწოდეს).

გამოძიება ასევე უნდა იყოს ეფექტიანი იმ თვალსაზრისით, რომ მან შეძლოს განსაზღვროს, რამდენად გამართლებული იყო ძალის გამოყენება მოცემულ გარემოებაში (მაგ., *კაია თურქეთის წინააღმდეგ*, ციტ. ზემოთ, გვ. 324, §87), და დაადგინოს და დასაჯოს პასუხისმგებელი პირები. ეს არის არა შედეგის, არამედ საშუალებების ვალდებულება. ხელისუფლებას უნდა მიეღოს მის ხელთ არსებული გონივრული ზომები, რათა უზრუნველყო ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებები, თვითმხილველების ჩვენების, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის და, შესაძლებლობის შემთხვევაში, გვამის გაკვეთის ჩათვლით, რომელიც იძლევა დაზიანების სრულყოფილ და ზუსტ მონაცემებს და კლინიკური დასკვნების ობიექტურ ანალიზს, მათ შორის, სიკვდილის დადგომის მიზეზს (გვამის გაკვეთასთან დაკავშირებით იხ., მაგ., სალმანი თურქეთის წინააღმდეგ, ციტ. ზემოთ, §106; მოწმეებ-

თან დაკავშირებით იხ., მაგ., *ტანრიკულუ თურქეთის წინააღმდეგ* [ჩჩ], ნო. 23763/94, Eჩლ 199-IV, § 109; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასთან დაკავშირებით იხ. მაგ., *გული თურქეთის წინააღმდეგ*, 22676/93, [შეცტიონ 4], §89). გამოძიების ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც მას საშუალებას არ აძლევს, დაადგინოს დალუპვის მიზეზი ან პასუხისმგებელი პირი, რისკის ქვეშ აყენებს ამ ნორმის არსს.

ამ კონტექსტში იგულისხმება დაუყოვნებელი და გონივრულად სწრაფი გამოძიების მოთხოვნა (იხ. 1998 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *იასა თურქეთის წინააღმდეგ*, Reports 1998-IV, გვ. 2439-2440, §§102-104; *ჯაკიჯი თურქეთის წინააღმდეგ*, ციტ. ზემოთ, §§80, 87 და 106; *ტანრიკულუ თურქეთის წინააღმდეგ*, ციტ. ზემოთ, §109; *მაჰმუტ კაია თურქეთის წინააღმდეგ*, no. 22535/93, [Section I] ECHR 2000-III, §§106-107). აღიარებულ უნდა იქნეს, რომ შესაძლოა არსებობდეს დაბრკოლებები და სირთულეები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში ხელს უშლის გამოძიების წარმართვას. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენების ფაქტის გამოძიებაზე დაუყოვნებელი რეაგირება ზოგადად აღქმული უნდა იქნეს, როგორც ძირითადი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების რწმენას, რომ ხელისუფლება ერთგულია კანონის უზენაესობის და რომ იგი მონადინებულია აღკვეთოს ნებისმიერი არამართლზომიერი ქმედების გამოვლენა ან მასთან შეგუება.

ამავე მიზნით უნდა არსებობდეს გამოძიების ან მისი შედეგების საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი ელემენტი, რათა ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილ იქნეს როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ დონეზე. მოთხოვნილი საზოგადოებრივი კონტროლის ხარისხი სხვადასხვა საქმეზე შეიძლება სხვადასხვა იყოს. თუმცა ყველა შემთხვევაში, პროცესში უნდა ჩაერთოს მსხვერპლის ახლო ნათესავი, იმ ფარგლებში, რამდენიც აუცილებელია მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად (იხ. *გულერი თურქეთის წინააღმდეგ*, ციტ. ზემოთ, გვ. 1733, §82, სადაც მსხვერპლის მამას არ აცნობეს გადაწყვეტილების შესახებ, რომ არ დაინებოდა სისხლის-სამართლებრივი დევნა; *ოგური თურქეთის წინააღმდეგ*, ციტ. ზემოთ, §92, სადაც მსხვერპლის ოჯახს ხელი არ მიუწვდებოდა გამოძიებაზე და სასამართლოს დოკუმენტებზე; გადაწყვეტილება საქმეზე *გული თურქეთის წინააღმდეგ*, ციტ. ზემოთ, §93)'.

პროკურორისთვის ეს ნიშნავს, რომ იმის მიხედვით, თუ როგორ არის ფორმულირებული ეროვნულ დონეზე მისი პასუხისმგებლობა საგამოძიებო პროცესში, ზოგჯერ მას მოუწევს დამოუკიდებლად იმოქმედოს, როგორც “ხელისუფლებამ”, რათა განახორციელოს სრულყოფილი დამოუკიდებელი გამოძიება. ეს უნდა იყოს არა მხოლოდ იმის გამოძიება, ერთ კონკრეტულ საქმეში სახელმწიფო მოხელეებმა თავი შეიკავეს თუ არა განზრახი და არამართლზომიერი მკვლელობისაგან, ან ხელისუფლებამ სათანადოდ შეასრულა თუ არა თავისი პოზიტიური ვალდებულება, არამედ აგრეთვე უფრო ზოგადი, რომელიც მოიცავს დალუპვასთან დაკავშირებული გარემოებების დეტალურ გამოძიებას.

რაც შეეხება სიკვდილით დასჯას, ევროპული სასამართლოს განმცხადებლები წარსულში ამაოდ ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ სასიკვდილო განაჩენ-

ნის შეფარდება არის წამება და ღირსების შემლახველი მოპყრობა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით. ეს არგუმენტი განსაკუთრებით გამოიყენება საქმეებში, სადაც პირს ემუქრება ექსტრადიცია ისეთ ქვეყანაში, სადაც მას სიკვდილით დასჯა მოელის. *სოერინგის საქმეზე (1989 წლის 7 ივლისი), 103-ე პუნქტში, სასამართლო აღნიშნავს:*

‘კონვენცია წაკითხულ უნდა იქნეს მთლიანობაში და, აქედან გამომდინარე, მე-3 მუხლი მე-2 მუხლის დებულებებთან ჰარმონიულად უნდა იქნეს განმარტებული (...). ამის საფუძველზე, კონვენციის ავტორების მიერ ვერ იქნებოდა გათვალისწინებული მე-3 მუხლს მოეცვა სიკვდილით დასჯის ზოგადი აკრძალვა, რადგან იგი გააბათილებდა მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მკაფიო ფორმულირებას.

ეროვნული სისხლის სამართლის პოლიტიკის შემდგომი პრაქტიკა, სიკვდილით დასჯის განზოგადებული გაუქმების ფორმით, შეიძლება ნავარაუდევია იქნეს როგორც ხელშემკვრელი მხარეების შეთანხმება, გააუქმონ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი და, აქედან გამომდინარე, ამოიღონ მე-3 მუხლის ევოლუციური განმარტების ფარგლების ტექსტური შეზღუდვა. თუმცა მე-6 ოქმი – როგორც შემდგომი წერილობითი შეთანხმება – უჩვენებს, რომ ხელშემკვრელ მხარეებს განზრახული ჰქონდათ 1983 წელს მიეღოთ ტექსტის შესწორების ნორმალური მეთოდი, რათა შემოეღოთ მშვიდობიან დროს სიკვდილით დასჯის გაუქმების ახალი ვალდებულება და, რაც კიდევ უფრო საგულისხმოა, ეს გაეკეთებინათ ფაკულტატიური დოკუმენტით, რომელიც თითოეულ სახელმწიფოს საშუალებას აძლევს შეარჩიოს მომენტი ასეთი სქემის განსახორციელებლად. ამ პირობებში, კონვენციის განსაკუთრებული ბუნების მიუხედავად, მე-3 მუხლი არ შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც სიკვდილით დასჯის ზოგადად ამკრძალავი დებულება’.

თუმცა იმავე საქმეზე სასამართლომ ცარიელი დატოვა ადგილი გარემოებებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია სიკვდილით დასჯის საკითხის წამოჭრასთან მე-3 მუხლის საფუძველზე. ეგრეთ წოდებული “სიკვდილმისჯილთა საკნის ფენომენის” გათვალისწინებით, 104-ე პუნქტში სასამართლომ დაადგინა:

‘თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სიკვდილით დასჯის განაჩენთან დაკავშირებული გარემოებები არასდროს წარმოშობს საკითხს მე-3 მუხლის საფუძველზე. ის ფორმა, რომლითაც ხდება ამ განაჩენის შეფარდება და აღსრულება, სიკვდილმისჯილი ადამიანის პირადი გარემოებები და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის დისპროპორციულობა, ასევე განაჩენის აღსრულებამდე მოლოდინისას პატიმრობის პირობები იმ ფაქტორთა მაგალითია, რომლებსაც შეუძლია სიკვდილმისჯილის მიმართ მოპყრობა ან დასჯა მოაქციოს მე-3 მუხლის ფარგლებში. სიკვდილით დასჯისადმი ხელშემკვრელი მხარეების დღევანდელი დამოკიდებულება შეესაბამება შეფასებას – ხომ არ არის ტანჯვის და დეგრადაციის დასაშვები ზღურბლი ამაღლებული’.

ოჯალანის საქმეზე (2003 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება) ევროპულმა სასამართლომ ამ საკითხზე აღნიშნა შემდეგი:

‘სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ კონვენცია წაკითხულ უნდა იქნეს მთლიანობაში. აქედან გამომდინარე, მე-3 მუხლი მე-2 მუხლის დებულებებთან ჰარმონიულად უნდა იქნეს განმარტებული. თუ მე-2 მუხლი იმგვარად უნდა წავიკითხოთ, რომ იგი სიკვდილით დასჯის უფლებას იძლევა, ევროპაში სიკვდილით დასჯის თითქმის საყოველთაო გაუქმების მიუხედავად, მე-3 მუხლი არ შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც ევროპაში სიკვდილით დასჯის ამკრძალავი დებულება, რამეთუ იგი გააბათილებდა მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მკაფიო ფორმულირებას (იხ. *სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1989 წლის 7 ივლისი, შერიეს A ნო. 161, გვ. 40, §103).

შესაბამისად, სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა განიხილოს განმცხადებლის მოსაზრება, რომ ამ სფეროში ხელშემკვრელი სახელმწიფოების პრაქტიკა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შეთანხმება, გააუქმონ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისი, რომელიც მკაფიოდ იძლევა სიკვდილით დასჯის განაჩენის შეფარდების შესაძლებლობას გარკვეული პირობების დროს.

სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ იგი მზრუნველობით უნდა მოეპყროს კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებების ხელშეკრულების, განსაკუთრებულ ბუნებას და რომ კონვენციის განმარტება არ შეიძლება ვაკუუმში. მისი განმარტება უნდა მოხდეს მაქსიმალური ჰარმონიზებით საჯარო საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებთან, რომელთა ნაწილიცაა იგი (იხ. *mutatis mutandis*, ალ-ადსანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [GC], no. 35763/97, § 55, ECHR 2001-XI; და *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ*, 1996 წლის 18 დეკემბერი, Reports 1996-VI, გვ. 2231, §§43). თუმცა მან უპირატესი ყურადღება უნდა მიაპყროს კონვენციის იმ დებულებების განმარტების და გამოყენების საკითხს, რომლებიც მოცემული საქმიდან წარმოიშობა.

სასამართლო მიუთითებს, რომ მის გადანყვეტილებაში საქმეზე — *სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* მან დასაშვებად მიიჩნია, რომ წევრ სახელმწიფოებში დამკვიდრებულმა პრაქტიკამ შესაძლოა გამოიწვიოს კონვენციის შესწორება. ამ საქმეზე სასამართლომ დაუშვა, რომ ეროვნული სისხლის სამართლის პოლიტიკის ბოლოდროინდელი პრაქტიკა, რომელიც სიკვდილით დასჯის გაუქმებას განაზოგადებდა, შეიძლება მიჩნეულიყო დამკვიდრებად ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებისა მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისის გაუქმებაზე და, აქედან გამომდინარე, მე-3 მუხლის ევოლუციური განმარტების ფარგლების ტექსტური შეზღუდვის ამოღებაზე (იხ. ციტ. ზემოთ, §103). თუმცა აღმოჩნდა, რომ, როგორც მე-6 ოქმმა უჩვენა, სახელმწიფოებს განზრახული ჰქონდათ მიეღოთ ტექსტის შესწორების ნორმალური მეთოდი, რათა შემოეღოთ მშვიდობიან დროს სიკვდილით დასჯის გაუქმების ახალი ვალდებულება და ეს გაეკეთებინათ ფაკულტატური დოკუმენტით, რომელიც თითოეულ სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, შეარჩიოს მომენტი ასეთი სქემის განსახორციელებლად. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მე-3 მუხლი არ შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც სიკვდილით დასჯის ზოგადად ამკრძალავი დებულება (იქვე, §§103-104).

განმცხადებელი საკითხს უდგება *სოერინგის* გადანყვეტილებაზე სასამართლოს მიდგომის შესაბამისად. მისი პრინციპული მოსაზრება იყო, რომ დასაბუთება ხარვეზიანია, რადგან მე-6 ოქმი უბრალოდ ერთი საზომია, რომლითაც შეიძლება გაიზომოს სახელმწიფოთა პრაქტიკა, ხოლო ფაქტი უჩვენებს, რომ ევროპის საბჭოს ყველა წევრმა *დე ფაქტო* ან *დე იურე* მთლიანად გააუქმა სიკვდილით დასჯა ყველა სახის დანაშაულზე და ყველა გარემოებაში. იგი დავობდა, რომ, სამართლებრივი თეორიიდან გამომდინარე, არ არსებობდა მიზეზი, თუ რატომ არ შეეძლოთ სახელმწიფოებს სიკვდილით დასჯის გაუქმება როგორც მათ პრაქტიკაში მე-2 მუხლის 1-ლ პუნქტზე დაყრდნობის უფლების გაუქმებით, ისე ამ პროცესის აღიარებით მე-6 ოქმის რატიფიცირებისას.

სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ კონვენცია ცოცხალი დოკუმენტია, რომლის განმარტება დღევანდელი პირობების და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მზარდი სტანდარტების მოთხოვნების ფონზე უნდა მოხდეს და დემოკრატიული საზოგადოებების ფუნდამენტური ღირებულებების შეფასებისას იგი გარდაუვლად მოითხოვს უდიდეს სიმტკიცეს (იხ. *სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1999 წლის 28 ივლისის გადანყვეტილება, Reports 1999-V, §101).

იგი იმეორებს, რომ როდესაც ხდება შეფასება, მოცემული მოპყრობა ან დასჯა არის თუ არა არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მე-3 მუხლის მიზნებისთვის, შეუძლებელია იგი არ მოექცეს აღნიშნულ სფეროში ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სისხლის სამართლის პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებისა და ზოგადად დამკვიდრებული სტანდარტების ზეგავლენის ქვეშ (იხ. ციტ. ზემოთ, გადანყვეტილება *სოერინგის* საქმეზე, გვ. 40, §102). უფრო მეტიც, 1950 წლიდან მოყოლებული, კონვენციის მიღების შემდეგ, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის კონცეფცია მნიშვნელოვნად განვითარდა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც სასამართლომ 1989 წელს გადანყვეტილება მიიღო საქმეზე *სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.

ანალოგიურად, სასამართლო მიიჩნევს, რომ *სოერინგის* საქმეზე მიღებული გადანყვეტილების შემდეგ სიკვდილის დასჯისადმი სამართლებრივმა პოზიციამ მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვა. ამ საქმეში 1989 წელს მიითებულ ოცდაორ წევრ სახელმწიფოში არსებულ *დე ფაქტო* გაუქმებას დროთა განმავლობაში ორმოცდაოთხიდან ორმოცდასამ სახელმწიფოში *დე იურე* გაუქმება მოჰყვა, არცთუ ისე დიდი ხნის წინ — თვით მოპასუხე სახელმწიფოში, ხოლო ერთ დარჩენილ სახელმწიფოში, კერძოდ, რუსეთში, რომელსაც სიკვდილით დასჯა არ გაუუქმებია, მორატორიუმია გამოცხადებული. ევროპაში მშვიდობიან დროს სიკვდილით დასჯის ეს პრაქტიკულად სრული აღკვეთა გამოხატულია იმ ფაქტით, რომ მე-6 ოქმს ხელი მოაწერა ყველა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ, ხოლო ორმოცდაერთმა მოახდინა მისი რატიფიცირება. ოქმის რატიფიცირება არ მოუხდენიათ თურქეთს, სომხეთს და რუსეთს. იგი ასევე გამოხატულია ევროპის საბჭოს პოლიტიკაში, რომელიც მოითხოვს, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმების ვალდებულება ორგანიზაციაში ახალი სახელმწიფოების მიღების ერთ-ერთი წინაპირობაა. მოვლენათა ამგვარი განვითარების შედეგად

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა ტერიტორია სიკვდილით დასჯისაგან თავისუფალი ზონა გახდა.

ასეთი თვალსაჩინო განვითარება დღეს შეიძლება მიჩნეულ იქნეს მინიმუმად, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები გააუქმებენ ან სულ ცოტა შეცვლიან მაინც მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე წინადადებას, განსაკუთრებით – თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მე-6 ოქმს ყველა წევრმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი და იგი რატიფიცირებულია ორმოცდაერთი სახელმწიფოს მიერ. შეიძლება დაისვას კითხვა — არის კი საჭირო ლოდინი, სანამ დარჩენილი სამი სახელმწიფო მოაწერს ხელს, რათა დავასკვნათ, რომ მე-2 მუხლში განსაზღვრული გამონაკლისი სიკვდილით დასჯის შესახებ მნიშვნელოვნად მოდიფიცირებულია. ასეთ მტკიცე ფონზე შეიძლება ითქვას, რომ მშვიდობიან დროს სიკვდილით დასჯა სასჯელის არაადამიანური თუ არა, მიუღებელი ფორმა მაინც გახდა, რომელიც მე-2 მუხლის საფუძველზე ნებადართული აღარ არის.

სასამართლო, თავისი მოსაზრების გამოხატვისას, დარწმუნებულია, რომ მე-13 ოქმის ხელმოსაწერად გახსნა იმის მიმანიშნებელია, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა, სიკვდილით დასჯის გაუქმების თავიანთი პოლიტიკის განსახორციელებლად, კონვენციის ტექსტის შესწორების ტრადიციული მეთოდი აირჩიეს. თუმცა ეს ოქმი მიზნად ისახავს, აკრძალვა გაავრცელოს სიკვდილით დასჯის გაუქმებით ნებისმიერი გარემოებისას — ანუ როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დროს. ეს ბოლო ნაბიჯი სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმებამდე შეიძლება მიჩნეულ იქნეს აბოლიციონისტურ ტენდენციად, რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოების პრაქტიკით დამკვიდრდა. ეს დაბეჯითებით არ ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ მე-2 მუხლი შესწორდა, იმდენად, რამდენადაც იგი მშვიდობიან დროს სიკვდილით დასჯის ნებართვას იძლევა.

სასამართლოს აზრით, ახლა, ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების ფონზე, შეუძლებელია გამოირიცხოს, რომ სახელმწიფოები თავიანთი პრაქტიკის მეშვეობით შეთანხმდნენ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მოდიფიცირებაზე, რადგან იგი მშვიდობიან დროს სიკვდილით დასჯის განაჩენის შეფარდების უფლებას იძლევა. ამ ფონზე ასევე შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილით დასჯის განაჩენის აღსრულება შეიძლება მიჩნეულ იქნეს არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობად, რაც მე-3 მუხლს ეწინააღმდეგება. თუმცა სასამართლოსთვის აუცილებელი არ არის, რაიმე მტკიცე დასკვნა გააკეთოს ამ საკითხთან მიმართებით, რადგან ქვემოთ მოცემული მიზეზებით იგი შეიძლება შეეწინააღმდეგოს კონვენციას არასამართლიანი სასამართლო პროცესის შედეგად დამდგარი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების თვალსაზრისით, მაშინაც კი, როდესაც მე-2 მუხლი იმგვარად იქნებოდა განმარტებული, რომ იგი კვლავ დასაშვებად მიიჩნეოდა სიკვდილით დასჯას’.



## ბანმარტება და დასკვნები

ამ საერთაშორისო ტექსტებიდან ნათლად ჩანს, რომ სიცოცხლის უფლებას ადამიანის ფუნდამენტური უფლების ღირებულება მიენიჭა მთელ მსოფლიოში. ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები და ტექსტები, როგორც გაეროს, ისე რეგიონულ დონეზე, შეიცავს დებულებებს, რომლებიც სიცოცხლის უფლებას უზრუნველყოფს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში დაადგინა, რომ სიცოცხლის უფლება ითვალისწინებს როგორც სახელმწიფოთა ვალდებულებას, დაიცვან ეს უფლება, ისე ძალის გამოყენების შედეგად ადამიანის დაღუპვის შემთხვევის ეფექტიანი გამოძიების ვალდებულებას.

უდავოა, რომ სიცოცხლის უფლებასა და სიკვდილით დასჯას შორის მწვავე ურთიერთობა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილით დასჯა ჯერ ყველგან არ არის გაუქმებული, იქ, სადაც სიკვდილით დასჯა გამოიყენება, მის გამოყენებაზე მკაცრი შეზღუდვებია დაწესებული.

# ადამიანის უფლებები და დანაშაულის გამოძიება

## შესავალი

პროკურორმა აქტიური როლი უნდა შეასრულოს სისხლის სამართლის პროცესში. ადგილობრივი კანონმდებლობიდან და ტრადიციიდან გამომდინარე, ეს შეიძლება მოიცავდეს სისხლის სამართლის პროცესის იმ ნაწილს, რომელსაც დანაშაულის გამოძიება წარმოადგენს. გამოძიების წარმოებისას პროკურორმა თავად უნდა დაიცვას ადამიანის უფლებები და უნდა უზრუნველყოს, რომ ადამიანის უფლებები არ დაარღვიონ სხვებმა. ეს მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული გაეროს 1990 წლის სახელმძღვანელო პრინციპებში პროკურორთა როლის შესახებ, კერძოდ, მე-11 და მე-12 პრინციპებში:

11. 'პროკურორები აქტიურ როლს ასრულებენ სისხლის სამართლის პროცესში, დევნის დაწყების ჩათვლით, ხოლო იქ, სადაც ეს კანონითაა განსაზღვრული ან ადგილობრივ პრაქტიკას შეესაბამება, — დანაშაულის გამოძიებაში, გამოძიების კანონიერების ზედამხედველობაში, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობაში და სხვა ფუნქციების განხორციელებაში, როგორც სახელმწიფოს ინტერესების წარმომადგენელი.
12. პროკურორები, კანონის შესაბამისად, თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ ობიექტურად, თანმიმდევრულად და სწრაფად, და პატივს სცემენ და იცავენ ადამიანის ღირსებას და ადამიანის უფლებებს, რითაც საკუთარი წვლილი შეაქვთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სათანადო პროცესისა და მისი დაუბრკოლებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფაში'.

დანაშაულის გამოძიება მოიცავს პროცედურების სტადიას, რომლის დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ეჭვმიტანილის პირადი ცხოვრება (მაგალითად, ბინის ჩხრეკის დროს), ასევე კიდევ ერთ სტადიას, რომლის დროსაც ეჭვმიტანილის შესწავლა ხდება დაკითხვის მეშვეობით. ადამიანის უფლებები ორივე სტადიაზეა ჩართული. პირველი, პირის პირადი ცხოვრების ხელყოფა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ სპეციფიკური პირობებით. მეორე, დაკითხვის დროს მკაცრადაა აკრძალული პირის წამება და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა.

აქედან გამომდინარე, ეს თავი ორ ნაწილადაა გაყოფილი; პირველ ნაწილში განხილულია პირადი ცხოვრების საკითხები დანაშაულის გამოძიებისას, ხოლო მეორე ნაწილში — ადამიანის უფლებები დაკითხვისას.

## პირადი ცხოვრება და დანაშაულის გამოძიება შესაბამისი ტექსტები გაეროს დონეზე

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში პირადი ცხოვრება მე-12 მუხლშია ნახსენები:

‘არავინ უნდა განიცადოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის და მიმონერის, ასევე მისი პატივისა და ღირსების თვითნებური ხელყოფა. ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან’.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ამ დებულებას იმეორებს თავის მე-17 მუხლში:

1. არავინ არ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან მიმონერის საიდუმლოს თვითნებური ან უკანონო ხელყოფა, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის არამართლზომიერი ხელყოფა.
2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან’.

## შესაბამისი ტექსტები რეგიონულ დონეზე

### ევროპა

ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას მე-8 მუხლში განსაზღვრავს:

1. ‘ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას.
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, არეულობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად’.

ევროპის კავშირში ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია მსგავს დებულებას მე-7 მუხლში შეიცავს:

‘ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, საცხოვრებელს და საკომუნიკაციო საშუალებებს’.

## აფრიკა

ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკულ ქარტილაში პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით არც ერთი დებულება არ არის. იგი მიუთითებს ოჯახის მდგომარეობაზე საზოგადოებაში, მაგრამ ეს დებულებები რელევანტური არ არის ამ სახელმძღვანელოსთვის.

## არაბული სამყარო

კაიროს დეკლარაცია ისლამში ადამიანის უფლებათა შესახებ პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ დებულებებს მე-18 მუხლის (b) და (c) ქვეპუნქტებში აყალიბებს:

‘ყველას აქვს პირადი ცხოვრების უფლება მისი პირადი საქმეების წარმოებისას მის საცხოვრებელში, მის ოჯახში, მისი საკუთრებისა და მისი ურთიერთობების თვალსაზრისით. დაუშვებელია მის მიმართ ჯაშუშობა, თვალთვალის დანეხება ან მისი პატიოსანი სახელის შებლაღვა.

პირადი საცხოვრებელი ხელშეუხებელია ყველა შემთხვევაში. დაუშვებელია მასში შესვლა მის მობინადრეთა ნებართვის გარეშე ან რაიმე არამართლზომიერი გზით, ანდა მისი დანგრევა თუ კონფისკაცია ან მობინადრეთა გამოსახლება’.

ადამიანის უფლებათა არაბულ ქარტილაში პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული დებულებები მოცემულია მე-17 მუხლში, რომელიც აცხადებს:

‘პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია და მისი ხელყოფა დანაშაულია. პირადი ცხოვრება მოიცავს ოჯახურ საქმეებს, საცხოვრებლის ხელშეუხებლობას და მიმონერის და სხვა პირადი საკომუნიკაციო საშუალებების კონფიდენციალობას’.

## ამერიკის კონტინენტები

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-11 მუხლი პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით ადგენს:

1. ‘ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პატივს და აღიარონ მისი ღირსება.
2. არავინ არ შეიძლება გახდეს მის პირად ცხოვრებაში, ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებელში ან კორესპონდენციაში თვითნებური ან შეურაცხმყოფელი ჩარევის, ან მისი პატივისა თუ რეპუტაციის არამართლზომიერი ხელყოფის ობიექტი.
3. ყველას აქვს უფლება, კანონით იქნეს დაცული ასეთი ჩარევისაგან ან ხელყოფისაგან’.

## რბილი საერთაშორისო სამართალი

### გაეროს დონე

გაეროს 1979 წლის სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის მე-4 მუხლი პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით აცხადებს შემდეგს:

‘კონფიდენციალური ხასიათის მონაცემები, რომლებსაც სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირები ლეზულობენ, ინახება საიდუმლოდ, თუ სხვაგვარად არ მოითხოვს მათი მოვალეობის შესრულება ან მართლმსაჯულების ინტერესები’.

იმავე დოკუმენტში ამ მუხლზე შემდეგი კომენტარია გაკეთებული:

‘სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირები, თავიანთი მოვალეობების ბუნებიდან გამომდინარე, მოიპოვებენ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს სხვა პირთა პირად ცხოვრებასთან ან პოტენციური ზიანი მიაყენოს ამ პირებს, განსაკუთრებით მათ რეპუტაციას. ასეთი ინფორმაციის დაცვა და გამოყენება დიდი სიფრთხილით უნდა განხორციელდეს და მისი გამჟღავნება შეიძლება მხოლოდ მოვალეობის შესრულებისას ან მართლმსაჯულების ინტერესებისათვის. ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება ნებისმიერი სხვა მიზნისთვის არამართლზომიერად ითვლება’.

გაეროს 1990 წლის სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ მე-13 მუხლის “C” ქვეპუნქტში პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით აცხადებს:

‘თავიანთი მოვალეობების შესრულებისას პროკურორები (...): იცავენ პროფესიულ საიდუმლოებას, თუ სხვაგვარად არ მოითხოვს მათი მოვალეობის შესრულება ან მართლმსაჯულების ინტერესები’.

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 1988 წლის №16 ზოგად კომენტარში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლზე კომენტარები გააკეთა. კომიტეტმა 1-ლი პუნქტი მონაწილე სახელმწიფოების მიმართ წაყენებული ზოგადი მოთხოვნებით დაიწყო:

‘მე-17 მუხლი ითვალისწინებს თითოეული პირის დაცვას თვითნებური ან უკანონო ჩარევისაგან მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის თვითნებური ან უკანონო ხელყოფისაგან დაცვას. კომიტეტის აზრით, ეს უფლება განმტკიცებული უნდა იყოს ყველა ასეთი ჩარევისაგან და ხელყოფისაგან დაცვის გარანტიებით, მიუხედავად იმისა, იგი სახელმწიფო ორგანოების მიერ არის ჩადენილი თუ ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ. ამ მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები სახელმწიფოსგან მოითხოვს, მიიღოს საკანონმდებლო და სხვა ზომები ასეთი ჩარევის ან ხელყოფის ქმედითი აკრძალვისათვის, ასევე ამ უფლების დასაცავად’.

ამის შემდეგ მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებში მე-17 მუხლის რამდენიმე წინადადება განმარტებული:

3. ტერმინი “უკანონო” ნიშნავს, რომ დაუშვებელია რაიმე ჩარევა, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. სახელმწიფოთა მიერ ნებადართული ჩარევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, პაქტის დებულებებს, მიზნებსა და ამოცანებს უნდა შეესაბამებოდეს.
4. გამოთქმა “თვითნებური ჩარევა” ასევე დაკავშირებულია მე-17 მუხლით განსაზღვრული უფლების დაცვასთან. კომიტეტის აზრით, გამოთქმა “თვითნებური ჩარევა” შეიძლება ასევე გავრცელდეს კანონის საფუძველზე განხორციელებულ ჩარევაზე. თვითნებობის ცნების შემოღება მიზნად ისახავს, უზრუნველყოფილ იქნეს, რომ თვით კანონით გათვალისწინებული ჩარევა შეესაბამებოდეს პაქტის დებულებებს, მიზნებსა და ამოცანებს და ნებისმიერ შემთხვევაში დასაბუთებული იყოს კონკრეტული გარემოებებით.
5. რაც შეეხება ტერმინს “ოჯახი”, მასთან დაკავშირებით პაქტის ამოცანები მოითხოვს, რომ მე-17 მუხლის მიზნებისთვის ამ ტერმინს ფართო განმარტება მიეცეს, რათა მან მოიცვას ყველა, ვინც შედის ოჯახის შემადგენლობაში, როგორც ეს გაგებულია კონკრეტული მონაწილე სახელმწიფოს საზოგადოებაში. ტერმინი “საცხოვრებელი”, “home” — ინგლისურად, “manzel” — არაბულად, “zhùzhái” — ჩინურად, “domicile” — ფრანგულად, “zhilische” — რუსულად და “domicilio” — ესპანურად, როგორც ეს პაქტის მე-17 მუხლშია ნახმარი, გაგებულ უნდა იქნეს, როგორც იმ ადგილის მიმანიშნებელი, სადაც პირი ცხოვრობს ან თავისი ჩვეული საქმიანობითა დაკავებული. ამასთან დაკავშირებით კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, თავიანთ მოხსენებებში მიუთითონ ის მნიშვნელობა, რომელსაც მათი საზოგადოება ანიჭებს ცნებებს “ოჯახი” და “საცხოვრებელი”.

მე-8 პუნქტში მოცემული კომენტარები განსაკუთრებით რელევანტურია გამოძიების დროს:

‘პაქტის შესაბამისი ჩარევის თვალსაზრისითაც კი, შესაბამისი კანონმდებლობა დეტალურად უნდა განმარტავდეს ზუსტ გარემოებებს, როდესაც ამგვარი ჩარევა დასაშვებია. ასეთი უფლებამოსილების გამოყენებაზე გადანყვეტილება უნდა მიიღოს მხოლოდ იმ ორგანომ, რომელიც კანონითაა განსაზღვრული, და მხოლოდ კონკრეტული საქმის საფუძველზე. მე-17 მუხლთან შესაბამისობა მოითხოვს, რომ მიმოწერის ხელშეუხებლობა და კონფიდენციალობა უზრუნველყოფილ იქნეს როგორც *დე ფაქტო*, ისე *დე იურე*. კორესპონდენცია ადრესატმა უნდა მიიღოს დაუბრკოლებლად, დაუშვებელია მისი გახსნა ან სხვა სახით წაკითხვა. აკრძალული უნდა იქნეს ელექტრონული ან სხვა სახის თვალთვალი, სატელეფონო, სატელეგრაფო ან სხვა სახის კომუნიკაციების მიყურადება, სატელეფონო მოსმენა და საუბრების ჩანერა. პირის საცხოვრებლის ჩხრეკა უნდა შემოიფარგლოს ჩხრეკით, რომელიც მტკიცებულების მოპოვებისთვისაა საჭირო, და ამ საცხოვრებლის მობინადრეებს დამატებითი პრობლემები არ უნდა შეუქმნას. პირადი და სხეულის ჩხრეკისას მიღებულ უნდა იქნეს ისეთი

ეფექტიანი ზომები, რომ ასეთი ჩხრეკით არ შეილახოს პირის ღირსება. პირები, რომელთა მიმართაც ჩხრეკა ხორციელდება სახელმწიფო თანამდებობის პირის ან სამედიცინო პერსონალის მიერ, რომლებიც სახელმწიფოს დავალებით მოქმედებენ, მხოლოდ იმავე სქესის პირთა მიერ უნდა შემონმდნენ’.

ბოლოს მე-10 პუნქტი პირადი ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით განმარტავს:

‘პირადი ინფორმაციის შეგროვება და მისი კომპიუტერში, მონაცემთა ბანკში ან სხვა მონყობილობებში შენახვა, იქნება ეს განხორციელებული სახელმწიფო ორგანოების თუ კერძო პირების ან ორგანოების მიერ, კანონით უნდა რეგულირდებოდეს. სახელმწიფოებმა ეფექტიანი ზომები უნდა მიიღონ, რათა უზრუნველყონ, რომ პირის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდებოდეთ პირებს, რომლებიც კანონით არ არიან უფლებამოსილი მიიღონ, დაამუშაონ ან გამოიყენონ იგი, და რომ იგი არასოდეს გამოიყენებოდეს პაქტისთვის შეუსაბამო მიზნებისთვის. პირადი ცხოვრების ეფექტიანი დაცვის მიზნით თითოეულ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, ნათლად დარწმუნდეს, ინახება თუ არა მისი პირადი მონაცემები მონაცემთა ავტომატიზებულ ფაილებში, და თუ ასეა — რა მიზნით. თითოეულ პირს ასევე უნდა შეეძლოს დაადგინოს რომელი სახელმწიფო ორგანო ან კერძო პირი თუ ორგანო აკონტროლებს ან შეუძლია გააკონტროლოს ეს ფაილები. თუ ასეთი ფაილები შეიცავს არაზუსტ პირად ინფორმაციას ან მათი შეგროვება და დამუშავება კანონის დებულებათა სანინააღმდეგოდ განხორციელდა, თითოეულ პირს უფლება უნდა ჰქონდეს, მოითხოვოს მისი გასწორება ან ამოღება’.

## ევროპა

ევროპის საბჭოს რეკომენდაცია 2000 (19) შესაბამის დებულებებს შეიცავს საჯარო პროკურორის როლის შესახებ, კერძოდ, თუ როგორ უნდა შეასრულოს პროკურორმა თავისი მოვალეობა დანაშაულის გამოძიების დროს. ზოგად დებულებათა მე-3 პუნქტი აცხადებს:

‘სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ზოგიერთ სისტემაში საჯარო პროკურორები ასევე: (...) უშუალოდ აწარმოებენ გამოძიებას ან ზედამხედველობას უწევენ გამოძიების პროცესს.’

21-ე – 23-ე პუნქტები უფრო დეტალურად აღწერს პროკურორებსა და პოლიციას შორის ურთიერთობას გამოძიების პროცესში:

21. ‘ზოგადად, საჯარო პროკურორები უნდა ამონებდნენ პოლიციის გამოძიების კანონიერებას სულ ცოტა იმ სტადიიდან, როდესაც ხდება გადანყვეტილების მიღება, დაიწყოს თუ გაგრძელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ თვალსაზრისით საჯარო პროკურორებმა ასევე მონიტორინგი უნდა განახორციელონ პოლიციის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვაზე.’

22. იმ ქვეყნებში, სადაც პოლიცია სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს

ექვემდებარება, ან სადაც საპოლიციო გამოძიებას პროკურორი ახორციელებს ან ზედამხედველობს, ასეთმა სახელმწიფომ ეფექტიანი ზომები უნდა მიიღოს, რათა უზრუნველყოს, რომ საჯარო პროკურორმა შეძლოს:

- a) პოლიციას მისცეს შესაბამისი მითითებები დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით, განსაკუთრებით გადაწყვეტილების მისაღებად ისეთ საკითხებზე, როგორცაა პირველ რიგში განსახილველი საქმეების კატეგორია, მტკიცებულების მოსაპოვებლად გამოყენებული საშუალებები, გამოძიებაში ჩართული თანამშრომლები, გამოძიების ხანგრძლივობა, საჯარო პროკურორისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია და სხვა;
  - b) როდესაც გამოძიების წარმოება სხვადასხვა საპოლიციო დაწესებულებებს ევალებათ, კონკრეტული საქმეები გადასცეს დაწესებულებას, რომელიც უკეთ შეესაბამება მოცემული საქმის წარმოებას;
  - c) განახორციელოს შეფასება და კონტროლი იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს საჭიროა მის მიერ გაცემულ მითითებებთან და კანონთან შესაბამისობის მონიტორინგისთვის;
  - d) სათანადო შემთხვევაში განსაზღვროს სასჯელი ან ხელი შეუწყოს შესაძლო დარღვევების დასჯას.
23. სახელმწიფოებმა, სადაც პოლიცია საზოგადოებრივი დევნის ორგანოსგან დამოუკიდებელია, ეფექტიანი ზომები უნდა მიიღონ დევნის ორგანოებსა და პოლიციას შორის სათანადო და ქმედითი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად’.

### პროკურორთა საქრთველის ასოციაცია

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის 1999 წლის პროკურორთა პროფესიული პასუხისმგებლობის, ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების სტანდარტები ზოგიერთ ზოგად დებულებას იძლევა იმ როლის შესახებ, რომელიც პროკურორმა უნდა შეასრულოს დანაშაულის გამოძიების დროს პირის პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველსაყოფად. პუნქტები 4.1 და 4.2 (სისხლის სამართლის პროცესში როლის შესახებ) აცხადებს:

- 4.1. ‘პროკურორები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ ობიექტურად, თანმიმდევრულად და სწრაფად.
- 4.2. პროკურორებმა სისხლის სამართლის პროცესში აქტიური როლი უნდა შეასრულონ, კერძოდ:
  - a) იქ, სადაც კანონით ან პრაქტიკითაა დაშვებული მათი მონაწილეობა დანაშაულის გამოძიებაში, ან პოლიციის ან სხვა გამომძიებელთა ზედამხედველობა, ისინი ყველაფერს აკეთებენ ობიექტურად, მიუკერძოებლად და პროფესიულ დონეზე;
  - b) დანაშაულის გამოძიების ზედამხედველობისას მათ უნდა უზრუნველყონ საგამომძიებო სამსახურების მიერ სამართლებრივი პრინციპებისა და ადა-



მიანის საყოველთაო უფლებების პატივისცემა; რეკომენდაციების მიცემისას ისინი ისწრაფვიან დაცვან მიუკერძოებლობა და ობიექტურობა.’

## ევროპული პრაქტიკა

“პირადი ცხოვრების” ცნებასთან დაკავშირებით, როგორც ეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლშია განსაზღვრული, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ცნება ძალიან ვიწროდ არ უნდა განიმარტოს. *ნიემეცის* საქმეზე (1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება), 29-ე პუნქტში, სასამართლომ აღნიშნა:

‘სასამართლოს შესაძლებლად და საჭიროდ არ მიაჩნია “პირადი ცხოვრების” ცნების ამომწურავი განსაზღვრის მცდელობა. თუმცა ძალზე შემზღვეველი იქნება ამ ცნების “შიდა წრით” შემოფარგვლა – სადაც პირი შესაძლოა თავისი პირადი ცხოვრებით ცხოვრობდეს, საკუთარი არჩევანის შესაბამისად, და მისგან მთლიანად გამორიცხვა იმ გარე სამყაროსი, რომელიც ამ წრეში არ შედის. პირადი ცხოვრების პატივისცემა გარკვეული ხარისხით ასევე უნდა მოიცავდეს სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დამყარებისა და განვითარების უფლებას.

გარდა ამისა, აქ არ ჩანს რაიმე პრინციპული მიზეზი, თუ რატომ უნდა გამორიცხავდეს “პირადი ცხოვრების” ეს გაგება პროფესიული ან ბიზნესის ხასიათის საქმიანობებს, რადგან იგი, ბოლოს და ბოლოს, მათი შრომითი ცხოვრებაა, რომელიც ადამიანთა უმრავლესობას, თუ არა დიდ უმრავლესობას, გარე სამყაროსთან ურთიერთობების განვითარების საშუალებას აძლევს. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტი, რომ ყოველთვის შესაძლებელი არ არის განისაზღვროს ინდივიდუალური პირის რომელი სახის საქმიანობა აყალიბებს მის პროფესიულ თუ შრომით ცხოვრებას და რომელი არა, რაზედაც ესოდენ სწორად მიუთითა კომისიამ. ამრიგად, განსაკუთრებით იმ პირისთვის, რომელიც ლიბერალური ხასიათის პროფესიას ახორციელებს, მისი შრომა, ამ კონტექსტში, მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, თანაც ისეთი ხარისხით, რომ შეუძლებელია ვიცოდეთ, რომელი როლით მოქმედებს იგი დროის მოცემულ მომენტში. (...)

ევროპის სასამართლომ კოლას საქმეზე მის მიერ 2002 წლის 16 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაში მე-8 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვა სამეწარმეო დანიშნულების შენობებზედაც გაავრცელა.

*კალასის* საქმეზე (1978 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება) სასამართლომ განცხადება გააკეთა მოქალაქეთა საიდუმლო თვალთვალის შესახებ და განმარტა, თუ რამდენად შეიძლებოდა ასეთი თვალთვალის გამართლება მე-8 მუხლის საფუძველზე. 42-ე პუნქტში მოცემულია:

‘მოცემულ საქმეში მე-8 მუხლის საფუძველზე წარმოშობილი მთავარი საკითხია, თუ რამდენადაა გამართლებული დადგენილი ჩარევა მუხლის (მე-8 მუხლის) მე-2 პუნქტით განსაზღვრული დებულებებით. ეს პუნქტი ვიწროდ უნდა იქნეს განმარტებული, რადგან იგი კონვენციით დადგენილი

უფლებისთვის გამონაკლისის საშუალებას იძლევა. მოქალაქეთა ფარული თვალთვალი, რომელიც პოლიციისთვისაა დამახასიათებელი, კონვენციის საფუძველზე შეიძლება გამართლებული იქნეს იმდენად, რამდენადაც იგი მკაცრად მოითხოვება დემოკრატიული ინსტიტუტების დასაცავად’.

სასამართლომ დაადგინა, რომ იმისათვის, რომ “ჩარევით” არ დაირღვეს მე-8 მუხლი, უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა განხორციელდეს “კანონის შესაბამისად”, ამასთანავე, იგი უნდა იყოს “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისთვის” და/ან “უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად”. ამის შემდეგ, 55-ე პუნქტში, სასამართლომ დაადგინა:

‘კანონის უზენაესობა, *inter alia*, მოიცავს, რომ პირის უფლებებში აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევა ეფექტიან კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს, რომელიც, ჩვეულებრივ, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, სულ მცირე, როგორც ბოლო საშუალება, სასამართლო კონტროლის სახით, რომელიც დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სათანადო პროცედურის საუკეთესო გარანტიებს სთავაზობს’.

საიდუმლო თვალთვალთან დაკავშირებით 58-ე პუნქტში სასამართლომ დაადგინა:

‘სასამართლოს აზრით, უნდა დადგინდეს, რამდენად რეალურია, პრაქტიკაში მოთხოვნილ იქნეს ყველა საქმეზე შემდგომი შეტყობინების გაგზავნა. საქმიანობა ან საშიშროება, რომლისკენაც კონკრეტული თვალთვალის ღონისძიებათა სერიაა მიმართული, ღონისძიებათა შეწყვეტის შემდეგ შეიძლება წლების განმავლობაში გაგრძელდეს, შესაძლოა ათწლეულებიც. შემდგომი შეტყობინებით თითოეული პირისთვის, რომელიც შეწყვეტილ ღონისძიებას ექვემდებარებოდა, შესაძლოა სერიოზული საფრთხე შეექმნას იმ გრძელვადიან მიზანს, რომლისთვისაც თვალთვალი დაიწყო. გარდა ამისა, (...) ასეთი შეტყობინებით შესაძლოა გამჟღავნდეს დაზვერვის სამსახურების სამუშაო მეთოდები და ოპერატიული სფეროები და თვით მათი მუშაკების ვინაობა. სასამართლოს აზრით, იმდენად რამდენადაც სადავო კანონმდებლობით გამონვეული “ჩარევა” პრინციპში შეიძლება გამართლდეს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით (...), ის ფაქტი, რომ პირს თვალთვალის შეწყვეტის შესახებ არ შეატყობინეს, თავისთავად არ შეიძლება ჩაითვალოს ამ დებულებასთან შეუსაბამოდ, რადგან ეს სწორედ ის ფაქტია, რომელიც “ჩარევის” ეფექტიანობას უზრუნველყოფს. (...)’

და ბოლოს, *კრუსლინის საქმეზე* (1990 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება), სატელეფონო მიყურადებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაამატა შემდეგი:

‘სატელეფონო მიყურადება და სატელეფონო საუბრების სხვაგვარი მოსმენის ფორმები პირად ცხოვრებაში და მიმონერაში სერიოზული ჩარევის სახეა და ისინი შესაბამისად “კანონზე” უნდა იყოს დაფუძნებული, რომელიც განსაკუთრებით ზუსტი სახით არის ჩამოყალიბებული. ძალზე მნიშვნელოვანია, ამ საკითხზე არსებობდეს ნათელი, დეტალური წესები, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა არსებული ტექნოლოგია სულ უფრო სრულყოფილი ხდება’.

# ადამიანის უფლებები და ღირსეულობა

## შესაბამისი ტექსტები გაეროს დონეზე

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლი აცხადებს:

‘არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას’.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მეტ-ნაკლებად იმეორებს ამ დებულებას მე-7 მუხლში:

‘არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. კერძოდ, არც ერთ პირზე, მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება’.

გარდა ამისა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს:

‘თითოეულ პირს უფლება აქვს მისთვის ნაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, როგორც მინიმუმში, სრული თანასწორობის საფუძველზე, ისარგებლოს შემდეგი გარანტიებით (...):

არავინ აიძულოს, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ, ან თავი დამნაშავედ აღიაროს’.

## წამების საინალმდეგო კონვენცია

1984 წლის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტში “წამებას” შემდეგნაირად განსაზღვრავს:

‘ამ კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი “წამება” ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს თუ ფსიქიკურს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ინფორმაცია ან აღიარება, დასაჯონ ქმედებისთვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი, ან, ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაცია, როცა ასეთ ტკივილს ან ტანჯვას აყენებს სახელმწიფო თანამდებობის პირი ან

სხვა ოფიციალური პირი, ან მისი წაქეზებით, ნებართვით ან მდუმარე თანხმობით. იგი არ გულისხმობს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც წარმოიშობა მხოლოდ კანონიერ სანქციათა შედეგად, ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მათგან გამონვეული’.

მე-11 მუხლი კონკრეტულად დაკითხვას ეხება:

‘თითოეული მონაწილე სახელმწიფო სისტემატურად განიხილავს წესებს, ინსტრუქციებს, მეთოდებსა და პრაქტიკას, რომლებიც ეხება იმ პირთა დაკითხვას, აგრეთვე პატიმრობაში ყოლის და მოპყრობის პირობებს, რომლებიც ნებისმიერი ფორმით დააპატიმრეს, დააკავეს ან საპატიმროში მოათავსეს მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, რათა არ დაუშვან წამების რაიმე შემთხვევა’.

## შესაბამისი ტექსტები რეგიონულ დონეზე

### ევროპა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი წამების აკრძალვას შეიცავს:

‘არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას’.

### აფრიკა

ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის მე-5 მუხლი აცხადებს:

‘ყოველ პირს აქვს უფლება, პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას და აღიარონ მისი სამართლებრივი სტატუსი. აკრძალულია ადამიანის ექსპლუატაცია ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ნებისმიერი ფორმა, განსაკუთრებით მონებით ვაჭრობა, წამება, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი დასჯა ან მოპყრობა.’

### არაბული სამყარო

ისლამში ადამიანის უფლებათა შესახებ კაიროს დეკლარაციის მე-2 მუხლის ‘d’ ქვეპუნქტი სხეულის დაზიანებისაგან დაცვის გარანტიებს განსაზღვრავს:

‘სხეულის დაზიანებისაგან დაცვა გარანტირებული უფლებაა. სახელმწიფოს მოვალეობაა, დაიცვას იგი და მისი დარღვევა აკრძალულია შარიათით განსაზღვრული მიზეზის გარეშე’.

მე-20 მუხლში ეს საკითხი შემდეგნაირადაა განვითარებული:

‘დაუშვებელია მართლზომიერი მიზეზის გარეშე პირის დაკავება, ან მისი თავისუფლების შეზღუდვა, გაძევება ან დასჯა. დაუშვებელია პირი დაექვემდებაროს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ წამებას ან არასათანადო, სასტიკი ან უპატივცემულო მოპყრობის რაიმე ფორმას. (...)’

ადამიანის უფლებათა არაბული ქარტიის მე-13 მუხლის ‘ა’ ქვეპუნქტი ადგენს:

‘მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე იცავენ ყველა პირს ფიზიკური და ფსიქიკური წამებისაგან ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან. ისინი იღებენ ეფექტიან ზომებს ასეთი მოქმედებების აღსაკვეთად და ასეთ პრაქტიკას ან მასში მონაწილეობას დასჯად დანაშაულად აღიარებენ’.

## ამერიკის კონტინენტები

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია ადამიანური მოპყრობის უფლებას მე-5 მუხლში შეიცავს:

1. ‘ყოველ ადამიანს უფლება აქვს პატივი სცენ მის ფიზიკურ, ფსიქიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას.
2. არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ დასჯას ან მოპყრობას. ყველა თავისუფლებადაკვეთილ პირს უნდა მოეპყრონ ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსების პატივისცემით (...).’

მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების იძულებით მიცემისაგან დაცვის (“*nemo tenetur*”) პრინციპია გაცხადებული:

‘(...) პროცესის დროს ყველა პირს, სრული თანასწორობის დაცვით, აქვს შემდეგი მინიმალური უფლებები:

- (g) არ მისცეს იძულებით ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ ან არ აღიაროს დანაშაული. (...)’

## რბილი საერთაშორისო სამართალი

### გაეროს დონე

1982 წელს გაერომ მიიღო *სამედიცინო ეთიკის პრინციპები, რომლებიც დაკავშირებულია მედიცინის მუშაკთა, განსაკუთრებით ექიმების როლთან პაციმართა და დაკავებულთა წამებისაგან ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან ან დასჯისგან დაცვაში*. აღნიშნული პრინციპების მე-4 პრინციპი დაკითხვას ეხება:

‘ჯანდაცვის მუშაკები, განსაკუთრებით ექიმები, სამედიცინო ეთიკას არღვევენ, თუ ისინი:

- a) თავიანთ ცოდნასა და უნარს იყენებენ პატიმართა და დაკავებულთა დაკითხვის ხელშესაწყობად, ისეთი გზით, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ასეთ პატიმართა ან დაკავებულთა ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას ან მდგომარეობას და ეწინააღმდეგება შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებს (...).

სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, რომელიც გაერომ 1979 წელს მიიღო, ხაზგასმით აღნიშნავს საჯარო პროკურორის როლს დაკითხვის პროცესში. მე-5 მუხლი ეჭვის საბაბს არ იძლევა:

‘სამართალდამცავი ორგანოების არც ერთ თანამდებობის პირს არ შეუძლია განახორციელოს, ნააქეზოს ან შეეგუოს ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც არის წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა, ასევე არც ერთმა თანამდებობის პირმა არ უნდა გაამართლოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა ზემდგომი პირის ბრძანებაზე მითითებით, ან ისეთი გამონაკლისი გარემოებით, როგორცაა საომარი მდგომარეობა ან ომის საფრთხე, ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საშიშროება, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან რაიმე სხვა საგანგებო მდგომარეობა’.

დაკითხვასთან დაკავშირებული მრავალი დებულებაა მოცემული *ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპების ნაკრებში*, რომელიც გაერომ 1988 წელს მიიღო. 21-ე პრინციპი აცხადებს:

1. ‘აკრძალულია დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მისგან იძულებით აღიარების მიღების, საკუთარი თავის სხვაგვარად დადანაშაულების ან სხვა პირის მიმართ ჩვენების მიცემის მიზნით.
2. დაკითხვის დროს არც ერთი დაკავებული პირი არ შეიძლება დაექვემდებაროს ძალადობას, დაშინებას ან დაკითხვის ისეთ მეთოდებს, რომლებიც ზიანს აყენებს მის მიერ გადანყვეტილების მიღების ან განსჯის უნარს’.

ამის შემდეგ 23-ე პრინციპი დეტალურად განიხილავს დაკითხვის პროცესს:

1. ‘დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაკითხვის ხანგრძლივობა და დაკითხვებს შორის პერიოდი, ასევე ოფიციალური პირის ვინაობა, რომელმაც დაკითხვა ჩაატარა, და იქ მყოფ პირთა ვინაობა უნდა დაფიქსირდეს და დადასტურდეს ისეთი ფორმით, რომელიც შეიძლება კანონით იყოს განსაზღვრული.
2. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ან მის ადვოკატს, როდესაც ეს კანონითაა გათვალისწინებული, ხელი უნდა მიუწვდებოდეს ამ პრინციპის 1-ლ პუნქტში აღწერილ ინფორმაციაზე’.

27-ე პრინციპში აღწერილია, თუ რა მოჰყვება ამ დებულებების შეუსრულებლობას:

‘მტკიცებულების მოპოვებისას ამ პრინციპების შეუსრულებლობა გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის საწინააღმდეგოდ ასეთი მტკიცებულების დასაშვებობის განსაზღვრისას’.

გაეროს 1990 წლის სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ უფრო ზოგად დებულებებს შეიცავს:

12. ‘პროკურორები, კანონის შესაბამისად, თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ ობიექტურად, თანმიმდევრულად და სწრაფად, და პატივს სცემენ და იცავენ ადამიანის ღირსებას და ადამიანის უფლებებს, რითაც საკუთარი წვლილი შეაქვთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სათანადო პროცესისა და მისი დაუბრკოლებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფაში’.

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 1992 წლის №20 ზოგად კომენტარში განმარტებები გააკეთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლზე, სადაც, მე-11 პუნქტში, დაკითხვა არის ნახსენები:

‘აღწერილი ზომების გარდა, რომლებიც მე-7 მუხლით აკრძალული მოქმედებებისაგან დაცვას უზრუნველყოფს, რომლის უფლებაც ყველას აქვს, მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დეტალური ინფორმაცია განსაკუთრებით მონყვლადი პირების სპეციალური დაცვის მექანიზმების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ დაკითხვის წესების, ინსტრუქციების, მეთოდებისა და პრაქტიკის, ასევე ნებისმიერი ფორმით დაკავებული, დატუსაღებული ან დაპატიმრებული პირის პატიმრობის პირობებისა და მისდამი მოპყრობის სქემების სისტემატური კონტროლი ნამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევების თავიდან აცილების ეფექტიანი საშუალებაა. პატიმრობაში მყოფ პირთა ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მიღებულ იქნეს ზომები, რათა ისინი იმყოფებოდნენ ადგილებში, რომლებიც ოფიციალურადაა აღიარებული საპატიმრო ადგილად, ხოლო მათი გვარები და პატიმრობის ადგილსამყოფელი, ისევე როგორც მათ პატიმრობაზე პასუხისმგებელ პირთა გვარები, მითითებული უნდა იყოს რეესტრში, რომელზედაც ხელი მიუწვდებათ დაინტერესებულ პირებს, ნათესავებისა და მეგობრების ჩათვლით. ამავე მიზნით უნდა დაფიქსირდეს ყველა დაკითხვის დრო და ადგილი, ასევე დაკითხვაზე დამსწრე პირთა გვარები და ეს ინფორმაციაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასამართლო და ადმინისტრაციული განხილვის მიზნებისთვის. ასევე მიზანშეწონილია მიღებულ იქნეს ზომები რათა აიკრძალოს პირთა პატიმრობა მიმონერისა და ურთიერთობის უფლების ჩამორთმევით. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არც ერთ საპატიმრო ადგილას არ დამონტაჟდეს რაიმე მონყობილობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნამებისთვის და არასათანადო მოპყრობისთვის. პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვა ასევე ითვალისწინებს დროულ და რეგულარულ ხელმისაწვდომობას ექიმებსა და ადვოკატებზე, ასევე ოჯახის წევრებზე, სათანადო კონტროლით, თუ ამას გამოძიების ინტერესები მოითხოვს’.

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების იძულებითი მიცემისაგან (*‘nemo tenetur’*) დაცვის დებულება, როგორც ეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლშია ჩამოყალიბებული, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 1984 წლის №13 ზოგადი კომენტარის მე-14 პუნქტში განიხილა:

‘მე-3 მუხლის ‘g’ ქვეპუნქტი ადგენს, რომ ბრალდებული არავინ არ უნდა იძულოს ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ, ან თავი დამნაშავედ აღიაროს. დაცვის ამ მექანიზმის განხილვისას უნდა გვახსოვდეს მე-7 მუხლის და მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები. იმ მიზნით, რომ ბრალდებული-საგან იძულებით მიიღონ აღიარება ან საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება, ხშირად გამოიყენება მეთოდები, რომლებიც არღვევს ამ დებულებებს. კანონი უნდა მოითხოვდეს, რომ ასეთი მეთოდებით ან ნებისმიერი იძულებითი ფორმით მიღებული მტკიცებულება სრულიად დაუშვებელი იყოს’.

## ევროპა

ევროპის საბჭოს რეკომენდაცია (Rec 2000(19)) საჯარო პროკურორთა როლის შესახებ მიუთითებს შესაბამის დებულებებზე, რომლებიც განსაზღვრავს თუ როგორ უნდა შეასრულოს პროკურორმა თავისი მოვალეობა დანაშაულის გამოძიების პროცესში. ეს ზოგადი ხასიათის დებულებებია და იმავე ბუნებისაა, როგორისაც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული დებულებები, რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი.

## პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის სტანდარტები რამდენიმე ზოგადი ხასიათის დებულებას იძლევა იმ როლის შესახებ, რომელიც პროკურორმა დანაშაულის გამოძიების პროცესში უნდა შეასრულოს პირის უფლებების უზრუნველსაყოფად. ეს დებულებები იმავე ბუნებისაა, როგორისაც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული დებულებები, რომლებიც ზემოთ იყო აღნიშნული.

## ევროპული პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო მრავალ საქმეზე, რომელიც დაკავშირებული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან. პირველი მნიშვნელოვანი საქმე ამ საკითხზე იყო *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება). ამ საქმეში სასამართლომ დაგმო დაკითხვის რამდენიმე მეთოდი, რომელსაც ბრიტანეთის პოლიცია იყენებდა. სასამართლოს აზრით, ეს მეთოდები მე-3 მუხლის არსს ეწინააღმდეგებოდა.

*თომასის საქმეზე* (1992 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება) სასამართლომ დადგინდა მიიღო მტკიცებულების შესახებ, რომელიც მე-3 მუხლის დარღვევის დასამტკიცებლად საჭირო. 115-ე პუნქტი აცხადებს:

‘(...) მას ეს საკმარისად მიაჩნია, რათა დარწმუნდეს, რომ სამედიცინო ცნობები და ანგარიშები, რომლებიც მედიცინის პრაქტიკოსების მიერ სრულიად დამოუკიდებლად დაწერილი, ბატონი თომასისათვის მიყენე-



ბულ მრავალ დარტყმას და მათ სიმძიმეს ადასტურებს; ეს არის ორი ელემენტი, რომელიც საკმაოდ სერიოზულია იმისთვის, რომ მოპყრობა არა-ადამიანურად და ღირსების შემლახველად იქნეს მიჩნეული. გამოძიების მოთხოვნები და დანაშაულის, განსაკუთრებით კი ტერორიზმის, წინააღმდეგ ბრძოლისათვის დამახასიათებელი უდავო სირთულეები არ უნდა ზღუდავდეს პირის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დაცვას’.

აქსოის საქმეზე (1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება) სასამართლომ პირველად მიიჩნია, რომ პირის დაკითხვის დროს პოლიციის ქმედება იყო “წამება” მე-3 მუხლის მნიშვნელობით. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამის პუნქტში აღნიშნულია:

‘იმისთვის, რომ განისაზღვროს, რომელიმე კონკრეტული არასათანადო მოპყრობა შეიძლება თუ არა დაკვალიფიცირდეს, როგორც წამება, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის განსხვავება, რომელიც მე-3 მუხლშია განსაზღვრული ერთი მხრივ წამებას, ხოლო მეორე მხრივ არა-ადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყობას შორის. როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული, ეს განსხვავება, როგორც ჩანს, კონვენციაშია ჩადებული, რათა “წამების” განსაკუთრებული სტიგმა მიენიჭოს მხოლოდ განზრახ ჩადენილ არაადამიანურ მოპყრობას, რომელიც ძალზე სერიოზულ და სასტიკ ტანჯვას იწვევს (...)

სასამართლო იხსენებს, რომ კომისიამ, *inter alia*, მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიმართ გამოიყენეს “პალესტინური დაკიდება”, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი იყო გაშიშვლებული, ხელები ზურგს უკან ჰქონდა შეკრული და დაკიდებული იყო მკლავებით (...). სასამართლოს აზრით, ამგვარი მოპყრობა მხოლოდ წინასწარი განზრახვითაა შესაძლებელი. უდავოა, რომ მის განხორციელებას გარკვეული მომზადება და ძალისხმევა დასჭირდებოდა. როგორც ჩანს, იგი განხორციელდა განმცხადებლისაგან თანხმობის ან ინფორმაციის მიღების მიზნით. მწვავე ტკივილის გარდა, რომელიც მას უდავოდ ჰქონდა იმ დროს, სამედიცინო დასკვნა უჩვენებს, რომ ამგვარმა მოპყრობამ გამოიწვია ორივე მკლავის დამბლა, რაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა (...). სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს მოპყრობა იმდენად სერიოზული და სასტიკი ბუნების იყო, რომ იგი მხოლოდ წამებად შეიძლება იქნეს მიჩნეული’.

რაც შეეხებ “*nemo tenetur*”—ის პრინციპს, იგი სასამართლომ *მურეის* საქმეში (1996 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება) განიხილა და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენცია საკუთარი თავის დადანაშაულების მიმართ რაიმე კონკრეტულ დამცავ დებულებას არ იძლევა, დაკითხვის დროს დუმის უფლება კონვენციის მე-6 მუხლით (სამართლიანი სასამართლოს შესახებ) არის გარანტირებული. *მურეის* საქმის 45-ე პუნქტში აღნიშნულია:

‘მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-6 მუხლში ეს კონკრეტულად არ არის ნახსენები, უეჭველია, რომ პოლიციის მიერ განხორციელებული დაკითხვისას დუმის უფლება და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების იძულებით მიცემისაგან დაცვა არის ზოგადად აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი პროცესის ცნების ბირთვია. ბრალდებულის ხელისუფლების წარმომად-

გენლების მხრიდან არასათანადო იძულებისაგან დაცვის უზრუნველყოფით ეს იმუნიტეტები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასამართლოს შეცდომის აღკვეთაში და მე-6 მუხლის მიზნების დაცვაში’.

2002 წლის 5 ნოემბერს ალანის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა:

‘მიუხედავად იმისა, რომ დუმისის უფლება და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების იძულებით მიცემისაგან დაცვის უფლება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს, არ მოხდეს ბრალდებულის ნების უგულებელყოფით ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა მიერ მისგან იძულებითი მეთოდებით ან დათრგუნვით მტკიცებულების მიღება, ეს უფლება არ შემოიფარგლება იმ შემთხვევებით, როდესაც ხდება ბრალდებულზე ზეწოლა ან რაიმე პირდაპირი ფორმით ძალადობა. ეს უფლება, როგორც ეს სასამართლომ უკვე აღნიშნა, სამართლიანი პროცესის ბირთვია და იგი პრინციპში ემსახურება ეჭვმიტანილი პირის თავისუფალი არჩევანის დაცვას — დაკითხვის დროს ილაპარაკოს თუ დუმილი არჩიოს. ეს თავისუფლება საფრთხის ქვეშ დგება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეჭვმიტანილის მიმართ, რომელმაც დაკითხვის დროს დუმილი ამჯობინა, ხელისუფლების ორგანო ხრიკებს იყენებს მისგან აღიარების ან საკუთარი თავის დადანაშაულების ხასიათის ჩვენების მისაღებად, რომელიც მან ასეთი დაკითხვის დროს ვერ მიიღო, და როდესაც ამგვარად მოპოვებული აღიარება და ჩვენება სასამართლოში მტკიცებულების სახითაა წარდგენილი’.

ბრენანის საქმეში (2001 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება) სასამართლომ გაიმეორა:

‘თუმცა მე-6 მუხლი, ჩვეულებრივ, მოითხოვს, რომ ბრალდებულს საშუალება ჰქონდეს, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით პოლიციაში დაკითხვის ადრეული ეტაპიდანვე, ეს უფლება, რომელიც კონვენციაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, საპატიო მიზეზის შემთხვევაში შეიძლება გარკვეულ შეზღუდვას დაექვემდებაროს’.

სასამართლომ ასევე დასძინა:

‘დაკითხვის (გასაუბრების) ჩანერა პოლიციის არამართებული ქცევისაგან დაცვის საშუალებაა, ისევე, როგორც ეჭვმიტანილის ადვოკატის დასწრება. თუმცა არ მიიჩნევა, რომ ეს წინაპირობა ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფს სამართლიანობას კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით’.

## ბანმართება და დასკვნები

ზემოაღნიშნული საერთაშორისო ტექსტების განხილვა ნათლად უჩვენებს, რომ საჯარო პროკურორს შეუძლია აქტიური როლი შეასრულოს დანაშაულის გამოძიების პროცესში, ხოლო იქ, სადაც პროკურორი ამას აკეთებს, მან ამ როლის შესრულებისას ადამიანის უფლებები უნდა დაიცვას. ზოგადად, საჯარო პროკურორმა უნდა შეამოწმოს პოლიციის მიერ წარმოებული გამოძიების კანონ-

ნიერება, ასევე მონიტორინგი უნდა განახორციელოს პოლიციის მიერ ადამიანის უფლებების დაცვაზე.

როგორც ვნახეთ, გამოძიების პროცესში პროკურორის როლი შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. პირველი, პროკურორმა, მისთვის ეროვნულ დონეზე მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს პოლიციის მიერ წარმოებული გამოძიების პროცესში პირის პირადი ცხოვრების უკანონო დარღვევისაგან დაცვა. მეორე, პროკურორმა, მისთვის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს, რომ პოლიციის მიერ წარმოებული დაკითხვის პროცესში პირის მიმართ გამოყენებული არ იქნეს წამება ან სხვა არასათანადო მოპყრობა მისგან აღიარების იძულებით მიღების ან სხვა მიზნით. გარდა ამისა, პროკურორმა არასდროს არ უნდა გამოიყენოს მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის გამოყენებით. ამ ფონზე ასევე მნიშვნელოვანია “*nemo tenetur*”-ის წესი: პოლიციაში დაკითხვისას პირს აქვს დუმილის უფლება და უფლება ჩვენება არ მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ.

# ადამიანის უფლებები დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის დროს

## შესაბამისი ტექსტები გაეროს დონეზე

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია დაკავებასთან და წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებულ მრავალ პრინციპს შეიცავს. საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლი აცხადებს:

‘ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება’.

წამების და სხვა არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა მე-5 მუხლშია ნახსენები:

‘არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას’.

მე-9 მუხლი დაკავებასთან და დაპატიმრებასთან დაკავშირებულ დებულებებს აყალიბებს:

‘არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას, დაპატიმრებას ან გაძევებას’.

დაკავების ან წინასწარი პატიმრობის დროს ადამიანის უფლებათა მიმართ იგივე დამოკიდებულება აქვს საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. მე-7 მუხლი კრძალავს წამებას და სხვა არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას:

‘არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. კერძოდ, არც ერთ პირზე, მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება’.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლი წინასწარი პატიმრობის შესახებ აცხადებს:

‘ყველა თავისუფლებაა დაცული პირს უფლება აქვს ჰუმანურად მოექცენ და პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას’.

ამის შემდეგ, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტი ადგენს:

‘ბრალდებული პირები, გარდა გამონაკლისი გარემოებებისა, განცალკევებული უნდა იყვნენ მსჯავრდებულებისაგან და უნდა ექვემდებარებოდნენ ცალკე რეჟიმს, რომელიც არამსჯავრდებულთა სტატუსს შეესაბამება;’

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის “g” ქვეპუნქტი “nemo tenetur”- ის (უფლება იძულებით არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ) წესზე მიუთითებს:

‘ყოველ პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს (...) არავინ აიძულოს, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ, ან აღიაროს დანაშაული’.

## წამების სწავლის საფუძვლიანი პრინციპები

ვინაიდან თავისუფლებააღკვეთილი ადამიანები მოწყვლად მდგომარეობაში არიან, წამებისა და არასათანადო მოპყრობის დაუშვებლობა დაკავებულ პირთა მიმართ მოპყრობის სტანდარტების წარმმართველი პრინციპია. დაპატიმრებული ადამიანების მიმართ, მათგან აღიარების იძულებით მიღების ან ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, ხშირად იყენებენ წამებას ან არასათანადო მოპყრობას. აქედან გამომდინარე, ასეთი გზით მოპოვებული მტკიცებულება უნდა გამოირიცხოს, ხოლო წამებასთან დაკავშირებული განცხადება სრულყოფილად უნდა იქნეს გამოძიებული.

ამ თვალსაზრისით, პროკურორებისათვის ფრიად საგულისხმო დებულებებს შეიცავს გაეროს 1984 წლის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ. ყველაზე რელევანტურია მე-2 მუხლი, რომელიც აცხადებს:

1. ‘თითოეული მონაწილე სახელმწიფო ახორციელებს ეფექტიან საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სასამართლო ან სხვა ღონისძიებებს მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე წამების აქტების თავიდან ასაცილებლად.
2. არავითარი განსაკუთრებული გარემოებით, როგორც უნდა იყოს იგი, იქნება ეს საომარი მდგომარეობა თუ ომის საფრთხე, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა საგანგებო მდგომარეობა, არ შეიძლება წამების გამართლება.
3. ზემდგომი უფროსის ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ბრძანება არ შეიძლება იყოს წამების გამართლებელი საფუძველი’.

ამ საკითხს მე-4 მუხლი ასე აშუქებს:

1. ‘თითოეული მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ წამების ყველა აქტი, მისი სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე, განიხილებოდეს, როგორც დანაშაული. იგივე ეხება წამების მცდელობას და ნებისმიერი პირის მოქმედებას, რომელიც თავისი არსით არის წამებაში თანამონაწილეობა ან მონაწილეობა.
2. თითოეული მონაწილე სახელმწიფო განსაზღვრავს შესაბამის სასჯელს ასეთი დანაშაულებისათვის, მათი ხასიათის სიმძიმის გათვალისწინებით’.

მე-15 მუხლი მოითხოვს წამების შედეგად მიღებული მტკიცებულების გამო-რიცხვას:

‘თითოეული მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც, როგორც დადგინდა, გაკეთებული იყო წამების შედეგად, არ იქნეს გამოყენებული მტკიცებულებად ნებისმიერი სასამართლო განხილვის დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი გამოიყენება იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება წამება, როგორც მტკიცება იმისა, რომ ეს განცხადება გაკეთდა’.

## შესაბამისი ტექსტები რეპრონულ დონეზე

### ევროპა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კრძალავს წამებას და სხვა არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას:

‘არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას’.

სრულიად ბუნებრივია, რომ წამების მიმართ იგივე დამოკიდებულებაა ევროპის კავშირის დონეზე. ევროპის კავშირში ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-4 მუხლი ძალზე მკაფიოდ აცხადებს:

‘არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას’.

### აფრიკა

დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის დროს ადამიანის უფლებები ასევე ნახსენებია ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკულ ქარტიაში. ამ კონტექსტში რელევანტურია წამების აკრძალვა, რომელიც მე-5 მუხლითაა დადგენილი:

‘ყოველ პირს აქვს უფლება, პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას და აღიარონ მისი სამართლებრივი სტატუსი. აკრძალულია ადამიანის ექსპლუატაცია ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ნებისმიერი ფორმა, განსაკუთრებით მონებით ვაჭრობა, წამება, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი დასჯა ან მოპყრობა’.

### არაბული სამყარო

ისლამში ადამიანის უფლებათა კაიროს დეკლარაცია უზრუნველყოფს სხეულის დაზიანებისაგან დაცვას და მის დაცვას სახელმწიფოს ავალეებს, რაც მე-2 მუხლის “d” ქვეპუნქტშია განსაზღვრული:

‘სხეულის დაზიანებისაგან დაცვა გარანტირებული უფლებაა. სახელმწიფოს მოვალეობაა, დაიცვას იგი და მისი დარღვევა აკრძალულია შარიათით განსაზღვრული მიზეზის გარეშე’.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისაა მე-20 მუხლი, რომელიც თვითნებურ დაკავებას და დაკავებულ პირთა მიმართ სასტიკ მოპყრობას კრძალავს. ეს მუხლი კრძალავს ამ დებულებებისგან გადახვევას თვით საგანგებო სიტუაციების დროს. იგი აცხადებს:

‘დაუშვებელია მართლზომიერი მიზეზის გარეშე პირის დაკავება, ან მისი თავისუფლების შეზღუდვა, გაძევება ან დასჯა. დაუშვებელია პირი დაექვემდებაროს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ წამებას ან არასათანადო, სასტიკი ან უპატივცემულო მოპყრობის რაიმე ფორმას. ასევე დაუშვებელია პირზე სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება მისი თანხმობის გარეშე ან მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნით. ასევე დაუშვებელია საგანგებო კანონის გამოცხადება, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ასეთი მოქმედებების განხორციელების საშუალებას აძლევს’.

## ამერიკის კონტინენტები

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-5 მუხლი (ადამიანური მოპყრობის უფლება) შეიცავს დებულებებს, რომლებიც საჯარო პროკურორებმა დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის დროს უნდა გაითვალისწინონ. შესაბამისი დებულებები აცხადებს:

1. ‘ყოველ ადამიანს აქვს უფლება, პატივი სცენ მის ფიზიკურ, ფსიქიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას.
2. არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ დასჯას ან მოპყრობას. ყველა თავისუფლებაა დაცული პირს უნდა მოეპყრონ ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსების პატივისცემით. (...)
3. ბრალდებული პირები, გარდა გამონაკლისი გარემოებებისა, განცალკევებული უნდა იყვნენ მსჯავრებული პირებისაგან და უნდა ექვემდებარებოდნენ ცალკე რეჟიმს, რომელიც არამსჯავრდებულ პირთა სტატუსს შეესაბამება’.

## რბილი საერთაშორისო სამართალი

### გაეროს დონე

გაეროს 1955 წლის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები უდანაშაულობის პრეზუმფციას აღიარებს 84(2) წესში:

‘მსჯავრდაუდებელი პატიმარი ითვლება უდანაშაულოდ და მას შესაბამისად უნდა მოექცნენ’.

წესი 85(1) უდანაშაულობის პრეზუმფციის მნიშვნელოვან შედეგზე მიუთითებს:

‘მსჯავრდაუდებელი პირები განცალკევებული უნდა იყვნენ მსჯავრდებულ პირებისაგან’.

სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევის გაეროს კოდექსი, რომელიც 1979 წელს მიიღეს, მრავალ დებულებაში ამახვილებს ყურადღებას სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა მოქმედებაზე იმ პირთა მიმართ, რომლებზედაც ისინი პასუხისმგებელნი არიან. დოკუმენტში არის მუხლები კომენტარებით. 1-ლი მუხლი, სადაც სამართალდამცავთა ზოგადი პასუხისმგებლობებია განსაზღვრული, აცხადებს:

‘სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირები განუხრელად ასრულებენ მათთვის კანონით დაკისრებულ მოვალეობას, ემსახურებიან საზოგადოებას და იცავენ ყველა პირს უკანონო მოქმედებებისაგან, მათი პროფესიით მოთხოვნილი პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხის შესაბამისად’.

1-ლ მუხლზე გაკეთებული კომენტარი განმარტავს, ვის მოიცავს ტერმინი “სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირი”:

‘ტერმინი “სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირი” მოიცავს ყველა დანიშნულ თუ არჩეულ თანამდებობის პირს, რომელსაც საპოლიციო უფლებამოსილებებთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელების უფლება აქვს, განსაკუთრებით დაკავებისა ან დაპატიმრებისა’.

ზოგიერთ იურისდიქციაში ეს განმარტება შესაძლოა საჯარო პროკურორებსაც მოიცავდეს, ხოლო, ჩვეულებრივ, ყველა იურისდიქციაში ისინი სამართალდამცავ მუშაკებთან ერთად მუშაობენ.

მე-2 მუხლი სამართალდამცავი მუშაკების მიერ ადამიანის უფლებების დაცვას მოითხოვს:

‘სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირები თავიანთი მოვალეობის შესრულებისას პატივს სცემენ და იცავენ ადამიანის ღირსებას და ყველა პირის ადამიანის უფლებებს’.

წამების აკრძალვა და მისგან ნებისმიერ გარემოებაში გადახვევის დაუშვებლობა მე-5 მუხლშია ნახსენები:

‘სამართალდამცავი ორგანოების არც ერთ თანამდებობის პირს არ შეუძლია განახორციელოს, წააქეზოს ან შეეგუოს ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც არის წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა, ასევე არც ერთმა თანამდებობის პირმა არ უნდა გაამართლოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა ზემდგომი პირის ბრძანებაზე მითითებით, ან ისეთი გამონაკლისი გარემოებით, როგორცაა საომარი მდგომარეობა ან ომის საფრთხე, ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდ-



გარი საშიშროება, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან რაიმე სხვა საგანგებო მდგომარეობა’.

მე-5 მუხლის კომენტარი უფრო სიღრმისეულად განსაზღვრავს რა არის ნამება და არასათანადო მოპყრობა:

a) ‘ეს აკრძალვა გამომდინარეობს გენერალური ასამბლეის დეკლარაციიდან *ყველა პირის დაცვის შესახებ არ დაექვემდებარონ ნამებას და სხვა სასტიკ ან არაადამიანურ მოპყრობას ან დასჯას*, რომლის შესაბამისად: “[ასეთი ქმედება] არის ადამიანის ღირსების შელახვა და იგი დაგმობილ უნდა იქნეს, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნების უარყოფა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევა, რომელიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია [და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში] გაცხადებული.”

b) დეკლარაციაში ნამება შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

“...ნამება ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც პირს აყენებენ ძლიერ ტვივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს თუ ფსიქიკურს, რომელსაც განზრახ ახორციელებს სახელმწიფო თანამდებობის პირი ან ხდება მისი ნაქეზებით, ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა პირისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მიღება, მისი დასჯა ქმედებისთვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე მისი ან მესამე პირის დაშინება. იგი არ გულისხმობს ტვივილს ან ტანჯვას, რომელიც წარმოიშობა მხოლოდ კანონიერ სანქციათა შედეგად, ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მათგან გამონეული და რომლის ფარგლები შეესაბამება პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებს”.

c) “ტერმინი “სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა” გენერალური ასამბლეის მიერ განსაზღვრული არ არის, მაგრამ იგი იმგვარად უნდა იქნეს განმარტებული, რომ მაქსიმალურად მოიცავს შეურაცხყოფელი მოპყრობისაგან დაცვა, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქიკური”

მე-6 მუხლი სამართალდამცავი პირების მიერ დაპატიმრებულ პირთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს ეხება:

‘სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირები უზრუნველყოფენ მათ მიერ დაპატიმრებული პირების ჯანმრთელობის სრულ დაცვას და, კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, სასწრაფო ზომებს იღებენ მათთვის სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად’.

შემდგომი კომენტარი ამ მუხლის რამდენიმე ასპექტზე ვრცელდება:

a. “სამედიცინო დახმარება”, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი სამედიცინო პერსონალის მიერ განეულ მომსახურებას, სათანადო სერტიფიკატის მქონე ექიმი პრაქტიკოების და დამხმარე მედპერსონალის ჩათვლით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საჭიროების შემთხვევაში და მოთხოვნის საფუძველზე.

- b. როდესაც გათვასლინინებულია სამართალდაცვის ოპერაციაში სამედიცინო პერსონალის ჩართვა, სამართალდამცავმა მუშაკებმა უცილობლად უნდა გაითვალისწინონ ასეთი პერსონალის მოსაზრება, როდესაც ისინი საჭიროდ მიიჩნევენ, მკურნალობა ჩატარებულ იქნეს სამედიცინო პერსონალის მიერ, რომელიც სამართალდაცვის ოპერაციაში ჩართული არ არის, ან მასთან კონსულტაციით.
- c. ასევე მოითხოვება, რომ სამართალდამცავმა მუშაკებმა სამედიცინო დახმარება უზრუნველყონ კანონის დარღვევის შედეგად ან კანონის დარღვევით გამოწვეული უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებულ პირთათვის’.

და ბოლოს, კოდექსი შეიცავს დებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია სამართალდამცავი მუშაკების ვალდებულებასთან, მოხსენება გააკეთონ ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ. მე-8 მუხლი აცხადებს:

‘სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირები პატივს სცემენ კანონს და ამ კოდექსს. ისინი ასევე თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმალურ ფარგლებში აღკვეთენ და ენერგიულად ეწინააღმდეგებიან მათ ნებისმიერ დარღვევას.

სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირები, რომლებსაც აქვთ საფუძველი მიაჩნდეთ, რომ დაირღვა ეს კოდექსი ან მოსალოდნელია მისი დარღვევა, აღნიშნულის შესახებ ატყობინებენ ზემდგომ ინსტანციებს, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, სხვა შესაბამის ინსტანციებს ან ორგანოებს, რომლებსაც ზედამხედველობის ან სამართლებრივი კონტროლის უფლებამოსილება აქვთ’.

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა, თავის 1992 წლის №20 ზოგად კომენტარში რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი კომენტარი გააკეთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლზე, სადაც უფრო დეტალური დებულებებია მოცემული დაპატიმრებულ პირთა მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებით. კომენტარში ნათქვამია:

1. ‘ეს ზოგადი კომენტარი ცვლის მე-7 ზოგად კომენტარს (1982 წელი, მე-თექვსმეტე სესია), ასახავს ამ უკანასკნელის შინაარსს და კიდევ უფრო ავითარებს მას.
2. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი მიზნად ისახავს როგორც პირის ღირსების, ისე მისი ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის დაცვას. მონაწილე სახელმწიფო მოვალეა, საკანონმდებლო თუ სხვა ღონისძიებების მეშვეობით, უზრუნველყოს ყოველი ადამიანის დაცვა მე-7 მუხლით აკრძალული მოქმედებებისაგან, იმის მიუხედავად, ამ მოქმედებებს სჩადიან პირები, რომლებიც მოქმედებენ თავიანთი ოფიციალური უფლებამოსილების ფარგლებში, ასეთი უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ თუ როგორც კერძო პირები. მე-7 მუხლის აკრძალვას ემატება პაქტის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული პოზიტიური მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებს შემდეგს: “ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს უფლება აქვს მოეპყრონ ჰუმანურად და პატივი სცენ პიროვნებისთვის დამახასიათებელ ღირსებას”.

3. მე-7 მუხლის ტექსტი რაიმე შეზღუდვის უფლებას არ იძლევა. კომიტეტი ასევე ადასტურებს, რომ თვით საგანგებო მდგომარეობების დროს, რომლებზედაც პაქტის მე-4 მუხლშია საუბარი, მე-7 მუხლიდან გადახვევა დაუშვებელია და მისი დებულებები ძალაში უნდა დარჩეს. სწორედ ასევე, კომიტეტს მიაჩნია, რომ ნებისმიერი მიზეზით მე-7 მუხლის დარღვევის გასამართლებლად არ შეიძლება საფუძვლად მოტანილ იქნეს რაიმე გამამართლებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება, ზემდგომი თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ბრძანების ჩათვლით.
4. პაქტში განსაზღვრული არ არის მე-7 მუხლში მოცემული რომელიმე ცნება და არც კომიტეტს მიაჩნია საჭიროდ შეიმუშაოს აკრძალულ მოქმედებათა ნუსხა ან ზუსტი ზღვარი დაადგინოს დასჯის თუ მოპყრობის სხვადასხვა ფორმებს შორის; ზღვარი დამოკიდებულია გამოყენებული მოპყრობის ბუნებაზე, მიზანსა და სისასტიკეზე.
5. მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა დაკავშირებულია არა მხოლოდ ფიზიკური ტკივილის გამომწვევ მოქმედებებთან, არამედ ასევე დაზარალებულის ფსიქიკური ტანჯვის გამომწვევ მოქმედებებთან. გარდა ამისა, კომიტეტის აზრით, აკრძალვა უნდა გავრცელდეს ფიზიკურ დასჯაზე, მათ შორის, გადაჭარბებულ ცემაზე, რომელიც ხორციელდება მითითების საფუძველზე, როგორც სასჯელი დანაშაულისთვის ან როგორც აღმზრდელობითი ან დისციპლინური ღონისძიება. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ მე-7 მუხლი, კერძოდ, იცავს ბავშვებს, მოსწავლეებსა და პაციენტებს სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებში.
6. კომიტეტი აღნიშნავს, რომ დაპატიმრებული ან თავისუფლებააღკვეთილი პირის დიდი ხნით სამართლო საკანში მოთავსება შეიძლება მე-7 მუხლით აკრძალული მოქმედების ტოლფასი იყოს. როგორც კომიტეტმა თავის №6 (16) ზოგად კომენტარში აღნიშნა, პაქტის მე-6 მუხლი ზოგადად მიუთითებს სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე ისეთი გამოთქმებით, რომლებიც მტკიცედ გულისხმობს, რომ ასეთი გაუქმება სასურველია. გარდა ამისა, როდესაც რომელიმე სახელმწიფო ყველაზე სერიოზული დანაშაულებისთვის სიკვდილით დასჯას იყენებს, იგი არა მხოლოდ მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული მე-6 მუხლის შესაბამისად, არამედ ასევე სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი ისეთი სახით, რომელიც რაც შეიძლება მინიმალურ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს.
7. მე-7 მუხლი მკაფიოდ კრძალავს სამედიცინო და სამეცნიერო ცდების ჩატარებას პირის ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მონაწილე სახელმწიფოთა მოხსენებები ამ საკითხზე ძირითადად ძალზე მცირე ინფორმაციას შეიცავს. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ამ დებულების დაცვისთვის საჭირო მოთხოვნებისა და საშუალებების უზრუნველყოფას. კომიტეტი ასევე მიიჩნევს, რომ ასეთი ცდების კონტექსტში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პირებს, რომლებსაც კანონით გათვალისწინებული თანხმობის მიცემა არ შეუძლიათ, კერძოდ, მათ, ვინც რაიმე ფორმით არის დაპატიმრებული ან თავისუფლებააღკვეთილი. ასეთ პირებზე არ უნდა ჩატარდეს რაიმე სახის სამედიცინო ან სამეცნიერო ცდები, რომლებმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მათ ჯანმრთელობას.

8. კომიტეტის აზრით, მონაწილე სახელმწიფოებმა პირს არ უნდა შეუქმნან წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საფრთხე მათი სხვა ქვეყანაში დაბრუნებისას, როდესაც ეს ხდება ექსტრადიციის, გაძევების ან დაბრუნების (refoulement) გზით. მონაწილე სახელმწიფოებმა თავიანთ მოხსენებებში უნდა აღნიშნონ, რა ღონისძიებები აქვთ მათ შემუშავებული ამ მიზნით.
9. კომიტეტს უნდა აცნობონ, როგორ ავრცელებენ მონაწილე სახელმწიფოები ფართო საზოგადოებაში ინფორმაციას მე-7 მუხლით აკრძალული წამებისა და მოპყრობის ფორმების შესახებ. სამართალდამცავი მუშაკები, სამედიცინო პერსონალი, პოლიციის მუშაკები და სხვა პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან ნებისმიერი სახით დაკავებული, დაპატიმრებული ან თავისუფლებადკვეთილი პირების ტუსალობის პირობებთან ან მათ მიმართ მოპყრობასთან, უნდა ლებულობდნენ შესაბამის მითითებებს და გადიოდნენ სათანადო მომზადებას. მონაწილე სახელმწიფოებმა კომიტეტს უნდა აცნობონ მიწოდებული მითითებებისა და განხორციელებული მომზადების შესახებ და იმ გზის შესახებ, რომლითაც მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვა ოპერატიული პროცედურებისა და ეთიკური სტანდარტების განუყოფელ ნაწილადაა აღიარებული, რომელიც ამ ადამიანებმა უნდა დაიცვან.
10. აღწერილი ზომების გარდა, რომლებიც მე-7 მუხლით აკრძალული მოქმედებებისაგან დაცვას უზრუნველყოფს, რომლის უფლებაც ყველას აქვს, მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დეტალური ინფორმაცია განსაკუთრებით მოწყვლადი პირების სპეციალური დაცვის მექანიზმების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ დაკითხვის წესების, ინსტრუქციების, მეთოდებისა და პრაქტიკის, ასევე ნებისმიერი ფორმით დაკავებული, დატუსალებული ან დაპატიმრებული პირის პატიმრობის პირობებისა და მისდამი მოპყრობის სქემების სისტემატური კონტროლი წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევების თავიდან აცილების ეფექტიანი საშუალებაა. პატიმრობაში მყოფ პირთა ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მიღებულ იქნეს ზომები, რათა ისინი იმყოფებოდნენ ადგილებში, რომლებიც ოფიციალურადაა აღიარებული საპატიმრო ადგილად, ხოლო მათი გვარები და პატიმრობის ადგილსამყოფელი, ისევე როგორც მათ პატიმრობაზე პასუხისმგებელ პირთა გვარები, მითითებული უნდა იყოს რეესტრში, რომელზედაც ხელი მიუწვდებათ დაინტერესებულ პირებს, ნათესავებისა და მეგობრების ჩათვლით. ამავე მიზნით უნდა დაფიქსირდეს ყველა დაკითხვის დრო და ადგილი, ასევე დაკითხვაზე დამსწრე პირთა გვარები და ეს ინფორმაციაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასამართლო და ადმინისტრაციული განხილვის მიზნებისთვის. ასევე მიზნაშენილია მიღებულ იქნეს ზომები რათა აკრძალოს პირთა პატიმრობა მიმონერისა და ურთიერთობის უფლების ჩამორთმევით (incommunicado detention). ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არც ერთ საპატიმრო ადგილას არ დამონტაჟდეს რაიმე მონყობილობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს წამებისათვის და არასათანადო მოპყრობისათვის. პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვა ასევე ითვალისწინებს დროულ და რეგულარულ ხელმისაწვდომობას ექიმებსა

და ადვოკატებზე, ასევე ოჯახის წევრებზე, სათანადო კონტროლით, თუ ამას გამოძიების ინტერესები მოითხოვს.

11. მე-7 მუხლის დარღვევების წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვანია, რომ კანონი კრძალავდეს წამების ან მოპყრობის სხვა აკრძალული სახეების გამოყენებით მიღებული განცხადებების ან აღიარებების სასამართლო პროცესზე გამოყენებას ან დაშვებას.
12. მონაწილე სახელმწიფოებმა, თავიანთი მოხსენებების წარდგენისას უნდა მიუთითონ თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობის დებულებები, რომლებიც კრძალავს წამებას და სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას და დასჯას, და უნდა აღნიშნონ სასჯელის რა ზომები მიიღება ასეთი მოქმედებებისთვის, რომლებსაც სწადიან ოფიციალური პირები ან სახელმწიფოს სახელით მოქმედი სხვა პირები, ან კერძო პირები. პირებს, რომლებიც მე-7 მუხლს არღვევენ აკრძალული ქმედებების ხელშეწყობით, ბრძანების გაცემით, შეგუებით ან თავად სწადიან ასეთ ქმედებებს, უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა. შესაბამისად, პირები, რომლებიც უარს აცხადებენ ბრძანების შესრულებაზე, არ უნდა დაექვემდებარონ დასჯას ან რაიმე სხვა სახის არასასურველ მოპყრობას.
13. მე-7 მუხლი განხილულ უნდა იქნეს პაქტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტთან კავშირში. მონაწილე სახელმწიფოებმა თავიანთი მოხსენებებში უნდა მიუთითონ, თუ როგორ უზრუნველყოფს პრაქტიკაში მათი სამართლებრივი სისტემა მე-7 მუხლით აკრძალული მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, ასევე მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობას. შიდასახელმწიფო კანონმდებლობაში აღიარებული უნდა იყოს მე-7 მუხლით აკრძალულ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრის შეტანის უფლება. საჩივრები უნდა განიხილებოდეს დაუყოვნებლივ და მიუკერძოებლად კომპეტენტური ორგანოების მიერ, რათა უზრუნველყოფდეს იქნეს სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებების ეფექტიანობა. მონაწილე სახელმწიფოთა მოხსენებები უნდა შეიცავდეს კონკრეტულ ინფორმაციას სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ, რომელზედაც ხელი მიუწვდებათ არასათანადო მოპყრობის შედეგად დაზარალებულ პირებს, და იმ პროცედურების შესახებ, რომლებიც მომჩივანმა უნდა დაიცვას, ასევე სტატისტიკურ მონაცემებს საჩივრების რაოდენობისა და განხილვის შედეგების შესახებ.
14. კომიტეტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთმა სახელმწიფომ წამების აქტებთან დაკავშირებით ამნისტია გამოაცხადა. ამნისტია, ჩვეულებრივ, შეუსაბამოა სახელმწიფოს ვალდებულებასთან, აწარმოოს ასეთ მოქმედებათა გამოძიება, უზრუნველყოს თავისუფლება ასეთი აქტებისაგან თავისი იურისდიქციის ფარგლებში და უზრუნველყოს, რომ ისინი მომავალში არ განმეორდეს. სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, პირებს წართვან დაცვის რომელიმე საშუალების ეფექტიანად გამოყენების უფლება, კომპენსაციის და ისეთი სრული რეაბილიტაციის ჩათვლით, რომელიც შესაძლებელი იქნება'.

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა კომენტარები ასევე გააკეთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლზე. კერძოდ, მე-7

მუხლთან დაკავშირებით, რომელიც წამებას და სხვა არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას კრძალავს. 1994 წლის №21 ზოგად კომენტარში უფრო დეტალური დებულებებია მოცემული თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ მოპყრობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა შემდეგი პუნქტები:

2. 'სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი მიესადაგება ნებისმიერ პირს, რომელსაც თავისუფლება კანონის შესაბამისად და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ აქვს აღკვეთილი, რომლებიც არიან ციხეებში, საავადმყოფოებში — კერძოდ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, – ინტერნირებულ პირთა ბანაკებში ან გამოსასწორებელ დაწესებულებებში, ან სხვა ადგილებში. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ აღნიშნული მუხლით დადგენილი პრინციპის დაცვა თავიანთი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში სადაც აღნიშნული პირები იმყოფებიან.
3. მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი მონაწილე სახელმწიფოებს პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში არიან იმის გამო, რომ თავისუფლება აქვთ აღკვეთილი, და მათთვის ავსებს პაქტის მე-7 მუხლით განსაზღვრული წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის შესახებ დებულებებს. ამრიგად, თავისუფლებააღკვეთილი პირები არა მხოლოდ არ შეიძლება დაექვემდებარონ მე-7 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას, სამედიცინო და სამეცნიერო ხასიათის ცდების ჩათვლით, არამედ ასევე არ უნდა განიცდიდნენ სხვა სიძნელებებსა თუ შეზღუდვებს, იმათ გარდა, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის შედეგია; ამ პირთა ღირსების პატივისცემა ისეთივე ხარისხით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, როგორც თავისუფლებაში მყოფი პირების. თავისუფლებააღკვეთილი პირები პაქტით დადგენილი ყველა უფლებით სარგებლობენ, იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც გარდაუვალია დახურულ გარემოში.
4. ყველა თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ ჰუმანური მოპყრობა, მათი ღირსების პატივისცემით, ფუძემდებლური და საყოველთაოდ გამოსაყენებელი წესია. ამიტომ მისი გამოყენება, სულ მცირე, არ უნდა იყოს დამოკიდებული მატერიალურ რესურსებზე, რომლებიც სახელმწიფოს აქვს. ეს წესი გამოყენებულ უნდა იქნეს რაიმე განსხვავების გარეშე, როგორცაა რასა, ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრება, ეროვნება ან სოციალური წარმოშობა, ქონება, წარმომავლობა თუ სხვა მდგომარეობა.
5. მონაწილე სახელმწიფოებს სთავაზობენ, თავიანთ მოხსენებებში მიუთითონ, რა ფარგლებში იყენებენ ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დადგენილ ნორმებს, რომლებიც პატიმრობაში მყოფ პირთა მიმართ მოპყრობას ეხება: *პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (1957 წელი)*, *ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპების ნაკრები (1988 წელი)*, *სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი (1978 წელი)* და *სამედიცინო ეთიკის პრინციპები, რომელიც დაკავშირებულია მედიცინის*

*მუშაკთა, განსაკუთრებით ექიმების როლთან პატიმართა და დაკავებულთა წამებისაგან ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისგან ან დასჯისგან დაცვაში (1982 წელი). (...)*

პატიმართა და დაკავებულთა ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელი ჯანდაცვის მუშაკებისათვის მსგავსი დებულებები ასევე მოცემულია გაეროს 1982 წლის დოკუმენტში *სამედიცინო ეთიკის პრინციპები, რომელიც დაკავშირებულია მედიცინის მუშაკთა, განსაკუთრებით ექიმების როლთან პატიმართა და დაკავებულთა წამებისაგან ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისგან ან დასჯისგან დაცვაში*. დაკავებისა და წინანარი პატიმრობის დროს განსაკუთრებით საგულისხმოა შემდეგი პრინციპები:

## პრინციპი 1

ჯანდაცვის მუშაკები, განსაკუთრებით ექიმები, რომლებიც პატიმრებისა და დაკავებული პირების სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფენ, ვალდებული არიან დაიცვან მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა და უზრუნველყონ დაავადებათა მკურნალობა იმავე ხარისხითა და დონით, რომლითაც უზრუნველყოფენ პირებს, რომლებიც დაპატიმრებული ან დაკავებული არ არიან.

## პრინციპი 2

მედიცინის მუშაკები, განსაკუთრებით ექიმები, უხეშად არღვევენ სამედიცინო ეთიკას, ასევე სწადიან დანაშაულს მოქმედი საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად, თუ ისინი აქტიური ან პასიური მოქმედებით მონაწილეობენ ან თანამონაწილენი არიან წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი და დასჯის ქმედებების, აქეზებენ ასეთი ქმედებებისკენ, ან აქვთ ასეთი ქმედებების მცდელობა’.

როლი, რომელიც სამედიცინო პერსონალს შეუძლია დაკითხვის პროცესში შეასრულოს, მე-4 პრინციპშია აღწერილი. პროკურორებმა უდავოდ უნდა გაითვალისწინონ ეს დებულება:

‘ჯანდაცვის მუშაკები, განსაკუთრებით ექიმები, სამედიცინო ეთიკას არღვევენ თუ ისინი:

- a. თავიანთ ცოდნასა და უნარს იყენებენ პატიმართა და დაკავებულთა დაკითხვის ხელშესაწყობად, ისეთი გზით, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ასეთ პატიმართა ან დაკავებულთა ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას ან მდგომარეობას და ეწინააღმდეგება შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებს;
- b. ადასტურებენ ან მონაწილეობას იღებენ იმის დადასტურებაში, რომ დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას იძლევა, ისინი დაექვემდებარონ ნებისმიერი სახის მოპყრობას ან დასჯას, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება

იქონიოს მათ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და რომელიც არ შეესაბამება სათანადო საერთაშორისო დოკუმენტებს, ან რაიმე სხვა ფორმით იღებენ მონაწილეობას ასეთ მოპყრობაში ან დასჯაში, რომელიც არ შეესაბამება შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებს’.

გაეროს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია 1990 წლის სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ. ეს დოკუმენტი პროკურორებისაგან მოითხოვს სათანადო ღონისძიებები განახორციელონ ადამიანის უფლებების დარღვევებში დამნაშავე ოფიციალურ პირთა მიმართ. მე-15 პუნქტი აცხადებს:

‘პროკურორები ჯეროვან ყურადღებას უთმობენ სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სისხლისსამართლებრივ დევნას, კერძოდ, კორუფციის, თანამდებობის ბოროტად გამოყენების, ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის და საერთაშორისო სამართლით აღიარებული სხვა დანაშაულებისა, ხოლო იქ, სადაც ეს კანონითაა ნებადართული ან ადგილობრივ პრაქტიკას შეესაბამება, – ასეთი დანაშაულის გამოძიებას’.

ამის შემდეგ მე-16 პუნქტი პროკურორისგან მოითხოვს, გამორიცხოს არამართლზომიერი მეთოდებით მოპოვებული მტკიცებულება, რაც ეჭვმიტანილის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა და საჭირო ზომები მიიღოს ასეთი მეთოდების გამოყენებაზე პასუხისმგებელ პირთა მიმართ:

‘როდესაც პროკურორები ლეზულობენ ეჭვმიტანილის სანინაალმდეგო მტკიცებულებას, რომლის შესახებაც იციან ან საკმაო საფუძველი აქვთ ირწმუნონ, რომ იგი უკანონო მეთოდებითაა მოპოვებული, რაც ეჭვმიტანილის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა, განსაკუთრებით, თუ მისი მოპოვების დროს გამოყენებულ იქნა წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა, ან ადამიანის უფლებების დარღვევის რაიმე სხვა ფორმა, ისინი უარს ამბობენ ასეთი მტკიცებულების გამოყენებაზე ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც ასეთი მეთოდები გამოიყენეს, ან, შესაბამისად, აცნობებენ სასამართლოს და საჭირო ზომებს იღებენ ასეთი მეთოდების გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის მიზნით’.

და ბოლოს, პატიმრობის ადგილებთან დაკავშირებულ დებულებებს შეიცავს გაეროს 1992 წლის დეკლარაცია ყველა პირის იძულებით გაუჩინარებისაგან დაცვის შესახებ. მისი მე-9 და მე-10 მუხლები ადგენს:

## მუხლი 9

1. ნებისმიერ გარემოებაში იძულებით გაუჩინარების აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ზემოთ, მე-7 მუხლშია ნახსენები, აუცილებელია არსებობდეს სწრაფი და ეფექტიანი სასამართლო დაცვის გამოყენების უფლება, როგორც თავისუფლებააღკვეთილი პირის ადგილმდებარეობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის საშუალება, ან თავისუფლების აღკვეთის ბრძანების გამცემი ან ასეთი ქმედების ჩამდენი ორგანოს განსაზღვრის საშუალება.



2. ასეთი განხილვების დროს ეროვნულ კომპეტენტურ ორგანოებს ხელი მიუწვდებათ ყველა ადგილზე, სადაც მოთავსებული არიან თავისუფლებათა დაცვითი პირები, და ამ ადგილების ყველა კუთხეზე, ასევე ნებისმიერ ადგილზე, სადაც არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ შეიძლება ასეთი პირები იმყოფებოდნენ.
3. ასეთ ადგილებზე ასევე შეიძლება ხელი მიუწვდებოდეს ნებისმიერ სხვა კომპეტენტურ ორგანოს, რომელსაც ეს უფლება მინიჭებული აქვს მოცემული სახელმწიფოს კანონით ან რაიმე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის საფუძველზე, რომლის მონაწილე მხარეცაა ეს სახელმწიფო.

## მუხლი 10

1. ნებისმიერი თავისუფლებათა დაცვითი პირი მოთავსებულია ოფიციალურად აღიარებულ საპატიმრო ადგილებში და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წარდგება სასამართლო ორგანოს წინაშე დაკავებიდან მოკლე ხანში.
2. ზუსტი ინფორმაცია ასეთ პირთა დაკავების და მათი მოთავსების ადგილის ან ადგილების შესახებ, გადაყვანის ადგილების ჩათვლით, დაუყოვნებლივ ეცნობება მათი ოჯახის წევრებს, მათ ადვოკატს ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელსაც ამ ინფორმაციის მიმართ კანონიერი ინტერესი აქვს, თუ დაკავებული პირები სანაღმდეგო სურვილს არ გამოთქვამენ.
3. დაკავების ყველა ადგილას არსებობს თავისუფლებათა დაცვითი პირთა რეგულარულად განახლებადი ოფიციალური სია. გარდა ამისა, თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ზომებს ანალოგიური ცენტრალიზებული სიების შესადგენად. ინფორმაცია, რომელსაც ეს სიები შეიცავს, მიეწოდება წინა პუნქტში აღნიშნულ პირებს, ნებისმიერ სასამართლოს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს, რომელსაც ეს უფლება მინიჭებული აქვს ამ სახელმწიფოს კანონით ან რაიმე საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტით, რომლის მონაწილე მხარეებიც არიან შესაბამისი სახელმწიფოები, რომლებიც ისწრაფვიან დაადგინონ დაკავებული პირის ადგილმდებარეობა’.

## ევროპა

1987 წლის ევროპული საპატიმრო წესები (მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (87) 3 წვერი სახელმწიფოებისათვის) ძალზე მკაფიო განცხადებებს აკეთებს თავისუფლებათა დაცვითი პირთა მიმართ მოპყრობის შესახებ. 1-ლი პრინციპი ადგენს:

‘თავისუფლების აღკვეთა უნდა მიმდინარეობდეს ისეთ პირობებში და მორალურ ატმოსფეროში, რომლებიც უზრუნველყოფს პიროვნების ღირსების პატივისცემას და შეესაბამება ამ წესებს’.

## პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის პროკურორთა პროფესიული პასუხისმგებლობის, ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების სტანდარტები შეიცავს რამდენიმე შესაბამის დებულებას, რომელიც პროკურორმა წინასწარი პატიმრობის სტადიაზე უნდა გაითვალისწინოს. წამების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებაზე უარის თქმის ვალდებულება ნახსენებია მე-4 პუნქტში, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში პროკურორის როლს ეხება:

‘პროკურორები (...),

ამონებენ წარმოდგენილ მტკიცებულებას, რათა დარწმუნდნენ, რომ იგი კანონის და კონსტიტუციის შესაბამისად არის მოპოვებული;

უარს ამბობენ მტკიცებულების გამოყენებაზე, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი არამართლზომიერი მეთოდებითაა მოპოვებული, რომლებიც ეჭვმიტანილის ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევაა, განსაკუთრებით ისეთი მეთოდებით, რომლებიც წამებას ან სასატიკო მოპყრობას წარმოადგენს;’

ამის შემდეგ პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის სტანდარტები ძალზე მკაფიოდ აცხადებს:

‘პროკურორები (...) ისწრაფვიან უზრუნველყონ შესაბამისი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც ასეთი მეთოდების გამოყენებაზე არიან პასუხისმგებელნი.’

## ევროპული პრაქტიკა

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ წამების აკრძალვიდან გადახვევა დაუშვებელია თვით საგანგებო მდგომარეობის დროს. თავის გადანყვეტილებაში საქმეზე — *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (1978 წლის 18 იანვრის გადანყვეტილება) სასამართლომ 163-ე პუნქტში დაადგინა:

‘კონვენცია კატეგორიული ტერმინებით კრძალავს წამებას და არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, დაზარალებულის მოქმედების მიუხედავად. კონვენციის უმრავლესი არსებითი დებულებებისაგან და 1-ლი და მე-4 ოქმების დებულებებისაგან განსხვავებით, მე-3 მუხლში გამონაკლისის დამშვები დებულება არ არის, ხოლო მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მისგან გადახვევა დაუშვებელია საგანგებო მდგომარეობის დროსაც, როცა საფრთხე ემუქრება ერის არსებობას.’

წამებას ზოგჯერ იყენებენ დაკავებული პირისგან მტკიცებულების მოპოვების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ კონვენციაში არ არის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მსგავსი დებულება, რომელიც პირს უფლებას ანიჭებს “არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ”, სასამართლომ *სონდერსის* საქმეზე

(1996 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება) დაადგინა, რომ პირის უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, მე-6 მუხლით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ასპექტია. სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით, 68-ე პუნქტში მიუთითა:

‘პირის უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას ბრალდების მხარე ცდილობს ბრალდება დაამტკიცოს ისეთი მტკიცებულების გამოყენების გარეშე, რომელიც ძალადობრივი მეთოდით ან ბრალდებულზე ზემოქმედების გზითაა მოპოვებული, ამ უკანასკნელის ნების გარეშე. ამ თვალსაზრისით ეს უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტითაა განსაზღვრული’.

თავის შემდგომ პრეცედენტულ სამართალში სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც ამკარაა, ან არის ნიშნები, რომ მტკიცებულება წამების ან არასათანადო მოპყრობის შედეგადაა მოპოვებული, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, აწარმოოს დაუყოვნებელი და ეფექტიანი გამოძიება.

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი აცხადებს, რომ პირს თავისუფლება შეიძლება აღეკვეთოს მხოლოდ გარკვეული გარემოებების დროს, კერძოდ, “კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად”, როდესაც არსებობს “გონივრული ეჭვი”, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. საქმეზე — *ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი* (1990 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება) სასამართლომ დაადგინა, რა არის გონივრული ეჭვი. გადაწყვეტილების 32-ე პუნქტი აცხადებს:

‘ეჭვის “გონივრულობა”, რომელსაც დაკავება უნდა დაეფუძნოს, თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრებისაგან დაცვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, რომელიც მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის “ც” ქვეპუნქტშია ჩამოყალიბებული. სასამართლო ეთანხმება კომისიას და მთავრობას, რომ “გონივრული ეჭვი” ითვალისწინებს ფაქტების ან ინფორმაციის არსებობას, რომელმაც ობიექტური დამკვირვებელი უნდა დააკმაყოფილოს, რომ მოცემულმა პირმა შესაძლოა ჩაიდინა დანაშაული. თუმცა, რა ჩაითვლება “გონივრულობად”, დამოკიდებული იქნება კონკრეტული შემთხვევის ყველა გარემოებაზე’.

## ბანდარტება და დასკვნები

დაპატიმრების პროცესი დაკავებით იწყება და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონითაა განსაზღვრული. ადამიანებს მთელ მსოფლიოში აკავებენ და აპატიმრებენ ეჭვის საფუძველზე, რომ მას შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის დანაშაული. ეს ადამიანები სასამართლომდე ხშირად მძიმე პირობებში იმყოფებიან და განსაკუთრებით დაუცველი არიან წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან, რამეთუ გარე სამყაროსთან მათი კონტაქტი ხშირად შეზღუდულია.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური საერთაშორისო დოკუმენტი, დაკავებისა და წინასწარი პატიმრო-

ბის შესახებ მრავალ პრინციპს შეიცავს. გარდა ამისა, დანაშაულის აღკვეთისა და კონტროლის შესახებ სხვა მრავალი დოკუმენტი იქნა მიღებული, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს განმარტავს, აკონკრეტებს და უზრუნველყოფს.

დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის დროს საჯარო პროკურორს მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება და, აქედან გამომდინარე, თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების უზრუნველყოფაში იგი საგულისხმო როლს ასრულებს. პირები, რომლებიც ჯერ მსჯავრდებულნი არ არიან დანაშაულისთვის, რომელშიც მათ ბრალი ედებათ, უდანაშაულოდ ითვლებიან და ისინი პატიმრობის ცალკე რეჟიმს უნდა დაექვემდებარონ.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვა ჩამოყალიბებულია ყველა შესაბამის დოკუმენტში, რომელიც დაკავებასა და წინასწარ პატიმრობას ეხება. საჯარო პროკურორი ძირითად როლს ასრულებს წამებისაგან და არასათანადო მოპყრობისაგან პირის თავისუფლების უზრუნველყოფაში. პროკურორმა არა მხოლოდ უნდა გამოერიცხოს წამების გზით მოპოვებული მტკიცებულება, არამედ აგრეთვე სრული შემართებით უნდა გამოიძიოს წამებასთან დაკავშირებული ყველა განცხადება და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახორციელოს წამებაში მონაწილე პირთა მიმართ.

რა თქმა უნდა, “უდანაშაულობის პრეზუმფცია”, წინასწარი პატიმრობის ამოსავალი წერტილია. ამიტომ პატიმრობაში მყოფ პირთა მიმართ მოპყრობის დროს იგი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. თუმცა ამის შესახებ შესაბამისი საერთაშორისო დებულებები ნახსენებია ამ კრებულის თავში “ადამიანის უფლებები და სასამართლო პროცესი”.

# ადამიანის უფლებები და წინასწარი პატიმრობის პროცედურები

## შესაზამისი ტექსტები გაეროს დონეზე

დაპატიმრების პროცესი დაკავებით იწყება და იგი მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში უნდა მოხდეს. დაკავება ყოველთვის უნდა დაექვემდებაროს სასამართლო კონტროლს და ზედამხედველობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი კანონიერება. სასამართლომ უნდა შეაფასოს, არის თუ არა საჭირო პატიმრობა სასამართლო პროცესამდე. გაეროს დონეზე მრავალი დებულებაა მიღებული, რომელიც წინასწარი პატიმრობის დროს პირის უფლებებს უზრუნველყოფს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-9 მუხლი აცხადებს:

‘არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას, დაპატიმრებას ან გაძევებას’.

წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული შემდგომი პროცედურები მე-11 მუხლშია ჩამოყალიბებული:

‘ყოველ პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს უდანაშაულოდ ითვლებოდეს, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად სასამართლო პროცესზე, რომლის დროსაც მას ჰქონდა დაცვისთვის საჭირო ყველა საშუალება.’

არავის არ შეიძლება დაედოს მსჯავრი ისეთი მოქმედებისთვის ან უმოქმედობისთვის, რომელიც ჩადენის მომენტში არ იყო დანაშაული ეროვნული ან საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად. აგრეთვე დაუშვებელია იმაზე უფრო მძიმე სასჯელის შეფარდება, ვიდრე გამოყენებული იქნებოდა დანაშაულის ჩადენის დროს.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლი მსგავს დებულებებს შეიცავს 1-ლ და მე-2 პუნქტებში:

‘ყოველ პირს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ არ შეიძლება თვითნებურად დააკავონ ან დაპატიმრონ. არავის არ შეიძლება აღუკვეთონ თავისუფლება, გარდა ისეთი საფუძვლების და პროცედურების შესაბამისად, რომლებიც კანონითაა განსაზღვრული.’

თითოეულ პირს დაკავების დროს უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მიმართ წაყენებული ბრალდება’.

იგი სახელმწიფოებისაგან ასევე მოითხოვს, რომ მოსამართლეს ან სხვა უფლებამოსილ თანამდებობის პირს საშუალება ჰქონდეს, სასამართლო ხელისუფლება განახორციელოს დაკავების კანონიერების დასადგენად, ხოლო სასამართლომ განსაზღვროს პატიმრობის აუცილებლობა. მე-9 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები აცხადებს:

‘სისხლის სამართლის ბრალდებით დაკავებული ან დაპატიმრებული ყოველი პირი დაუყოვნებლივ უნდა წარდგეს მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელის წინაშე და უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლო განხილვა ან გათავისუფლება გონივრულ ვადაში. სასამართლო განხილვამდე პირის დაპატიმრება ზოგად წესად არ უნდა იქცეს, მაგრამ გათავისუფლება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით, სასამართლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე და, საჭიროების შემთხვევაში, განაჩენის აღსრულების მიზნით.

თითოეულ პირს, რომელსაც თავისუფლება აღეკვეთა დაკავების ან დაპატიმრების შედეგად, უფლება აქვს მისი საქმე განიხილოს სასამართლომ, რათა სასამართლომ დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაკავების კანონიერების შესახებ, ხოლო თუ დაკავება უკანონოა, გამოსცეს ბრძანება მისი გათავისუფლების შესახებ.

თითოეულ პირს, რომელიც უკანონო დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი გახდა, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება’.

## შესაბამისი ტექსტები რეგიონულ დონეზე

### ევროპა

წინასწარი პატიმრობის პროცედურების მიმართ იგივე დამოკიდებულება აქვს ევროპის საბჭოს. ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ძალზე მკაფიოდ აცხადებს, რომ სასამართლო ხელისუფლებამ უნდა განიხილოს დაკავების და დაპატიმრების კანონიერებისა და საჭიროების საკითხი. მე-5 მუხლი აცხადებს:

1. ‘ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელსეუხებლობის უფლება. არავის არ შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, როგორებიცაა:

- a) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება;
- b) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად

გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

- c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;
- d) არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;
- e) პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მანანნალების კანონიერი დაპატიმრება;
- f) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით.

2. ყველა დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მეზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.
3. ამ მუხლის 1-ლი "ც" ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.
4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.
5. ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება'.

ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-6 მუხლში შემდეგი დებულებაა:

‘ყოველ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება’.

## აფრიკა

ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკულ ქარტიაში წინასწარი პროცედურების შესახებ რაიმე კონკრეტული დებულებები არ არის, მაგრამ მე-6 მუხლში მოცემულია უფრო ზოგადი დებულება დაკავების კანონიერების შესახებ:

‘თითოეულ პირს აქვს თავისუფლებისა და მისი პიროვნული უსაფრთხოების უფლება. არავის არ შეიძლება წაერთვას თავისუფლება, გარდა იმ მიზეზებითა და პირობებით, რომლებიც მანამდე დადგენილია კანონით. კერძოდ, არავინ არ შეიძლება დაკავებული ან დაპატიმრებული იქნეს თვითნებურად’.

## არაბული სამყარო

კაიროს დეკლარაცია ისლამში ადამიანის უფლებათა შესახებ წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებულ დებულებებს არ შეიცავს. მის მე-20 მუხლში არის ზოგადი დებულება თვითნებური დაკავების შესახებ:

‘დაუშვებელია მართლზომიერი მიზეზის გარეშე პირის დაკავება, ან მისი თავისუფლების შეზღუდვა, გაძევება ან დასჯა’.

ადამიანის უფლებათა არაბული ქარტია მოსამართლის წინაშე დაუყოვნებელი წარდგენის უფლებას ამატებს. მე-8 მუხლი აცხადებს:

‘ყველას აქვს თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლება და არავინ შეიძლება იქნეს დაკავებული, დატუსაღებული ან დაპატიმრებული კანონიერი საფუძვლის გარეშე და მოსამართლის წინაშე დაუყოვნებელი წარდგენის გარეშე’.

## ამერიკის კონტინენტი

ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში საკმაოდ მკაფიო დებულებებია წინასწარი პატიმრობის პერიოდში პირის უფლებათა შესახებ. მე-7 მუხლის შესაბამისი დებულებებია:

3. ‘არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას ან დაპატიმრებას.
4. ნებისმიერ დაპატიმრებულ პირს უნდა ეცნობოს მისი დაპატიმრების მიზეზები და დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მიმართ წაყენებული ბრალდება.
5. ნებისმიერი დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს პროცესის გაგრძელების უფლების შენარჩუნებით. მისი გათავისუფლება



შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.

6. ნებისმიერ თავისუფლებააღკვეთილ პირს უფლება აქვს მიმართოს კომპეტენტურ სასამართლოს, რათა სასამართლომ, დაყოვნების გარეშე, გადაწყვიტოს მისი დაკავების ან დაპატიმრების კანონიერება და გამოსცეს გათავისუფლების შესახებ ბრძანება, თუ დაკავება ან დაპატიმრება კანონიერი არ არის. იმ მონაწილე სახელმწიფოებში, რომელთა კანონმდებლობა ადგენს, რომ ნებისმიერ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, უფლება აქვს მიმართოს კომპეტენტურ სასამართლოს, რათა მან გადაწყვიტოს ასეთი საშიშროების კანონიერება; ეს საშუალება არ უნდა შეიზღუდოს ან არ უნდა გაუქმდეს. დაინტერესებულ მხარეს ან სხვა პირს მისი სახელით შეუძლია ამ საშუალების გამოყენება’.

## რბილი საერთაშორისო სამართალი

### გაეროს დონე

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 1982 წლის №8 ზოგად კომენტარში ეს დებულებები შემდეგნაირად განმარტა:

1. ‘(...) კომიტეტი მიუთითებს, რომ 1-ლი პუნქტი გამოიყენება თავისუფლების აღკვეთის ყველა შემთხვევისთვის, როგორც სისხლის სამართლის საქმეებზე, ისე სხვა საქმეებზე, როგორცაა, მაგალითად, ფსიქიკური დაავადება, მანანალობა, ნარკომანია, აღმზრდელობითი მიზნები, საიმიგრაციო კონტროლი და სხვა. ამასთანავე, მართალია, რომ მე-9 მუხლის ზოგიერთი დებულება (მე-2 პუნქტის ნაწილი და მე-3 პუნქტი მთლიანად) მხოლოდ იმ პირთა მიმართ გამოიყენება, რომლებსაც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა ედებათ ბრალად. მაგრამ დანარჩენი, კერძოდ კი მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი გარანტია, ანუ, სასამართლოს მიერ დაპატიმრების კანონიერების შემოწმება, გამოიყენება ყველა პირისთვის, რომელსაც თავისუფლება აღკვეთა დაკავების ან დაპატიმრების შედეგად. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოები, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვალდებული არიან ნებისმიერი პირისთვის უზრუნველყონ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები სხვა შემთხვევებში, როდესაც პირი ამტკიცებს, რომ მისი თავისუფლების აღკვეთა ეწინააღმდეგება კონვენციის დებულებებს’.
2. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის ბრალდებით დაკავებული ან დაპატიმრებული ნებისმიერი პირი “დაუყოვნებლივ” წარდგეს მოსამართლის ან სხვა თანამდებობის პირის წინაშე, რომელიც კანონის საფუძველზე უფლებამოსილია განახორციელოს სასამართლო ხელისუფლება. მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობას კანონით აქვს განსაზღვრული უფრო კონკრეტული ვადა და კომიტეტს მიაჩნია, რომ

დაყოვნებამ რამდენიმე დღეს არ უნდა გადააჭარბოს. მრავალ სახელმწიფოს ამ საკითხთან დაკავშირებული პრაქტიკის შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია აქვს წარმოდგენილი.

3. კიდევ ერთი საკითხი წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობაა. ამ საკითხმა კომიტეტის წევრთა გარკვეული შემფოთება გამოიწვია ზოგიერთ ქვეყანაში გარკვეული კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებით; კომიტეტის წევრებმა გამოთქვეს ეჭვი, შეესაბამება თუ არა მათი პრაქტიკა მე-3 პუნქტით დადგენილ უფლებას – “საქმის განხილვა გონივრულ ვადაში ან გათავისუფლება”. სასამართლო განხილვამდე პირის პატიმრობა გამონაკლის ზომად უნდა იქნეს აღიარებული, ხოლო ვადა მაქსიმალურად მოკლე უნდა იყოს; კომიტეტი მიესალმება მიღებას ინფორმაციისა არსებული მექანიზმების და ზომების შესახებ, რომლებიც ასეთი პატიმრობის ვადის შესამცირებლად იქნა მიღებული.
4. ანალოგიურად, თუ გამოიყენება ე. წ. წინასწარი პატიმრობა, რომელიც საზოგადოების უსაფრთხოებითაა ნაკარნახევი, მაშინ იგი უნდა დარეგულირდეს ამავე დებულებებით, ანუ, არ უნდა იყოს თვითნებური და უნდა განხორციელდეს იმავე საფუძვლებით და იმავე პროცედურების შესაბამისად, რომლებიც კანონითაა დადგენილი (პუნქტი 1); დაკავებულ პირს უნდა აცნობონ დაკავების მიზეზები (პუნქტი 2); სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დაკავების კანონიერების შესახებ (პუნქტი 4), ხოლო უკანონო დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კომპენსაცია (პუნქტი 5). ხოლო თუ, ამასთან ერთად, ასეთ შემთხვევებში მოცემულ პირს წაეყენება სისხლის სამართლის ბრალდება, მაშინ იგი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, აგრეთვე მე-14 მუხლის სრული გარანტიებით’.

ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპების ნაკრები, რომელიც 1988 წელს მიიღეს, შეიცავს რამდენიმე შესაბამის და დეტალურ დებულებას, რომელიც პროკურორებმა წინასწარი პატიმრობის პროცედურებისთვის უნდა გაითვალისწინონ. ამ პრინციპების თანახმად ნებისმიერი ფორმით დაპატიმრება სასამართლო კონტროლს უნდა დაექვემდებაროს. მე-4 პრინციპი აცხადებს:

‘ნებისმიერი ფორმით დაკავება ან დაპატიმრება და ყველა ღონისძიება, რომელიც დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირების უფლებებზე ახდენს ზეგავლენას, უნდა განხორციელდეს ბრძანების საფუძველზე ან სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს ეფექტიან კონტროლს უნდა დაექვემდებაროს’.

ხელისუფლების ორგანოთა მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით მე-9 პრინციპი აცხადებს:

‘ხელისუფლება, რომელიც ახორციელებს პირის დაკავებას, ამყოფებს მას პატიმრობაში ან იძიებს საქმეს, მოქმედებს მხოლოდ იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც მას კანონით აქვს მინიჭებული, და ამ უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოში ან სხვა ორგანოში’.

ამის შემდეგ მე-10 პრინციპი პირისთვის დაკავების მიზეზის შეტყობინების უფლებას განიხილავს:

‘თითოეულ პირს დაკავების დროს უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მიმართ წაყენებული ბრალდება’.

მე-11 პრინციპში ამ საკითხზე დამატებითი დეტალებზეა მოცემული:

1. ‘არ შეიძლება პირი იმყოფებოდეს პატიმრობაში მისთვის ეფექტიანი საშუალების უზრუნველყოფის – დაუყოვნებლივ იქნეს მისი საქმე განხილული სასამართლოს ან სხვა ორგანოს მიერ – გარეშე. დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს თვითონ დაიცვას საკუთარი თავი ან ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით, როგორც ეს კანონითაა გათვალისწინებული.
2. დაპატიმრებულ პირს ან მის ადვოკატს დაუყოვნებლივ და სრულად უნდა მიენოდოს ინფორმაცია, თუკი ასეთი არსებობს, დაპატიმრების ნებისმიერი ბრძანების შესახებ, დაკავების მიზეზებთან ერთად.
3. სასამართლოს ან სხვა ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, განიხილოს პატიმრობის ვადის გაგრძელების საფუძველები’.

მე-13 პრინციპი ხელისუფლებისგან მოითხოვს, რომ პირს, დაკავების შემდეგ, დაუყოვნებლივ განუმარტონ მისი უფლებები. ეს პრინციპი აცხადებს:

‘ნებისმიერ პირს, დაკავების მომენტში ან დაკავების ან დაპატიმრების სანყის ეტაპზე, ან ამის შემდეგ უმოკლეს დროში, დაკავებაზე ან დაპატიმრებაზე პასუხისმგებელი ორგანო აცნობებს და განუმარტავს მის უფლებებს, ასევე ამ უფლებების გამოყენების საშუალებებს’.

დაპატიმრების შესახებ შემდგომი პრინციპები მკაცრად მიუთითებს, რომ წინასწარი პატიმრობა რეკომენდებული არ არის. ამის ნაცვლად ისინი მხარს უჭერენ არასაპატიმრო ღონისძიებებს. 36-ე პრინციპის მე-2 პუნქტი აცხადებს:

‘გამოძიების და სასამართლო პროცესის განმავლობაში ასეთი პირის დაკავება ან დაპატიმრება ხორციელდება მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისთვის, კანონით დადგენილი პირობებისა და პროცედურების საფუძველზე და მათ შესაბამისად. აკრძალულია ასეთი პირის მიმართ შეზღუდვების დაწესება, რომლებიც მკაცრად არ მოითხოვება დაკავების ან გამოძიების პროცესის თუ მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან აცილების მიზნებისთვის, ან დაკავების ადგილზე უსაფრთხოების და წესრიგის შენარჩუნებისთვის’.

37-ე პრინციპი პირს უფლებას ანიჭებს წარდგეს სასამართლოს ან კანონით დადგენილი სხვა ორგანოს წინაშე, რომელმაც უნდა დაადგინოს დაპატიმრების კანონიერება:

‘სისხლის სამართლის ბრალდებით დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სასამართლოს ან კანონით განსაზღვრულ სხვა ორგანოს. ასეთმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დაპატიმრების კანონიერების და აუცილებლობის შესახებ. არავინ არ

შეიძლება იყოს დაპატიმრებული გამოძიების ან სასამართლო განხილვის პერიოდში ასეთი ორგანოს წერილობითი ბრძანების გარეშე. დაკავებულ პირს, ასეთ ორგანოში მიყვანის შემდეგ, უფლება აქვს განცხადება გააკეთოს დაკავების პერიოდში მის მიმართ მოპყრობის შესახებ’.

38-ე პრინციპი აცხადებს, რომ წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა უნდა იყოს “გონივრული”:

‘სისხლის სამართლის ბრალდებით დაკავებულ პირს უფლება აქვს მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდეს სასამართლო პროცესამდე’.

დებულება, რომელიც მოითხოვს, რომ წინასწარი პატიმრობა გამონაკლისი უნდა იყოს, 39-ე პრინციპშია გაცხადებული:

‘კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ან როდესაც სასამართლო ან სხვა ორგანო სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, სისხლის სამართლის ბრალდებით დაპატიმრებულ პირს საშუალება ეძლევა, გათავისუფლებულ იქნეს სასამართლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში, რომლის პირობებს შეიძლება ადგენდეს კანონი. ასეთი ორგანო დაპატიმრების საჭიროების საკითხს მუდმივ ყურადღებას აქცევს’.

გაეროს 1990 წლის მინიმალური სტანდარტული წესები არასაპატიმრო ღონისძიებათა შესახებ წინასწარი პატიმრობის ეტაპისთვის შეიცავს ცალკე თავს, სადაც პროკურორებისთვის საგულისხმო დებულებებია მოცემული. მაგალითად:

5.1. ‘საჭიროების შემთხვევაში და როდესაც ეს კანონს შეესაბამება, პოლიციას, პროკურატურას ან სხვა დაწესებულებებს, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობენ, უფლება უნდა ჰქონდეთ, სამართალდამრღვევი პირი გათავისუფლონ პასუხისმგებლობისგან თუ, მათი აზრით, არ არსებობს აუცილებლობა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა საზოგადოების დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან კანონის და დაზარალებულთა უფლებების დაცვის მიზნებისთვის. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ან გამოძიების პროცედურების განსაზღვრის მიზნით თითოეული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში უნდა შემუშავდეს დადგენილი კრიტერიუმების ნაკრები. პროკურორს, უმნიშვნელო სამართალდარღვევის შემთხვევაში, როდესაც ეს მიზანშეწონილია, შეუძლია გამოიყენოს შესაბამისი არასაპატიმრო ღონისძიება.’

6.1. სისხლის სამართლის პროცესში წინასწარი პატიმრობა გამოიყენება, როგორც უკიდურესი ზომა, რომლის დროსაც სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული საჯარაუდო სამართალდარღვევის გამოძიების და საზოგადოებისა და დაზარალებულის ინტერესები.

6.2. წინასწარი პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიება რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე გამოიყენება. წინასწარი პატიმრობა არ გრძელდება იმაზე მეტი პერიოდით, ვიდრე ეს აუცილებელია 6.1 წესში მითითებული მიზნების მისაღწევად, და მისი გამოყენება ხდება ჰუმანური და

ადამიანისთვის დამახასიათებელი ღირსების პატივისცემის გზით.

6.3. სამართალდამრღვევ პირს უფლება აქვს წინასწარი პატიმრობის გამოყენება გაასაჩივროს სასამართლოში ან სხვა კომპეტენტურ, დამოუკიდებელ ორგანოში’.

დაკავებული პირის სასამართლოში დაუყოვნებელი წარდგენის მოთხოვნა ასევე არის გაეროს 1992 წლის დეკლარაციაში ყველა პირის იძულებით გაუჩინარებისაგან დაცვის შესახებ, სადაც ეს დებულება მე-10 მუხლშია მოცემული:

1. ნებისმიერი თავისუფლებააღკვეთილი პირი მოთავსებულია ოფიციალურად აღიარებულ საპატიმრო ადგილებში და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წარდგება სასამართლო ორგანოს წინაშე დაკავებიდან მოკლე ხანში.
2. ზუსტი ინფორმაცია ასეთ პირთა დაკავების და მათი მოთავსების ადგილის ან ადგილების შესახებ, გადაყვანის ადგილების ჩათვლით, დაუყოვნებლივ ეცნობება მათი ოჯახის წევრებს, მათ ადვოკატს ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელსაც ამ ინფორმაციის მიმართ კანონიერი ინტერესი აქვს, თუ დაკავებული პირები სანინააღმდეგო სურვილს არ გამოთქვამენ.
3. დაკავების ყველა ადგილას არსებობს თავისუფლებააღკვეთილ პირთა რეგულარულად განახლებადი ოფიციალური სია. გარდა ამისა, თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ზომებს ანალოგიური ცენტრალიზებული სიების შესადგენად. ინფორმაცია, რომელსაც ეს სიები შეიცავს, მიეწოდება წინა პუნქტში აღნიშნულ პირებს, ნებისმიერ სასამართლოს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს, რომელსაც ეს უფლება მინიჭებული აქვს ამ სახელმწიფოს კანონით ან რაიმე საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტით, რომლის მონაწილე მხარეებიც არიან შესაბამისი სახელმწიფოები, რომლებიც ისწრაფვიან დაადგინონ დაკავებული პირის ადგილმდებარეობა’.

## ადოკატზე ხელმისაწვდომობა

დაკავების შემდეგ და წინასწარი პატიმრობის პერიოდში იურიდიული დახმარების უფლება რბილი საერთაშორისო სამართლის მრავალ დოკუმენტში მოიპოვება. ადოკატზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი საშუალებაა დაპატიმრებული პირის უფლებების უზრუნველსაყოფად.

ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპების ნაკრები, რომელიც 1988 წელს მიიღეს, შემდეგ შესაბამის პრინციპებს შეიცავს:

## პრინციპი 17

1. დაკავებულ პირს ადოკატის მხრიდან იურიდიული დახმარების მიღების უფლება აქვს. დაკავებიდან უმოკლეს ხანში მას კომპეტენტური ორგანო

აცნობს მის უფლებებს და გონივრულ შესაძლებლობას აძლევს ამ უფლების განსახორციელებლად.

2. თუ დაკავებულ პირს არ ჰყავს მის მიერ არჩეული ადვოკატი, მას, ყველა შემთხვევაში, როდესაც ამას მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს, უფლება აქვს ისარგებლოს სასამართლოს ან სხვა ორგანოს მიერ დანიშნული ადვოკატით და არ გადაიხადოს მომსახურების საფასური, თუ მოცემულ პირს საკმარისი ფინანსური სახსრები არ გააჩნია.

## პრინციპი 18

1. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს დაუკავშირდეს ადვოკატს და იურიდიული კონსულტაცია მიიღოს მისგან.
2. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს უზრუნველყონ მის ადვოკატთან კონსულტაციისთვის საჭირო დროითა და პირობებით.
3. არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დროებით ჩამოერთვას ან შეეზღუდოს უფლება, შეხვდეს ადვოკატს, მიიღოს მისგან კონსულტაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან დაყოვნებისა და ცენზურის გარეშე და სრული კონფიდენციალობის დაცვით, გარდა გამოწვევის გარემოებებისა, რომლებიც განსაზღვრულია კანონით ან კანონის შესაბამისად დადგენილი წესებით, როდესაც სასამართლოს ან სხვა ორგანოს ეს აუცილებლად მიაჩნია უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნებისათვის.
4. დაკავებული ან დაპატიმრებული პირის და მისი ადვოკატის შეხვედრა დასაშვებია ისეთ ადგილას, სადაც მათ სამართალდამცავი მუშაკები ხელდავენ, მაგრამ მათი საუბარი არ ესმით.
5. დაკავებული ან დაპატიმრებული პირისა და მისი ადვოკატის კონტაქტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად ბრალდებული პირის ან პატიმრობაში მყოფი პირის წინააღმდეგ, თუ მას კავშირი არა აქვს დანაშაულის გაგრძელებასთან ან ჩაფიქრებულ დანაშაულთან’.

1990 წლის ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრავს, თუ რამდენად სწრაფად უნდა მიუწვდებოდეს ხელი დაკავებულ პირს ადვოკატზე. მე-7 პრინციპი აცხადებს:

‘ამასთან ერთად მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს, სისხლის სამართლის ბრალდებით თუ მის გარეშე, დაუყოვნებლივ მიუწვდებოდეს ხელი ადვოკატზე, ხოლო, ნებისმიერ შემთხვევაში, არა უგვიანეს 48 საათის განმავლობაში დაკავების ან დაპატიმრების მომენტიდან’.

ამის შემდეგ მე-8 პრინციპი დაკავებულ პირს დამატებით უფლებას ანიჭებს ადვოკატზე ხელმისაწვდომობის კუთხით. იგი ძალზე მკაფიოდ აყალიბებს დაკავებულ პირსა და მის ადვოკატს შორის მიმდინარე კონსულტაციების კონფიდენციალობის საკითხს:

‘ყველა დაკავებული, დაპატიმრებული ან პატიმრობაში მყოფი პირი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ადეკვატური შესაძლებლობებით, დროით და პირობებით, რომლებიც საჭიროა ადვოკატთან შესახვედრად, დასაკავშირებლად ან კონსულტაციისათვის, დაყოვნების, მიყურადების ან ცენზურის გარეშე და კონფიდენციალობის სრული დაცვით. ასეთი კონსულტაციები შეიძლება გაიმართოს ადგილზე, სადაც მათ შეიძლება ხედავდნენ სამართალდამცავი მუშაკები, მაგრამ არ ესმოდეთ მათი საუბარი’.

## ვერობა

ვერობის საბჭოს რეკომენდაციაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში საჯარო პროკურორთა როლის შესახებ საჯარო პროკურორის მიერ მიღებულ ზომებზე სასამართლო კონტროლის შემდეგი დებულებებია ჩამოყალიბებული:

‘როდესაც საჯარო პროკურორები უფლებამოსილი არიან განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც ექვემდებარებიან ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევას ინვესს, ეს ღონისძიებები სამართლებრივ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს’.

## პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის პროკურორთა პროფესიული პასუხისმგებლობის, ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების სტანდარტები, რომელიც პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციამ 1999 წელს მიიღო, რამდენიმე დებულებას შეიცავს, რომელიც წინასწარი პატიმრობის პროცედურებს ეხება. აღნიშნული სტანდარტების მე-4 პუნქტში საუბარია პროკურორთა როლზე წინასწარი გამოძიების პერიოდში. მე-3 ქვეპუნქტი აცხადებს:

პროკურორები (...):

- a) ‘(...) ასევე ანალოგიურად ისწრაფვიან, რომ თითოეულ მხარეს, რომელსაც ზიანი მიადგა, აცნობონ საჩივრის ზემდგომ ინსტანციაში/სასამართლოში გასაჩივრების უფლების შესახებ, ზიანის ანაზღაურების მიზნით, როდესაც ეს შესაძლებელია;
- b) სასამართლოსთან და სხვა შესაბამის ორგანოებთან ერთად იცავენ ბრალდებულის უფლებებს;
- c) ბრალდებულს, სასამართლო პროცესის დაწყებამდე, მაქსიმალურად სწრაფად აცნობენ არსებული ინფორმაციის შესახებ, კანონის შესაბამისად და სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების გათვალისწინებით;
- h) ადგილობრივი კანონის და სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების შესაბამისად, სათანადოდ ითვალისწინებენ, როდესაც ეს შესაძლებელია;

ლია, ბრალდებაზე უარის თქმის, პროცესის პირობითი ან უპირობო შეწყვეტის და სისხლის სამართლის საქმეების გამოყოფის საშუალებას, განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, რომლებიც ეხება ახალგაზრდა დამნაშავეებს, ეჭვმიტანილისა და დაზარალებულის უფლებების ჯეროვანი პატივისცემით’.

## ევროპული პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს, რომ პირს თავისუფლება შეიძლება აღეკვეთოს მხოლოდ გარკვეულ გარემოებებში. მე-5 მუხლი პირის დაკავების ან დაპატიმრების უფლებას იძლევა მხოლოდ “კანონით განსაზღვრული პროცედურის” შესაბამისად, როდესაც არსებობს “გონივრული ეჭვი”, რომ მან დანაშაული ჩაიდინა. ევროპული სასამართლო გონივრულ ეჭვს განმარტავს, როგორც ფაქტების ან ინფორმაციის არსებობას, რომელმაც ობიექტური დამკვირვებელი უნდა დააკმაყოფილოს, რომ მოცემულმა პირმა შესაძლოა ჩაიდინა დანაშაული. სასამართლომ ეს პრეცედენტი დაამკვიდრა საქმეზე — *ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი (1990 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება)*, რომლის 32-ე პუნქტში აღნიშნულია:

‘ეჭვის “გონივრულობა”, რომელსაც დაკავება უნდა დაეფუძნოს, თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრებისაგან დაცვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, რომელიც მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის “ც” ქვეპუნქტშია ჩამოყალიბებული. სასამართლო ეთანხმება კომისიას და მთავრობას, რომ “გონივრული ეჭვი” ითვალისწინებს ფაქტების ან ინფორმაციის არსებობას, რომელმაც ობიექტური დამკვირვებელი უნდა დააკმაყოფილოს, რომ მოცემულმა პირმა შესაძლოა ჩაიდინა დანაშაული. თუმცა, რა ჩაითვლება “გონივრულობად”, დამოკიდებული იქნება კონკრეტული შემთხვევის ყველა გარემოებაზე’.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წინასწარი პატიმრობის პროცედურების შესახებ გარკვეულ კომენტარებს აკეთებს მე-5 მუხლის სხვადასხვა ასპექტის განმარტებასთან დაკავშირებით. პირის სასამართლო ორგანოში “დაუყოვნებელი” წარდგენის მოთხოვნა სასამართლომ განმარტა *ბროგანის* საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში (1988 წლის 29 ნოემბერი). სასამართლომ დაადგინა, რომ ოთხი დღითა და ექვსი საათით დაპატიმრება არ აკმაყოფილებს დაუყოვნებლობის მოთხოვნას და შესაბამისად მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევაა. *ბროგანის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების 62-ე პუნქტში აღნიშნულია:

‘(...) “დაუყოვნებლობის” ცნების განმარტებისა და გამოყენების მოქნილობის ფარგლები ძალზე შეზღუდულია. სასამართლოს აზრით, პატიმრობის ოთხი პერიოდიდან თვით უმოკლესი, კერძოდ, ბ-ნ მაკფადენის (...) მიერ ტუსაღობაში გატარებული ოთხი დღე და ექვსი საათი, სცდება დროის შეზღუდვის მკაცრ ჩარჩოებს, რომელიც მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებითაა განსაზღვრული. ამ საქმის სპეციალური დეტალებისთვის ისეთი მნიშვნელობის მინიჭება, რომელიც გაამართლებდა პატიმრობის ხანგრძლივობას მოსამართლის ან სხვა სასამართლო მოხელის წინაშე წარდგენამდე, დაუშვებელი იქნება ისეთი მარტივი



სიცივის ფართო განმარტებისთვის, როგორცაა “დაუყოვნებელი”. ასეთი სახის განმარტება სერიოზულად დაასუსტებდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით უზრუნველყოფილ პროცედურულ გარანტიებს ინდივიდუალურ პირთა საზიანოდ და მისი შედეგები სერიოზულ ზემოქმედებას იქონიებდა ამ დებულებით დაცული უფლების ძირითად არსზე. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ არც ერთი განმცხადებელი არ იქნა წარდგენილი სასამართლოს წინაშე “დაუყოვნებლივ” და არც “დაუყოვნებლივ” გაუთავისუფლებიათ დაკავების შემდეგ. მხოლოდ ის უდავო ფაქტი, რომ განმცხადებელთა დაკავება და დაპატიმრება გამონვეული იყო კანონიერი მიზნით, კერძოდ, საზოგადოების დაცვით ზოგადად ტერორიზმისგან, საკმარისი არ არის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის კონკრეტული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამრიგად, ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას ოთხივე განმცხადებლის მიმართ’.

სასამართლომ ასევე დაადგინა თუ რას ნიშნავს ცნება “მოსამართლე ან სხვა მოხელე”, რომელიც მე-5 მუხლის მე-3 პუნქტშია განსაზღვრული. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო პროკურორი არ აკმაყოფილებს “სხვა მოხელის” მოთხოვნას მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. ეს გადაწყვეტილება სასამართლომ *შეესერის* საქმეზე მიიღო (1979 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება). ამ საქმის შესაბამისი პუნქტები შემდეგზე მიუთითებს:

‘(...) სასამართლო მე-5 მუხლს მიიჩნევს მექანიზმად, რომელიც უზრუნველყოფს, რომ არავის აღკვეთოს თავისუფლება თვითნებურად. მე-4 პუნქტით განსაზღვრული სფეროს ძირითადი მიზანი მოითხოვს, რომ დაცული იქნეს “სასამართლოს ბუნების მქონე” პროცედურა, და იგი იძლეოდეს “მოცემული სახის თავისუფლების აღკვეთის შესაბამის გარანტიებს’, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ვისაუბროთ “სასამართლოზე”. თავის მხრივ, მე-3 პუნქტში მითითებული “მოხელე” უზრუნველყოფს გარანტიებს, რომლებიც შეესაბამება “სასამართლო” ხელისუფლებას და რომლებსაც მას კანონი ანიჭებს.

თუ შევაჯამებთ, “მოხელე” არ არის “მოსამართლის” იდენტური, თუმცა იგი მაინც არის ამ უკანასკნელის ასპექტების მატარებელი, ანუ, იგი უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტულ პირობებს, რომელთაგან თითოეული უნდა იყოს დაკავებული პირის გარანტია. ამ პირობათაგან პირველია აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან და მხარეებისაგან დამოუკიდებლობა. ეს არ ნიშნავს, რომ “მოხელე” გარკვეულწილად არ შეიძლება ექვემდებარებოდეს სხვა მოსამართლეებს ან მოხელეებს, იმ პირობით, რომ ისინი თავად იგივე დამოუკიდებლობით სარგებლობენ. გარდა ამისა, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე არის როგორც პროცედურული, ისე არსებითი მოთხოვნა. პროცედურული მოთხოვნა “მოხელეს” აკისრებს ვალდებულებას, პირადად განიხილოს მის წინაშე წარდგენილი პირის საქმე; არსებითი ხასიათის მოთხოვნა მას აკისრებს ვალდებულებას, განიხილოს დაპატიმრების როგორც მხარდამჭერი, ისე მისი საწინააღმდეგო გარემოებები და სამართლებრივ კრიტერიუმებზე დაყრდნობით გადაწყვიტოს, არის თუ არა დაპატიმრების გამამართლებელი საფუძველები, ან გასცეს გათავისუფლების შესახებ ბრძანება ასეთი საფუძველების არარსებობისას’.

გარდა ამისა, სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობაზე. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული უფლების — “საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდეს” — განმარტებისას სასამართლომ *ნეუმეისტერის* საქმეზე (1968 წლის 27 ივნისი) დაადგინა:

‘სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს დებულება არ შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც სასამართლო ორგანოსათვის უფლების მიცემა არჩევანი გააკეთოს გონივრულ ვადაში სასამართლოს წინაშე მის წარდგენასა და დროებით გათავისუფლებას შორის, თუნდაც შესაბამისი გარანტიებით. ბრალდებული პირის მიერ სასამართლო პროცესამდე პატიმრობაში გატარებული დროის გონივრულობა უნდა შეფასდეს სწორედ მისი დაპატიმრების ფაქტთან მიმართებით. მსჯავრის გამოტანამდე იგი უდანაშაულოდ ითვლება, ხოლო განხილული დებულების ძირითადი მიზანია პირის პირობითი გათავისუფლება, როგორც კი შეწყდება მისი პატიმრობის გაგრძელების გონივრულობა’.

პატიმრობის გონივრულობა ფასდება იმ გონივრულობისაგან დამოუკიდებლად, რომელიც სასამართლო პროცესის დაწყებამდე განვლილ დროს ეხება, ამასთანავე, სასამართლოს დაწყებამდე განვლილი დრო შეიძლება “გონივრულად” ჩაითვალოს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, მაგრამ ამ პერიოდით პატიმრობა შეიძლება არ იქნეს მიჩნეული “გონივრულ” ვადად. *მატნეტერის* საქმეზე (1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) მე-4 პუნქტში სასამართლომ აღნიშნა:

‘ზოგიერთი დაყოვნება შეიძლება თავისი შედეგით იყოს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა, მაგრამ შეესაბამებოდეს მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს; ეს ორი დებულება ერთმანეთის იდენტური არ არის’.

*ლეტელიეს* საქმეზე (1991 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება) სასამართლომ მიიღო დადგენილება წინასწარი პატიმრობის გაგრძელების საფუძველების შესახებ. სასამართლოს აზრით, პატიმრობა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის და საკმარის საფუძველებს და სრულიად შესაძლებელია, რომ დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს საფუძველები საკმარისი აღარ იყოს. ეს ნიშნავს, რომ წინასწარი პატიმრობის გასაგრძელებლად საჭიროა ახალი საფუძველების ჩამოყალიბება:

‘მოცემულ საქმეში ეროვნულმა სასამართლო ორგანოებმა უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყონ, რომ ბრალდებული პირის წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა არ აღემატებოდეს გონივრულ დროს. ამ მიზნით მათ უნდა გამოიკვლიონ საზოგადოებრივი ინტერესების არსებობის მხარდაჭერი და საწინააღმდეგო ყველა ფაქტი, რომელიც, უდანაშაულობის პრეზუმფციის ჯეროვანი გათვალისწინებით, ასაბუთებს პირის თავისუფლების პატივისცემის წესისგან გადახვევის და პირის გათავისუფლებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას. ამ გადაწყვეტილებებში მოცემული მიზეზების საფუძველზე და განმცხადებლის მიერ მის სარჩელებში მოყვანილი ჭეშმარიტი ფაქტების გათვალისწინებით, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, მოხდა თუ არა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა. (...)

გონივრული ეჭვის არსებობა, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, *sine qua non* (აუცილებელი, მთარგმნელის შენიშვნა) პირობა პატიმრობის გაგრძელების კანონიერებისათვის (...), მაგრამ, დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, იგი საკმარისი აღარაა; ამიტომ სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად საკმარისია სასამართლო ორგანოს მიერ წარმოდგენილი სხვა საფუძვლები თავისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელების გასამართლებლად (...). იქ სადაც ასეთი საფუძვლები “ადეკვატური” და “საკმარისია”, სასამართლომ ასევე უნდა დადგინოს ეროვნულმა ხელისუფლებამ პროცესი “განსაკუთრებული გულმოდგინებით” წარმართა თუ არა (...).

და ბოლოს, ჩიოპისის საქმეში (2001 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება), სასამართლომ დასკვნა გააკეთა გაჭიანურებული თავისუფლების აღკვეთის კანონიერებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცედურის შესახებ. ადვოკატს ხელი უნდა მიუწვდებოდეს გამოძიების იმ დოკუმენტებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია კანონიერების ეჭვქვეშ დასაყენებლად:

‘სასამართლო მიუთითებს, რომ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ პროცედურული და არსებითი პირობების შემოწმება, რომელიც აუცილებელია მათი თავისუფლების აღკვეთის “კანონიერებისთვის”, კონვენციის არსის შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ კომპეტენტურმა სასამართლომ უნდა შეისწავლოს არა მხოლოდ შიდასახელმწიფო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურული მოთხოვნების დაცვა, არამედ ასევე ეჭვის გონივრულობა, რომელიც საფუძვლად უდევს დაკავებას, და დაკავების და მომდევნო პატიმრობის მიზნის კანონიერება.

სასამართლომ, რომელიც დაკავების წინააღმდეგ შემოტანილ საჩივარს იხილავს, სასამართლო პროცედურის გარანტიები უნდა უზრუნველყოს. პროცესი უნდა წარიმართოს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე და იგი ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს ‘იარაღთა თანასწორობას’ მხარეებს შორის, პროკურორსა და დაკავებულ პირს შორის. იარაღთა თანასწორობა ვერ იქნება დაცული თუ ადვოკატს ხელი არ მიუწვდება გამოძიების დოკუმენტებზე, რომლებიც აუცილებელია მისი კლიენტის პატიმრობის საკითხის ეფექტიანი გასაჩივრებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ პირის პატიმრობა მოქცეულია მე-5 მუხლის 1 პუნქტის “c” ქვეპუნქტის ფარგლებში, მაშინ განხილვა აუცილებელია (იხ. სხვა მასალასთან ერთად, *ლემი ბელგიის წინააღმდეგ*, 1989 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, *Series A no. 151*, გვ. 16-17, §29 და *ნიკოლოვა ბულგარეთის წინააღმდეგ* [GC], n° 31195/96, §58, CEDH 1999-II).

ეს მოთხოვნები გამომდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლო პროცესის უფლებიდან, როგორც ეს კონვენციის მე-6 მუხლშია ჩამოყალიბებული, რაც სისხლის სამართლის საქმის შემთხვევაში ნიშნავს, რომ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს შესაძლებლობა უნდა მიეცეს, იცოდნენ და კომენტარები გააკეთონ მონინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ საქმის მასალებზე და მტკიცებულებებზე. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მე-6 მუხლის რედაქციიდან, კერძოდ “სისხლის სამართლის ბრალდების” ცნებისთვის მინიჭებული დამოუკიდებელი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, რომ ეს დებულება გამოიყენება წინასწარ პატიმრობას-

თან დაკავშირებულ ზოგიერთ პროცედურაში (იხ. *იმპრიოსცია შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1993 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება, *Series A no. 275*, გვ. 13, § 36). ამრიგად, აქედან გამომდინარეობს, რომ იმ დრამატული ზემოქმედების გათვალისწინებით, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა კონკრეტული პირის ძირითად უფლებებზე ახდენს, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ჩატარებული პროცესი, მიმდინარე გამოძიების გარემოებათა მაქსიმალურ ფარგლებში, პრინციპში ასევე უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანი სასამართლოს ძირეულ მოთხოვნებს, როგორც შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული პროცესის უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობა შეიძლება ამ მოთხოვნას სხვადასხვა გზით აკმაყოფილებდეს, ნებისმიერი შერჩეული მეთოდი უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მონინააღმდეგე მხარემ იცოდეს, რომ ეს მასალები საქმეშია ჩართული და მას აქვს რეალური შესაძლებლობა, კომენტარები გააკეთოს მასზე (იხ. *mutatis mutandis*, *ბრანდსტეტერი ავსტრიის წინააღმდეგ*, 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება, *Series A no. 211*, გვ. 27, §67).’

## ადვოკატზე ხელმისაწვდომობა

*შონენბერგერისა და დურმაზის საქმეში* (1988 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება) ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება მოიცავს ადვოკატთან კონსულტაციის უფლებას, რომელსაც მეთვალყურეობას არ უწევენ საპატიმრო დაწესებულებების მუშაკები. ეს უფლება ეხება როგორც პირად შეხვედრებს, ისე დაპატიმრებულ პირსა და მის ადვოკატს შორის წარმოებულ მიმოწერას.

## ბანდარტება და დასკვნები

წინასწარი პატიმრობის პროცედურებით ადამიანის უფლებებზე ზემოქმედებისას პროკურორმა ორი რამ უნდა გაითვალისწინოს — პირობები, რომლებიც პირის დაკავების და დაპატიმრების საშუალებას იძლევა, და უფლებები, რომლებიც დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ენიჭება დაკავების ან დაპატიმრების შედეგად. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებში ამ ორ საკითხთან დაკავშირებით მრავალი დებულებაა შემუშავებული.

დაკავებასთან და წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული ტექსტები უეჭველს ხდიან იმ ფაქტს, რომ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით წინასწარ განსაზღვრულ შემთხვევაში და კანონით დადგენილი მიზეზებისა და პირობების საფუძველზე. თვითნებური დაკავება და დაპატიმრება აკრძალულია.

დაკავების ან დაპატიმრების შემდეგ პირს მრავალი უფლება აქვს, რომელიც პროკურორმა უნდა უზრუნველყოს. პირი დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს მოსამართლეს ან სხვა სასამართლო ორგანოს, რომელსაც ევალება შეაფასოს, არსებობს თუ არა კანონიერი მიზეზი პირის დასაკავებლად ან დასაპატიმრებლად. დაპატიმრებულ პირს ან მის ადვოკატს ეს საშუალებას აძლევს, უზრუნველყოფილ იქნეს გათავისუფლება, თუ დაკავება ან დაპატიმრება პირის უფლებების დარღვევით იქნა განხორციელებული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა

სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო პროკურორი არ აკმაყოფილებს “სხვა სასამართლო ორგანოს” მოთხოვნას და შესაბამისად, მას უფლება არა აქვს, გადწყვიტოს დაკავების ან დაპატიმრების მართლზომიერების საკითხი.

საერთაშორისო დოკუმენტები ასევე უჩვენებს, რომ პატიმრობა უნდა იყოს გამონაკლისი და განსაკუთრებულ საქმეებზე უნდა გამოიყენებოდეს, ხოლო ჩვეულებრივ გარემოებებში პირი სასამართლო პროცესამდე უნდა გაათავისუფლონ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში დაადგინა, რომ რაც უფრო დიდხანს გრძელდება წინასწარი პატიმრობა, მით უფრო მეტი კონკრეტული მიზეზია საჭირო გაჭიანურებული თავისუფლების აღკვეთის დასასაბუთებლად. ამ თვალსაზრისით ეროვნულმა ორგანოებმა “განსაკუთრებული გულმოდგინება” უნდა გამოიჩინონ პროცედურების განხორციელებისას.

გარდა ამისა, დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს პატიმრობის პერიოდში ხელი მიუწვდებოდეს ყველა დოკუმენტზე და ადვოკატზე. ამასთანავე, დაპატიმრებულ პირსა და მის ადვოკატს შორის მიმოწერა არ უნდა კონტროლდებოდეს სამართალდამცავი მუშაკების მიერ.

და ბოლოს, წინასწარი პატიმრობის პროცედურების განხორციელებისას საჯარო პროკურორმა ასევე უნდა გაითვალისწინოს “უდანაშაულობის პრეზუმფციის” პრინციპი, როგორც ეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებშია ჩამოყალიბებული. ამ სახელმძღვანელოში “უდანაშაულობის პრეზუმფცია” უფრო დეტალურადაა განხილული მომდევნო თავში ადამიანის უფლებების და სასამართლო პროცესის შესახებ.

# ადამიანის უფლებები და სასამართლო პროცესი

## შესაბამისი ტექსტები გაეაროს ღონეზე

ადამიანის უფლებებისა და სასამართლო პროცესის საკითხზე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია პროკურორებისათვის შესაბამის პრინციპებს მე-10 და მე-11 მუხლებში აყალიბებს. მე-10 მუხლი აცხადებს:

‘ყოველ ადამიანს, მისი უფლებებისა და ვალდებულებების და მისთვის ნაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განსაზღვრისათვის, სრული თანასწორობის საფუძველზე, უფლება აქვს მისი საქმე საჯაროდ და სამართლიანად იქნეს განხილული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ’.

მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი შემდეგ დებულებებს აყალიბებს:

‘ყოველ პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს უდანაშაულოდ ითვლებოდეს, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად სასამართლო პროცესზე, რომლის დროსაც მას ჰქონდა დაცვისთვის საჭირო ყველა საშუალება’.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ამ პრინციპებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. ამ პაქტის მე-14 მუხლი სასამართლო განხილვის შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროკურორებისთვის. იგი აცხადებს:

1. ‘ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე. თითოეულ პირს უფლება აქვს, მისთვის ნაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას, მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან მთელ სასამართლო განხილვაზე ან მის ნაწილზე, მორალის, დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი ნებსრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესების მოსაზრებით, ან როცა ამას მოითხოვს მხარეთა კერძო ინტერესები, ან როდესაც, სასამართლოს აზრით, საჯაროობა შელახავს მართლმსაჯულების ინტერე-

სებს; ყოველი სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო საქმის თაობაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები, ან როცა საქმე ეხება მატრიმონიალურ დავებს ან ბავშვთა მეურვეობას.

2. თითოეულ პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.
3. თითოეულ პირს უფლება აქვს მისთვის წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, როგორც მინიმუმი, სრული თანასწორობის საფუძველზე, ისარგებლოს შემდეგი გარანტიებით:
  - a) სასწრაფო წესით და დანვრილებით, მისთვის გასაგებ ენაზე, შეატყობინონ მისთვის წაყენებული ბრალდების ხასიათისა და საფუძველების შესახებ;
  - b) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს თავის დასაცავად და შეხვდეს მის მიერ არჩეულ ადვოკატს;
  - c) გაასამართლონ უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე;
  - d) გაასამართლონ მისი თანდასწრებით და დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული ადვოკატის საშუალებით; თუ არ ჰყავს ადვოკატი, შეატყობინონ ასეთი უფლების შესახებ და იყოლოს მისთვის დანიშნული ადვოკატი ყველა შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს, რიგ შემთხვევებში უსასყიდლოდ, როცა არა აქვს ადვოკატის მომსახურების ასანაზღაურებლად საკმარისი სახსრები;
  - e) დაკითხოს მოწმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას, ან ჰქონდეს უფლება, რომ ეს მოწმეები სხვამ დაკითხოს, ასევე გამოიძახონ და დაკითხონ მისი მოწმეები იმავე პირობებით, როგორითაც მის წინააღმდეგ გამოსული მოწმეები;
  - f) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ არ ესმის სამართალწარმოების ენა;
  - g) არავინ აიძულოს, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ, ან თავი დამნაშავედ აღიაროს.
4. არასრულწლოვანთა მიმართ პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ გათვალისწინებულ იქნეს მათი ასაკი და მათი რეაბილიტაციის ხელშეწყობის სურვილი.
5. თითოეულ მსჯავრდებულ პირს უფლება აქვს მის მიმართ გამოტანილი მსჯავრი და სასჯელი გადასინჯოს ზემდგომმა სასამართლომ.
6. თუ რომელიმე პირს საბოლოო გადაწყვეტილებით მსჯავრი დასდეს სისხლის სამართლის დანაშაულისთვის და შემდგომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი გაუქმდა ან შეწყალება უბოძეს რაიმე ახალი ან ახალაღმოჩენილი გარემოების საფუძველზე, რომელიც დამაჯერებლად ამტკიცებს სასამართლო შეცდომას, ასეთი მსჯავრდების შედეგად დასჯილი პირი კომპენსაციას იღებს კანონის შესაბამისად, თუ არ დამტკიცდება, რომ

მანამდე უცნობი გარემოება თავის დროზე ვერ აღმოაჩინეს მისი ან ნაწილობრივ მისი მიზეზით.

7. არავინ არ შეიძლება ხელახლა გაასამართლონ ან დასაჯონ იმავე დანაშაულისთვის, რომლისთვისაც მის მიმართ უკვე არის გამოტანილი საბოლოო მსჯავრი ან გამართლებულია თითოეული ქვეყნის კანონის და სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად’.

## შესაბამისი ტექსტები რეგიონულ დონეზე

### ევროპა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია მე-6 მუხლში მნიშვნელოვან დებულებებს იძლევა სასამართლო პროცესთან დაკავშირებით, რომლებიც საგულისხმოა პროკურორებისთვის. მე-6 მუხლი აცხადებს:

1. ‘სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლის სამართლის ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს უფლება გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვისა კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადანყვეტილება ცხადდება საჯაროდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი ნესრიგის ან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საჯაროობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.
2. ყოველი პირი, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.
3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:
  - a) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დანვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;
  - b) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;
  - c) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურე-



ბის ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

- d) დააკითხოს ან დააკითხვინოს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;
- e) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე’.

სასამართლო პროცესზე ადამიანის უფლებათა მიმართ იგივე დამოკიდებულებაა ევროკავშირის დონეზე. საჯარო პროკურორებისთვის საგულისხმო დებულებები გამოვრებულია ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიაში. 47-ე მუხლი (ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უფლება) აცხადებს:

‘ყოველ პირს, რომელსაც დაერღვა კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უფლება აქვს ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება სასამართლოს წინაშე, ამ მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად. ყოველ პირს აქვს უფლება გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვისა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ, რომელიც წინასწარაა შექმნილი კანონის საფუძველზე. ყოველ პირს აქვს უფლება, მიიღოს კონსულტაცია, ჰყავდეს დამცველი და იყოს წარმოდგენილი. მათთვის, ვისაც იურიდიული დახმარებისათვის საჭირო სახსრები არა აქვთ, ასეთი დახმარება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იმ ფარგლებში, რამდენადაც ამას მართლმსაჯულებაზე ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოითხოვს’.

48-ე მუხლი (უდანაშაულობის პრეზუმფცია და დაცვის უფლება) მნიშვნელოვანი დებულებაა ბრალდებულის მიმართ პროკურორთა დამოკიდებულებისათვის:

‘ყოველი პირი, რომელსაც წაყენებული აქვს ბრალდება, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

ყოველი პირი, ვისაც წაყენებული აქვს ბრალდება, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დაცვის უფლებით’.

## აფრიკა

ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია სასამართლო პროცესის დროს ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ რამდენიმე დებულებას შეიცავს მე-7 მუხლის 1-ლ პუნქტში:

‘ყოველ პირს აქვს უფლება მოსმენილ იქნეს მისი საქმე. ეს მოიცავს:

- a. კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოში მისი ფუნდამენტური უფლებების დადგენის გასაჩივრების უფლებას, როგორც ეს აღიარებული და გარანტირებულია კონვენციებით, კანონებით, ნორმატიული აქტებით და მოქმედი ჩვეულებითი სამართლით;

- b. უფლება ითვლებოდა უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კომპეტენტური სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ;
- c. დაცვის უფლება, მის მიერ არჩეული ადვოკატის მეშვეობით დაცვის უფლების ჩათვლით;
- d. მიუკერძოებელი სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ მისი საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება’.

ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკულმა კომისიამ მიიღო რეზოლუცია გასაჩივრების უფლებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ (1992), რომელიც აფრიკული ქარტიის მე-7 მუხლის 1-ლ პუნქტს ავრცობს და რამდენიმე დამატებით უფლებას უზრუნველყოფს. მათგან ყველაზე უფრო შესაბამისი დებულებებია:

- 2. ‘(...) D. პირები, რომლებსაც ბრალად ედებათ სისხლის სამართლის დანაშაული, ითვლებიან უდანაშაულოდ, ვიდრე მათი ბრალეულობა არ დამტკიცდება კომპეტენტური სასამართლოს მიერ. (...)’
- E. 2) საქმე განხილულ იქნეს გონივრულ ვადაში;
- 3. დაკითხონ ან დააკითხვიონ მათ წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები და გამოძახებინონ და დააკითხვიონ დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;
- 4. ისარგებლონ თარჯიმნის უფასო დახმარებით თუ ისინი ვერ საუბრობენ სასამართლოში გამოყენებულ ენაზე’.

## არაბული სამყარო

ისლამში ადამიანის უფლებათა კაიროს დეკლარაცია შესაბამის დებულებებს მე-19 მუხლში შეიცავს, რომლის “e” ქვეპუნქტი აცხადებს:

‘ბრალდებული უდანაშაულოა მანამ, სანამ მისთვის წაყენებული ბრალდება არ დამტკიცდება სწრაფი სასამართლო პროცესის მიერ, სადაც მას დაცვის ყველა გარანტია უნდა მიეცეს’.

არაბულ სახელმწიფოთა ლიგის საბჭომ ეს პრინციპი კიდევ ერთხელ დაადასტურა ადამიანის უფლებათა არაბულ ქარტიაში. მე-7 მუხლში აღნიშნულია:

‘ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონიერ სასამართლო პროცესზე, სადაც იგი უზრუნველყოფილი იქნება საკუთარი დაცვისთვის საჭირო ყველა გარანტიით’.

## ამერიკის კონტინენტები

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლი (სამართლიანი სასამართლოს უფლება) შეიცავს რამდენიმე შესაბამის დებულებას სასამართლო პროცესში საჯარო პროკურორების როლის შესახებ. მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს:

‘ყოველ პირს, მისთვის წაყენებული ნებისმიერი სისხლის სამართლის ბრალდების ან მისი სამოქალაქო, შრომითი, ფინანსური ან ნებისმიერი სხვა ხასიათის უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას, უფლება აქვს მისი საქმე გონივრულ ვადაში და სათანადო გარანტიებით განხილულ იქნეს კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ, რომელიც წინასწარაა შექმნილი კანონის საფუძველზე’.

მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი უზრუნველყოფს “უდანაშაულობის პრეზუმციის” პრინციპს და მინიმალურ გარანტიებს ყველა პირისთვის, რომელსაც წაყენებული აქვს სისხლის სამართლის ბრალდება:

‘ყოველ პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონით. პროცესის დროს ყველა პირს, სრული თანასწორობის დაცვით, აქვს შემდეგი მინიმალური უფლებები:

- a) ბრალდებულის უფლება ისარგებლოს თარჯიმნის ან მთარგმნელის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ისაუბროს ამ ენაზე;
- b) ბრალდებულისთვის მისთვის წაყენებული ბრალდების წინასწარ შეტყობინების უფლება;
- c) დაცვის მომზადებისთვის სათანადო დროისა და საშუალებების უზრუნველყოფა;
- d) ბრალდებულის უფლება, დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული ადვოკატის მეშვეობით, და თავისუფლად და დამსწრეთა გარეშე შეხვდეს თავის ადვოკატს;
- e) განუყოფელი უფლება, მიიღოს სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატის დახმარება, ანაზღაურებით ან მის გარეშე, შიდასახელმწიფო კანონის შესაბამისად, თუ ბრალდებულს თავად არ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა, ან მოიწვიოს თავისი ადვოკატი კანონით დადგენილ ვადაში;
- f) დაცვის მხარის უფლება, დაკითხოს სასამართლოზე გამოცხადებული მონმეები და გამოაძახებინოს ექსპერტები და სხვა პირები, როგორც მონმეები, რომლებსაც შეუძლიათ ნათელი მოჰფინონ ფაქტებს;
- g) უფლება, არ აიძულონ, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ან აღიაროს დანაშაული’.

## რბილი საერთაშორისო სამართალი

### გაეროს დონე

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა პაქტის მე-14 მუხლის დებულებები განიხილა 1984 წლის №13 ზოგად კომენტარში. კომენტარში კომიტეტმა დაასკვნა, რომ მე-14 მუხლი რთული ბუნებისაა და ამიტომ დებულებათა სხვადასხვა ასპექტს მისი სწორი იმპლემენტაციისათვის კონკრეტული კომენტარები სჭირდება. ვინაიდან კომენტარში სასამართლო პროცესთან დაკავშირებული დებულებებია განმარტებული, ხოლო სასამართლო პროცესზე ადამიანის უფლებათა დაცვაში პროკურორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, აღნიშნული კომენტარი ძალზე საგულისხმოა პროკურორებისთვის. ქვემოთ მოცემულია №13 კომენტარი:

1. 'კომიტეტი აღნიშნავს, რომ პაქტის მე-14 მუხლი თავისი ბუნებით რთულია და მისი დებულებების სხვადასხვა ასპექტს კონკრეტული კომენტარები სჭირდება. ყველა ეს დებულება მართლმსაჯულების სათანადო წარმართვისკენაა მიმართული და ამ მიზნით ისინი მთელ რიგ ინდივიდუალურ უფლებებს ადგენენ, მაგალითად, თანასწორობა სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე და თითოეული პირის უფლება, მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ განიხილოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. თუმცა ყველა მოხსენებაში არ იყო წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებების შესახებ, რომლებიც სპეციალურად მე-14 მუხლის თითოეული დებულების იმპლემენტაციის მიზნითაა მიღებული.
2. ზოგადად მონაწილე სახელმწიფოთა მოხსენებებში არ არის აღიარებული ის ფაქტი, რომ მე-14 მუხლი გამოიყენება არა მხოლოდ ცალკეული პირის მიმართ სისხლის სამართლის ბრალდების განხილვის პროცედურებისთვის, არამედ ასევე რომელიმე სამოქალაქო პროცესზე მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრის პროცედურებისთვის. ამ საკითხებთან დაკავშირებული კანონები და პრაქტიკა სხვადასხვა სახელმწიფოში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ასეთი მრავალფეროვნების ფონზე კიდევ უფრო აუცილებელია, მონაწილე სახელმწიფოებმა წარმოადგინონ ყველა შესაბამისი ინფორმაცია და დეტალურად ახსნან, თუ როგორ არის განმარტებული მათ სამართლებრივ სისტემებში ისეთი ცნებები, როგორიცაა "სისხლის სამართლის ბრალდება" და "უფლება-მოვალეობების განსაზღვრა რომელიმე სამოქალაქო პროცესზე".
3. კომიტეტი სასარგებლოდ მიიჩნევდა, თუ მონაწილე სახელმწიფოები, თავიანთ შემდგომ მოხსენებებში უფრო დეტალურ ინფორმაციას წარმოადგენდნენ იმ ზომების შესახებ, რომლებსაც ისინი იღებენ სასამართლოს წინაშე თანასწორობის, სასამართლოზე თანაბარი ხელმისაწვდომობის, საქმის სამართლიანი და საჯარო სასამართლო განხილვის, ასევე კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ორგა-

ნობის კანონის საფუძველზე ჩამოყალიბების და პრაქტიკაში უზრუნველყოფის მიზნით. კერძოდ, მონაწილე სახელმწიფოებმა კონკრეტულად უნდა მიუთითონ შესაბამის საკონსტიტუციო და საკანონმდებლო დოკუმენტებზე, რომლებიც სასამართლოების შექმნას ითვალისწინებს და მათ დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და კომპეტენტურობას უზრუნველყოფს, განსაკუთრებით მოსამართლეთა დანიშვნის წესზე, დანიშვნისას მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებზე და მათი უფლებამოსილების ვადებზე; იმ პირობებზე, რომლებიც არეგულირებს მათი სამსახურებრივი დანიშნულების, ფუნქციების გადაცემისა და შეწყვეტის საკითხებს, ასევე სასამართლო ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან ფაქტობრივი დამოუკიდებლობის ასპექტებზე.

4. მე-14 მუხლის დებულებები გამოიყენება როგორც ჩვეულებრივი, ისე სპეციალური სასამართლოებისა და ტრიბუნალების მიმართ, რომლებსაც ეს მუხლი მოიცავს. კომიტეტი მიუთითებს ზოგიერთ ქვეყანაში არსებულ სამხედრო და სპეციალურ სასამართლოებზე, რომლებიც სამოქალაქო პირთა საქმეებს განიხილავენ. ამან შეიძლება სერიოზული პრობლემები შექმნას სამართლიანი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით. საკმაოდ ხშირად ასეთი სასამართლოების შექმნა მიზნად ისახავს გამონაკლისი პროცედურების გამოყენებას, რომლებიც ჩვეულებრივი მართლმსაჯულების ნორმებს არ შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ პაქტი ასეთი კატეგორიის სასამართლოთა შექმნას არ კრძალავს, მის მიერ გათვალისწინებული პირობები მკაფიოდ მიუთითებს, რომ ასეთი სასამართლოების მიერ სამოქალაქო საქმეთა განხილვა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და იგი უნდა წარმართოს ისეთ პირობებში, როდესაც ჭეშმარიტად სრულად იქნება დაცული მე-14 მუხლით გათვალისწინებული ყველა გარანტია. კომიტეტი მიუთითებს, რომ ზოგიერთი მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ მოხსენებებში არ არის მითითებული, თუ რომელ სასამართლო სტრუქტურას მიეკუთვნებიან სამოქალაქო საქმეების განხილვის უფლებამოსილების მქონე ასეთი სასამართლოები. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი სამხედრო სპეციალიზებული სასამართლოები ვერ უზრუნველყოფენ სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის საჭირო მკაცრ გარანტიებს მე-14 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვისთვის. თუ მონაწილე სახელმწიფოები საგანგებო მდგომარეობის დროს გადაწყვეტენ, გადაუხვიონ მე-14 მუხლით დადგენილ ჩვეულებრივ პროცედურებს, როგორც ეს მე-4 მუხლითაა განსაზღვრული, მაშინ მათ უნდა უზრუნველყონ, რომ ეს გადახვევები არ გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია ფაქტობრივი მდგომარეობის სიმწვავიდან გამომდინარე, და აკმაყოფილებდეს მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ სხვა პირობებს.
5. მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე წინადადება მოითხოვს, რომ “ყოველ პირს აქვს მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება”. ამ მუხლის მე-3 პუნქტში დეტალურადაა დამუშავებული “სამართლიანი განხილვის” მოთხოვნა სისხლის სამართლის ბრალდების დადგენასთან

დაკავშირებით. თუმცა მე-3 პუნქტის მოთხოვნები წარმოადგენს მინიმალურ გარანტიებს, რომელთა დაცვა ყოველთვის არ არის საკმარისი საქმის სამართლიანი განხილვის დასაკმაყოფილებლად, როგორც ამას 1-ლი პუნქტი მოითხოვს.

6. საქმის საჯარო განხილვა ცალკეული პირის და მთლიანად საზოგადოების ინტერესებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. იმავდროულად, მე-14 მუხლის 1-ლ პუნქტში აღიარებულია, რომ სასამართლოს შეუძლია განხილვაზე არ დაუშვას მთელი საზოგადოება ან მისი გარკვეული ნაწილი ამ პუნქტში მითითებული მიზეზების საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი განსაკუთრებული გარემოებების გარდა, კომიტეტს მიაჩნია, რომ საქმის ნებისმიერი განხილვა ღია უნდა იყოს მთელი საზოგადოებისთვის, პრესის წარმომადგენელთა ჩათვლით, ხოლო მასზე დასწრება არ უნდა შემოიფარგლოს, მაგალითად, მხოლოდ გარკვეული კატეგორიის პირებით. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინაც კი, როდესაც სასამართლო განხილვაზე მთელი საზოგადოება არ დაიშვება, სასამართლოს გადანყევტილება, ზოგიერთი მკაცრად განსაზღვრული გამონაკლისის გარდა, საჯაროდ უნდა იქნეს გამოცხადებული.
7. კომიტეტი აღნიშნავს, ხოლო ზოგ შემთხვევასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ მე-14 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმფციას ეხება და რომელსაც ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებათა დაცვაში, საკმაოდ ზოგადი ფორმულირებით არის წარმოდგენილი ან დაკავშირებულია პირობებთან, რომლებიც მას ქმედითობას უკარგავს. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის შესაბამისად, ბრალდების მტკიცების ტვირთი ბრალმდებელს ეკისრება, ხოლო ყოველი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადანყედეს. არავინ არ შეიძლება ჩაითვალოს დამნაშავედ, სანამ ბრალდება არ დამტკიცდება გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტის შესაბამისად. გარდა ამისა, უდანაშაულობის პრეზუმფცია ითვალისწინებს პირის უფლებას, გაასამართლონ ამ პრინციპის შესაბამისად. ამიტომ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანო ვალდებულია თავი შეიკავოს სასამართლო პროცესის შედეგების წინასწარი შეფასებისაგან.
8. სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისთვის დადგენილი მინიმალური გარანტიებიდან, რომლებიც მე-3 პუნქტშია განსაზღვრული, პირველი ეხება ყოველი პირის უფლებას, სასწრაფო წესით და დაწვრილებით, მისთვის გასაგებ ენაზე შეატყობინონ მისთვის წაყენებული ბრალდება (ქვეპუნქტი "ა"). კომიტეტი აღნიშნავს, რომ მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ მოხსენებებში ხშირად ახსნილი არ არის რა სახითაა აღიარებული ეს უფლება და როგორ ხდება მისი უზრუნველყოფა. მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი სისხლის სამართლის ბრალდების ნებისმიერ განხილვას მიესადაგება, იმ ბრალდებათა ჩათვლით, რომლებიც წაყენებული აქვს პირს, რომელიც პატიმრობაში არ იმყოფება. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ წაყენებული ბრალდების შესახებ ინფორმაციის "დაუყოვნებლივ" მიღების უფლება მოითხოვს, რომ ინფორმაცია ზემოაღნიშნული სახით პირმა მიიღოს მაშინვე, როგორც კი კომპეტენტური ორგანო ბრალდებას წამოაყენებს. კომიტეტის აზრით, ეს უფლება უნდა

წარმოიშვას მაშინ, როდესაც, გამოძიების მსვლელობისას, სასამართლო ან ბრალდების მხარე გადაწყვეტს, დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმიტანილი პირის მიმართ გამოიყენოს პროცედურული ზომები, ან საჯაროდ აცხადებს მას ბრალდებულად. მე-3 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის მოთხოვნები შეიძლება შესრულდეს ბრალდების ზეპირად ან წერილობით ნაყენების სახით, იმ პირობით, რომ ამასთან ერთად მითითებული იქნება კანონები და ფაქტები, რომლებსაც ის ეყრდნობა.

9. მე-3 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ ბრალდებულს ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებები თავის დასაცავად და მის მიერ არჩეულ ადვოკატთან ურთიერთობისთვის. ცნება “საკმარისი დრო” დამოკიდებულია თითოეული შემთხვევის გარემოებებზე, თუმცა მას აუცილებლად უნდა მიეკუთვნებოდეს დოკუმენტებზე და მონმეტა ჩვენებებზე ხელმისაწვდომობა, რომლებიც შეიძლება ბრალდებულს დაცვის მოსამზადებლად დასჭირდეს, ასევე ადვოკატის დაქირავების და მასთან ურთიერთობის საშუალება. როდესაც ბრალდებულს არ სურს, თავად დაიცვას თავი ან არ ითხოვს, ეს გააკეთოს მის მიერ არჩეულმა სხვა პირმა ან ასოციაციამ, მას უნდა ჰქონდეს საშუალება, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით. გარდა ამისა, ეს ქვეპუნქტი მოითხოვს, რომ დამცველი ბრალდებულს შეხვდეს ისეთ პირობებში, სადაც სრულად იქნება დაცული მათი ურთიერთობების კონფიდენციალობა. ადვოკატს საშუალება უნდა ჰქონდეს, კონსულტაციები აწარმოოს კლიენტთან და წარმოადგინოს იგი დადგენილი პროფესიული ნორმების შესაბამისად, ასევე გააკეთოს შეფასებები ვინმეს მხრიდან რაიმე არამართლზომიერი შეზღუდვის, ზემოქმედების, ზენოლის ან ჩარევის გარეშე.
10. მე-3 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ ბრალდებული უნდა გასამართლდეს უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე. ეს გარანტია ეხება არა მხოლოდ იმ დროს, როდის უნდა დაიწყოს სასამართლო განხილვა, არამედ ასევე დროის პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა დამთავრდეს სასამართლო პროცესი და გამოტანილ იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილება; ყველა სტადია უნდა განხორციელდეს “უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე”. ამ უფლების ქმედითობის მიზნით უნდა არსებობდეს პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო პროცესს “უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე”, როგორც პირველ ინსტანციაში, ისე გასაჩივრების სტადიებზე.
11. მე-3 პუნქტის “დ” ქვეპუნქტით განსაზღვრული დაცვის უფლების ყველა ასპექტი ყველა მოხსენებაში არ არის განხილული. კომიტეტი ყოველთვის ვერ ღებულობდა საკმარის ინფორმაციას ნებისმიერი ბრალდების განხილვაზე ბრალდებულის დასწრების უფლების შესახებ, ასევე ვერც იმის შესახებ, თუ როგორ უზრუნველყოფს სამართლებრივი სისტემა ბრალდებულის უფლებას, დაიცვას თავი თვითონ ან მის მიერ არჩეული ადვოკატის მეშვეობით, და რა ხდება მაშინ, როდესაც პირს ადვოკატის მომსახურების საფასურის ანაზღაურების სახსრები არ გააჩნია. დაცვის არსებული ყველა საშუალების გამოყენებისას ბრალდებულს ან მის ადვოკატს უნდა ჰქონდეს მონდომებით და შიშის გარეშე მოქმედების უფლება და საქმის წარმოების გასაჩივრების უფლება, თუ მათ მიაჩნიათ,

რომ იგი არასამართლიანად წარიმართა. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო პროცესი ბრალდებულის დასწრების გარეშე მიმდინარეობს, რაც მხოლოდ სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებშია დასაშვები, აუცილებელია მკაცრად იქნეს დაცული დაცვის უფლება.

12. მე-3 პუნქტის “ე” ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ ბრალდებულს უფლება უნდა ჰქონდეს, დაკითხოს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები ან დააკითხვინოს ისინი, ასევე უფლება უნდა ჰქონდეს, გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მის სასარგებლოდ ჩვენების მიმცემი მოწმეები, ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში. ეს დებულება მიზნად ისახავს, ბრალდებულს მოწმის გამოძახების და დაკითხვის ან ჯვარედინი დაკითხვის ისეთივე იურიდიული უფლება ჰქონდეს, როგორც ბრალდების მხარეს.
13. მე-3 პუნქტის “წ” ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ თუ ბრალდებულს არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან არ შეუძლია ამ ენაზე საუბარი, მაშინ მას უფლება აქვს ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით. ეს უფლება არ არის დამოკიდებული სასამართლო განხილვის შედეგებზე და გამოიყენება როგორც უცხოელებისთვის, ისე ქვეყნის მოქალაქეებისთვის. ეს დებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოში გამოყენებული ენის არცოდნა, ან მისი გაგების სირთულეები არსებით დაბრკოლებას უქმნის დაცვის უფლების განხორციელებას.
14. მე-3 მუხლის “გ” ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ ბრალდებული არ შეიძლება აიძულონ, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ან თავი დამნაშავედ აღიაროს. ამ გარანტიის განხილვისას საჭიროა გვახსოვდეს მე-7 მუხლის და მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები. იმ მიზნით, რომ ბრალდებული აიძულონ, საკუთარი თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება ან აღიაროს დანაშაული, ხშირად გამოიყენება მეთოდები, რომლებიც ამ დებულებებს არღვევს. კანონი უნდა მოითხოვდეს, რომ ასეთი მეთოდებით ან იძულების რაიმე სხვა ფორმით მიღებული მტკიცებულება აბსოლუტურად დაუშვებლად იქნეს მიჩნეული.
15. მე-14 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ბრალდებულის უფლებების უზრუნველსაყოფად მოსამართლეებს უფლებამოსილება უნდა ჰქონდეთ, ბრალდებულის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული ნებისმიერი განცხადება განიხილონ პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.
16. მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ არასრულწლოვანთა პროცესი უნდა წარიმართოს მათი ასაკის და მათი რეაბილიტაციის ხელშეწყობის სურვილის გათვალისწინებით. მრავალ მოხსენებაში წარმოდგენილი არ იყო ამ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, როგორიცაა მინიმალური ასაკი, რომლიდანაც არასრულწლოვანს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს, მაქსიმალური ასაკი, რომლამდეც პირი არასრულწლოვანად ითვლება, სპეციალური სასამართლოების არსებობა და პროცედურები, არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული კანონების და მარეგულირებელი პროცედურების არსებობა, და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ითვალისწინებს არასრულწლოვნებისათვის



განკუთვნილი ყველა ეს პროცედურა “მათი რეაბილიტაციის ხელშეწყობის სურვილის”. არასრულწლოვანი პირები, სულ მცირე, უნდა სარგებლობდნენ იმავე გარანტიებითა და დაცვით, როგორც სრულწლოვანი პირებისთვისაა გათვალისწინებული მე-14 მუხლში.

17. მე-14 მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს, რომ ყოველ პირს, რომელსაც მსჯავრი ჩადო დანაშაულის ჩადენაში, უფლება აქვს მისი მსჯავრი და განაჩენი კანონის შესაბამისად გადასინჯოს ზემდგომმა სასამართლომ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიტყვა “დანაშაულის” (crime) თარგმნას (“infractio”, “delito”, “prestuplenie”), რომელიც მიუთითებს, რომ ეს გარანტია არ შემოიფარგლება მხოლოდ მძიმე დანაშაულებით. ამ თვალსაზრისით საკმარისი ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით, კერძოდ, ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში საქმის გადასინჯვის, მათზე ხელმისაწვდომობისა და ასეთი სასამართლოების უფლებამოსილებების შესახებ, ასევე სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის საჭირო მოთხოვნებისა და სასამართლოების მიერ საქმის გადასინჯვის პროცესში მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის გათვალისწინების შესახებ, რომელიც საქმის სამართლიან და საჯარო განხილვას მოითხოვს.
18. მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს სასამართლო შეცდომის კონკრეტულ შემთხვევებში კომპენსაციის გადახდას კანონის შესაბამისად, როგორც ეს ამ პუნქტშია განსაზღვრული. როგორც სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი მრავალი მოხსენებიდან ჩანს, ეს უფლება ხშირად დაცული არ არის ან არასათანადოდაა უზრუნველყოფილი შიდასახელმწიფო კანონმდებლობით. სახელმწიფოებმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეავსონ თავიანთი კანონმდებლობა ამ სფეროში, პაქტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
19. მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის სფეროსთან დაკავშირებით სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი მოხსენებების განხილვისას აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა. ზოგი სახელმწიფო იმასაც კი თვლიდა საჭიროდ, რომ დათქმები გაეკეთებინა სისხლის სამართლის პროცესების განახლების პროცედურაზე. კომიტეტს მიაჩნია, რომ მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა მკაფიოდ ასხვავებს ერთმანეთისაგან პროცესის განახლებას, რომელიც განსაკუთრებული გარემოებებითაა განპირობებული, და საქმის განმეორებით განხილვას, რომელიც აკრძალულია *ne bis in idem* პრინციპის შესაბამისად, რომელსაც მე-7 პუნქტი შეიცავს. *ne bis in idem* პრინციპის შინაარსის ამგვარმა გაგებამ შეიძლება ხელი შეუწყოს მონაწილე სახელმწიფოებს, გადახედონ მათ მიერ მე-14 მუხლის მე-7 პუნქტთან დაკავშირებით გაკეთებულ დათქმებს’.

გაეროს 1990 წლის სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით პროკურორებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან დებულებას მე-10 პუნქტში შეიცავს:

‘პროკურორთა თანამდებობა მკვეთრადაა გამიჯნული სასამართლოს ფუნქციებისგან’.

ამ თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია სახელმძღვანელო პრინციპების მე-16 პუნქტი:

‘როდესაც პროკურორები ლებულობენ ეჭვმიტანილის საწინააღმდეგო მტკიცებულებას, რომლის შესახებაც იციან ან საკმაო საფუძველი აქვთ ირწმუნონ, რომ იგი უკანონო მეთოდებითაა მოპოვებული, რაც ეჭვმიტანილის უფლებების უხეში დარღვევაა, განსაკუთრებით, თუ მისი მოპოვების დროს გამოყენებულ იქნა წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა, ან ადამიანის უფლებების დარღვევის რაიმე სხვა ფორმა, ისინი უარს ამბობენ ასეთი მტკიცებულების გამოყენებაზე ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც ასეთი მეთოდები გამოიყენეს, ან, შესაბამისად, აცნობებენ სასამართლოს და საჭირო ზომებს იღებენ ასეთი მეთოდების გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის მიზნით’.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გამოაქვეყნა კვლევა — სამართლიანი სასამართლოს უფლება: თანამედროვე აღქმა და მისი განმტკიცების ღონისძიებები. ამ კვლევაში უფრო დეტალურადაა განხილული “სამართლიანი სასამართლოს” პრინციპები, რომლებიც საერთაშორისო ტექსტებიდან, დოკუმენტებიდან და პრაქტიკიდან მომდინარეობს. კვლევაში არის რამდენიმე შესაბამისი დებულება საჯარო პროკურორებისთვის და სასამართლო პროცესზე მათი როლის შესახებ. სასამართლოს აღმასრულებელი შტოსგან დამოუკიდებლობის შესახებ ძალზე მკაფიო ხაზგასმითაა აღნიშნული მე-19 პუნქტში:

‘სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს აღმასრულებელი შტოსგან. აღმასრულებელ შტოს სახელმწიფოში არ უნდა შეეძლოს სასამართლო პროცესებში ჩარევა და სასამართლო მოქალაქეს არ უნდა მოექცეს, როგორც აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი’.

27-ე პუნქტი მიუკერძოებლობას ეხება:

‘სასამართლო განიცდის მიუკერძოებლობის ნაკლებობას, თუ, ინტერალია, ყოფილი საჯარო პროკურორი ან ადვოკატი მოსამართლის ფუნქციით გამოდის საქმეზე, რომელზედაც იგი დევნას ახორციელებდა ან მხარის დაცვას წარმოადგენდა; პროცესის მოსამართლე აქტიურად მონაწილეობდა საქმის გამოძიების საიდუმლო მომზადებაში; ან მოსამართლე რაიმე სხვა გზებითაა დაკავშირებული საქმესთან, რამაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს გადაწყვეტილებაზე’.

კვლევის დასკვნით ნაწილში მოცემულია მკაფიოდ ჩამოყალიბებული პუნქტი სასამართლო პროცესის განმავლობაში პროკურორის როლის შესახებ, კერძოდ “უდანაშაულობის პრეზუმფციასთან” დაკავშირებით.

59-ე პუნქტის “b” პუნქტში აღნიშნულია:

‘სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა დაიცვან უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი. ეს დებულება ეხება როგორც პროცესის თავმჯდომარე მოსამართლეს, ისე ნებისმიერ საჯარო პირს, რომელიც ამა თუ იმ სახითაა დაკავშირებული საქმესთან. პროცესის

განმავლობაში ბრალდებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ეჭვის მის სასარგებლოდ გადანყვეტის უფლებით. საჯარო პირებს, პროკურორების ჩათვლით, შეუძლიათ საზოგადოებას მიანოდონ ინფორმაცია სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებისა და ბრალდების შესახებ, მაგრამ არ უნდა გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ნებისმიერი ეჭვმიტანილის ბრალეულობის შესახებ’.

## ევროპა

ევროპის საბჭოს რეკომენდაცია (Rec (2000) 19) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორთა როლის შესახებ მრავალ დებულებას შეიცავს, რომელიც საგულისხმოა პროკურორებისთვის სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. რეკომენდაციის მე-13 პუნქტის “e” პუნქტი მნიშვნელოვანია სასამართლო პროცესზე საჯარო პროკურორებსა და აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ურთიერთობებისთვის. იგი აცხადებს:

‘სახელმწიფოები უზრუნველყოფენ (...) საჯარო პროკურორებს თავისუფლად შეეძლოთ სასამართლოს წარუდგინონ ნებისმიერი სამართლებრივი არგუმენტი თავიანთი შეხედულებისამებრ, მაშინაც კი, როდესაც ისინი ვალდებული არიან წერილობით წარადგინონ ინფორმაცია მიღებული მითითების შესახებ’.

რეკომენდაციაში კიდევ სხვა შესაბამისი დებულებებია ჩამოყალიბებული საჯარო პროკურორისა და მოსამართლის ურთიერთობებთან დაკავშირებით. არც მოსამართლის და არც პროკურორის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

მე-17 მუხლში ნათლადაა აღნიშნული:

‘სახელმწიფოებმა ზომები უნდა მიიღონ, რათა საჯარო პროკურორთა სამართლებრივი სტატუსი, კომპეტენციები და მათი საპროცესო როლი კანონით იქნეს დადგენილი, იმგვარად, რომ რაიმე მართლზომიერ ეჭვს არ იწვევდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ. სახელმწიფოებმა განსაკუთრებით უნდა უზრუნველყონ, რომ ერთი და იმავე პირი ერთდროულად არ ასრულებდეს პროკურორისა და მოსამართლის მოვალეობებს’.

საჯარო პროკურორებთანაა დაკავშირებული მე-19 პუნქტი:

‘საჯარო პროკურორებმა განუხრელად უნდა იცავდნენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას; კერძოდ, მათ ეჭვი არ უნდა შეიტანონ სასამართლოს გადანყვეტილებებში, ან ხელი არ უნდა შეუშალონ მათ აღსრულებას, გარდა გასაჩივრების საშუალებების ან სხვა ოფიციალური პროცედურების გამოყენებისას’.

რეკომენდაციის მე-20 პუნქტი “სამართლიანობაში” პროკურორის როლს განსაზღვრავს. იგი დამაჯერებლად აცხადებს:

‘სასამართლო პროცესის განმავლობაში საჯარო პროკურორები უნდა იყვნენ ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, მათ სასამართლო უნდა უზრუნველყონ ყველა შესაბამისი ფაქტითა და სამართლებრივი არგუმენტით, რომლებიც აუცილებელია მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელებისთვის’.

რეკომენდაციაში ასევე ნახსენებია საჯარო პროკურორის მიერ მტკიცებულების გამოყენება.

28-ე პუნქტში ნათქვამია:

‘საჯარო პროკურორებმა ეჭვმიტანილის წინააღმდეგ არ უნდა წარმოადგინონ მტკიცებულება, რომლის შესახებ იციან ან გონივრული საფუძველი აქვთ ირწმუნონ, რომ იგი მოპოვებულია მეთოდით, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება. ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში საჯარო პროკურორმა სასამართლოს უნდა სთხოვოს, გადაწყვეტილება მიიღოს ასეთი მტკიცებულების დასაშვებობის საკითხზე’. შემდგომ

30-ე პუნქტი აღნიშნავს:

‘საჯარო პროკურორებმა უნდა დაიცვან იარაღთა თანასწორობის პრინციპი, კერძოდ, სხვა მხარეებს გადასცენ — კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა — მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა იქონიოს პროცესის სამართლიანობაზე’.

და ბოლოს, რეკომენდაციაში არის რამდენიმე დებულება, რომელიც დაკავშირებულია სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას პროკურორთა დამოკიდებულებასთან მოწმეებისა და დაზარალებულების მიმართ.

32-ე პუნქტი აცხადებს:

‘საჯარო პროკურორებმა ჯეროვნად უნდა გაითვალისწინონ მოწმეთა ინტერესები, კერძოდ, მიიღონ ან ხელი შეუწყონ ზომების მიღებას მათი სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით, ან იზრუნონ, რომ ასეთი ზომები მიღებულ იქნეს’.

33-ე პუნქტში საუბარია დაზარალებულთა ინტერესების შესახებ:

‘საჯარო პროკურორებმა ჯეროვნად უნდა გაითვალისწინონ დაზარალებულის ინტერესები, როდესაც საქმე ეხება მის პირად ინტერესებს, და მიიღონ ან ხელი შეუწყონ ზომების მიღებას, რომლებიც უზრუნველყოფს დაზარალებულის ინფორმირებას მისი უფლებებისა და პროცესის მიმდინარეობის შესახებ’.

## პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია

პროკურორთა პროფესიული პასუხისმგებლობის, ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების სტანდარტები, რომელიც პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციამ 1990 წელს მიიღო, 1-ლ პუნქტში სასამართლო პროცესზე პროკურორთა პროფესიული ქცევის საკითხებს განიხილავს:

‘პროკურორები (...)

- f) განუხრელად ხელს უწყობენ ბრალდებულის მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებას, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ ბრალდებულის სასარგებლო მტკიცებულებები შეგროვდეს კანონის ან სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების შესაბამისად’.

მე-3 პუნქტში მიუკერძოებლობაზე საუბარი:

‘პროკურორებმა თავიანთი მოვალეობები უნდა შეასრულონ შიშის, უპირატესობის მინიჭების ან წინასწარი განზრახვის გარეშე. კერძოდ, ისინი ვალდებული არიან:

- a) თავიანთი მოვალეობები შეასრულონ მიუკერძოებლად;
- b) არ მოექცნენ ინდივიდუალურ პირთა ან ჯუფების ინტერესების და საზოგადოების ან პრესის ზეგავლენის ქვეშ და პატივი სცენ მხოლოდ საზოგადოების ინტერესებს;
- c) იმოქმედონ ობიექტურად;
- d) გაითვალისწინონ ყველა სათანადო გარემოება, მიუხედავად იმისა, ისინი აუმჯობესებენ თუ აუარესებენ ეჭვმიტანილის მდგომარეობას;
- e) ადგილობრივი კანონის ან სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების შესაბამისად, ისწრაფვოდნენ უზრუნველყონ, რომ ჩატარდეს ყველა საჭირო და გონივრული მოკვლევა, ხოლო შედეგები ცნობილი გახდეს, მიუხედავად იმისა, ეს ეჭვმიტანილის ბრალეულობაზე მიუთითებს თუ მის უდანაშაულობაზე;
- f) მუდამ ეძიონ ჭეშმარიტება და სასამართლოს დაეხმარონ ჭეშმარიტების დადგენაში და უზრუნველყონ კანონის შესაბამისი და სამართლიანობით ნაკარნახევი გადანყვეტილების მიღება დაზარალებულისთვის, ბრალდებულისა და მთელი საზოგადოებისთვის’.

გარდა ამისა, პროკურორთა სერთაშორისო ასოციაციის სტანდარტები შეიცავს დებულებას, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში ითვალისწინებს როგორც მონმეთა, ისე დაზარალებულთა ინტერესებს. 4.3 პუნქტში, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში პროკურორის როლს ეხება, აღნიშნულია:

‘გარდა ამისა, პროკურორები:

- a) იცავენ პროფესიულ კონფიდენციალობას;
- b) ადგილობრივი კანონის დაცვით და სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების შესაბამისად, ითვალისწინებენ დაზარალებულთა და მონმეთა კანონიერ ინტერესებსა და შესაძლო პრობლემებს, როდესაც საფრთხე ემუქრება, ან შეიძლება დაემუქროს მათ პირად ინტერესებს, და ისწრაფვიან უზრუნველყონ დაზარალებულთა და მონმეთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ; ასევე ანალოგიურად ისწრაფვიან, რომ თითოეულ მხარეს, რომელსაც ზიანი მიადგა, აცნობონ ზემდგომ ინსტანციაში/სასამართლოში გასაჩივრების უფლების შესახებ, ზიანის ანაზღაურების მიღების მიზნით, როდესაც ეს შესაძლებელია;

- c) სასამართლოსთან და სხვა შესაბამის ორგანოებთან ერთად იცავენ ბრალდებულის უფლებებს’.

და ბოლოს, 4.3 პუნქტი კვლავ მოცემულია დებულებები მტკიცებულების გამოყენების და “იარაღთა თანასწორობის” პრინციპის შესახებ:

- d) ‘ბრალდებულს, სასამართლო პროცესის დაწყებამდე, მაქსიმალურად სწრაფად აცნობენ არსებული ინფორმაციის შესახებ, კანონის შესაბამისად და სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების გათვალისწინებით;
- e) ამონებენ წარმოდგენილ მტკიცებულებას, რათა დარწმუნდნენ, რომ იგი კანონის და კონსტიტუციის შესაბამისად არის მოპოვებული;
- f) უარს ამბობენ მტკიცებულების გამოყენებაზე, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი არამართლზომიერი მეთოდებითაა მოპოვებული, რომლებიც ეჭვმიტანილის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა, განსაკუთრებით ისეთი მეთოდებით, რომლებიც წამებას ან სასტიკ მოპყრობას წარმოადგენს;
- g) ისწრაფვიან უზრუნველყონ შესაბამისი ზომების მიღება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ასეთი მეთოდების გამოყენებაზე არიან პასუხისმგებელი;
- h) ადგილობრივი კანონის და სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების შესაბამისად, სათანადოდ ითვალისწინებენ, როდესაც ეს შესაძლებელია, ბრალდებზე უარის თქმის, პროცესის პირობითი ან უპირობო შეწყვეტის და სისხლის სამართლის საქმეების გამოყოფის საშუალებას, განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, რომლებიც ეხება ახალგაზრდა დამნაშავეებს, ეჭვმიტანილისა და დაზარალებულის უფლებების ჯეროვანი პატივისცემით’.

## ევროპული პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის ხშირად მიუმართავთ, დადგენილება მიეღო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დებულებებზე. მე-6 მუხლი მრავალ ასპექტს მოიცავს, რომლებიც, ერთად აღებული, “სამართლიანი სასამართლოს” უფლებას უზრუნველყოფს. სასამართლო თავის სამართალწარმოებაში უფრო დეტალურ კომენტარებს იძლევა, თუ როგორ უნდა განიმარტოს მე-6 მუხლის სხვადასხვა ასპექტი. სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში მე-6 მუხლის დებულებებზე მრავალი კომენტარია, რომელიც საგულისხმოა პროკურორებისთვის სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. მაგალითად, *ოზთურქის* საქმის (1984 წლის 21 თებერვალი) განხილვისას “სისხლის სამართლის ბრალდების” განსაზღვრასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა:

‘(...) ამ საკითხზე სასამართლო უბრალოდ უზრუნდება თავის საფუძვლიანად ჩამოყალიბებულ პრეცედენტულ სამართალს, სადაც “ბრალდება”, მე-6 მუხლის მიზნებისთვის, ზოგადად შეიძლება განისაზღვროს, რო-

გორც “ინდივიდუალური პირისთვის კომპეტენტური ორგანოს მიერ ოფიციალური შეტყობინება განცხადებისა, რომ მას ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული”, თუმცა “ზოგ შემთხვევაში მას შეიძლება სხვა ღონისძიების სახეც ჰქონდეს, რომელიც ითვალისწინებს ასეთ განცხადებას და ასეთივე არსებით ზეგავლენას ახდენს ეჭვმიტანილის მდგომარეობაზე” (...).

სასამართლომ ასევე განმარტა ცნება “დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო”, როგორც ეს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტშია ჩამოყალიბებული. ევროპელმა პროკურორმა თავისი საპროცესო როლი ისე უნდა შეასრულოს, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ რაიმე კანონიერი ეჭვი არ გაჩნდეს. შესაბამისად, პროკურორმა თავისი მოვალეობების შესრულებისას არ უნდა აწარმოოს საქმე, რომელზედაც შემდეგ მას მოსამართლის ფუნქცია დაეკისრება. *პიერსაკის საქმეზე (1982 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება)*, 30-ე პუნქტის “d” ქვეპუნქტში, სასამართლომ დაადგინა:

‘(...) იმისთვის, რომ სასამართლოებმა საზოგადოების ნდობა მოიპოვონ, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია, ყურადღება უნდა მიექცეს ასევე შიდა ორგანიზების საკითხებს. თუ პირს პროკურატურაში უკავია თანამდებობა, რომლის ბუნებიდან გამომდინარე, მას შესაძლოა შეხება ჰქონდეს მოცემულ საქმესთან, ხოლო შემდეგ იმავე საქმეზე იგი მოსამართლის ფუნქციას ასრულებს, საზოგადოებას შესაძლოა გაუჩნდეს შიში, რომ პროკურორი მიუკერძოებლობის საკმარის გარანტიებს ვერ უზრუნველყოფს’.

სასამართლოს არ განუზილავს მოსამართლის მიერ იმავე საქმეზე შესრულებული პროკურორის როლის ფარგლების მნიშვნელობა. 31-ე პუნქტში იგი მკაფიოდ აღნიშნავს:

‘ეს საკმარისია დავასკვნათ, რომ “ტრიბუნალის” მიუკერძოებლობა, რომელმაც უნდა დაადგინოს ბრალდების არსებითი მხარე, ეჭვის საფუძველს ტოვებდა’.

მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი “სამართლიან სასამართლოს” მოითხოვს. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გარანტიები 1-ლ პუნქტში განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს უფლების კონკრეტული ასპექტებია. სასამართლომ მრავალ საქმეზე მიიღო დადგენილება მონმეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც სასამართლო პროცესის სამართლიანობასთანა დაკავშირებული. სასამართლოს პრევენციული სამართალი ნათლად მიუთითებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას შეჯიბრებითობის და იარაღთა თანასწორობის არგუმენტის მნიშვნელობაზე. ბრალდების მხარეც ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. *კოსტოვსკის საქმეში (1989 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება)* სასამართლომ კონვენციის საფუძველზე შეზღუდვები დაანესა ანონიმურ მონმეთა გამოყენებასთან დაკავშირებით. 41-ე პუნქტში აღნიშნულია:

‘პრინციპში, ყველა მტკიცებულება ბრალდებულის თანდასწრებით უნდა იქნეს წარმოდგენილი საჯარო განხილვისას, შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით (...). თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მონმეთა ჩვენებების მტკიცებულად გამოყენებისთვის ყოველთვის აუცილებელია, ეს გაკეთ-

დეს სასამართლოში საჯარო განხილვისას: წინასასამართლო ეტაპზე მოპოვებული ასეთი ჩვენებების მტკიცებულებად გამოყენება თავისთავად არ არის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის “დ” ქვეპუნქტისა და 1-ლი პუნქტის დარღვევა, იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ იყო უზრუნველყოფილი დაცვის უფლება.

ეს უფლებები, როგორც წესი, მოითხოვს, რომ ბრალდებულს მიეცეს ადეკვატური და სათანადო შესაძლებლობა, გამოაძახებინოს და დაკითხოს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმე უშუალოდ ჩვენების მიცემის დროს ან პროცესის უფრო მოგვიანო ეტაპზე. (...)

*ვან მეჩელენის საქმეზე (1997 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება)* სასამართლომ დააკონკრეტა პრინციპები იმ შემთხვევებისთვის, როცა ანონიმურ მოწმეთა ჩვენება მტკიცებულებად გამოიყენება. გადაწყვეტილების 54-ე და 55-ე პუნქტებში აღნიშნულია:

‘თუმცა, თუ ბრალდების მოწმეთა ანონიმურობა შენარჩუნებულია, დაცვა სირთულეების წინაშე აღმოჩნდება, რაც ჩვეულებრივ სისხლის სამართლის პროცესში არ უნდა მოხდეს. შესაბამისად, სასამართლომ აღიარა, რომ ასეთ შემთხვევებში მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის “დ” ქვეპუნქტი ერთობლივად მოითხოვს, რომ დაბრკოლებები, რომელთა წინაშეც დგას დაცვა, დაბალანსებული იქნეს სასამართლო ორგანოს მიერ განხორციელებული პროცედურებით.

და ბოლოს, საჭიროა გავისხენოთ, რომ არ შეიძლება მსჯავრი დაეფუძნოს მხოლოდ ანონიმურ ჩვენებას, ან მნიშვნელოვანწილად იქნეს მასზე დაფუძნებული’.

*ედვარდის საქმეში (1992 წლის 16 დეკემბერი)* სასამართლოს მიაჩნია, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული სამართლიანობა მოითხოვს, რომ ბრალდების ორგანოებმა დაცვის მხარეს მიაწოდონ მტკიცებულებებთან დაკავშირებული ყველა მასალა, როგორც ბრალდებულისთვის სასარგებლო, ისე მისი საწინააღმდეგო. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გამოიწვევს პროცესის ხარვეზს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მე-6 მუხლში მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის, დუმის უფლება და პირის უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ასევე ამ დებულებითაა გარანტირებული. *სოდერსის საქმეზე (1996 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება)* სასამართლომ დაადგინა, რომ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არმიცემის უფლება, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს ბრალდებულის სურვილს, არჩიოს დუმის, მაგრამ იგი არ ვრცელდება, დამოუკიდებლად, ექვმიტანილის სურვილის გარეშე არსებული მასალის გამოყენებაზე. ზოგადი პრინციპები სასამართლომ 68-ე და 69-ე პუნქტებში განიხილა:

‘სასამართლო მიუთითებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მე-6 მუხლში მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის, დუმის უფლება და პირის უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, არის საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც მე-6 მუხლით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს ცნების ბირთვია. მისი არსი, *ინტერალია*, არის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ბრალდებულის არა-



სათანადო იძულებისგან დაცვა, რითაც იგი ხელს უწყობს მართლმსაჯულების შეცდომის თავიდან აცილებას და მე-6 მუხლის მიზნების განხორციელებას (...). კერძოდ, პირის უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარემ სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულის წინააღმდეგ უნდა დაამტკიცოს ისეთი მტკიცებულების გამოყენების გარეშე, რომელიც მოპოვებული ძალადობრივი მეთოდებით ან ბრალდებულის დათრგუნვის გზითა, მისი სურვილის გარეშე. ამ თვალსაზრისით, ეს უფლება მჭიდროდ უკავშირდება უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტშია მოცემული.

თუმცა, პირის უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია პირის სურვილთან, არჩიოს დუმილი. როგორც კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების სამართლებრივ სისტემებში და საერთოდ საყოველთაოდაა აღიარებული, იგი არ ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესში იმ მასალის გამოყენებაზე, რომელიც შეიძლება ბრალდებულისგან იძულებით იყოს მიღებული, მაგრამ ეჭვიმტანილის ნებისგან დამოუკიდებლად არსებობდეს, როგორცაა მაგალითად, ხელწერილის საფუძველზე მოპოვებული დოკუმენტები, ასევე ამონასუნთქის, სისხლის, შარდის და სხეულის ქსოვილის ნიმუშები დნის ტესტისთვის’.

გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა სასამართლო პროცესის ხანგრძლივობის საკითხი “გონივრული ვადის” მოთხოვნის დებულებასთან მიმართებით, რომელიც მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტშია მითითებული. პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს სასამართლო პროცესის ხანგრძლივობის გონივრულობა, როგორც ამას ევროპული სასამართლო აცხადებს *ციმერმანის* და *შტეინერის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების (1983 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება) 24-ე პუნქტში:

‘სასამართლო პროცესის ხანგრძლივობის გონივრულობა, რომელიც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტიდან გამომდინარეობს, თითოეულ საქმეზე დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს, კონკრეტული გარემოებების საფუძველზე (...). სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს, *ინტერ ალია*, საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საკითხები, განმცხადებლის და კომპეტენტური ორგანოების ქცევა და განმცხადებლის მთავარი არგუმენტი; გარდა ამისა, “გონივრული ვადის” მოთხოვნას არ აკმაყოფილებს მხოლოდ ის გაჭიანურება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდანაა გამოწვეული (...)’.

თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ პროცესის ხანგრძლივობის გონივრულობა თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე უნდა დადგინდეს, უეჭველია, რომ პროკურორმა იგი ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს.

“უდანაშაულობის პრეზუმფციასთან” დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი სასამართლო პროცესამდე და პროცესის განმავლობაში მრავალი სახელმწიფო ორგანოს მიმართ გამოიყენება. ეს, რა თქმა უნდა, მოიცავს პროკურორებს. აღნიშნული საკითხი *რიბემონტის* საქმეზე (1995 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება) წამოიჭრა, სადაც სასამართლომ დაადგინა:

‘სასამართლო მიიჩნევს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია შეიძლება დაარღვიოს არა მხოლოდ მოსამართლემ ან სასამართლომ, არამედ სხვა სახელმწიფო თანამდებობის პირმაც’.

საქმეზე - ბარბერა, მესგეუე და ჯაბარდო (1988 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება) სასამართლომ განაცხადა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი:

‘მოითხოვს, *inter alia*, რომ სასამართლოს ნევრებმა თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, პროცესი არ უნდა დაიწყონ წინასწარი მოსაზრებით, რომ ბრალდებულს ჩადენილი აქვს დანაშაული, რომელშიც მას ბრალი ედება; მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს, ხოლო ნებისმიერი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს’.

თუმცა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი არ კრძალავს წესებს, რომელთა საფუძველზედაც მტკიცების ტვირთი შესაძლოა ბრალდებულს დაეკისროს, საკუთარი დაცვის დასასაბუთებლად, თუ მთლიანად ბრალდების მტკიცების ტვირთი კვლავ ბრალდების მხარის მოვალეობად რჩება.

## განმარტება და დასკვნები

ტექსტების მიმოხილვა უჩვენებს, რომ 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია გახდა საწყისი მოგვიანებით გაეროს და რეგიონულ დონეზე მიღებული ტექსტებისა და ხელშეკრულებებისა, რომლებიც სასამართლო პროცესთან და ამ პროცესზე საჯარო პროკურორების როლთან არის დაკავშირებული. საყოველთაო დეკლარაციაში შემუშავებული პრინციპები თითქმის ყველა რეგიონულ ხელშეკრულებასა თუ ტექსტშია გამოყენებული. მაგალითად, “სამართლიანი სასამართლო”, “დამოუკიდებელი და მიუმხრობელი ტრიბუნალის” და “უდანაშაულობის პრეზუმფციის” მოთხოვნები პირდაპირაა გადატანილი სხვა ხელშეკრულებებსა და ტექსტებში და კიდევ უფრო დეტალურადაა დამუშავებული კომენტარებში, რეკომენდაციებში, სამართალწარმოებაში და არასამთავრობო ორგანიზაციათა მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო მითითებებში. ამ მხრივ აღსანიშნავია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №13 ზოგადი კომენტარი, რომელიც უფრო კონკრეტულ დებულებებს აყალიბებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლთან მიმართებით, კერძოდ, როგორ უნდა იქნეს განმარტებული მე-14 მუხლით დადგენილი მინიმალური გარანტიები.

ვინაიდან პროკურორი არის თანამდებობის პირი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულის წინააღმდეგ გამოდის, სწორედ პროკურორია ის, ვისაც უნარი შესწევს, პირდაპირი ზემოქმედება იქონიოს ამ პირის უფლებებზე. შესაბამისად, პროკურორის მიერ პროცესის მიმდინარეობისას შესრულებული როლი უმნიშვნელოვანესია ამ უფლებების უზრუნველსაყოფად. სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის მიზნით პროკურორმა უნდა განიხილოს, იყო თუ არა მტკიცებულება მოპოვებული ბრალდებულის პირის სამართლებრივი უფლებების დარღვევით, და უნდა გაითვალისწინოს მისგან გამომდინარე შედეგები. დაცვის მხარეს უნდა შეეძლოს ბრალდების მიერ სასამართლოში წარდგე-

ნილ მტკიცებულებაზე კამათი. ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში კიდევ უფრო განავითარა “სამართლიანი სასამართლოს” ასპექტი. მტკიცებულების გამოყენებასთან დაკავშირებით ასევე მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი აღიარებს, რომ საჯარო პროკურორმა თავი არ უნდა შეიკავოს ისეთი მტკიცებულების წარმოდგენისგან, რომელიც სასამართლოს წინაშე წარდგენილი პირის ბრალდებას აქარწყლებს.

საერთაშორისო დოკუმენტებში ასევე არის დებულებები “დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს” უფლების უზრუნველყოფაში პროკურორის როლის შესახებ. ცხადია, რომ პროკურორს ეჭვი არ უნდა შეეპაროს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში. აქედან გამომდინარე, პროკურორი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სასამართლოს გადანყვეტილებებს და თავისი მოვალეობების შესრულებისას არ უნდა აწარმოოს მოცემული საქმე, როდესაც იგი იმავე საქმეზე შეიძლება მოსამართლის ფუნქციას ასრულებდეს.

და ბოლოს, საჯარო პროკურორს გათავისებული უნდა ჰქონდეს “უდანაშაულობის პრეზუმფციის” პრინციპი, როგორც ეს თითქმის ყველა შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტშია ჩამოყალიბებული, ასევე დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. სასამართლო პროცესზე მტკიცების ტვირთი პროკურორს ეკისრება.

# ადამიანის უფლებები და სასჯელის შეფარება

## შესავალი

სიკვდილის განაჩენის შესახებ საუბარი იყო თავში “ადამიანის უფლებები და სიცოცხლის უფლება” და იგი ამ თავში, როგორც სასჯელის სახე, განხილული აღარ იქნება.

## შესაბამისი ტექსტები გაეროს დონეზე

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლი აცხადებს:

‘არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას’.

ეს ნიშნავს, რომ მსჯავრდებული პირის მიმართ დადგენილი სასჯელი არ უნდა იყოს სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი. მსგავსი დებულებებია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლში:

‘არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. კერძოდ, არც ერთ პირზე, მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება’.

## შესაბამისი ტექსტები რეგიონულ დონეზე

### ევროპა

ევროპულ კონვენციაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ სასჯელთან დაკავშირებული დებულება მე-3 მუხლშია მოცემული, რომელიც წამებას კრძალავს:

‘არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას’.

## აფრიკა

სასჯელი ასევე ნახსენებია ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკულ ქარტილაში. მე-5 მუხლი აცხადებს:

‘ყოველ პირს აქვს უფლება, პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას და აღიარონ მისი სამართლებრივი სტატუსი. აკრძალულია ადამიანის ექსპლუატაციის ან ღირსების შემლახავი ყველა ფორმა, განსაკუთრებით მონობა, მონებით ვაჭრობა, წამება, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი დასჯა ან მოპყრობა’.

## არაბული სამყარო

ადამიანის უფლებათა არაბული ქარტია მსჯავრდადებულ პირთან დაკავშირებულ დებულებას მე-15 მუხლში შეიცავს:

‘პირს, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ჰუმანურად უნდა მოეპყრონ’.

## ამერიკის კონტინენტები

აღნიშნულ საკითხთანაა დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, სადაც ადამიანის უფლებებსა და სასჯელზეა საუბარი:

2. ‘არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ დასჯას ან მოპყრობას. ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს უნდა მოეპყრონ ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსების პატივისცემით’.
3. სასჯელი არ შეიძლება გავრცელდეს რომელიმე პირზე, გარდა სისხლის სამართლის დამნაშავესა’.

## რბილი სანქციების საერთაშორისო სამართალი

### გაეროს დონე

გაეროს დოკუმენტები ხელს უწყობს არასაპატიმრო ღონისძიებების და პატიმრობის ალტერნატიული ფორმების გამოყენებას (თუმცა მრავალ შემთხვევაში საპატიმრო ღონისძიებები ერთადერთ შესაბამის გადაწყვეტილებად რჩება). სათანადოს მიზღვა, დაშინება, გარდაქმნა (რეაბილიტაცია) და საზოგადოების დაცვა ხშირად მითითებულია, როგორც დასჯის მიზანი. იქ, სადაც ეს შესაძლებელია, არასაპატიმრო ღონისძიებები ყველაზე უკეთ ემსახურება პირის რეაბილიტაციის მიზანს.

არასაპატიმრო ღონისძიებათა სტანდარტული მინიმალური წესები (ასევე ცნობილია “ტოკიოს წესების” სახელწოდებით), რომლებიც გაერომ 1990 წელს

მიიღო, როგორც ზოგად, ისე სპეციფიკურ დებულებებს აყალიბებს არასაპატიმრო ღონისძიებებთან დაკავშირებით. “სტანდარტული მინიმალური წესების” ფუნდამენტური მიზნები დოკუმენტში შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

- 1.1. ‘ეს მინიმალური სტანდარტული წესები უზრუნველყოფს ძირითად პრინციპთა ნაკრებს არასაპატიმრო ღონისძიებათა ხელშესაწყობად, ასევე მინიმალურ გარანტიებს პირთათვის, რომელთა მიმართაც პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებები გამოიყენება’.
- 1.2. წესები მიზნად ისახავს საზოგადოების უფრო აქტიურ მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაში, განსაკუთრებით სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობაში, ასევე სამართალდამრღვევთა შორის საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებაში’.

პრინციპი 1.5 მონაწილე სახელმწიფოებისაგან თავიანთ სამართლებრივ სისტემებში არასაპატიმრო ღონისძიებათა შემუშავებას მოითხოვს:

‘წვერი სახელმწიფოები შეიმუშავებენ არასაპატიმრო ღონისძიებებს თავიანთი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში სხვა შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით, რითაც ამცირებენ საპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას და რაციონალურს ხდიან სისხლის სამართლის პოლიტიკას, ადამიანის უფლებების, სოციალური სამართლიანობის და სამართალდამრღვევთა რეაბილიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით’.

პრინციპი 2.1 დოკუმენტში ჩამოყალიბებული წესების ფარგლებს ადგენს:

‘ამ წესების შესაბამისი დებულებები მიესადაგება ყველა პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, სასამართლო პროცესი ან განაჩენის აღსრულება, სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე. ამ წესების მიზნებისთვის ასეთი პირები მოხსენებული არიან, როგორც “სამართალდამრღვევები”, მიუხედავად იმისა, ისინი ეჭვმიტანილები არიან, ბრალდებულები თუ მსჯავრდებულები’.

პრინციპი 2.3 სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, შეიმუშაონ არასაპატიმრო ღონისძიებათა ფართო სპექტრი სხვადასხვა გარემოებისთვის:

‘სამართალდარღვევის ბუნებისა და სიმძიმის ხარისხის, სამართალდამრღვევის პიროვნებისა და ბიოგრაფიის, ასევე საზოგადოების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით და საპატიმრო ღონისძიების არასათანადო გამოყენების თავიდან ასაცილებლად, მეტი მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით, სისხლის სამართლის წარმოების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს არასაპატიმრო ღონისძიებათა ფართო არჩევანს, როგორც სასამართლომდე, ისე სასამართლოს შემდეგ. არასაპატიმრო ღონისძიებათა რაოდენობა და სახეები იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენთა თანმიმდევრობა’.

პრინციპები 2.4 — 2.7 დამატებით მოთხოვნებს უყენებს სახელმწიფოებს არასაპატიმრო ღონისძიებათა ფარგლებთან დაკავშირებით:

2.4. ‘ხელი უნდა შეეწყოს არასაპატიმრო ღონისძიებათა შემუშავებას და ამ

პროცესს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ასევე სისტემატურად უნდა შეფასდეს მისი გამოყენების პრაქტიკა.

- 2.5. საჭიროა შესწავლილ იქნეს სამართალდამრღვევებზე საზოგადოების ზემოქმედების საშუალებები და მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული ფორმალური განხილვები ან სასამართლო პროცესები, სამართლებრივი გარანტიებისა და კანონის შესაბამისად.
- 2.6. არასაპატიმრო ღონისძიებები გამოყენებული უნდა იქნეს მინიმალური ჩარევის პრინციპის შესაბამისად.
- 2.7. არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენება უნდა წარიმართოს დეპენალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის მიმართულებით და არ უნდა დაბრკოლდეს ან შენეღდეს ამ კუთხით მიმართული ძალისხმევა’.

არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენებას თან უნდა სდევდეს სამართალდამრღვევთა დაცვის მექანიზმები. მომდევნო წესში მოყვანილია დაცვის ყველაზე შესაბამისი მექანიზმი:

- 3.1. ‘არასაპატიმრო წესების განსაზღვრა და გამოყენება კანონითაა დადგენილი.
- 3.2. არასაპატიმრო ღონისძიების შერჩევა ეფუძნება დადგენილ კრიტერიუმებს, როგორც სამართალდარღვევის ბუნებისა და სიმძიმის, ისე სამართალდამრღვევის პიროვნული მახასიათებლების, ბიოგრაფიის, სასჯელის მიზნების და დაზარალებულის უფლებების თვალსაზრისით. (...)
- 3.4. არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც სამართალდამრღვევს რაიმე ვალდებულებას აკისრებს და რომლებიც საქმის ოფიციალურ განხილვამდე ან სასამართლო პროცესამდე, ან მათ ნაცვლად გამოიყენება, სამართალდამრღვევის თანხმობას მოითხოვს. (...)
- 3.8. არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებისას დაუშვებელია სამართალდამრღვევზე სამედიცინო ან ფსიქოლოგიური ცდების ჩატარება, ან გაუმართლებელი რისკი, რომელიც ზიანს აყენებს მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას.
- 3.9. ყველა სტადიაზე დაცული უნდა იქნეს სამართალდამრღვევის ადამიანური ღირსება, რომლის მიმართაც არასაპატიმრო ღონისძიება გამოიყენება.
- 3.10. არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებისას სამართალდამრღვევის უფლებები არ უნდა შეიზღუდოს იმაზე მეტი ხარისხით, ვიდრე ეს დადგენილია კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომელმაც თავდაპირველი გადანყვეტილება მიიღო’.

განაჩენის გამოტანის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული “სტანდარტული მინიმალური წესების” დებულებები მოითხოვს:

- 9.1. ‘კომპეტენტურ ორგანოს ალტერნატიულ ღონისძიებათა ფართო არჩევანი აქვს, რომლებიც განაჩენის გამოტანის შემდეგ გამოიყენება საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსების თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევის საზოგადოებაში სწრაფი რეინტეგრაციის მიზნით.

9.2. განაჩენის გამოტანის შემდგომ პერიოდში მოქმედი დებულებები შეიძლება მოიცავდეს:

- a) დროებით დათხოვნას (შვებულება, მთარგმნელის შენიშვნა) და ნახევრადსაპატიმრო ტიპის დაწესებულებებში მოთავსებას;
- b) განთავისუფლებას მუშაობის ან განათლების მიზნით;
- c) პირობის დადების საფუძველზე დათხოვნის სხვადასხვა ფორმას;
- d) ვადის შემცირებას;
- e) შეწყალებას.

ძალზე მნიშვნელოვანია არასაპატიმრო ღონისძიებებზე ზედამხედველობა. იგი მიზნად ისახავს სამართალდამრღვევის რეინტეგრაციის ხელშეწყობას და კვლავ დანაშაულისკენ დაბრუნების თავიდან აცილებას. 10.1 — 10.4 პრინციპებში აღნიშნულია:

- 10.1. ზედამხედველობის მიზანია სამართალდარღვევათა რეციდივის შემცირება და სამართალდამრღვევის საზოგადოებაში ინტეგრირება, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს დანაშაულის განმეორების შესაძლებლობას.
- 10.2. თუ არასაპატიმრო ღონისძიება ზედამხედველობას ითვალისწინებს, იგი უნდა განხორციელდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ, კანონით დადგენილი კონკრეტული პირობების შესაბამისად.
- 10.3. კონკრეტული არასაპატიმრო ღონისძიების ფარგლებში თითოეული კონკრეტული შემთხვევისთვის უნდა განისაზღვროს ზედამხედველობის და მოპყრობის შესაბამისი სახე, რომელიც სამართალდამრღვევს საკუთარ თავზე მუშაობაში დაეხმარება. ზედამხედველობისა და მოპყრობის წესი პერიოდულად უნდა გადაისინჯოს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი კორექტირება.
- 10.4. სამართალდამრღვევები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ფსიქოლოგიური, სოციალური და მატერიალური დახმარებით და საზოგადოებასთან კავშირების განმტკიცების და საზოგადოებაში მათი რეინტეგრაციის ხელშეწყობის საშუალებებით’.

პროკურორებისთვის ასევე მნიშვნელოვანია არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების პირობების გათვალისწინება, რომლებიც 12.1 — 12.4 პრინციპებშია აღნიშნული:

- 12.1. ‘თუ კომპეტენტური ორგანო განსაზღვრავს პირობებს, რომლებიც სამართალდამრღვევმა უნდა დაიცვას, მან უნდა გაითვალისწინოს როგორც საზოგადოების ინტერესები, ისე სამართალდამრღვევისა და დაზარალებულის ინტერესები და უფლებები.
- 12.2. პირობები, რომლებიც დაცული უნდა იქნეს, უნდა იყოს პრაქტიკული, ზუსტი და რაც შეიძლება მცირე რაოდენობის და ისინი მიზნად უნდა ისახავდეს სამართალდამრღვევის კრიმინალური ქმედებისაკენ დაბრუნების ალბათობის შემცირებას და მისი სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობის გაზრდას, დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით.



12.3. არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენების საწყის ეტაპზე სამართალდამრღვევს ზეპირად ან წერილობით უნდა აუხსნან მოცემული ღონისძიების მარეგულირებელი პირობები, სამართალდამრღვევის უფლება-მოვალეობების ჩათვლით.

12.4. კომპეტენტურმა ორგანომ, სამართალდამრღვევის მიერ მიღწეული შედეგების საფუძველზე, შეიძლება შეცვალოს პირობები, კანონით დადგენილი დებულებების შესაბამისად’.

ბოლოს მოცემულია დებულებები, რომლებიც არასაპატიმრო ღონისძიების პირობების დარღვევასთანაა დაკავშირებული:

14.1. ‘სამართალდამრღვევის მიერ დადგენილი პირობების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს არასაპატიმრო ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება.

14.2. არასაპატიმრო ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს კომპეტენტური ორგანო; ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ფაქტების საფუძველზე განხილვის შემდეგად, რომლებიც წარმოადგენს როგორც ზედამხედველობის განმარტებული მუშაკი, ისე სამართალდამრღვევი.

14.3. არასაპატიმრო ღონისძიების არაეფექტიანობამ ავტომატურად არ უნდა გამოიწვიოს მისი საპატიმრო ღონისძიებით შეცვლა.

14.4. მოცემული არასაპატიმრო ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კომპეტენტური ორგანო ცდილობს დაადგინოს შესაბამისი ალტერნატიული არასაპატიმრო ღონისძიება. სასჯელი, პატიმრობის სახით, შეიძლება შეფარდებული იქნეს მხოლოდ სხვა შესაბამისი ალტერნატიული ღონისძიების არარსებობის შემთხვევაში.

14.5. დარღვევის შემთხვევაში ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სამართალდამრღვევის დაკავების ან დაპატიმრების უფლებამოსილება კანონით უნდა იყოს განსაზღვრული.

14.6. არასაპატიმრო ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სამართალდამრღვევს აქვს სასამართლოში ან სხვა კომპეტენტურ ორგანოში გასაჩივრების უფლება’.

## განმარტება და დასკვნები

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ყველა ზემოაღნიშნული საერთაშორისო ტექსტი უჩვენებს, რომ მსჯავრდებულის სასჯელი არ უნდა შეიცავდეს წამებას და არ უნდა იყოს სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი. პროკურორმა ეს უნდა გაითვალისწინოს სავარაუდო ბრალდებულის მიმართ სასჯელის მოთხოვნისას. მან ასევე უნდა იცოდეს არასაპატიმრო ღონისძიებათა შესაძლო გამოყენების შესახებ.

გაეროს 1990 წლის მინიმალური სტანდარტული წესები არასაპატიმრო ღონისძიებათა შესახებ ხელს უწყობს არასაპატიმრო ღონისძიებათა უფრო აქტიურ გამოყენებას და განვითარებას. ეს ადასტურებს, რომ სამართალდამრღვევის

მიმართ გამოტანილი სასჯელი ყოველთვის არ გულისხმობს მის პატიმრობას. რა თქმა უნდა, პატიმრობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული. არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებით სამართალდამრღვევთა შორის საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის განვითარება უფრო შედეგიანია, ვიდრე პატიმრობა, და იგი, შესაბამისად, სამართალდამრღვევის საზოგადოებაში რეაბილიტაციას უწყობს ხელს. არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც სოციალური სამართლიანობის მოთხოვნები, ისე სამართალდამრღვევის რეაბილიტაციისთვის საჭირო ასპექტები.

ადამიანის უფლებებთან და სასჯელთან ასევე უდავოდ დაკავშირებულია სიკვდილით დასჯის განაჩენი, თუმცა ეს საკითხი ამ თავში განხილული არ ყოფილა.

## ადამიანის უფლებები და პატიმართა მიმართ მოპყრობა

### შესავალი

პატიმართა მიმართ მოპყრობა გაეროს მრავალ დოკუმენტშია განხილული. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის საჯარო პროკურორთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, პროკურორებისთვის მაინც მნიშვნელოვანია მისი გათვალისწინება, როგორც პატიმართა ერთ-ერთი ძირითადი უფლებისა და გარანტიისა, როგორც ეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებშია ჩამოყალიბებული. ამიტომ ამ სახელმძღვანელოში პატიმართა მიმართ მოპყრობის სტანდარტების ყველაზე საგულისხმო დებულებებზეა ყურადღება გამახვილებული.

ქვემოთ სამ ნაწილადაა დაყოფილი მრავალ საერთაშორისო ტექსტში მოყვანილი პრინციპები. პირველად ჩვენ განვიხილავთ უფრო ზოგად პრინციპებს, შემდეგ – პატიმართა განთავსებასთან დაკავშირებულ დებულებებს, ხოლო ბოლოს – პატიმართა ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ პრინციპებს.

ვინაიდან ჩვენ მხოლოდ ყველაზე საგულისხმო დებულებებს ვიხილავთ, გირჩევთ სრულად წაიკითხოთ ეს დოკუმენტები.

### ზოგადი

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლი აცხადებს:

‘ყველა თავისუფლებაა დაკვეთილ პირს უნდა მოეპყრონ ჰუმანურად და პატივი უნდა სცენ მის პიროვნულ ღირსებას’.

მსგავსი დებულებებია ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპების ნაკრებში, რომელიც გაერომ 1988 წელს მიიღო. რბილი საერთაშორისო სამართლის ამ დოკუმენტის 1-ლ პრინციპში აღნიშნულია:

‘ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ ყველა პირს უფლება აქვს მოეპყრონ ჰუმანურად და პიროვნებისთვის დამახასიათებელი ღირსების პატივისცემით’.

ეს დებულება მე-6 პრინციპშია განვითარებული:

‘არც ერთი პირი, რომელიც ნებისმიერი ფორმითაა დაკავებული ან დაპატიმრებული, არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. დაუშვებელია წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის გამართლება რაიმე გარემოებით’.

პატიმართა მიმართ მოპყრობის გაეროს 1990 წლის ძირითადი პრინციპების 1-ლ პრინციპში იგივე ფორმულირებაა გამოყენებული:

‘ყველა პატიმარს უნდა მოეპყრონ მისი, როგორც პიროვნების, განუყოფელი ღირსების და ღირებულებების პატივისცემით’.

1987 წლის ევროპული საპატიმრო წესები (მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (87) 3 წევრი სახელმწიფოებისთვის) ძალზე მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს პატიმართა მიმართ მოპყრობისა და მათი ყოფითი პირობების შესახებ. 1-ლ პრინციპში მკაფიოდაა ნათქვამი:

‘თავისუფლების აღკვეთა უნდა განხორციელდეს ისეთ ყოფით პირობებში და მორალურ ატმოსფეროში, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ღირსების პატივისცემას და შეესაბამება ამ წესებს’.

ამის შემდეგ მე-3 პრინციპი აგრძელებს:

‘პატიმრობაში მყოფ პირთა მიმართ მოპყრობის მიზანი უნდა იყოს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის და ღირსების შენარჩუნება, იმ ფარგლებში, რამდენადაც ამის საშუალებას პატიმრობის ვადა იძლევა, მათთვის პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რაც მათ დაეხმარება გათავისუფლების შემდეგ კანონიერების დაცვაში და თავიანთი სასიცოცხლო მოთხოვნილებების საკუთარი ძალებით დაკმაყოფილებაში’.

## განთავსება

პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, რომლებიც გაერომ 1977 წელს მიიღო, მრავალ შესაბამის დებულებას შეიცავს პატიმართა განთავსების შესახებ. ამ დებულებებში აღნიშნულია:

10. ‘პატიმართა განთავსების ყველა ადგილი, განსაკუთრებით ძილისთვის განკუთვნილი ადგილი, ყველა სანიტარულ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს, ამასთან, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს, განსაკუთრებით ჰაერის კუბურ მოცულობას, სათავსის მინიმალურ ფართობს, განათებას, გათბობას და ვენტილაციას.
15. პატიმრებისგან უნდა მოითხოვონ პირადი ჰიგიენის დაცვა. ამისთვის ისინი უნდა უზრუნველყონ წყლით და ტუალეტის ისეთი მოწყობილობებით, რომლებიც მათი სისუფთავისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვისაა საჭირო.

19. თითოეულ პატიმარს უნდა ჰქონდეს ცალკე საწოლი ეროვნული ან ადგილობრივი ნორმების შესაბამისად, ასევე საკუთარი და საკმარისი თეთრეული, რომელიც გაცემის მომენტში უნდა იყოს სუფთა, კარგად შენახული და რომელსაც ხშირად უნდა უცვლიდნენ სისუფთავის უზრუნველყოფის მიზნით.
- 21.1. ყველა პატიმარს, რომელიც შენობის გარეთ არ მუშაობს, უფლება აქვს ყოველდღიურად ფიზიკურად ივარჯიშოს ღია ცის ქვეშ, სულ მცირე, ერთი საათი, თუ ამინდი ამის საშუალებას იძლევა.
2. არასრულწლოვანი და სხვა შესაბამისი ასაკის და ფიზიკური შესაძლებლობის პატიმრები ფიზიკური ვარჯიშის პერიოდში უნდა უზრუნველყონ ფიზიკური და გამაჯანსაღებელი წვრთნებით. ამ მიზნით უნდა არსებობდეს საჭირო მოედნები, ალჭურვილობა და მონყობილობები.
- 85.1. არამსჯავრდებული პატიმრები მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით უნდა იყვნენ მოთავსებული.
2. არასრულწლოვანი არამსჯავრდებული პატიმრები მოზრდილებისაგან განცალკევებული უნდა იყვნენ და, პრინციპში, ცალკე დაწესებულებაში უნდა იმყოფებოდნენ.
86. არამსჯავრდებულ პატიმრებს ცალკე საკანში მარტოს უნდა ეძინოთ, თუმცა გათვალისწინებული უნდა იქნეს კლიმატური პირობებით გამონეული ადგილობრივი ჩვეულებები’.

ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპების ნაკრები, რომელიც გაერომ 1988 წელს მიიღო, ამატებს რამდენიმე დებულებას, რომელიც პატიმართა განთავსებას ეხება. მე-20 პრინციპი ადგენს:

‘დაკავებულის ან პატიმრის თხოვნით, თუ ეს შესაძლებელია, იგი უნდა მოთავსდეს მისი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილიდან გონივრულ მანძილზე’.

1987 წლის ევროპული საპატიმრო წესები ამ საკითხს მე-14 და მე-15 პრინციპებში განიხილავს:

- 14.1. პატიმრებს, ჩვეულებრივ, ღამით ინდივიდუალურ საკნებში ათავსებენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი სხვა პატიმრებთან ერთად მოთავსება მიზანშეწონილია.
3. პატიმართა ერთად მოთავსების შემთხვევაში პატიმრები ასეთ პირობებში ურთიერთობისთვის ერთმანეთს უნდა შეეფერებოდნენ. ღამის განმავლობაში მათზე უნდა ხორციელდებოდეს მეთვალყურეობა, დაწესებულების ბუნებიდან გამომდინარე.
15. პატიმართა განთავსების შენობები, განსაკუთრებით ძილისთვის განკუთვნილი ადგილები, ჯანმრთელობისა და ჰიგიენურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, კლიმატური პირობების ჯეროვანი გათვალისწინებით, განსაკუთრებით ჰაერის მოცულობის, გონივრული ფართობის, განათების, გათბობის და ვენტილაციის თვალსაზრისით’.

## სამედიცინო მომსახურება

სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული შესაბამისი დებულებები მოცემულია გაეროს პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ ნესებში, რომლებიც 1977 წელს მიიღეს. მასში აღნიშნულია:

- 22.1. ყველა დაწესებულებას უნდა ჰყავდეს, სულ მცირე, ერთი კვალიფიციური სამედიცინო მუშაკი, რომელსაც გარკვეული ცოდნა აქვს ფსიქიატრიის სფეროში. სამედიცინო მომსახურება ორგანიზებული უნდა იყოს ჯანდაცვის როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტით. იგი უნდა მოიცავდეს ფსიქიატრიული დიაგნოსტიკის სამსახურს, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში – ფსიქიკური დაავადებების მკურნალობას.
2. დაავადებული პატიმრები, რომლებსაც სპეციალისტის დახმარება სჭირდებათ, გადაყვანილი უნდა იქნენ სპეციალურ დაწესებულებებში ან ჩვეულებრივ საავადმყოფოებში. თუ დაწესებულებას აქვს საავადმყოფო, იგი აღჭურვილი უნდა იყოს საჭირო მონაცემებით, დანადგარებით, მედიკამენტებით და ავადმყოფის მკურნალობისთვის აუცილებელი საშუალებებით, ასევე საკმარისი კვალიფიციური პერსონალით.
3. ყველა პატიმარს საშუალება უნდა ჰქონდეს ისარგებლოს კვალიფიციური კბილის ექიმის მომსახურებით.
- 23.1. ქალთა დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ სპეციალური ადგილები ორსული და მშობიარე ქალების მოსავლელად და სამკურნალოდ. იქ, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა იზრუნონ, რომ მშობიარობის დროს ქალი იმყოფებოდეს არა ციხის, არამედ ჩვეულებრივ საავადმყოფოში. თუ ბავშვი ციხეში დაიბადა, ეს გარემოება დაბადების მოწმობაში არ უნდა დაფიქსირდეს.
2. იქ, სადაც პატიმარი დედებისთვის ჩვილი ბავშვის დატოვება ნებადართულია, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბაგა, რომელიც კვალიფიციური პერსონალით იქნება დაკომპლექტებული და სადაც ბავშვებს მოუვლიან დროის იმ პერიოდში, როდესაც ისინი საკუთარი დედების მზრუნველობის ქვეშ არ არიან.
24. თითოეული პატიმარი დაწესებულებაში მიყვანიდან მაქსიმალურად მოკლე დროში, ხოლო შემდგომში — საჭიროების მიხედვით, უნდა ნახოს და გასინჯოს მედიცინის მუშაკმა, რათა დადგინდეს ფიზიკური ან ფსიქიკური დაავადებები და მიღებულ იქნეს ყველა საჭირო ზომა: პატიმართა იზოლირება, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ ინფექციური ან გადამდები დაავადებები, ფიზიკური ან გონებრივი ჩამორჩენის დადგენა, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს რეაბილიტაციას, და თითოეული პატიმრის შრომის უნარის გამოვლენა.
- 25.1. პატიმართა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე უნდა ზრუნავდეს ექიმი, რომელმაც ყოველდღიურად უნდა მიიღოს ან მონახულოს ყველა ავადმყოფი, ყველა, ვინც უჩივის ავადმყოფობას, ასევე ყველა სხვა, ვინც განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ჰყავს.

2. ყველა შემთხვევაში, როდესაც ექიმს მიაჩნია, რომ დარღვეულია პაციმრის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა, ან პაციმრობის გაგრძელებით ან პაციმრობასთან დაკავშირებული რაიმე სხვა პირობების გამო შეიძლება მის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეექმნას, მან ამის შესახებ დირექტორს უნდა მოახსენოს’.

პაციმართა ჯანმრთელობის დაცვა ასევე ნახსენებია გაეროს სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის (მიღებულია 1979 წელს) მე-6 მუხლში:

‘სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირები უზრუნველყოფენ მათ მიერ დაკავებულ პაციმართა ჯანმრთელობის სრულ დაცვას, კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, სასწრაფო ზომებს იღებენ მათთვის სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად’.

იმავე დოკუმენტში ამ დებულებაზე შემდეგი კომენტარია გაკეთებული:

- a) “სამედიცინო დახმარება”, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი სამედიცინო პერსონალის მიერ განეულ მომსახურებას, სათანადო სერტიფიკატის მქონე ექიმი პრაქტიკოსების და დამხმარე სამედიცინო პერსონალის ჩათვლით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საჭიროების შემთხვევაში ან მოთხოვნის საფუძველზე.
- b) როდესაც გათვალისწინებულია სამართალდაცვის ოპერაციაში სამედიცინო პერსონალის ჩართვა, სამართალდაცვის მუშაკებმა უცილობლად უნდა გაითვალისწინონ ასეთი პერსონალის მოსაზრება, როდესაც ისინი საჭიროდ მიიჩნევენ, მკურნალობა ჩატარებულ იქნეს სამედიცინო პერსონალის მიერ, რომელიც სამართალდაცვის ოპერაციაში ჩართული არ არის, ან მასთან კონსულტაციით.
- c) ასევე მოითხოვება, რომ სამართალდამცავმა მუშაკებმა სამედიცინო დახმარება უზრუნველყონ კანონის დარღვევის შედეგად ან კანონის დარღვევით გამოწვეული უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებულ პირთათვის’.

1982 წელს მიღებულ იქნა სამედიცინო ეთიკის პრინციპები, რომლებიც დაკავშირებულია მედიცინის მუშაკთა, განსაკუთრებით ექიმების როლთან პაციმართა და დაკავებულთა წამებისაგან ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისგან ან დასჯისგან დაცვაში. ეს დოკუმენტი პაციმართა ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ დებულებებს შეიცავს. 1-ლი პრინციპი აცხადებს:

‘ჯანდაცვის მუშაკები, განსაკუთრებით ექიმები, რომლებიც პაციმრებისა და დაკავებული პირების სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფენ, ვალდებული არიან დაიცვან მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა და უზრუნველყონ დაავადებათა მკურნალობა იმავე ხარისხითა და დონით, რომლითაც უზრუნველყოფენ პირებს, რომლებიც დაპაციმრებული ან დაკავებული არ არიან’. შემდეგ

მე-5 პრინციპი აცხადებს:

‘პაციმრის ან დაკავებული პირის დამანყნარებელი ხასიათის ნებისმიერ

პროცედურაში ჯანდაცვის მუშაკთა, განსაკუთრებით ექიმთა, მონაწილეობა სამედიცინო ეთიკის დარღვევაა, თუ ეს ნაკარნახევი არ არის წმინდა სამედიცინო კრიტერიუმებით, როგორც აუცილებელი ზომა თვით პაციმრის ან დაკავებული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის, მისი უსაფრთხოების, ან სხვა პატიმრების ან დაკავებული პირების ან ზედამხედველობის პერსონალის დასაცავად, და საფრთხეს არ უქმნის მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას’.

პატიმართა ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ დებულებებს ასევე შეიცავს 1988 წელს გაეროს მიერ მიღებული ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპების ნაკრები. შესაბამის დებულებებში აღნიშნულია:

#### ‘პრინციპი 24

დაკავებულ პირს ან პატიმარს უნდა ჰქონდეს დაკავების ადგილას ან საპატიმრო დაწესებულებაში მიყვანიდან რაც შეიძლება უმოკლეს ხანში სათანადო სამედიცინო შემოწმების გავლის საშუალება, ხოლო შემდგომში, საჭიროების შემთხვევაში, – სამედიცინო მომსახურება და მკურნალობა. ეს მომსახურება და მკურნალობა უფასოა.

#### პრინციპი 25

დაკავებულ პირს ან პატიმარს ან მის ადვოკატს უფლება აქვს სასამართლოს ან სხვა ორგანოს მიმართოს თხოვნით ან შუამდგომლობით განმეორებითი სამედიცინო შემოწმების გავლის ან სამედიცინო დასკვნის შესახებ, გონივრული პირობების დაცვით, რომლებიც აუცილებელია დაკავების ადგილას ან საპატიმროში უსაფრთხოების და წესრიგის შენარჩუნებისათვის. პრინციპი 26

დაკავებული პირის ან პატიმრის მიერ სამედიცინო შემოწმების გავლა, ექიმის გვარი და შემოწმების შედეგები სათანადოდ ფიქსირდება ოქმში. ამ ოქმზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს. ხელმისაწვდომობის საშუალებები განისაზღვრება შესაბამისი შიდასახელმწიფო კანონის წესებით’.

გარდა ამისა, გაეროს 1990 წლის პატიმართა მიმართ მოპყრობის ძირითადი პრინციპების

#### მე-9 პრინციპში აღნიშნულია:

‘პატიმრებს უფლება აქვთ ისარგებლონ ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის სამსახურებით, მათი სამართლებრივი სტატუსის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე’.

და ბოლოს, სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანი დებულებები 1987 წლის ევროპული საპატიმრო წესების 26-ე პრინციპშია გაცხადებული:

1. ‘თითოეულ პენიტენციალურ დაწესებულებას უნდა ჰყავდეს, სულ მცირე, ერთი საერთო პრაქტიკის მქონე კვალიფიციური ექიმი. სამედიცინო მომსახურება ორგანიზებული უნდა იყოს ჯანდაცვის როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ ადმინისტრაციასთან მჭიდრო კონტაქტით. იგი უნდა მოიცავდეს ფსიქიატრიული დიაგნოსტიკის სამსახურს, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, – ფსიქიკური აშლილობების მკურნალობას.



2. დაავადებული პატიმრები, რომლებსაც სპეციალისტის დახმარება სჭირდებათ, გადაყვანილი უნდა იქნენ სპეციალურ დაწესებულებებში ან ჩვეულებრივ საავადმყოფოებში. თუ დაწესებულებას აქვს საავადმყოფო, იგი აღჭურვილი უნდა იყოს საჭირო მონყობილობებით, დანადგარებით, მედიკამენტებით და ავადმყოფი პატიმრის მკურნალობისთვის საჭირო აუცილებელი საშუალებებით, ასევე სათანადო დონეზე მომზადებული საკმარისი კვალიფიციური პერსონალით.
3. თითოეულ პატიმარს საშუალება უნდა ჰქონდეს, ისარგებლოს კვალიფიციური კბილის ექიმის მომსახურებით’.

## ევროპული პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში აღნიშნა, რომ დაკავების და პატიმრობის პირობები შეიძლება იყოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. წყლის, საკვების, ტანისამოსის, სათანადო ჰიგიენური პირობების და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების ნაკლებობა შეიძლება იყოს ასეთი დარღვევა. სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) მოხსენებებში მოცემულ დასკვნებს, რომლებსაც იგი ციხეებისა და საპატიმრო ადგილების მონახულების საფუძველზე ადგენს. თუ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჩივარი თანხვედა ნამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნებს, სასამართლო პრაქტიკულად მაშინვე მიიჩნევს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-3 მუხლი (იხ. დუგოზის საქმე, პუნქტი 42–49; 2001 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება).

პირსის საქმეზე (2001 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება) სასამართლომ დაადგინა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, სახეზე არ უნდა იყოს პატიმრის შეურაცხყოფის ან მისი ღირსების შელახვის აშკარა გაზრახვა. ციხის პირობები თავისთავად შეიძლება იყოს მე-3 მუხლის დარღვევა. ამ საქმის შესაბამის პუნქტებში აღნიშნულია:

‘ზემოაღნიშნულის ფონზე სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა განმცხადებლის შეურაცხყოფის ან დამცირების აშკარა განზრახვას. თუმცა სასამართლო აღნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ გასათვალისწინებელია, იყო თუ არა მოპყრობის მიზანი დაზარალებულის შეურაცხყოფა ან დამცირება, რაიმე ასეთი მიზნის არარსებობით არ შეიძლება დაბეჯითებით იქნეს უარყოფილი მე-3 მუხლის დარღვევა (...).

რა თქმა უნდა, მოცემულ საქმეში, კვლავ ფაქტად რჩება, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა არავითარი ზომები არ მიიღეს განმცხადებლის პატიმრობის სრულიად დაუშვებელი პირობების გამოსასწორებლად. სასამართლოს აზრით, ეს ხარვეზი განმცხადებლის მიმართ უპატივცემულო მოპყრობაზე მიუთითებს. სასამართლო განსაკუთრებით ითვალისწინებს, რომ, სულ მცირე, ორი თვის განმავლობაში განმცხადებელი იძულებული იყო, დღე-ღამის 24 საათიდან საგულისხმო ნაწილი საკანში, პრაქტიკულად სანოლში გაეტარებინა, სადაც არ

იყო ვენტილაცია და სარკმელი და სადაც იმ დროისთვის გაუსადღისი სიცხე იდგა. იგი ასევე იძულებული იყო, საპირფარეშოთი ესარგებლა სხვა პატიმრის თანდასწრებით და დასწრებოდა მისი თანამესაკნის მიერ საპირფარეშოს გამოყენებას. (...) სასამართლოს მიაჩნია, რომ საპატიმრო პირობებით შეილახა განმცხადებლის პიროვნული ღირსება და მასში გაღვივდა სევდისა და არასრულფასოვნების გრძნობა, რის გამოც იგი აღმოჩნდა შეურაცხყოფილი და დამცირებული და რამაც შესაძლოა გამოიწვია მისი ფიზიკური თუ მორალური წინააღმდეგობის გატყევა. საბოლოოდ სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის პირობები (...) ტოლფასია ღირსების შემლახველი მოპყრობისა კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით. ამრიგად, დაირღვა ეს დებულება’.

## ნამების საინააღმდეგო ევროპული კომიტეტი

1989 წლის ევროპული კონვენცია ნამების და სხვა არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის შესახებ ითვალისწინებდა ნამების და სხვა არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის კომიტეტის (CPT) შექმნას. 1-ლ მუხლში აღნიშნულია ნამების აღკვეთის კომიტეტის შექმნის მიზანი:

‘შექმნეს ნამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტი (შემდგომში “კომიტეტი”). კომიტეტი ვიზიტების საშუალებით შეამოწმებს თავისუფლებად აღკვეთილ პირთა მიმართ მოპყრობას, იმ მიზნით, რომ, საჭიროების შემთხვევაში, განმტკიცდეს ასეთ პირთა ნამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან და დასჯისაგან დაცვა’.

აქედან გამომდინარე, ნამების აღკვეთის კომიტეტს შეუძლია ვიზიტი განახორციელოს ყველა ადგილას, სადაც პირები დაკავებული არიან ან სხვაგვარად აქვთ აღკვეთილი თავისუფლება. პერიოდული ვიზიტების გარდა, კომიტეტს შეუძლია ვიზიტი განახორციელოს, თუკი ამას კონკრეტული გარემოება მოითხოვს, მოცემული სახელმწიფოსთვის ვიზიტის შესახებ ხანმოკლე პერიოდით წინასწარი შეტყობინების შემდეგ. ნამების აღკვეთის კომიტეტის წევრებს უფლება აქვთ თავისუფლად გაესაუბრონ ნებისმიერ პირს, რომელიც სურთ, რა თქმა უნდა, დაპატიმრებული პირების ჩათვლით. გარდა ამისა, ნამების აღკვეთის კომიტეტის წევრები ამზადებენ ყოველწლიურ მოხსენებას მათი ყველა ვიზიტის შესახებ. თუმცა მათი ყველაზე საუკეთესო “იარაღი” არის საჯარო განცხადება, როდესაც საპატიმრო დაწესებულებათა პირობები ნამების აღკვეთის კონვენციის სტანდარტებს არ შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს არ აკისრია სამართლებრივი ვალდებულება ცვლილებები განახორციელოს, როდესაც ამას ნამების აღკვეთის კომიტეტი მოითხოვს, კომიტეტის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადება “სირცხვილის მობილიზების” კარგი საშუალებაა.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ნამების აღკვეთის კომიტეტის მოხსენებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დიდ ყურადღებას აქცევს მის მოხსენებებს, როდესაც სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი საქმე კონვენციის მე-3 მუხლთან (ნამების და სხვა არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) არის დაკავშირ-

რებული. ევროპაში გავრცელებული ეს “კარგი პრაქტიკა” წამების წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდი და მნიშვნელოვანი ფაქტორია.

## ბანმართება და დასკვნები

ციხეში მყოფი პირები განსაკუთრებით დაუცველი არიან სხვადასხვა სახის არასათანადო მოპყრობისგან. ამიტომ მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა მრავალი საერთაშორისო ტექსტი, რომელიც პატიმართა დაცვის დებულებებს შეიცავს.

პირველი, პატიმრებს უნდა მოეპყრონ ჰუმანურად და პატივისცემით და არ შეიძლება ისინი დაექვემდებარონ წამებას ან სხვა არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. ამ დოკუმენტებში ასევე არის დებულებები პატიმრობის პირობებისა და პატიმართა განთავსების შესახებ. საპატიმრო ადგილები უნდა აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნებს.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ტექსტებში მრავალი დებულებაა პატიმართა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. ყველა პენიტენციალურ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს სამედიცინო მომსახურება და პატიმრებს, რომლებსაც სამედიცინო დახმარება ესაჭიროებათ, სადღელამისო ხელმისაწვდომობა უნდა ჰქონდეთ მედიცინის მუშაკის მიერ განუხლ დახმარებაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წამების და სხვა არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პატიმართა უფლებების დაცვაში. და კიდევ, რადგან ამ სახელმძღვანელოში მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი დებულებებია ციტირებული, რეკომენდებულია შესაბამისი დოკუმენტების მთლიანად წაკითხვა.

# სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელება საგანგებო მდგომარეობების დროს

## შესაბამისი ტექსტები გაეროს დონეზე

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი მონაწილე სახელმწიფოებს საგანგებო მდგომარეობის დროს პაქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებებისგან გადახვევის უფლებას აძლევს.

‘საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის არსებობას და რომლის შესახებაც ოფიციალურად ცხადდება, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ მდგომარეობის სიმწვავის ზუსტად შესაბამისი ზომები ამ პაქტით გათვალისწინებული თავიანთი ვალდებულებისაგან გადახვევით, იმ პირობით, რომ ასეთი ზომები შეუთავსებელი არ იქნება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ მათ ვალდებულებებთან და არ გამოიწვევს დისკრიმინაციას რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან სოციალური წარმომავლობის ნიშნით’.

ამის შემდეგ მე-2 მუხლი კრძალავს მნიშვნელოვანი მუხლებიდან გადახვევას თვით საგანგებო მდგომარეობის დროს:

‘ზემოაღნიშნული დებულება არ შეიძლება გახდეს ამ პაქტის მე-6, მე-7, მე-8 (1-ლი და მე-2 პუნქტები), მე-11, მე-15, მე-16 და მე-18 მუხლებისაგან რაიმე გადახვევის საფუძველი’.

კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ, რომელიც გაერომ 1987 წელს მიიღო, მე-2 მუხლში აცხადებს, რომ საგანგებო მდგომარეობა არ შეიძლება იყოს წამების ან სხვა არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის გამართლების საფუძველი:

1. ‘თითოეული მონაწილე სახელმწიფო ახორციელებს ეფექტიან საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სასამართლო ან სხვა ღონისძიებებს მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე წამების აქტების თავიდან ასაცილებლად.
2. არავითარი განსაკუთრებული გარემოებით, როგორც უნდა იყოს იგი, იქნება ეს საომარი მდგომარეობა თუ ომის საფრთხე, შიდა პოლიტიკური

არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა საგანგებო მდგომარეობა, არ შეიძლება წამების გამართლება.

3. ზემდგომი მუშაკის ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ბრძანება არ შეიძლება იყოს წამების გამამართლებელი საფუძველი’.

## შესაბამისი ტექსტები რეპრონულ დონეზე

### ევროპა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის 1-ლ პუნქტში საგანგებო მდგომარეობის დროს ვალდებულებებისგან გადახვევასთან დაკავშირებული დებულებაა მოცემული:

‘ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, როცა საფრთხე ემუქრება ერის არსებობას, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან გადახვევის მიზნით, მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე და იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება მის სხვა საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს’.

მე-2 პუნქტი კრძალავს გადახვევას კონვენციის ზოგიერთი მუხლიდან:

‘დაუშვებელია ამ დებულების საფუძველზე გადახვევა მე-2 მუხლიდან, გარდა მართლზომიერი საომარი მოქმედებით გამოწვეული ადამიანთა დაღუპვის შემთხვევისა, აგრეთვე, გადახვევა მე-3, მე-4 (1-ლი პუნქტი) და მე-7 მუხლებიდან’.

### აფრიკა

ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია საგანგებო მდგომარეობის დროს მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ დებულებებს არ შეიცავს.

### არაბული სამყარო

კაიროს დეკლარაცია ისლამში ადამიანის უფლებათა შესახებ კრძალავს საგანგებო კანონმდებლობას, რომელიც წამების აკრძალვისგან გადახვევას უშვებს. ეს დებულება მე-20 მუხლშია მოცემული:

‘დაუშვებელია მართლზომიერი მიზეზის გარეშე პირის დაკავება, ან მისი თავისუფლების შეზღუდვა, გაძევება ან დასჯა. დაუშვებელია პირი დაე-

ქვემდებაროს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ წამებას ან არასათანადო, სასტიკ ან უპატივცემულო მოპყრობის რაიმე ფორმას. ასევე დაუშვებელია პირზე სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება მისი თანხმობის გარეშე ან მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნით. ასევე დაუშვებელია საგანგებო კანონმდებლობის გამოცხადება, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ასეთი მოქმედებების განხორციელების საშუალებას მისცემს’.

ადამიანის უფლებათა არაბულ ქარტიაში, კერძოდ, მის მე-4 მუხლში არის დებულებები საგანგებო მდგომარეობის დროს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ. ქარტიის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებებისგან გადახვევა დასაშვებია ზოგიერთი ძირითადი უფლების მიმართ, მაგრამ ზოგიერთი ვალდებულებისგან გადახვევა დაუშვებელია. მე-4 მუხლი აცხადებს:

- a) ‘დაუშვებელია ამ ქარტიით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა და ისეთი შეზღუდვისა, რომელიც საჭიროადაა მიჩნეული ეროვნული უსაფრთხოების და ეკონომიკის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად’.
- b) საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის არსებობას, მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გაატარონ ღონისძიებები მათ მიერ ამ ქარტიით ნაკისრი ვალდებულებებისგან გადახვევის მიზნით, მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე.
- c) ასეთი ღონისძიებები ან გადახვევები, არავითარ განსაკუთრებულ გარემოებაში, ზემოქმედებას არ ახდენს და არ გამოიყენება უფლებებისა და სპეციალური გარანტიების მიმართ, რომლებიც ეხება წამებას და ღირსების შემლახველ მოპყრობას, პირის საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებას, პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნას, სასამართლო განხილვას, ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ განსჯას და დანაშაულისა და სასჯელის სამართლებრივ სტატუსს’.

## ამერიკის კონტინენტები

ადამიანის უფლებათ ამერიკული კონვენცია ძალზე მკაფიო დებულებებს შეიცავს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისგან გადახვევის შესაძლებლობის შესახებ, ამასთანავე კრძალავს გადახვევებს კონვენციით აღიარებული კონკრეტული უფლებებისგან. 27-ე მუხლში აღნიშნულია:

1. ‘ომის, საზოგადოებრივი საფრთხის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის მონაწილე სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ან უსაფრთხოებას, მას შეუძლია გაატაროს ღონისძიებები ამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან გადახვევის მიზნით, მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც ამას მდგომარეობის სიმწვავე

მოითხოვს, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება მის სხვა საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს და არ იწვევს დისკრიმინაციას რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან სოციალური წარმომავლობის საფუძველზე.’

2. ზემოაღნიშნული დებულება არ იძლევა შემდეგი მუხლების მოქმედების შეჩერების უფლებას: მუხლი 3 (იურიდიული პირის უფლება), მუხლი 4 (სიცოცხლის უფლება), მუხლი 5 (ჰუმანური მოპყრობის უფლება), მუხლი 6 (მონობისგან თავისუფლება), მუხლი 9 (კანონის უკუქმედების ძალისგან თავისუფლება), მუხლი 12 (სინდისის და რელიგიის თავისუფლება), მუხლი 17 (ოჯახის უფლებები), მუხლი 18 (სახელის უფლება), მუხლი 19 (ბავშვის უფლებები), მუხლი 20 (ეროვნების უფლება) და მუხლი 23 (ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლება), ან სამართლებრივი გარანტიებისა, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ უფლებების დასაცავად.
3. ყოველი მონაწილე სახელმწიფო, რომელიც უფლების მოქმედებას აჩერებს, დაუყოვნებლივ აცნობებს სხვა მონაწილე სახელმწიფოებს ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით იმ დებულებების შესახებ, რომელთა მოქმედებაც მან შეაჩერა, ასევე შეჩერების მიზეზებს და ასეთი შეჩერების შეწყვეტის დაგეგმილ თარიღს.

გარდა ამისა, 1992 წლის ინტერამერიკული კონვენცია წამების აღკვეთისა და დასჯის შესახებ მე-5 მუხლში ადგენს, რომ საგანგებო მდგომარეობის არსებობა არ ამართლებს წამებას:

‘დაუშვებელია წამების დანაშაულის გამართლება ან დაშვება ისეთი გარემოებების არსებობით, როგორცაა საომარი მდგომარეობა, ომის საშიშროება, ალყა ან საგანგებო მდგომარეობა, შიდა არეულობა ან დაპირისპირება, კონსტიტუციური გარანტიების შეჩერება, შიდასახელმწიფო პოლიტიკური არასტაბილურობა ან სხვა საგანგებო მდგომარეობა ან კატასტროფა.

ასევე დაუშვებელია წამების გამართლება დაკავებული პირის ან პატიმრის საშიში ხასიითის, ან საპატიმრო თუ პენიტენციალური დაწესებულების უსაფრთხოების წინაშე მდგარი რისკის საფუძველზე’.

## რბილი საერთაშორისო სამართალი

### გაეროს დონე

გაეროს 1979 წლის სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვას საგანგებო მდგომარეობის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. მე-5 მუხლში აღნიშნულია:

‘სამართალდამცავი ორგანოების არც ერთ თანამდებობის პირს არ შეუძლია განახორციელოს, წააქეზოს ან შეეგუოს ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც არის წამებია ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა, ასევე არც ერთმა თანამდებობის პირმა არ უნდა გაამართლოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა ზემდგომი პირის ბრძანებაზე მითითებით, ან ისეთი გამონაკლისი გარემოებით, როგორცაა საომარი მდგომარეობა ან ომის საფრთხე, ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საშიშროება, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან სხვა ნებისმიერი საგანგებო მდგომარეობა’.

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა თავის №5 ზოგად კომენტარში განიხილა, თუ როგორ უნდა იქნეს განმარტებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლი. კომენტარის 1-ლ და მე-3 პუნქტებში აღნიშნულია:

1. ‘ზოგიერთი მონაწილე სახელმწიფოს მოხსენებების განხილვისას კომიტეტი პრობლემებს წააწყდა მე-4 მუხლთან დაკავშირებით. სახელმწიფოში საგანგებო მდგომარეობის წარმოშობისას, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის არსებობას და როდესაც ასეთი მდგომარეობა ოფიციალურად ცხადდება, მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს ღონისძიებები ზოგიერთი უფლების განხორციელებისგან გადახვევის მიზნით, იმ ფარგლებში, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე. თუმცა მონაწილე სახელმწიფოს არ შეუძლია გადაუხვიოს ზოგიერთი კონკრეტული უფლებისგან და არ შეუძლია განახორციელოს დისკრიმინაციული ღონისძიებები მთელი რიგი ნიშნებით. მონაწილე სახელმწიფო ასევე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სხვა სახელმწიფოებს მის მიერ უფლებებისგან გადახვევის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ გენერალური მდივნის მეშვეობით, გადახვევის მიზეზების და გადახვევის შეწყვეტის დაგეგმილი თარიღის მითითებით’.
3. ‘კომიტეტს მიაჩნია, რომ მე-4 მუხლის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებები მხოლოდ დროებითი ხასიათისაა და მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ დროის იმ პერიოდში, როდესაც მოცემული ერის არსებობას საფრთხე ემუქრება, ხოლო საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებათა დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, განსაკუთრებით იმ უფლებების, რომლებსგანაც გადახვევა დაუშვებელია. კომიტეტს ასევე მიაჩნია, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს მონაწილე სახელმწიფოსათვის ასევე მნიშვნელოვანია, სხვა მონაწილე სახელმწიფოებს აცნობოს უფლებებისგან გადახვევის ბუნებისა და ფარგლების შესახებ, ასევე მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ; გარდა ამისა, მათ უნდა შეასრულონ ვალდებულება პაქტის მე-40 მუხლის შესაბამისად მოხსენების წარდგენისა, რომელშიც მითითებული იქნება თითოეული უფლებიდან გადახვევის ბუნება და ფარგლები, სათანადო დოკუმენტბთან ერთად’.



## ევროპული პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მრავალჯერ მიიღო დადგენილება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-15 მუხლში მოცემულ დებულებებზე საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით. მე-15 მუხლი, გარკვეული შეზღუდვებით, სახელმწიფოებს საგანგებო მდგომარეობის დროს უფლებას აძლევს გაატარონ ღონისძიებები კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებიდან გადახვევის მიზნით. მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად გადახვევის ღონისძიებები შეიძლება გატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი “საფრთხეს უქმნის ერის არსებობას”. *ლოულესის* საქმის (1961 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება) 28-ე პუნქტში სასამართლომ ეს მოთხოვნა შემდეგნაირად განმარტა:

‘ვინაიდან კონვენციის მე-15 მუხლის ზოგადი კონტექსტი, ფრაზის — “სხვა საგანგებო მდგომარეობები, როდესაც საფრთხე ემოქრება ერის არსებობას” — ბუნებრივი და ჩვეულებითი მნიშვნელობა საკმაოდ ცხადია; ვინაიდან ისინი მიუთითებენ კრიზისული ან უკიდურესი მდგომარეობების გამონაკლის სიტუაციებზე, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მთელ მოსახლეობაზე და საფრთხეს უქმნის თემების ორგანიზებულ ცხოვრებას, რომლებიც სახელმწიფოს შეადგენენ; (...)

მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი საგანგებო ღონისძიებათა საჭიროების პერმანენტულ გადასინჯვას მოითხოვს. პროპორციულობის ცნება მოითხოვს, რომ ღონისძიებები უნდა შეწყდეს მაშინვე, როგორც კი მათი განხორციელება საჭირო აღარ არის, თუმცა, პრინციპში, გადახვევის შეწყვეტაზე გადაწყვეტილების მიღება სახელმწიფოს დისკრეციული უფლებაა (იხ. *ბრანინგანი და მაკბრაიდე* (1993 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება), პუნქტები 47 და 54).

*აქსოის* საქმეზე (1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება) სასამართლომ დაადგინა, რომ საგანგებო მდგომარეობის არსებობის მიუხედავად, ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს, შეზღუდულია. *აქსოის* საქმეში ეჭვმიტანილი დაკავებული იყო თოთხმეტი დღის განმავლობაში რაიმე საპროცესო ჩარევის გარეშე. სახელმწიფომ საგანგებო სიტუაცია გამოაცხადა და განახორციელა გადახვევა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან. სასამართლოს აზრით, ასეთი ხანგრძლივი ვადის შედეგად ეჭვმიტანილი დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდა არა მხოლოდ მისი თავისუფლების უფლებაში თვითნებური ჩარევის თვალსაზრისით, არამედ წამების კუთხითაც. სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია:

‘მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს აზრით, — რაზედაც მან რამდენიმეჯერ მიუთითა წარსულში (...) — ტერორისტული ხასიათის დანაშაულები განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნის ხელისუფლებას, მისთვის მიუღებელია, რომ საჭირო იყო ეჭვმიტანილის თოთხმეტი დღით დაკავება ყოველგვარი საპროცესო ჩარევის გარეშე. ეს განსაკუთრებით ხანგრძლივი პერიოდია, რამაც დაუცველ მდგომარეობაში ჩააგდო განმცხადებელი არა მხოლოდ მისი თავისუფლების უფლებაში თვითნებური ჩარევის თვალსაზრისით, არამედ წამების კუთხითაც’.

## განმარტება და დასკვნები

როგორც ადამიანის უფლებათა ზემოაღნიშნული საერთაშორისო ტექსტები უჩვენებს, სახელმწიფოებს, გარკვეული გარემოებების დროს, უფლება აქვთ, გაატარონ ღონისძიებები ამ დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებებისგან გადახვევის მიზნით. მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ეს ნიშნავს, რომ გარკვეული გარემოებებისას ზოგიერთი დებულების გამოყენება შეიძლება შეჩერდეს. სახელმწიფოებს ზოგჯერ სურთ, განახორციელონ გადახვევები ადამიანის უფლებათა კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებებისგან, განსაკუთრებით ტერორიზმის და მისგან მომდინარე ყველა პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. თუმცა ის პირობები, რომელთა დროსაც სახელმწიფოს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები ვალდებულებებიდან გადახვევის მიზნით, ძალზე კარგადაა განსაზღვრული: უნდა არსებობდეს საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის არსებობას და იგი ოფიციალურად უნდა იყოს გამოცხადებული. მხოლოდ იმ გარემოებათა დროს, რომლებიც ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეუძლიათ სახელმწიფოებს გაატარონ გადახვევის ღონისძიებები და მაშინაც კი მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე.

საერთაშორისო დოკუმენტები ასევე მიუთითებს, რომ ზოგიერთი ძირითადი უფლებიდან გადახვევა სრულიად აკრძალულია. აქ ძალზე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს არანაირი გარემოების დროს არ შეუძლია გადაუხვიოს იმ პრინციპებისგან, რომლებიც დაკავშირებულია სიცოცხლის უფლებასთან და წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვისგან. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოება უჩვენებს, საგანგებო მდგომარეობის სიტუაციებში ადამიანის სხვა უფლებებისგან თვით ნებადართული გადახვევაც კი საკმაოდ შეზღუდულია.

და ბოლოს, სახელმწიფოები ვალდებული არიან გადახვევის შესახებ აცნობონ სხვა სახელმწიფოებს, ან კონკრეტული კონვენციის კომპეტენტურ ორგანოებს, რომლის დებულებებიდან გადახვევასაც ახორციელებენ.

# ადამიანის უფლებები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

## შესაბამისი ტექსტები გაეაროს ღონეზე

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი აცხადებს:

‘დედობა და მცირეწლოვანი ბავშვის ასაკი განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას იძლევა. (...)’

შესაბამისად, ბავშვის უფლებების დაცვა, მრავალი საერთაშორისო დოკუმენტის საგანია.

პირველი, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მრავალ დებულებას შეიცავს, რომლებიც არასრულწლოვანთა მიმართ ამ განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვს სისხლის სამართლის პროცესში. პაქტის მე-10 მუხლის მე-მე-2 პუნქტის “ხ” ქვეპუნქტში და მე-3 პუნქტში იმ არასრულწლოვანთა მიმართ დამოკიდებულებაზეა საუბარი, რომლებსაც თავისუფლება აქვთ აღკვეთილი:

2. b) ‘არასრულწლოვანი ბრალდებული პირები განცალკევებული არიან უფროსებისაგან და მათ უმოკლეს დროში წარუდგენენ სასამართლოს განდევნილების მისაღებად.
3. პენიტენციური სისტემა ითვალისწინებს პატიმართა მიმართ მოპყრობის რეჟიმს, რომლის ძირითადი მიზანია მათი გამოსწორება და სოციალური რეაბილიტაცია. არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები განცალკევებული უნდა იყვნენ უფროსებისაგან და მათთვის შეთავაზებული მოპყრობის რეჟიმი უნდა შეესაბამებოდეს მათ ასაკს და სამართლებრივ სტატუსს’.

პაქტის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი არასრულწლოვანთა მიმართ განაჩენის გამოტანისას განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვს:

‘(...) სისხლის სამართლის საქმეზე ან სამოქალაქო საქმეზე მიღებული განდევნილება ქვეყნდება საჯაროდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვანთა ინტერესები სხვაგვარად მოითხოვს (...)’.

არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესის შესახებ პაქტის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტშია საუბარი:

4. 'არასრულწლოვანთა საქმეებზე პროცესი უნდა იყოს ისეთი, რომ ითვალისწინებდეს მათ ასაკს და მათი რეაბილიტაციის ხელშეწყობის სურვილს'.

ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს 1959 წლის დეკლარაციის პრეამბულა, პაქტის მსგავსად, აცხადებს:

'ვინაიდან ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო საჭიროებს სპეციალურ დაცვას და მზრუნველობას, სათანადო სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ, (...)'

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს აღნიშნული დოკუმენტის მრავალი დებულება. მე-2 პრინციპი ყველაზე რელევანტურია საჯარო პროკურორებისთვის:

'ბავშვი უნდა სარგებლობდეს განსაკუთრებული დაცვით და მას, კანონით და სხვა საშუალებებით, ფიზიკური, გონებრივი, მორალური, სულიერი და სოციალური განვითარების შესაძლებლობა და საშუალებები უნდა მიეცეს, ჯანსაღი და ნორმალური სახით და თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემის პირობებში. ამ მიზნით კანონების მიღებისას უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას'.

ეს პრინციპები უფლებებად იქნა აღიარებული გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში, რომელიც 1989 წელს მიიღეს. ამ დოკუმენტში მრავალი დებულებაა, რომელიც ბავშვებთან დაკავშირებულ პროცესებში პროკურორებისთვისაა საინტერესო. 37-ე მუხლი ადგენს:

'მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ :

- a) არც ერთი ბავშვი არ დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. არც სიკვდილით დასჯა, არც სამუდამო პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს გათავისუფლების შესაძლებლობას, არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირთას მიერ ჩადენილ დანაშაულებებს;
- b) არც ერთ ბავშვს არ აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაკავება, დაპატიმრება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის შესაბამისად და გამოიყენება როგორც უკიდურესი ზომა და შესაბამისი უმოკლესი პერიოდის განმავლობაში;
- c) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ეპყრობოდნენ ჰუმანურად და პიროვნების განუყრელი ღირსების პატივისცემით, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებები. კერძოდ, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა განცალკევდეს უფროსებისაგან, თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის ამის გაკეთება არ არის საჭირო; ბავშვს ჰქონდეს უფლება, კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის ან შეხვედრების ფორმით, გარდა განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას;
- d) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება, აგრეთვე უფლება, გაასაჩივროს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მიუკერ-

ძობელი ორგანოს წინაშე და რომ მათ დაუყოვნებლივ გამოიტანონ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი საპროცესო ქმედების თაობაზე’.

## შესაბამისი ტექსტები რეპრონულ დონეზე

### ევროპა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ არასრულწლოვანთა მიმართ მიღებული გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებას. მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნულია:

‘(...) სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი ნებსრიგის ან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესების ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა (...)’

ევროპის კავშირის ადამიანის უფლებათა ქარტია ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ მრავალ დებულებას შეიცავს, რომელიც ასევე ყურადსაღებია პროკურორებისთვის. 24-ე მუხლი აცხადებს:

1. ‘ბავშვებს უფლება აქვთ, უზრუნველყოფილი იქნენ ისეთი დაცვით და ზრუნვით, როგორც მათი კეთილდღეობისთვისაა საჭირო. მათ შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები. ეს მოსაზრებები გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ საკითხებში, რომლებიც მათ ეხება, მათი ასაკის და სიმწიფის შესაბამისად.
2. ბავშვებთან დაკავშირებით ხელისუფლების ორგანოების თუ კერძო დაწესებულებების მიერ განხორციელებული ყველა ქმედების დროს უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. (...)’

### აფრიკა

1990 წლის აფრიკული ქარტია ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ უფრო ზოგად დებულებებს, უპირველეს ყოვლისა, შეიცავს მე-4 მუხლში:

1. ‘ბავშვებთან დაკავშირებული ყველა ქმედება, პირის თუ ხელისუფლების მიერ განხორციელებული, უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

2. ყველა სასამართლო თუ ადმინისტრაციულ პროცესში, რომელიც ზემოქმედებას ახდის ბავშვზე, რომელსაც საკუთარი აზრის გამოხატვის უნარი აქვს, უნდა მოისმინონ ბავშვის აზრი უშუალოდ ან მიუკერძოებელი წარმომადგენლის საშუალებით, როგორც პროცესში მონაწილე მხარის; და ეს მოსაზრებები გათვალისწინებულ უნდა იქნეს სათანადო ორგანოს მიერ, შესაბამისი კანონის დებულებების დაცვით’.

დოკუმენტში ასევე არის მუხლი, რომელიც კონკრეტულად არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელებას ეხება. მე-17 მუხლი აცხადებს:

1. ‘ყოველ ბავშვს, რომელსაც წაყენებული აქვს სისხლის სამართლის ბრალდება ან რომელიც აღიარებულია დამნაშავედ, უფლება აქვს, უზრუნველყოფილ იქნეს სპეციალური მოპყრობით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ღირსების გრძნობას და განამტკიცებდეს ბავშვის მიერ სხვა პირთა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას.
2. კერძოდ, ამ ქარტიის მონაწილე სახელმწიფოები:
  - a) უზრუნველყოფენ, რომ არც ერთი ბავშვი, რომელიც არის დაკავებული ან დაპატიმრებული, ან რომელსაც სხვაგვარად აქვს აღკვეთილი თავისუფლება, არ დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას;
  - b) უზრუნველყოფენ, რომ დაკავების ან პატიმრობის ადგილას ბავშვები განცალკევებული იქნენ უფროსებისაგან;
  - c) უზრუნველყოფენ, რომ ყოველი ბავშვი, რომელსაც სისხლის სამართლის კანონის დარღვევა ედება ბრალად:
    - i. უდანაშაულოდ ითვლებოდეს, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად;
    - ii. დაუყოვნებლივ იქნეს ინფორმირებული მისთვის გასაგებ ენაზე და დეტალურად მის მიმართ წაყენებული ბრალის შესახებ, და უფლება ჰქონდეს, ისარგებლოს თარჯიმნის დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს გამოყენებული ენა;
    - iii. ლეზლობდეს სამართლებრივ და სხვა შესაბამის დახმარებას მისი დაცვის მომზადების და წარდგენის პროცესში;
    - iv. მისი საქმე რაც შეიძლება უმოკლეს დროში იქნეს განხილული მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, ხოლო დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში განაჩენი გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლოში;
  - d) კრძალავენ სასამართლო განხილვაზე პრესის და საზოგადოების დასწრებას.
3. სასამართლო განხილვის დროს ბავშვის მიმართ მოპყრობის, ასევე სისხლის სამართლის კანონის დარღვევის გამო მისი დამნაშავედ აღიარების ძირითადი მიზანია მისი გამოსწორება, ოჯახში რეინტეგრაცია და სოციალური რეაბილიტაცია.

4. დადგენილი უნდა იქნეს მინიმალური ასაკი, რომლის ქვემოთ ბავშვს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება’.

## არაბული სამყარო

ადამიანის უფლებათა არაბული ქარტია არასრულწლოვანთა მიმართ სპეციალური ზრუნვის მოთხოვნის უფრო ზოგად დებულებებს შეიცავს. მუხლი 38-ე მუხლის “b” ქვეპუნქტი აცხადებს:

‘სახელმწიფო ვალდებულია განსაკუთრებული ზრუნვით და სპეციალური დაცვით უზრუნველყოს ოჯახი, დედები, ბავშვები და ხანდაზმულები’.

## ამერიკის კონტინენტები

ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული უფრო ზოგადი დებულებებია ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში. მე-19 მუხლში აღნიშნულია:

‘ყოველ მცირეწლოვან ბავშვს უფლება აქვს, უზრუნველყოფილ იქნეს დაცვის ღონისძიებებით ოჯახისაგან, საზოგადოებისაგან და სახელმწიფოსაგან, როგორცაც მისი, როგორც მცირეწლოვნის მდგომარეობა მოითხოვს’.

## რბილი საერთაშორისო სამართალი

### გაეროს დონე

გაეროს 1990 წლის პროკურორთა სახელმძღვანელო პრინციპების მე-19 პრინციპში აღნიშნულია:

‘ქვეყნებში, სადაც პროკურორებს აქვთ დისკრეციული უფლება, გადანყვეტილება მიიღონ არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე ან არდაწყებაზე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამართალდარღვევის ბუნებასა და სიმძიმეს, საზოგადოების და პიროვნების დაცვას და არასრულწლოვნის ბიოგრაფიას. ამ გადანყვეტილების მიღებისას პროკურორები განსაკუთრებით ითვალისწინებენ დევნის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესაბამისი კანონებისა და პროცედურების საფუძველზე. პროკურორები ყველაფერს აკეთებენ, რათა არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებები განხორციელდეს მხოლოდ მკაცრად აუცილებელ ფარგლებში’.

ამ დოკუმენტის გარდა, რომელიც კონკრეტულად პროკურორების როლს ეხება, მრავალი საერთაშორისო დოკუმენტია მიღებული უშუალოდ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით.

ამ კონტექსტში შესაბამისი დოკუმენტია არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების მინიმალური სტანდარტული წესები (ასევე ცნობილია “პეკინის წესების” სახელწოდებით), რომელიც გაერომ 1985 წელს მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ ფართო ფუნდამენტურ ხედვას მოიცავს, რომელიც არასრულწლოვანთა კეთილდღეობის მაქსიმალური ხელშეწყობისკენაა მიმართული, ამ დოკუმენტში ასევე მოიძებნება რამდენიმე კონკრეტული პრინციპი, რომელიც საჯარო პროკურორებს ეხება.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია მე-5 პრინციპი, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზანს განსაზღვრავს:

‘არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების სისტემა ხაზს უსვამს არასრულწლოვნის კეთილდღეობას და უზრუნველყოფს, რომ არასრულწლოვან სამართალდამრღვევზე ზემოქმედების ნებისმიერი ღონისძიება ყოველთვის პროპორციული იყოს როგორც სამართალდამრღვევის პიროვნული მახასიათებლების, ისე სამართალდარღვევის გარემოებების’.

იმავე დოკუმენტში ეს დებულება შემდეგნაირადაა განმარტებული:

‘მეხუთე წესში არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების ორი უმნიშვნელოვანესი მიზანია ასახული. პირველი მიზანი არასრულწლოვნის კეთილდღეობის ხელშეწყობაა. ეს მთავარი მიზანია იმ სამართლებრივი სისტემებისა, სადაც არასრულწლოვანთა საქმეებს იხილავენ ოჯახურ საქმეთა სასამართლოები ან ადმინისტრაციული ორგანოები, მაგრამ არასრულწლოვანთა კეთილდღეობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასევე ისეთ სამართლებრივ სისტემებში, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნის მოდელებს იცავს, რაც ხელს შეუწყობს წმინდა სადამსჯელო სანქციების თავიდან აცილებას’.

(იხ. აგრეთვე მე-14 წესი)

მეორე მიზანია “პროპორციულობის პრინციპი”. ეს პრინციპი კარგადაა ცნობილი, როგორც სადამსჯელო სანქციების შემაკავებელი მექანიზმი, რომელიც ძირითადად გამოიხატება დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად დამსახურებისამებრ მიზღვის პრინციპის გამოყენებაში. ახალგაზრდა სამართალდამრღვევებზე რეაგირება უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ დანაშაულის სიმძიმეს, არამედ ასევე პიროვნულ თვისებებს. სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თვისებები (მაგალითად, სოციალური მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა, სამართალდამრღვევის მიერ მიყენებული ზიანი და სხვა ფაქტორები, რომლებიც სამართალდამრღვევის პიროვნებასთანაა დაკავშირებული) გავლენას უნდა ახდენდეს საპასუხო მოქმედებათა პროპორციულობაზე (მაგალითად, სამართალდამრღვევის მიერ დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სურვილის გამოთქმა, ან მისი სურვილი, იცხოვროს სრულყოფილად და სასარგებლოდ).

ანალოგიურად, ახალგაზრდა სამართალდამრღვევის კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ მიმართული საპასუხო ქმედებები შეიძლება გასცდეს საჭიროების ფარგლებს და ამით ზიანი მიაყენოს კონკრეტული ახალ-



გაზრდა ადამიანის ძირითად უფლებებს, როგორც ეს ზოგჯერ შეინიშნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემებში. ასეთ შემთხვევაში ასევე დაცული უნდა იქნეს საპასუხო მოქმედებების პროპორციულობა როგორც სამართალდამრღვევის პიროვნული მახასიათებლების, ისე სამართალდამრღვევის გარემოებების გათვალისწინებით, დაზარალებულის ჩათვლით’.

გარდა ამისა, არასრულწლოვანთა უფლებების კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-7 წესი:

‘ძირითადი საპროცესო გარანტიები, როგორცაა უდანაშაულობის პრეზუმცია, ბრალდების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, დუმილის უფლება, ადვოკატის უფლება, მშობლის ან მეურვის დასწრების უფლება, მოწმეთა დაპირისპირების და ჯვარედინი დაკითხვის უფლება და ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პროცესის ყველა სტადიაზე’.

დოკუმენტის მეორე ნაწილი მთლიანად ეძღვნება არასრულწლოვანთა დაკითხვის და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებს მე-10 წესი საწყის კონტაქტებს ეხება:

- 10.1. ‘არასრულწლოვანის დაკავებისთანავე მის მშობლებს ან მეურვეს დაუყოვნებლივ აცნობებენ დაკავების შესახებ, ხოლო თუ დაუყოვნებლივ შეტყობინება შესაძლებელი არ არის, მშობლებს ან მეურვეს ამის შესახებ აცნობებენ შემდგომ უმოკლეს პერიოდში.
- 10.2. მოსამართლე ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი ან ორგანო დაუყოვნებლივ განიხილავს გათავისუფლების საკითხს.
- 10.3. სამართალდამცავ დაწესებულებებსა და არასრულწლოვან სამართალდამრღვევს შორის კონტაქტები იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ დაცული იქნეს არასრულწლოვნის სამართლებრივი სტატუსი, ხელი შეეწყოს არასრულწლოვნის კეთილდღეობას და თავიდან იქნეს აცილებული მისთვის ზიანის მიყენება, საქმის გარემოებათა ჯეროვანი გათვალისწინებით’.

ამ დებულების კომენტარებში აღნიშნულია:

‘10.1 წესი, პრინციპში, მოცემულია, პატიმრების მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 92-ე წესში.

გათავისუფლების საკითხს (წესი 10.2) დაუყოვნებლივ განიხილავს მოსამართლე ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი. ამ უკანასკნელში იგულისხმება ნებისმიერი პირი ან დაწესებულება ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით, სათემო ორგანოების და საპოლიციო ხელისუფლების ჩათვლით, რომლებსაც დაკავებული პირის გათავისუფლების უფლებამოსილება აქვთ. (იხ. აგრეთვე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი.)

წესი 10.3 არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისას ძირითად პროცედურულ ასპექტებს და პოლიციელთა და სხვა სამართალდამცავ მუშაკთა ქცევას ეხება. გამოთქმა “თავიდან იქნეს აცილებული მისთვის

ზიანის მიყენება”, საერთო აღიარებით, საკმაოდ მოქნილი ფორმულირებაა და იგი შესაძლო მოქმედებათა მრავალ მხარეს მოიცავს (მაგალითად, სიტყვიერი მიმართვის უხეში ფორმები, ფიზიკური ძალადობა ან გარემოცვისთვის მისი დემონსტრირება). მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობამ თავისთავად შესაძლოა “ზიანი მიაყენოს” არასრულწლოვანს, ამიტომ ტერმინი “ზიანის მიყენების თავიდან აცილება” ფართოდ უნდა განიმარტოს, როგორც, უპირველეს ყოვლისა, არასრულწლოვნისთვის მინიმალური ზიანის მიყენება, ასევე ყველა დამატებითი ან ზედმეტი ზიანის თავიდან აცილება. ეს განსაკუთრებით საგულისხმოა სამართალდამცავ ორგანოებთან პირველი კონტაქტის დროს, რომელმაც შესაძლოა ერთობ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს არასრულწლოვნის დამოკიდებულებაზე სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართ. გარდა ამისა, ნებისმიერი შემდგომი ჩარევის წარმატება დიდადაა დამოკიდებული ასეთ თავდაპირველ კონტაქტებზე. ამასთანავე, ძალზე მნიშვნელოვანია თანაგრძნობა და კეთილგანწყობილი მომთხოვნელობა’.

მე-11 ნესი საქმის გადაცემას ეხება. იგი აცხადებს:

- 11.1. ‘არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი პირების საქმის განხილვისას, შესაძლებლობის ფარგლებში, გამოყენებული არ უნდა იქნეს საქმის ოფიციალური განხილვა კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომელზედაც ქვემოთ, 14.1 ნესშია მითითებული.
- 11.2. პოლიცია, პროკურატურა ან სხვა დაწესებულება, რომელიც არასრულწლოვნის საქმეს აწარმოებს, უფლებამოსილი უნდა იყოს, ასეთ საქმეებზე გადანყვეტილება მიიღოს საკუთარი შეხედულებისამებრ, საქმის ოფიციალური განხილვისთვის ზიანის მიყენების გარეშე, შესაბამის სამართლებრივ სისტემაში ამ მიზნით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, ასევე ამ ნესებში წარმოდგენილი პრინციპების შესაბამისად.
- 11.3. საქმის შეწყვეტა, შესაბამის სათემო ან სხვა სამსახურებში საქმის გადაცემის მიზნით, უნდა მოხდეს არასრულწლოვნის ან მისი მშობლების ან მეურვის თანხმობით, იმ პირობით, რომ საქმის გადაცემის ასეთი გადანყვეტილება ექვემდებარება ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ საქმის გადასინჯვას, განცხადების საფუძველზე.
- 11.4. არასრულწლოვანთა საქმეების დისკრეციული განხილვის ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია’ თემების ფარგლებში გათვალისწინებულ იქნეს ისეთი პროგრამები, როგორიცაა დროებითი ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა, დაზარალებულთა რესტიტუცია და კომპენსაცია’.

ამ დებულების კომენტარში აღნიშნულია:

‘საქმის შეწყვეტა, მათ შორის, მისი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების წარმოებიდან ამოღება, ხშირად სათემო დამხმარე სამსახურებისათვის გადაცემა, მრავალ სამართლებრივ სისტემაში, ჩვეულებრივ, ხორციელდება ოფიციალურ და არაოფიციალურ საფუძველზე. ასეთი პრაქტიკა არასრულწლოვნის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების ნეგატიური შედეგების შეზღუდვის საშუალებას იძლევა (მაგალითად, ნასამართლობის და განაჩენის დამლა). მრავალ შემთხვევაში ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების ჩაურევლობა საუკეთესო შედეგს

იძლევა. ამრიგად, საქმის ადრეულ ეტაპზე შეწყვეტამ, ალტერნატიული (სოციალური) სამსახურებისათვის გადაცემის გარეშე, შეიძლება ოპტიმალური შედეგები გამოიღოს. ეს განსაკუთრებით ეხება საქმეებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის სერიოზულ დარღვევებთან, და როდესაც ოჯახს, სკოლას და არაოფიციალური კონტროლის განმხორციელებელ სხვა ინსტიტუტებს უკვე მიღებული აქვთ ან აპირებენ მიიღონ, ზემოქმედების შესაბამისი კონსტრუქციული ზომები.

როგორც წესი 11.2 აცხადებს, საქმის შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერ ეტაპზე — პოლიციის, პროკურატურის ან სხვა დაწესებულების მიერ, როგორცაა სასამართლოები, ტრიბუნალები, საბჭოები ან კომისიები. იგი შეიძლება განხორციელდეს ხელისუფლების ერთი ან რამდენიმე ორგანოს მიერ, შესაბამისი სისტემების წესებისა და პოლიტიკის შესაბამისად და ამ წესების შესაბამისად. საქმის შეწყვეტის პრაქტიკა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ უმნიშვნელო საქმეებით, და სწორედ ამიტომ, იგი მნიშვნელოვანი მექანიზმია.

წესი 11.3 ხაზს უსვამს მნიშვნელობას არასრულწლოვნის (ან მისი მშობლების, ან მეურვის) თანხმობისა საქმის გადაცემის შეთავაზებული ღონისძიების (ღონისძიებების) განხორციელებაზე (ასეთი თანხმობის გარეშე საქმის თემისთვის გადაცემა ეწინააღმდეგება კონვენციას იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ). თუმცა ეს თანხმობა არ უნდა იქნეს განხილული იმგვარად, თითქოს მისი გაპროტესტება არ შეიძლება, რამეთუ ხშირად ასეთი თანხმობა არასრულწლოვანმა შეიძლება მისცეს სასწრაფო მდგომარეობაში ყოფნისას. წესში ხაზგასმულია, რომ მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული იძულება და დაშინება პროცესის შეწყვეტის ნებისმიერ ეტაპზე. არასრულწლოვანმა ზენოლა არ უნდა იგრძნოს (მაგალითად, სასამართლო პროცესის თავიდან აცილების მიზნით), ან ზენოლა არ უნდა განხორციელდეს ალტერნატიული პროგრამების განხორციელებაზე მისგან თანხმობის მიღების მიზნით. ამრიგად, რეკომენდებულია, ახალგაზრდა სამართალდამრღვევებთან დაკავშირებით შემუშავდეს დებულება გადაწყვეტილების მიღების შესაბამისობის ობიექტური შეფასებისთვის, “ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ, განცხადების საფუძველზე” (“ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო” შეიძლება განსხვავებული იყოს მე-14 წესში მითითებული ორგანოსაგან).

წესი 11.4 რეკომენდაციას უწევს საქმის შეწყვეტას მისი თემისთვის გადაცემის ფორმით, როგორც არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტიან ალტერნატიულ ფორმას. განსაკუთრებით რეკომენდებულია პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს დარეგულირებას დაზარალებულის რესტიტუციის და მომავალში კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების გამორიცხვის მიზნით ღონისძიებების გატარების გზით, განსაკუთრებით დროებითი ზედამხედველობის და ხელმძღვანელობის საშუალებით. კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით საქმის შეწყვეტა სასურველია თვით უფრო სერიოზული სამართალდარღვევების დროს (მაგალითად, დანაშაულის პირველი შემთხვევა, თანატოლების ზენოლის შედეგად ჩადენილი ქმედება და სხვა).

მე-12 წესი პოლიციის ორგანოებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე სპეციალიზაციას მოითხოვს:

‘თავიანთი ფუნქციების საუკეთესო გზით შესრულების მიზნით, პოლიციის მუშაკებმა, რომლებსაც ხშირად უხდებათ არასრულწლოვნებთან მუშაობა, ან მხოლოდ მათთან მუშაობენ, ან უშუალოდ არიან ჩართული არასრულწლოვანთა დანაშაულის აღკვეთაში, უნდა მიიღონ სპეციალური მითითებები და გაიარონ სათანადო მომზადება. დიდ ქალაქებში ამ მიზნით უნდა შეიქმნას პოლიციის სპეციალური დანაყოფები’.

ამ დებულების კომენტარში აღნიშნულია:

‘მე-12 წესში ყურადღება გამახვილებულია სამართალდამცავი ორგანოების ყველა თანამდებობის პირის სათანადო მომზადებაზე, რომლებიც მონაწილეობენ არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელებაში. ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში პირველი კონტაქტი პოლიციასთან ხორციელდება, უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ იგი მოქმედებდეს კვალიფიციურად და სათანადოდ.

თუმცა ურბანიზაციასა და დანაშაულს შორის უდავოდ რთული კავშირი არსებობს; არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის ზრდა დიდი ქალაქების ზრდას უკავშირდება, კერძოდ, მათ სწრაფ და დაუგეგმავ განვითარებას. სწორედ ამიტომ პოლიციის სპეციალიზებული დანაყოფები აუცილებელია არა მხოლოდ ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული კონკრეტული პრინციპების დასაცავად (მაგალითად, წესი 1.6), არამედ უფრო ზოგადად, არასრულწლოვანთა დანაშაულის ეფექტიანი პროფილაქტიკისათვის და მის წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველსაყოფად, ასევე არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ მოპყრობის გასაუმჯობესებლად’.

და ბოლოს, მე-13 წესი არასრულწლოვანთა წინასწარ პატიმრობას ეხება:

- 13.1. ‘წინასწარი პატიმრობა არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი ზომა და მხოლოდ შესაძლო უმოკლესი პერიოდით.
- 13.2. წინასწარი პატიმრობა შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შეიცვალოს სხვა ალტერნატიული ღონისძიებებით, როგორიცაა, მუდმივი ზედამხედველობა, აქტიური აღმზრდელობითი მუშაობა ან მოთავსება ოჯახში ან აღმზრდელობით დაწესებულებაში.
- 13.3. წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი პირები სარგებლობენ ყველა უფლებით და გარანტიით, რომელიც დადგენილია გაეროს პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებით.
- 13.4. წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი პირები განცალკევებული უნდა იქნენ უფროსებისგან, ასევე მოთავსებული უნდა იქნენ სპეციალურ დაწესებულებაში ან დაწესებულების განცალკევებულ ნაწილში, თუ ამ დაწესებულებაში უფროსებიც არიან მოთავსებული.
- 13.5. პატიმრობისას არასრულწლოვანები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ მოვლით, დაცვით და აუცილებელი ინდივიდუალური დახმარებით, როგორიცაა სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და ფიზიკური დახ-

მარება, ასევე განათლება და პროფესიული მომზადება, რომელიც მათ შესაძლოა დასჭირდეთ მათი ასაკიდან, სქესიდან და პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე’.

დოკუმენტში ამ დებულებაზე შემდეგი კომენტარია გაკეთებული:

‘არ შეიძლება სათანადოდ არ იქნეს გათვალისწინებული წინასწარი პატიმრობის დროს არასრულწლოვნებზე “დამნაშავეთა ზემოქმედების” საშიშროება. ამიტომ აუცილებელია ხაზი გაესვას ალტერნატიული ღონისძიებების მიღების აუცილებლობას. ამასთან დაკავშირებით 13.1 მუხლი ხელს უწყობს ახალი და ინოვაციური ზომების შემუშავებას, რათა, არასრულწლოვანთა კეთილდღეობის ინტერესებისთვის, თავიდან იქნეს აცილებული წინასწარი პატიმრობა. წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი პირები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ ყველა უფლებით და გარანტიით, რომელიც გათვალისწინებულია პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებით, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით, კერძოდ, პაქტის მე-9 მუხლით და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით და მე-3 პუნქტით.

წესი 13.4 სახელმწიფოებს ხელს არ უშლის, უფროსების ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დასაცავად მიიღონ სხვა ზომები, რომლებიც არანაკლებ ეფექტიანი იქნება, ვირე აღნიშნულ წესში აღწერილი ზომები.

სხვადასხვა სახის დახმარება, რომელიც შესაძლოა საჭირო აღმოჩნდეს, ჩამოთვლილია იმ მიზნით, რომ ყურადღება მიექცეს პატიმრობაში მყოფი ახალგაზრდების მოთხოვნებს (მაგალითად, ახალგაზრდა ვაჟებისა და გოგონების, ნარკომანების, ალკოჰოლიკების, სულიერად დაავადებულების, ფსიქიკურად ტრავმირებული ახალგაზრდების, მაგალითად, დაკავების გამო და სხვა).

პატიმრობაში მყოფი ახალგაზრდების განსხვავებული ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ღონისძიებათა კლასიფიკაციისთვის, რომლის საფუძველზედაც ზოგიერთი ახალგაზრდა წინასწარი პატიმრობის პერიოდში ცალკე იქნეს მოთავსებული, რაც მისთვის ზიანის თავიდან აცილების და უფრო სათანადო დახმარების განწევის საშუალებას უზრუნველყოფს.

დანაშაულის პრევენციის და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ გაეროს მეექვსე კონგრესის მე-4 რეზოლუცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტანდარტებს ეხება. მასში, *inter alia*, აღნიშნულია, რომ წესები უნდა ასახავდეს ძირითად პრინციპს, კერძოდ, წინასწარი პატიმრობა გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი ზომა, არც ერთი არასრულწლოვანი არ უნდა იმყოფებოდეს ისეთ დაწესებულებაში, სადაც იგი დაუცველი იქნება უფროსი ასაკის პატიმართა მავნე ზეგავლენისაგან, და ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი განვითარების დონიდან გამომდინარე მოთხოვნები’.

და ბოლოს, კვლევებთან დაკავშირებული დებულებები, რომლებიც აუცილებელი საფუძველია პოლიტიკის ფორმირებისთვის, მინიმალური სტანდარტული წესების მე-6 განყოფილებაშია მოცემული. 30-ე წესში აღნიშნულია:

- 30.1. 'საჭიროა ძალისხმევის მიმართვა სათანადო კვლევების ორგანიზებისა და ხელშეწყობისკენ, რომლებიც პოლიტიკის ეფექტიანი დაგეგმვისა და შემუშავების საფუძველია.
- 30.2. საჭიროა ძალისხმევის განხორციელება არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევებისა და დანაშაულის ტენდენციების, პრობლემებისა და მიზეზების პერიოდული განხილვისა და შეფასებისთვის, ასევე პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი პირების სხვადასხვა კონკრეტული მოთხოვნებისა.
- 30.3. საჭიროა ძალისხმევის განხორციელება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში რეგულარული შეფასებისა და სათანადო მონაცემების და ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის მექანიზმების შექმნის მიზნით, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელების სისტემის სათანადო შეფასებას და მის შემდგომ სრულყოფასა და რეფორმირებას ემსახურება.
- 30.4. არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელებისას მომსახურების უზრუნველყოფა სისტემატურად უნდა იგეგმებოდეს და ხორციელდებოდეს, როგორც ეროვნული განვითარების ღონისძიებათა განუყოფელი ნაწილი'.

ეს დებულება შემდეგნაირადაა განმარტებული:

'არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში რაციონალური პოლიტიკის საფუძვლად კვლევების გამოყენება ფართოდაა აღიარებული, როგორც მეცნიერულ მიღწევებთან პრაქტიკის მიახლოების მნიშვნელოვანი მექანიზმი და მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფის საშუალება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კვლევებსა და პოლიტიკას შორის არსებულ ურთიერთკავშირს და უკუგებას. ახალგაზრდობის ცხოვრების სტილის სწრაფი და ხშირი ცვლებადობის პირობებში, ასევე არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის ფორმებისა და მასშტაბების ფონზე, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებსა და დანაშაულზე საზოგადოებისა და მართლმსაჯულების რეაგირების ფორმები სწრაფად ძველდება და არაადეკვატური ხდება.

ამრიგად, 30-ე წესში მოცემულია სტანდარტები, რომლებიც მოითხოვს კვლევითი საქმიანობის ჩართვას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის შემუშავებაში და მის განხორციელებაში. ამ წესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არსებული პროგრამებისა და ზომების რეგულარული გადასინჯვისა და შეფასების აუცილებლობას, ასევე დაგეგმვას, განვითარების ზოგადი მიზნების უფრო ფართო კონტექსტში.

არასრულწლოვანთა საჭიროებების, ასევე არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ტენდენციებისა და პრობლემების მუდმივი შეფასება მნიშვნელოვანი წინაპირობაა შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების მეთოდების და ჩარევის სათანადო ღონისძიებების გაუმჯობესებისთვის, როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ დონეზე. ამ კონტექსტში, პასუხისმგებელმა დაწესებულებებმა ხელი უნდა შეუწყონ კვლევების განვითარებას, რომლებსაც ახორციელებენ დამოუკიდებელი პირები და ორგანიზაციები,

ასევე ალბათ მიზანშეწონილი იქნება თვით არასრულწლოვანთა აზრის გაგება და გათვალისწინება, და არა მხოლოდ მათი, ვისაც კონტაქტი აქვს მართლმსაჯულების სისტემასთან.

დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აუცილებელი მომსახურების უზრუნველყოფის უფრო ეფექტიანი და სამართლიანი სისტემის შექმნას. ამ მიზნით უნდა განხორციელდეს არასრულწლოვანთა სხვადასხვა კონკრეტული საჭიროების და პრობლემის კომპლექსური და რეგულარული ანალიზი და გამოიკვეთოს მკაფიო პრიორიტეტები. ამასთან დაკავშირებით ასევე აუცილებელია არსებული რესურსების გამოყენება, ალტერნატიული და საზოგადოებრივი მხარდაჭერის ჩათვლით, რომლებიც ხელს შეუწყობს შემუშავებული პროგრამების განხორციელების კონკრეტული პროცედურების სრულყოფას და მიღებული შედეგების კონტროლს.

ასევე საინტერესოა თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის წესები, რომლებიც გაერომ 1990 წელს მიიღო. ამ დოკუმენტის I თავი ძირითად ხედვას შეიცავს. ამ თავის 1-ლ წესში უფრო ზოგადი დებულებაა ფორმულირებული:

‘არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა უნდა იცავდეს მათ უფლებებს და უსაფრთხოებას და ხელს უნდა უწყობდეს მათ ნორმალურ ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობას. პატიმრობა გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი ზომა.

ამის შემდეგ წესი 2 არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის ზომების გამოყენებას ზღუდავს და ამას უკავშირებს ზემოაღნიშნულ მინიმალურ სტანდარტულ წესებს:

‘არასრულწლოვანს თავისუფლება უნდა აღკვეთოს მხოლოდ ამ წესების და გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების შესაბამისად, რომლებიც არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელებას ეხება (პეკინის წესები). არასრულწლოვნის მიმართ თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი ზომა და დროის აუცილებელ მინიმალურ პერიოდში. სანქციის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს სასამართლო ორგანოს მიერ, რომელიც არ გამოირიცხავს არასრულწლოვნის ვადამდელ გათავისუფლებას’.

III თავი კონკრეტულად ეხება დაკავებულ ან წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ მოპყრობას. ამ თავის შესაბამისი დებულება ადგენს:

17. ‘დაკავებული ან წინასწარ პატიმრობაში მყოფი (რომელთა საქმე ჯერ განხილული არ არის) არასრულწლოვნები ითვლებიან უდანაშაულოდ და მათ შესაბამისად უნდა მოეპყრონ. შესაძლებლობის ფარგლებში თავიდან უნდა იქნეს აცილებული სასამართლო პროცესამდე პატიმრობა და იგი მხოლოდ გამოწვევის შემთხვევებში უნდა იქნეს გამოყენებული. აქედან გამომდინარე, საჭიროა ძალისხმევა მიმართულ იქნეს ალტერნატიული ზომების გამოყენებისკენ. იმ შემთხვევაში თუ პატიმრობა მაინც გამოიყენება, როგორც პრევენციული ღონისძიება, არასრულწლოვანთა საქ-

მეების სასამართლოებმა და საგამოძიებო ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საქმის მაქსიმალურად სწრაფად განხილვას, რათა პატიმრობის ხანგრძლივობა რაც შეიძლება ნაკლები იყოს. არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები, რომელთა საქმე ჯერ სასამართლოში განხილული არ არის, განცალკევებული უნდა იქნენ მსჯავრდებულნი არასრულწლოვნებისაგან.

18. იმ არასრულწლოვანთა პატიმრობის პირობები, რომელთა საქმე ჯერ სასამართლოს არ განუხილავს, ქვემოთ მოცემულ ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს, ასევე სხვა საჭირო და სათანადო კონკრეტულ დებულებებს, უდანაშაულობის პრეზუმციის, პატიმრობის ხანგრძლივობის და არასრულწლოვანის სამართლებრივი სტატუსის და საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ასეთ დებულებებს მიეკუთვნებიან (თუმცა მათი ჩამონათვალი ამით არ შემოიფარგლება):

- a) არასრულწლოვან პირებს უნდა ჰქონდეთ იურიდიული კონსულტაციის უფლება და უფასო იურიდიული დახმარების მოთხოვნის უფლება, როდესაც ასეთი დახმარების უზრუნველყოფა შესაძლებელია, ასევე თავის ადვოკატთან რეგულარული კონტაქტის უფლება. ასეთი კონტაქტების დროს დაცული უნდა იყოს პირად ცხოვრებაში და კონფიდენციალობაში ჩაურევლობის პრინციპი;
- b) არასრულწლოვან პირებს, როდესაც ეს შესაძლებელია, უნდა მიეცეთ ანაზღაურებადი სამუშაოს ან სწავლის ან პროფესიული მომზადების გაგრძელების საშუალება, მაგრამ მათგან ამის მოთხოვნა სასურველი არ არის. არასრულწლოვანთა შრომამ, სწავლამ ან პროფესიულმა მომზადებამ არ უნდა გამოიწვიოს მათი პატიმრობის ვადის გაგრძელება;
- c) არასრულწლოვან პირებს უფლება უნდა ჰქონდეთ, მიიღონ და თან იქონიონ მათი დასვენებისა და გაჯანსაღებისთვის საჭირო ნივთები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებს.

ბოლო, 87-ე წესი ეხება მთელ პერსონალს, რომელსაც კონტაქტი აქვს პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვან პირებთან, და, ამდენად, იგი საგულისხმოა საჯარო პროკურორებისთვის:

‘მისი მოვალეობების შესრულებისას საპატიმრო დაწესებულებათა პერსონალმა პატივი უნდა სცეს და დაიცვას ყველა არასრულწლოვანის ადამიანური ღირსება და ადამიანის ძირითადი უფლებები, კერძოდ, შემდეგი გზით:

- a) საპატიმრო დაწესებულების არც ერთ თანამშრომელს, არანაირი საბაბით და არანაირ გარემოებაში, არ შეუძლია გამოიყენოს, ნააქვზოს ან შეეგუოს ნამების აქტს ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოქმედებას, დასჯას, ფიზიკურ ან დისციპლინურ სასჯელს;
- b) ყველა თანამშრომელი წინ უნდა აღუდგეს კორუფციის ნებისმიერ ქმედებას და ენერგიულად უნდა იბრძოდეს მის წინააღმდეგ; ნებისმიერი



ასეთი ქმედების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომპეტენტურ ორგანოებს;

- c) ეს წესები ყველა თანამშრომელმა უნდა დაიცვას. თანამშრომლებმა, რომლებსაც საფუძველი აქვთ ივარაუდონ, რომ მოხდა ან შეიძლება მოხდეს ამ წესების სერიოზულ დარღვევა, ამის შესახებ უნდა შეატყობინონ თავიანთ ზემდგომ მუშაკებს ან ორგანოებს, რომლებსაც ასეთი დარღვევების განხილვის და აღკვეთის უფლებამოსილება აქვთ;
- d) ყველა თანამშრომელმა უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, ფიზიკური, სქესობრივი და ფსიქიკური ზემოქმედებისაგან დაცვის ჩათვლით, და, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად;
- e) ყველა თანამშრომელმა პატივი უნდა სცეს არასრულწლოვანთა პირად ცხოვრებას, კერძოდ, დაიცვას არასრულწლოვანთან ან მის ოჯახთან დაკავშირებული კონფიდენციალური ხასიათის მონაცემები, რომელთა შესახებაც მათ თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულებისას შეიტყვეს;
- f) ყველა თანამშრომელი უნდა ისწრაფვოდეს, მინიმუმამდე შეამციროს საპატიმრო დაწესებულების შიგნით და მის გარეთ ცხოვრების პირობებს შორის არსებული განსხვავება, რომელმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს არასრულწლოვნის ადამიანური ღირსების სათანადო პატივისცემაზე’.

და ბოლოს, საგულისხმოა 1990 წელს გაეროს მიერ მიღებული სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პრევენციის შესახებ (რომელიც ასევე “რიადის პრინციპების” სახელითაა ცნობილი). მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტის ძირითადი მიზანი არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის პრევენციაა, რაზედაც მისი სახელწოდებაც მიუთითებს, იგი ძირითადად განკუთვნილია საკანონმდებლო ხელისფლებისთვის, სადაც გარკვეულ როლს საჯარო პროკურორებიც ასრულებენ, და, ამდენად, ეს სახელმძღვანელო პრინციპები მათ მიერ ჯეროვნად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

## 1-ლი პრინციპი აცხადებს:

‘არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პრევენცია საზოგადოებაში დანაშაულის აღკვეთის უმნიშვნელოვანესი ასპექტია. კანონიერ, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ჩართვით და საზოგადოებისა და ცხოვრების მიმართ ჰუმანური შეხედულებების ჩამოყალიბებით ახალგაზრდობამ შეიძლება გამოიმუშავოს არაკრიმინოგენული დამოკიდებულებები’.

## მე-2 პრინციპები ნათქვამია:

‘არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ეფექტიანი პრევენციის მიზნით აუცილებელია მთელი საზოგადოების ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოზარდთა ჰარმონიული აღზრდა, ადრეული ბავშვობის ასაკიდანვე მათი პიროვნების პატივისცემით და განვითარების ხელშეწყობით’.

III თავი ზოგად პრევენციას ეხება და იგი სახელმწიფოსგან მმართველობის ყველა დონეზე პრევენციული გეგმების განხორციელებას მოითხოვს. მე-9 პრინციპში აღნიშნულია:

‘მმართველობის ყველა დონეზე მიღებულ უნდა იქნეს ყოვლისმომცველი პრევენციული გეგმები და ისინი უნდა მოიცავდნენ შემდეგს:

- a) პრობლემათა სიღრმისეული ანალიზი და პროგრამების, მომსახურებების, დაწესებულებებისა და არსებული რესურსების ჩამონათვალი;
- b) პრევენციულ საქმიანობაში ჩართული კომპეტენტური ორგანოების, დაწესებულებებისა და თანამშრომელთა მკაფიოდ განსაზღვრული მოვალეობები;
- c) დანაშაულის პრევენციის სფეროში სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის სათანადო კოორდინაციისთვის საჭირო მექანიზმები;
- d) პროგნოზირების კვლევებზე დაფუძნებული პოლიტიკა, პროგრამები და სტრატეგიები, რომლებიც, მათი განხორციელების პერიოდში, მუდმივ კონტროლს და სიღრმისეულ ანალიზს უნდა ექვემდებარებოდეს;
- e) არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის შემცირების ეფექტიანი მეთოდები;
- f) თემის ჩართვა მომსახურებათა და პროგრამების ფართო წრეში;
- g) მჭიდრო ინტერდისციპლინური თანამშრომლობა ეროვნულ, სახელმწიფო, რეგიონულ და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შორის, არასრულწლოვნებსა და ახალგაზრდებს შორის დანაშაულის პრევენციის ერთობლივ ღონისძიებებში თემებისთვის მომსახურების მიმწოდებელი კერძო სექტორის წარმომადგენლების, ასევე შრომითი, ბავშვთა აღზრდის, ჯანდაცვის, განათლების, სოციალური, სამარალდამცავი და სასამართლო დაწესებულებების მონაწილეობით;
- h) ახალგაზრდების მონაწილეობა დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის და პროცესების რეალიზებაში, სათემო რესურსების გამოყენებაზე, ახალგაზრდობის თვითდახმარებაზე, დაზარალებულთა კომპენსაციაზე და დახმარების პროგრამებზე ორიენტირების ჩათვლით;
- i) კვალიფიციური პერსონალის უზრუნველყოფა ყველა დონეზე.

ბოლოს, დოკუმენტის 58-ე პრინციპი არასრულწლოვნებთან დაკავშირებული პერსონალის მომზადებას ეხება:

‘სამართალდამცავი და სხვა შესაბამისი მუშაკები, სქესის მუხედავად, მომზადებული უნდა იყვნენ ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელ მოთხოვნებზე რეაგირებისთვის, ასევე კარგად უნდა იცნობდნენ ახალგაზრდებისათვის მართლმსაჯულების სისტემის ალტერნატიულ პროგრამებსა და საშუალებებს და უნდა იცოდნენ მათი გამოყენება’.

## **პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია:**

1999 წელს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ მიღებულ პროკურორთა პროფესიული პასუხისმგებლობის, ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების სტანდარტებში არის დებულება, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ეს დებულება 4.3(h) პრინციპშია მოცემული:

‘პროკურორები (...) ადგილობრივი კანონის და სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების შესაბამისად, სათანადოდ ითვალისწინებენ, როდესაც ეს შესაძლებელია, ბრალდებაზე უარის თქმის, პროცესის პირობითი ან უპირობო შეწყვეტის და სისხლის სამართლის საქმეების გამოყოფის საშუალებას, განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, რომლებიც ეხება ახალგაზრდა დამნაშავეებს, ეჭვმიტანილისა და დაზარალებულის უფლებების ჯეროვანი პატივისცემით’.

## **ბანმარტება და დასკვნები**

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებში, არასრულწლოვნების მიმართ – მათი ასაკის გამო – მოპყრობის განსაკუთრებული სტანდარტებია დადგენილი. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ არასრულწლოვანს იმგვარად მოეპყრონ, რომ მას პასუხისმგებელ მოქალაქედ ჩამოყალიბების საშუალება მიეცეს, ნაცვლად იმისა, რომ დანაშაულებრივ ცხოვრებაში ჩაეფლოს. არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ყველა ღონისძიება რეაბილიტაციის ამ მიზნის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. ამიტომ ბავშვის დაპატიმრება გამოყენებული უნდა იქნეს როგორც უკიდირესი ზომა და ყოველთვის უნდა პრევალირებდეს რეაბილიტაციაზე გამიზნული ღონისძიებები.

ადამიანის უფლებათა ზემოაღნიშნული საერთაშორისო ტექსტებიდან ზოგი უფრო კონკრეტულადაა ორიენტირებული ახალგაზრდათა მიერ ჩადენილი დანაშაულის პრევენციაზე და ამიტომ ისინი უფრო სოციალური ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ ისინი არ არიან დაკავშირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებაში პროკურორის როლთან, მაგრამ ასე არ არის. საჯარო პროკურორმა თავისი როლი მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესით არ უნდა შეზღუდოს. მან ასევე აქტიური როლი უნდა შეასრულოს დანაშაულის პრევენციაში, ხოლო სისხლის სამართალწარმოების დასრულების შემდეგ — რეაბილიტაციის პროცესში. ამიტომ რეკომენდებულია, რომ ამ საკითხზე შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტები ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

# დისკრიმინაცია მართლმსაჯულების სისტემაში

## შესაბამისი ტექსტები გაეროს დონეზე

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 1-ლი მუხლი დისკრიმინაციასთან დაკავშირებით საკმაოდ მკაფიოდ აცხადებს:

‘ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ ნაბოძები აქვთ გონება, სინდისი და ერთმანეთს ძმობის სულისკვეთებით უნდა ეპყრობოდნენ’.

ეს დებულება მე-2 მუხლშია გავრცობილი:

‘ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის საფუძველზე.

გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, ეს ტერიტორია დამოუკიდებელია, სამეურვეოა, არათვითმმართველია თუ მისი სუვერენიტეტი სხვაგვარად არის შეზღუდული’.

ადამიანის საყოველთაო უფლებათა დეკლარაციის მე-2 მუხლის მსგავსი დებულებაა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლში:

‘ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებებით, რაიმე განსხვავების გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, წარმომავლობის თუ სხვა მდგომარეობის გამო’.

1969 წლის საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ შესაბამის დებულებებს შეიცავს მართლმსაჯულების სისტემაში არსებული დისკრიმინაციისა, და, შესაბამისად, მისი აღმოფხვრის შესახებ. პირველი, მე-2 მუხლი სახელმწიფოებისაგან პოზიტიური

ლონისძიებების განხორციელებას მოითხოვს დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით:

1. 'მონაწილე სახელმწიფოები გმობენ რასობრივ დისკრიმინაციას და ვალდებულებას იღებენ, ყველა შესაძლო საშუალებით დაუყოვნებლივ გაატარონ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის პოლიტიკა და ხელი შეუწყონ რასებს შორის ურთიერთგაგებას, და ამ მიზნით:
  - a) თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, პირების, ჯგუფების ან დანესებულებების მიმართ არ ჩაიდინოს რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული აქტები ან ქმედებები და უზრუნველყოს როგორც ეროვნული, ისე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო დანესებულებების მიერ ამ ვალდებულების შესაბამისი მოქმედება;
  - b) თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ხელი არ შეუწყოს, არ დაიცვას ან მხარი არ დაუჭიროს რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ რასობრივ დისკრიმინაციას;
  - c) თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ეფექტიანი ზომები ეროვნული და ადგილობრივი მასშტაბით მთავრობის პოლიტიკის გადასინჯვის, აგრეთვე იმ კანონებისა და ნორმატივების შესწორების, გაბათილების ან გაუქმების მიზნით, რომლებიც იწვევს ან სამუდამოდ ამკვიდრებს რასობრივ დისკრიმინაციას, ყველგან, სადაც ის არსებობს;
  - d) თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, ყველა არსებული საშუალების, საკანონმდებლო ზომების ჩათვლით, გარემოებათა შესაბამისად უნდა აკრძალოს რასობრივი დისკრიმინაცია, განხორციელებული პირის, ჯგუფების ან ორგანიზაციების მიერ;
  - e) თითოეული მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია სათანადო შემთხვევებში წაახალისოს გამაერთებელი მრავალრასობრივი ორგანიზაციები და მოძრაობები, ასევე რასობრივი ბარიერების მოშლის სხვა ღონისძიებები, არ დაუჭიროს მხარი ისეთ ზომებს, რომლებიც ხელს უწყობს რასობრივი დანაწევრების გაღრმავებას'.
2. მონაწილე სახელმწიფოები, როდესაც ამას გარემოებები მოითხოვს, განსაკუთრებულ და კონკრეტულ ზომებს იღებენ სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში, ზოგიერთი რასობრივი ჯგუფის ან პირთა სათანადო განვითარებისთვის და დასაცავად, რათა უზრუნველყონ მათთვის ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თვისუფლებების სრული და თანაბარი გამოყენება. ასეთმა ზომებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს განსხვავებულ რასობრივ ჯგუფებში არათანაბარი და უპირატესი უფლებების შენარჩუნება იმ მიზნების მიღწევის შემდეგ, რომლებისთვისაც ისინი იყო შემოღებული'.

მე-5 მუხლში მოცემული დებულებები უფრო კონკრეტულადაა მიმართული მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული დისკრიმინაციისკენ:

'ამ კონვენციის მე-2 მუხლში აღნიშნული ძირითადი ვალდებულებების შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, აკრძალონ და აღმოფხვრან ნებისმიერი ფორმის რასობრივი დისკრიმინაცია და უზრუნველ-

ყონ ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილებისა, განსაკუთრებით შემდეგი უფლებების განხორციელებისთვის:

- a) სასამართლოსა და მართლმსაჯულების განმახორციელებელი ყველა ორგანოს წინაშე თანასწორობის უფლება;
- b) უფლება პირადი უსაფრთხოებისა და სახელმწიფოს მხრიდან დაცვისა ძალადობისა და სხეულის დაზიანებებისაგან, რომლებსაც აყენებენ როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირები, ისე ცალკეული პირები, ჯგუფები ან დაწესებულებები; (...)

ბოლოს მოვიყვანთ კონვენციის მე-6 მუხლს:

‘მონაწილე სახელმწიფოები, კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით, უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყოველი პირის ეფექტიან დაცვას და რასობრივი დისკრიმინაციის აქტებისგან სამართლებრივი დაცვის საშუალებებს რომლებიც ამ კონვენციის დარღვევით ხელყოფს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, ასევე უფლებას, ამ სასამართლოებში მოითხოვონ ასეთი დისკრიმინაციის შედეგად მიყენებული ნებისმიერი ზიანის სამართლიანი და ადეკვატური გამოსწორება ან დაკმაყოფილება’.

## შესაბამისი ტექსტები რეპონულ დონეზე

### ევროპა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში დისკრიმინაციის აკრძალვა მე-14 მუხლშია მოცემული:

‘ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა’.

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-14 მუხლი დამოუკიდებლად არ არსებობს, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონვენციის სხვა ნორმატიული დებულებების შევსების თვალსაზრისით. მე-14 მუხლი ისევე იცავს მსგავს სიტუაციაში მყოფ პირებს დისკრიმინაციისგან მათი უფლებების და თავისუფლებების განხორციელებისას, როგორც ეს სხვა დებულებებითაა დადგენილი. დისკრიმინაციული ხასიათის ღონისძიება, რომელიც, თავის მხრივ, შესაბამისია კონვენციის მუხლისა, რომელიც მოცემულ უფლებას ან თავისუფლებას აღიარებს, მაინც არ შეესაბამება მე-14 მუხლს და ამიტომ არღვევს ამ ორივე მუხლს, ერთმანეთთან კავშირში.

თუმცა 2000 წლის 11 აპრილს ხელმოსაწერად გაიხსნა კონვენციის მე-12 ოქმი. ეს ოქმი შეიცავს დამოუკიდებელ დებულებას, რომელიც დისკრიმინაციის აკრძალვას ეხება. ოქმის 1-ლი მუხლი აცხადებს:

1. 'კანონით აღიარებული ნებისმიერი უფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის საფუძველზე.
2. არავის მიმართ არ შეიძლება დისკრიმინაციის განხორციელება სახელმწიფო თანამდებობის პირის მიერ ნებისმიერი საფუძველით, რომელიც 1-ლ პუნქტშია აღნიშნული'.

## აფრიკა

ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის მე-2 და მე-3 მუხლები კრძალავს დისკრიმინაციას:

### 'მუხლი 2

ყოველ პირს მინიჭებული აქვს უფლება, ისარგებლოს ამ ქარტიით აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, რასის, ეთნიკური ჯგუფის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, ბედ-იღბლის, წარმომავლობის თუ სხვა მდგომარეობის ნიშნით.

### მუხლი 3

1. ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე.
2. ყოველ ადამიანს თანაბრად იცავს კანონი'.

## არაბული სამყარო

ისლამში ადამიანის უფლებათა შესახებ კაიროს დეკლარაციის 1-ლი მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას:

- a) 'ყველა ადამიანი შეადგენს ერთ ოჯახს, რომლის წევრებიც გაერთიანებული არიან ალაჰისადმი მორჩილებით და ადამის მოდგმას წარმოადგენენ. ყველა ადამიანი თანასწორია ძირითადი ადამიანური ღირსებების და ძირითადი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების თვალ-

საზრისით, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, ენის, რწმენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური კუთვნილების, სოციალური მდგომარეობის ან სხვა პირობების ნიშნით. ჭეშმარიტი რელიგია ადამიანთა ერთობაში ასეთი ღისების განმტკიცების გარანტიაა.

- b) ყველა ადამიანი ალაჰის ქვეშევრდომია, ხოლო მას ყველაზე მეტად უყვარს ისინი, ვინც ყველაზე მეტად კეთილგანწყობილია მისი ქვეშევრდომების მიმართ, და არავინ არის არავისზე აღმატებული, გარდა ღვთიკუთხეულ და კეთილ საქმეთა საფუძველზე’.

მსგავსი დებულება ადამიანის უფლებათა არაბული ქარტიის მე-2 მუხლში:

‘ამ ქარტიის თითოეული მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი ამ პაქტით აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, საკუთრების, წარმომავლობის ან სხვა მდგომარეობის საფუძველზე და მამაკაცთა და ქალთა შორის დისკრიმინაციის გარეშე’.

## ამერიკის კონტინენტები

ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში დისკრიმინაციის აკრძალვას 1-ლი მუხლი ეხება:

1. ‘ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, პატივი სცენ ამ კონვენციით აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს და მათ იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი უზრუნველყონ ამ უფლებებისა და თავისუფლებების თავისუფალი და სრული განხორციელებით, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეკონომიკური მდგომარეობის, წარმომავლობის ან სხვა სოციალური მდგომარეობის ნიშნით.
2. ამ კონვენციის მიზნებისთვის, “პირი” ნიშნავს ყველა ადამიანს’.

## რბილი საერთაშორისო სამართალი

### გაეროს დონე

პირველი, პროკურორთა როლის შესახებ გაეროს 1990 წლის სახელმძღვანელო პრინციპებში (პრინციპი 13(a)) საკმაოდ მკაფიოდაა აღნიშნული:

‘თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, პროკურორები:



a) თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ მიუკერძოებლად და ყველა სახის პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, რასობრივი, კულტურული, სქესობრივი ან ნებისმიერი სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;

აქედან გამომდინარე, რბილი საერთაშორისო სამართლის მრავალი სხვა დოკუმენტი არსებობს, რომელშიც შესაბამისი დებულებებია საზოგადოებაში უმცირესობის წევრების მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ. ზოგ მათგანში არის დებულებები, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესში კონკრეტულად პროკურორის როლთანაა დაკავშირებული.

საჯარო პროკურორებისთვის საინტერესო რამდენიმე შესაბამის დებულებას შეიცავს გაეროს 1971 წლის დეკლარაცია გონებრივად ჩამორჩენილ პირთა დაცვის შესახებ. 1-ლი მუხლი საკმაოდ მკაფიოდ აცხადებს:

‘გონებრივად ჩამორჩენილ პირს, განხორციელებადობის მაქსიმალურ ფარგლებში, იგივე უფლებები აქვს, როგორც სხვა ადამიანებს’.

ამ საკითხთან ასევე დაკავშირებულია გონებრივად ჩამორჩენილი პირის უფლება ჰყავდეს მეურვე:

‘გონებრივად ჩამორჩენილ პირს უფლება აქვს ისარგებლოს მეურვის კვალიფიციური დახმარებით, როდესაც ეს საჭიროა მისი პირადი კეთილდღეობის და ინტერესების დასაცავად’.

გონებრივად ჩამორჩენილი პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ მე-6 მუხლშია აღნიშნული:

‘გონებრივად ჩამორჩენილ პირს უფლება აქვს, დაცული იყოს ექსპლუატაციისაგან, შეურაცხყოფისაგან და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან. რაიმე ქმედების გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევაში მას უნდა ჰქონდეს კანონიერების შესაბამისი განხორციელების უფლება, სადაც სრულად იქნება გათვალისწინებული მისი გონებრივი განვითარების დონე’.

გაეროს 1975 წლის დეკლარაცია უნარშეზღუდულ პირთა უფლებების შესახებ საკმაოდ მკაფიო განცხადებებს აკეთებს უნარშეზღუდულ პირთა უფლებებთან დაკავშირებით. მე-3 მუხლში აღნიშნულია:

‘უნარშეზღუდულ პირებს აქვთ განუყოფელი უფლება, პატივი სცენ მათ ადამიანურ ღირსებას. უნარშეზღუდული პირები, როგორც წარმოშობის, ბუნების ან სიმძიმისა არ უნდა იყოს მათი შემზღუდავი მიზეზები, იმავე უფლებებით სარგებლობენ, როგორც მათი ასაკის სხვა თანამოქალაქეები, რაც, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს ღირსეული ცხოვრების უფლებას, რომელიც იქნება მაქსიმალურად ნორმალური და სავსე’.

მე-4 მუხლში აღნიშნულია:

‘უნარშეზღუდულ პირებს იგივე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები აქვთ, როგორც სხვა ადამიანებს (...)’.

მე-11 მუხლი კონკრეტულად ეხება სასამართლო პროცესს:

‘უნარშეზღუდულ პირებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, ისარგებლონ კვალიფიციური იურიდიული დახმარებით, როდესაც ასეთი დახმარება აუცი-

ლებელია მათი პიროვნების და საკუთრების დასაცავად. თუ მათ მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა, მათ უნდა ისარგებლონ ჩვეულებრივი პროცედურებით, რომლებიც სრულად ითვალისწინებს მათ ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობას’.

გარდა ამისა, როდესაც სისხლის სამართლის პროცესში ფსიქიკურად დაავადებული პირები მონაწილეობენ, პროკურორებისთვის ასევე საგულისხმოა ფსიქიკურად დაავადებულ პირთა დაცვისა და ფსიქიატრიული დახმარების გაუმჯობესების პრინციპები, რომლებიც გაერომ 1991 წელს მიიღო. 1-ლი პრინციპის მე-2 – მე-5 პუნქტებში აღნიშნულია:

2. ყველა პირს, რომელსაც ფსიქიკური დაავადება აქვს ან ასეთად ითვლება, უნდა მოეპყრონ ჰუმანურად და ადამიანისთვის დამახასიათებელი განუყოფელი ღირსების პატივისცემით.
3. ყველა პირს, რომელსაც ფსიქიკური დაავადება აქვს ან ასეთად ითვლება, უფლება აქვს დაცული იქნეს ეკონომიკური, სექსობრივი და სხვა ფორმის ექსპლუატაციისაგან, ფიზიკური ან სხვა სახის შეურაცხყოფისაგან და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან.
4. დაუმეგებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია ფსიქიკური დაავადების საფუძველზე. “დისკრიმინაცია” ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხვას ან უპირატესობის მინიჭებას, რომელიც უფლებებით თანასწორი სარგებლობის გაუქმებას ან გართულებას იწვევს. ფსიქიკურად დაავადებულ პირთა დაცვისთვის ან მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის სპეციალურად მიღებული ზომები დისკრიმინაციულად არ ითვლება. დისკრიმინაცია არ მოიცავს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხვას ან უპირატესობის მინიჭებას, რომელიც ხორციელდება ამ პრინციპების დებულებათა შესაბამისად და აუცილებელია ფსიქიკურად დაავადებულ პირთა ან სხვა ინდივიდთა ადამიანის უფლებათა დასაცავად.
5. ყოველ ფსიქიკურად დაავადებულ პირს უფლება აქვს, განახორციელოს ყველა სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლება, რომელიც აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტში, საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და სხვა შესაბამის დოკუმენტებში, როგორცაა, მაგალითად, უნარშეზღუდულ პირთა დაცვის დეკლარაცია და ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპების ნაკრები’.

მე-20 პრინციპში საუბარია ფსიქიკურად დაავადებულ სამართალდამრღვევებზე:

1. ეს პრინციპი გამოიყენება პირთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გამო, ან პირთა მიმართ, რომლებიც რაიმე სახით არიან დაკავებული სასამართლო განხილვის ან გამოძიების მიმდინარეობისას და, რომლებიც, როგორც დადგენილია, ფსიქიკურად არიან დაავადებული, ან ასეთი ვარაუდი არსებობს.

2. ყველა ასეთი პირი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საუკეთესო არსებული ფსიქიატრიული დახმარებით, როგორც ეს 1-ლ პრინციპშია გათვალისწინებული. ეს პრინციპები მათ მიმართ რაც შეიძლება ფართო ფარგლებში გამოიყენება, მხოლოდ იმ შეზღუდული რაოდენობის ცვლილებებითა და გამონაკლისებით, რომლებსაც მოცემული გარემოებები მოითხოვს. რომელიმე ცვლილებამ ან გამონაკლისმა ზიანი არ უნდა მიაყენოს ამ პირთა უფლებებს, რომლებიც დადგენილია 1-ლი პრინციპის მე-5 პუნქტში მოთითებული დოკუმენტებით.
3. შიდასახელმწიფო კანონმდებლობის დებულებებით სასამართლოებს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს, შეიძლება დაევალოთ გადაწყვეტილების მიღება ასეთ პირთა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსების შესახებ, კომპეტენტური და დამოუკიდებელი სამედიცინო რეკომენდაციის საფუძველზე.
4. ფსიქიკური დაავადების დიაგნოზის მქონე პირთა მკურნალობა ნებისმიერ გარემოებაში უნდა შეესაბამებოდეს მე-11 პრინციპს’.

როგორც უკვე ნახსენები იყო მე-20 პრინციპის მე-4 პუნქტში (იხ. ზემოთ), მე-11 პრინციპი აქაცაა ნახსენები:

1. დაუშვებელია პაციენტს დაენიშნოს რაიმე სახის მკურნალობა მისი გააზრებული თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ქვემოთ, ამ პრინციპის მე-6, მე-7, მე-8, მე-13 და მე-15 პუნქტებით.
2. გააზრებული თანხმობა — ეს არის თანხმობა, რომელიც მიღებულია თავისუფლად, დაშინების ან გაუმართლებელი იძულების გარეშე, მას შემდეგ, რაც პაციენტს სათანადოდ და მისთვის გასაგებ ენაზე აცნობებენ:
  - a) დადგენილ დიაგნოზს;
  - b) შეთავაზებული მკურნალობის მიზნებს, მეთოდებს, სავარაუდო ხანგრძლივობას და მოსალოდნელ შედეგებს;
  - c) მკურნალობის ალტერნატიულ მეთოდებს, ნაკლებად თავსმობვეული მეთოდების ჩათვლით;
  - d) შეთავაზებული მკურნალობის დროს შესაძლო ტკივილების და მოსალოდნელი დისკომფორტის, რისკის და გვერდითი მოვლენების შესახებ.
3. თანხმობის მიღების პროცედურის დროს პაციენტმა შეიძლება მოითხოვოს პირის ან პირთა დასწრება, მისი არჩევანის შესაბამისად.
4. პაციენტს უფლება აქვს, უარი თქვას მკურნალობაზე ან შეწყვიტოს იგი, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ქვემოთ, მე-6, მე-7, მე-8, მე-13 და მე-15 პუნქტებით. პაციენტს უნდა აცნობონ მკურნალობაზე უარის თქმის ან შეწყვეტის შედეგების შესახებ.
5. პაციენტს არასდროს არ უნდა სთხოვონ ან არ უნდა აიძულონ იგი უარი თქვას გააზრებულ თანხმობაზე. თუ პაციენტი სურვილს გამოთქვამს, უარი თქვას თანხმობაზე, მაშინ მას უნდა აუხსნან, რომ მკურნალობა არ ჩაუტარდება მისი გააზრებული თანხმობის გარეშე.

6. ქვემოთ, ამ პრინციპის მე-7, მე-8, მე-12, მე-13, მე-14 და მე-15 პუნქტებში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, მკურნალობის შეთავაზებული კურსი პაციენტს შეიძლება დაენიშნოს მისი გააზრებული თანხმობის გარეშე, შემდეგი პირობების დაცვით:
- მოცემულ მომენტში პაციენტი საავადმყოფოში მოთავსებულია იძულებითი წესით;
  - დამოუკიდებელი უფლებამოსილი ორგანო, რომელიც ფლობს ყველა ინფორმაციას, ამ პრინციპის მე-2 პუნქტში მითითებული ინფორმაციის ჩათვლით, დარწმუნდა, რომ მოცემულ მომენტში პაციენტს არ შეუძლია მისცეს ან არ მისცეს გააზრებული თანხმობა მკურნალობის შეთავაზებულ კურსზე, ან, თუ ეს შიდასახელმწიფო კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, პაციენტის საკუთარი უსაფრთხოების ან სხვა პირთა უსაფრთხოების გათვალისწინებით პაციენტმა დაუსაბუთებელი უარი თქვა ასეთ თანხმობაზე; და
  - დამოუკიდებელმა უფლებამოსილმა ორგანომ დაადგინა, რომ შეთავაზებული მკურნალობის გეგმა პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებს მსახურება.
7. ზემოთ, მე-6 პუნქტის დებულებები არ გამოიყენება პაციენტის მიმართ, რომელსაც ჰყავს პირადი წარმომადგენელი, რომელიც კანონის შესაბამისად უფლებამოსილია თანხმობა მისცეს პაციენტის მკურნალობაზე; თუმცა გარდა ამ პრინციპის მე-12, მე-13, მე-14 და მე-15 პუნქტების შემთხვევებისა, ასეთ პაციენტს მკურნალობა შეიძლება დაენიშნოს მისი გააზრებული თანხმობის გარეშე, თუ მისი წარმომადგენელი, მე-2 პუნქტში მითითებული ინფორმაციის მიღების შემდეგ, პაციენტის სახელით მისცემს თანხმობას.
8. ქვემოთ, მე-12, მე-13, მე-14 და მე-15 პუნქტების შემთხვევების გარდა, მკურნალობა ასევე შეიძლება დაენიშნოს ნებისმიერ პაციენტს მისი გააზრებული თანხმობის გარეშე, თუ კანონით უფლებამოსილი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ფსიქიატრიის დარგში მუშაობს, დაადგენს, რომ აუცილებელია სასაწრაფო მკურნალობის დანიშვნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული პაციენტისთვის ან სხვა პირებისთვის ზიანის მიყენების პირდაპირი ან გარდაუვალი საშიშროება. ასეთი მკურნალობის ხანგრძლივობა არ უნდა გასცდეს დროის იმ პერიოდს, რომელიც მკაცრად მოითხოვება მკურნალობის მიზნისთვის.
9. იმ შემთხვევებში, როდესაც რაიმე სახის მკურნალობა პაციენტს ენიშნება მისი გააზრებული თანხმობის გარეშე, მაინც საჭიროა სათანადო ძალისხმევის განხორციელება პაციენტის მკურნალობის ხასიათის და ნებისმიერი ალტერნატიული მეთოდების შესახებ ინფორმირების მიზნით, ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში, პაციენტის ჩასართვად მკურნალობის კურსის შემუშავებაში.
10. მკურნალობის ნებისმიერი კურსი რეგისტრირდება პაციენტის ავადმყოფობის ისტორიაში, სადაც მითითებული უნდა იქნეს, მკურნალობა ნებაყოფლობითა თუ იძულებითი.

11. პაციენტის ფიზიკური დაშოშმინება ან იძულებითი იზოლირება გამოიყენება მხოლოდ ფსიქიატრიული დანესებულების ოფიციალურად დადგენილი პროცედურების შესაბამისად და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს პაციენტისთვის ან სხვა პირებისთვის ზიანის მიყენების პირდაპირი ან გარდაუვალი საშიშროების თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა. იგი არ უნდა გაგრძელდეს დროის იმ პერიოდზე მეტი ხნით, ვიდრე ეს მკაცრად და საჭირო მისი მიზნის მისაღწევად. ფიზიკური დაშოშმინების ან იძულებითი იზოლაციის ყველა შემთხვევა, მათი გამოყენების საფუძვლები, მათი ხასიათი და ხანგრძლივობა უნდა დაფიქსირდეს პაციენტის ავადმყოფობის ისტორიაში. პაციენტი, რომლის მიმართაც გამოიყენება ფიზიკური დაშოშმინების ან იძულების მეთოდები, უნდა იმყოფებოდეს ჰუმანურ პირობებში, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მოვლა, ასევე კვალიფიციური სამედიცინო მუშაკების მხრიდან მისი გულდასმითი და რეგულარული ზედამხედველობა. პირად წარმომადგენელს, ასეთის არსებობისას და შესაბამის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აწვდიან ინფორმაციას პაციენტის ფიზიკური დაშოშმინების ან იძულებითი იზოლაციის ნებისმიერი შემთხვევის შესახებ.
12. ფსიქიკურად დაავადებული პირების მიმართ არასდროს გამოიყენება სტერილიზაცია, როგორც მკურნალობის მეთოდი.
13. ფსიქიკურად დაავადებულ პირს სერიოზული სამედიცინო მკურნალობა ან ქირურგიული ოპერაცია შეიძლება ჩაუტარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს ნებადართულია შიდასახელმწიფო კანონმდებლობით, როდესაც არსებობს მოსაზრება, რომ ეს გზა საუკეთესოდ აკმაყოფილებს პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებს, და როდესაც პაციენტი გააზრებულ თანხმობას იძლევა, თუმცა, იმ შემთხვევებში, როცა პაციენტს გააზრებული თანხმობის მიცემა არ შეუძლია, ასეთი ჩარევის დანიშვნა შეიძლება მხოლოდ დამოუკიდებელი შემონმების განხორციელების შემდეგ.
14. ფსიქიკურ დაავადებათა ფსიქოქირურგიული და სხვა სახის ჩარევით და შეუქცევადი მკურნალობის ფორმები არასდროს არ შეიძლება განხორციელდეს პაციენტზე, რომელიც იძულებითი ფორმით იყო მოთავსებული ფსიქიატრიულ დანესებულებაში, ხოლო მათი გამოყენება ნებისმიერი სხვა პაციენტის მიმართ დასაშვებია მხოლოდ შიდასახელმწიფო კანონით დადგენილ ფარგლებში, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პაციენტი გააზრებულ თანხმობას იძლევა, ხოლო დამოუკიდებელი გარეშე ორგანო დაადგენს, რომ პაციენტმა თანხმობა ნამდვილად გააზრებულად მისცა, და რომ მკურნალობის მოცემული მეთოდი საუკეთესოდ აკმაყოფილებს პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებს.
15. ნებისმიერ პაციენტზე, მისი გააზრებული თანხმობის გარეშე, დაუშვებელია რაიმე სახის კლინიკური ცდების ჩატარება ან მკურნალობის ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კლინიკური ცდები ან ექსპერიმენტული მეთოდები გამოიყენება იმ პაციენტთა მიმართ, რომლებსაც გააზრებული თანხმობის მიცემა არ შეუძლიათ, და მხოლოდ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი კომპეტენტური დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს ნებართვით.

16. ზემოთ, მე-6, მე-7, მე-8, მე-13, მე-14 და მე-15 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პაციენტს ან მის პირად წარმომადგენელს, ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, უფლება აქვს სასამართლოში ან სხვა დამოუკიდებელ უფლებამოსილ ორგანოში გაასაჩივროს პაციენტის მიმართ გამოყენებული მკურნალობის ნებისმიერი კურსი<sup>1</sup>.

ბოლოს, სახელმძღვანელო პრინციპები აივ/შიდსის და ადამიანის უფლებების შესახებ, რომელიც გაერომ 1997 წელს მიიღო, მე-5 პრინციპში შემდეგზე მიუთითებს:

‘სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ან განამტკიცონ ანტიდისკრიმინაციული და სხვა დამცავი კანონები, რომლებიც სახელმწიფო და კერძო სექტორში დისკრიმინაციისაგან დაიცავს მონყვლად ჯგუფებს, პირებს, რომლებიც ინფიცირებული არიან აივ/შიდსის ვირუსით, და უნარშეზღუდულ პირებს; ადამიანზე გამოკვლევების ჩატარებისას უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების და კონფიდენციალობის ხელშეუხებლობას და ეთიკური ნორმების დაცვას; განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს აღზრდასა და შემწყნარებლობას და გაითვალისწინებს ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საშუალებების სწრაფ და ეფექტიან გამოყენებას’.

## პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია

პროკურორთა პროფესიული პასუხისმგებლობის, ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების სტანდარტები, რომელიც პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციამ 1999 წელს მიიღო, მართლმსაჯულების სისტემაში დისკრიმინაციის აკრძალვის უფრო ზოგადი ხასიათის დებულებას აყალიბებს. პრინციპი 1(h) აცხადებს:

‘პროკურორები პატივს სცემენ, იცავენ და მხარს უჭერენ პიროვნების ღირსებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო კონცეფციას’.

ეს, რა თქმა უნდა, მოიცავს დისკრიმინაციის აკრძალვას, რაც ადამიანის უფლებათა ყველა საერთაშორისო ტექსტშია დაფიქსირებული.

## ბანარტება და დასკვნები

როგორც ზემოაღნიშნული ტექსტები ნათლად უჩვენებს, ზოგადად, დისკრიმინაცია, მათ შორის, მართლმსაჯულების სისტემაში, აკრძალულია და იგი უნდა აღმოიფხვრას. ნებისმიერი სახის განსხვავების აკრძალვასთან დაკავშირებით ტექსტების უმრავლესობა იძლევა აკრძალული განსხვავების მაგალითებს. მაგალითად, არ შეიძლება ადამიანთა განსხვავება რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის, სქესის, პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულებების საფუძველზე.

გარდა ამისა, დისკრიმინაციის უფრო ზოგადი აკრძალვის მაგალითები მრავლად მოიპოვება რბილ საერთაშორისო სამართალში. ეს დოკუმენტების კრძა-

ლავს დისკრიმინაციას საზოგადოებაში არსებული უმცირესობათა წევრების მიმართ, მაგალითად, დოკუმენტი, რომელიც კრძალავს გონებრივად ჩამორჩენილი ან უნარშეზღუდული პირების დისკრიმინაციას. ზოგიერთ ასეთ დოკუმენტში არის დებულებები, რომლებიც ასეთ პირთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცედურებთანაა დაკავშირებული.

და ბოლოს, ის დოკუმენტები, რომლებიც სახელდობრ საჯარო პროკურორის პროფესიაზეა ფოკუსირებული, საკმაოდ მკაფიოდ აცხადებს, რომ დისკრიმინაცია აკრძალულია და იგი უნდა აღმოიფხვრას.

# ქალთა თანასწორობა მართლმსაჯულების განხორციელების დროს

## შინაგარეო ტექსტები გაეროს დონეზე

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულაში წერია:

‘(...) ვინაიდან, გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობისადმი, და გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში, (...)’

ამ განცხადებამ უფლების სახე მიიღო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში. ამ პაქტის მე-3 მუხლი აცხადებს:

‘ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ მამაკაცთა და ქალთა თანაბარი უფლება, ისარგებლონ ამ პაქტით გათვალისწინებული ყველა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებით’.

გაეროს 1981 წლის კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ხელს უწყობს ქალთა თანასწორი უფლებების განვითარებას ცხოვრების ყველა სფეროში. 1-ლი და მე-2 მუხლები მართლმსაჯულების განხორციელების დროს ქალთა თანასწორობას ეხება, თუმცა მათი მიზანი კონკრეტულად ეს საკითხი არ არის. ეს მუხლები სახელმწიფოებისგან პოზიტიური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს ქალთა თანასწორობის დამკვიდრების მიზნით:

### ‘მუხლი 1

ამ კონვენციის მიზნებისთვის, ტერმინი “ქალთა მიმართ დისკრიმინაცია” ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხვას ან შეზღუდვას სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს ან აბათილებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან სხვა რაიმე სფეროში მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ქალთა მიერ — მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად — ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა აღიარებას, სარგებლობას და განხორციელებას.



## მუხლი 2

მონაწილე სახელმწიფოები გამობენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმას, თანახმა არიან, ყველა საჭირო საშუალებით განუხრელად განახორციელონ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკა, და ამ მიზნით იღებენ ვალდებულებას, რომ:

- a) მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს შეიტანენ თავინთ ეროვნულ კონსტიტუციებში ან სხვა შესაბამის კანონმდებლობაში, თუ ეს ჯერ არ გაუკეთებიათ, და კანონის და სხვა შესაბამისი საშუალებების გამოყენებით უზრუნველყოფენ ამ პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას;
- b) მიიღებენ შესაბამის საკანონმდებლო და სხვა ზომებს, სანქციების ჩათვლით, იქ, სადაც ეს საჭიროა, რომლებიც კრძალავს ქალთა მიმართ ყოველგვარ დისკრიმინაციას;
- c) დაანესებენ ქალთა უფლებების სამართლებრივ დაცვას, მამაკაცებთან თანაბარ საფუძველზე და კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო დანესებულებების მეშვეობით უზრუნველყოფენ ქალთა ეფექტიან დაცვას დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან;
- d) თავს შეიკავებენ ქალთა მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტის ან მოქმედების ჩადენისაგან და უზრუნველყოფენ, რომ სახელმწიფო ორგანოები და დანესებულებები მოქმედებდნენ ამ ვალდებულების შესაბამისად;
- e) შესაბამის ზომებს მიიღებენ ქალთა მიმართ რომელიმე პირის, ორგანიზაციის ან სანარმოს მხრიდან განხორციელებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;
- f) მიიღებენ ყველა საჭირო ზომას, საკანონმდებლო ზომების ჩათვლით, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ადათ-წესებისა და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომლებითაც დაშვებულია ქალთა მიმართ დისკრიმინაცია;
- g) გააუქმებენ თავინათი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყველა დებულებას, რომელიც უშვებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციას.

## რპილი საერთაშორისო სამართალი

### გაეროს დონე

გაეროს 1993 წლის დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ მეტ-ნაკლებად იმეორებს უფლებებს, რომლებითაც ქალებმა ადამიანის ყველა უფლებით თანასწორად უნდა ისარგებლონ. მე-3 მუხლი აცხადებს:

ქალები სარგებლობენ ადამიანის ყველა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელების და დაცვის თანასწორი უფლებით პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში. ეს უფლებები, *ინტერალია*, მოიცავს შემდეგ უფლებებს:

- a) სიცოცხლის უფლება;
- b) თანასწორობის უფლება;
- c) თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება;
- d) კანონის საფუძველზე თანაბარი დაცვის უფლება;
- e) დისკრიმინაციის ყველა ფორმისაგან თავისუფლების უფლება;
- f) ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი მიღწევადი დონის უფლება;
- g) შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობების უფლება;
- h) უფლება, არ დაექვემდებარონ ნამებას და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.<sup>1</sup>

## განმარტება და დასკვნები

როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ტექსტები უჩვენებს, ქალები ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობენ სრული თანასწორობის საფუძველზე. მართლმსაჯულების განხორციელებისას საჯარო პროკურორებმა ეს უცილობლად უნდა გაითვალისწინონ.

## დანართები

### სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ<sup>1</sup>

ვინაიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში მსოფლიოს ხალხები, კერძოდ, გამოხატავენ მზადყოფნას შექმნან პირობები, რომელთა დროსაც შესაძლებელი იქნება სამართლიანობის დაცვა და თავიანთ ერთ-ერთ მიზნად აღიარებენ საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას ადამიანის

<sup>1</sup> სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ, გაეროს მერვე კონგრესი დანამართის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის შესახებ, ჰავანა, 27 აგვისტო — 7 სექტემბერი, U.N. Doc. A/CONF.144/28/Rev.1 at 189 (1990).

უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის ხელშეწყობასა და განვითარებაში რაიმე განსხვავების გარეშე რასის, სქესის ან რელიგიის ნიშნით,

ვინაიდან ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გათვალისწინებულია კანონის წინაშე თანასწორობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპები და საქმის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ განხილვის უფლება,

ვინაიდან ჯერ კიდევ არსებობს შეუსაბამობა ამ პრინციპების ძირითად ხედვასა და რეალურ მდგომარეობას შორის,

ვინაიდან მართლმსაჯულების ორგანიზება და განხორციელება თითოეულ ქვეყანაში ამ პრინციპების საფუძველზე უნდა მოხდეს და ძალისხმევა უნდა იქნეს გამოჩენილი რეალურ ცხოვრებაში მათი სრული დანერგვის მიზნით,

ვინაიდან პროკურორები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მართლმსაჯულების განხორციელებაში და წესები, რომლებიც მათი მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულებას არეგულირებს ხელს უნდა უწყობდეს პროკურორთა მიერ ზემოაღნიშნული პრინციპების პატივისცემას და დაცვას, რითაც წვლილს შეიტანენ სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებაში და მოქალაქეთა დამნაშავეობისგან ეფექტიან დაცვაში,

ვინაიდან მნიშვნელოვანია, რომ პროკურორებს ჰქონდეთ მათი ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო სათანადო პროფესიული მომზადება, რაც მიღწეულ უნდა იქნეს კადრების დანიშვნის მეთოდების სრულყოფით და იურიდიული და პროფესიული მომზადებით, ასევე ყველა აუცილებელი საშუალების უზრუნველყოფით, რომელიც საჭიროა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი ფუნქციების სათანადოდ განხორციელებისთვის, განსაკუთრებით დანაშაულის ახალი ფორმებისა და მასშტაბების გათვალისწინებით,

ვინაიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეხუთე კონგრესის, რომელიც დანაშაულის პრევენციისა და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის საკითხებს მიეძღვნა, რეკომენდაციით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1979 წლის 17 დეკემბრის 34/169 რეზოლუციით მიიღო სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი,

ვინაიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულის პრევენციისა და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის მეექვსე კონგრესის მე-16 რეზოლუციით დანაშაულის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტს მოუწოდეს, თავის პრიორიტეტებში ჩართოს სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, რომლებიც დაკავშირებული იქნება მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა და პროკურორთა შერჩევის, პროფესიული მომზადების და სტატუსის საკითხებთან,

ვინაიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულის პრევენციისა და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის მეშვიდე კონგრესმა მიიღო ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, რომლებიც შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა თავის რეზოლუციებში, 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 1985 წლის 13 დეკემბრის 40/146,

ვინაიდან დეკლარაცია დანაშაულის და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შედეგად დაზარალებულთა მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ რეკომენდაციას იძლევა, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე მიღებულ იქნეს ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა სასამართლოზე ხელმისაწვდომობას, მათ მიმართ სამართლიან მოპყრობას, რესტიტუციას, კომპენსაციასა და დახმარებას,

ვინაიდან მეშვიდე კონგრესის რეზოლუციამ კომიტეტს მოუწოდა, განიხილოს სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების საკითხი, რომლებიც, კერძოდ, დაკავშირებული იქნება პროკურორთა შერჩევის, პროფესიული მომზადების და სტატუსის საკითხებთან, მათ მოვალეობებთან და ქცევასთან, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ჯეროვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფაში მათი წვლილის გაზრდის გზებთან და მათი პოლიციასთან თანამშრომლობის, დისკრეციული უფლებების და სისხლის სამართლის წარმოებაში მათი როლის გაფართოებასთან; ასევე კომიტეტს მოუწოდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მომავალ კონგრესებს წარუდგინოს მოხსენებები ამ საკითხზე,

ქვემოთ მოცემულ სახელმძღვანელო პრინციპებს – რომლებიც შემუშავებულია წვერი სახელმწიფოების დასახმარებლად სისხლის სამართლის პროცესში პროკურორთა საქმიანობის ეფექტიანობის, დამოუკიდებლობის და სამართლიანობის უზრუნველყოფაში – მთავრობებმა პატივი უნდა სცენ და უნდა გაითვალისწინონ ისინი თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, და მათ შესახებ უნდა აცნობონ პროკურორებს, ასევე სხვა პირებს, კერძოდ, მოსამართლეებს, ადვოკატებს, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების თანამდებობის პირებს და, ზოგადად, საზოგადოებას. ეს სახელმძღვანელო პრინციპები კონკრეტულად საჯარო პროკურორებზე ორიენტირებით შემუშავდა, მაგრამ ისინი, შესაბამის შემთხვევებში, თანაბრად გამოიყენება საზოგადოებრივი ბრალმდებლებისთვისაც, რომლებიც სპეციალური საფუძვლით არიან დანიშნული.

## კვალიფიკაცია, შერჩევა და მომზადება

1. პირებს, რომლებიც შერჩეული არიან პროკურორებად, უნდა ჰქონდეთ მაღალი მორალური თვისებები და უნარი, ასევე სათანადო მომზადება და კვალიფიკაცია.
2. სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:
  - a) პროკურორთა შერჩევის კრიტერიუმები მოიცავდნენ დამცავ მექანიზმებს, რომლებიც არ დაუშვებს მიკერძოებულ ან წინასწარ გამიზნულ დანიშვნას, პირის მიმართ დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნების, სოციალური ან ეთნიკური წარმოშობის, ქონების, წარმომავლობის, ეკონომიკური ან სხვა მდგომარეობის ნიშნით, იმ გამონაკლისით, რომ დისკრიმინაციად არ განიხილება დევნის ორგანოებში დასანიშნი კანდიდატისთვის მოცემული ქვეყნის მოქალაქეობის მოთხოვნა;
  - b) პროკურორებს ჰქონდეთ შესაბამისი განათლება და მომზადება, აცნო-

ბიერებდნენ მათი თანამდებობისთვის დამახასიათებელ იდეალებსა და ეთიკურ ნორმებს, იცნობდნენ ბრალდებულთა და დაზარალებულთა დაცვის კონსტიტუციურ და ნორმატიულ ღონისძიებებს და ეროვნული და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს.

### სტატუსი და სამუშაო პირობები

3. პროკურორები, როგორც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები, განუხრელად იცავენ მათი პროფესიის პატივსა და ღირსებას.
4. სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ პროკურორებს თავიანთი პროფესიული მოვალეობების შესრულება შეეძლოთ დაშინების, დაბრკოლებების, მუქარის, არასათანადო ჩარევის ან სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან სხვა სახის პასივისმგებლობის გაუმართლებელი დაკისრების გარეშე.
5. პროკურორებს და მათი ოჯახის წევრებს ფიზიკურად იცავს ხელისუფლება, როცა მათი პირადი უსაფრთხოება საშიშროების წინაშე დგას სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელების შედეგად.
6. პროკურორთა სამუშაო პირობები, შესაბამისი ანაზღაურება და, სადაც ეს შესაძლებელია, უფლებამოსილების ვადა, საპენსიო უზრუნველყოფა და პენსიაზე გასვლის ასაკი დგინდება კანონით, ან ქვეყნდება წესებისა და ნორმატიული აქტების სახით.
7. პროკურორთა დანიშნულება, სადაც ასეთი სისტემა არსებობს, ეფუძნება ობიექტურ ფაქტორებს, კერძოდ, პროფესიულ კვალიფიკაციას, უნარს, მორალურ თვისებებს და გამოცდილებას, ხოლო დანიშნულების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება სამართლიანი და მიუკერძოებელი პროცედურების შესაბამისად.

### გამოხატვის და გაერთიანების თავისუფლება

8. პროკურორებს, სხვა მოქალაქეთა მსგავსად, აქვთ გამოხატვის, აზრის და გაერთიანების თავისუფლების უფლება. კერძოდ, მათ უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სამართლის, მართლმსაჯულების და ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებზე გამართულ საჯარო დისკუსიებში და გაერთიანდნენ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ან შექმნან ასეთი ორგანიზაციები და დაესწრონ მათ შეკრებებს, კანონიერი მოქმედებების ან კანონიერ ორგანიზაციებში გაერთიანების გამო მათი პროფესიული საქმიანობის შეზღუდვის გარეშე. პროკურორები, ამ უფლებათა განხორციელებისას, განუხრელად ხელმძღვანელობენ კანონით და აღიარებული ნორმებით და მათი პროფესიული ეთიკით.
9. პროკურორებს უფლება აქვთ, შექმნან ან განვერიანდნენ პროფესიულ

გაერთიანებებში ან სხვა ორგანიზაციებში, რათა შეძლონ თავიანთი ინტერესების წარმოდგენა, პროფესიული მომზადების სრულყოფა და საკუთარი სტატუსის დაცვა.

## როლი სისხლის სამართლის პროცესში

10. პროკურორთა თანამდებობა მკვეთრადაა გამიჯნული სასამართლოს ფუნქციებისგან.
11. პროკურორები აქტიურ როლს ასრულებენ სისხლის სამართლის პროცესში, დევნის დაწყების ჩათვლით, ხოლო იქ, სადაც ეს კანონითაა განსაზღვრული ან ადგილობრივ პრაქტიკას შეესაბამება, — დანაშაულის გამოძიებაში, გამოძიების კანონიერების ზედამხედველობაში, სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების ზედამხედველობაში და სხვა ფუნქციების განხორციელებაში, როგორც სახელმწიფოს ინტერესების წარმომადგენელი.
12. პროკურორები, კანონის შესაბამისად, თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ ობიექტურად, თანმიმდევრულად და სწრაფად, და პატივს სცემენ და იცავენ ადამიანის ღირსებას და ადამიანის უფლებებს, რითაც საკუთარი წვლილი შეაქვთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სათანადო პროცესისა და მისი დაუბრკოლებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფაში.
13. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას პროკურორები:
  - a) თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ მიუკერძოებლად და ყველა სახის პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, რასობრივი, კულტურული, სქესობრივი ან ნებისმიერი სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;
  - b) იცავენ სახელმწიფო ინტერესებს, მოქმედებენ ობიექტურად, ჯეროვნად ითვალისწინებენ ეჭვმიტანილისა და დაზარალებულის მდგომარეობას და ყურადღებას აქცევენ საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას, იმის მიუხედავად, ეს ეჭვმიტანილისთვის სასარგებლოა თუ არა;
  - c) იცავენ პროფესიულ საიდუმლოებას, თუ სხვაგვარად არ მოითხოვს მათი მოვალეობების შესრულება ან მართლმსაჯულების ინტერესები;
  - d) განიხილავენ დაზარალებულთა მოსაზრებებსა და პრობლემებს, როდესაც საქმე მათ პირად ინტერესებს ეხება, და უზრუნველყოფენ, რომ დაზარალებულები ინფორმირებული იყვნენ საკუთარი უფლებების შესახებ, დანაშაულის და უფლებამოსილების გადამეტების შედეგად დაზარალებულთა მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დეკლარაციის შესაბამისად.
14. პროკურორები არ იწყებენ ან არ აგრძელებენ სისხლისსამართლებრივ დევნას, ან ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ შეწყდეს პროცესი, როდესაც მიუკერძოებელი გამოძიება უჩვენებს, რომ ბრალდება დაუსაბუთებელია.
15. პროკურორები ჯეროვან ყურადღებას უთმობენ სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სისხლისსამართლებრივ დევნას, კერძოდ, კორუფციის, თანამდებობის ბოროტად გამოყენების, ადამიანის უფლე-

ბათა უხეში დარღვევის და საერთაშორისო სამართლით აღიარებული სხვა დანაშაულებისა, ხოლო იქ, სადაც ეს კანონითაა ნებადართული ან ადგილობრივ პრაქტიკას შეესაბამება, – ასეთი დანაშაულების გამოძიებას.

16. როდესაც პროკურორები ლეგულობენ ექვმიტანილის სანინააღმდეგო მტკიცებულებას, რომლის შესახებაც იციან ან საკმაო საფუძველი აქვთ ირწმუნონ, რომ იგი უკანონო მეთოდებითაა მოპოვებული, რაც ექვმიტანილის უფლებების უხეში დარღვევაა, განსაკუთრებით, თუ მისი მოპოვების დროს გამოყენებულ იქნა წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა, ან ადამიანის უფლებების დარღვევის რაიმე სხვა ფორმა, ისინი უარს ამბობენ ასეთი მტკიცებულების გამოყენებაზე ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც ასეთი მეთოდები გამოიყენეს, ან, შესაბამისად, აცნობებენ სასამართლოს და საჭირო ზომებს იღებენ ასეთი მეთოდების გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის მიზნით.

### დისკრეციული ფუნქცია

17. ქვეყნებში, სადაც პროკურორებს დისკრეციული ფუნქციის უფლებამოსილება აქვთ, კანონი ან გამოქვეყნებული ნორმები ან მარგულირებული აქტები უზრუნველყოფენ სახელმძღვანელო პრინციპებს სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში გადანყვეტილების მიღების სამართლიანობისა და თანმიმდევრულობის განმტკიცებისათვის, დევნის დაწყების ან გაუქმების ჩათვლით.

### სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატივები

18. პროკურორები, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, სათანადოდ ითვალისწინებენ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის, საქმის განხილვის პირობითი ან უპირობო შეწყვეტის ან ალტერნატიული სქემების გამოყენების შესაძლებლობას, ამასთანავე სრულად იცავენ ექვმიტანილის (ექვმიტანილების) და დაზარალებულის (დაზარალებულების) ადამიანის უფლებებს. ამ მიზნით სახელმწიფოებმა სრულად უნდა შეისწავლონ ალტერნატიული სქემების შესაძლებლობები, არა მხოლოდ სასამართლოების დიდი დატვირთულობის გამო, არამედ იმ მიზნითაც, რომ თავიდან იქნეს აცილებული წინასწარი პატიმრობით, ბრალდებით ან მსჯავრდებით გამოწვეული სტიგმა, ასევე პატიმრობის უარყოფითი ზემოქმედება.
19. ქვეყნებში, სადაც პროკურორებს აქვთ დისკრეციული უფლება, გადანყვეტილება მიიღონ არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე ან არდანყვეტაზე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამართალდარღვევის ბუნებასა და სიმძიმეს, საზოგადოების და პიროვნების დაცვას და არასრულწლოვნის ბიოგრაფიას. ამ გადანყვეტილების მიღებისას პროკურორები განსაკუთრებით ითვალისწინებენ დევნის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებას, არასრულწლოვანთა

მართლმსაჯულების შესაბამისი კანონებისა და პროცედურების საფუძველზე. პროკურორები ყველაფერს აკეთებენ, რათა არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებები განხორციელდეს მხოლოდ მკაცრად აუცილებელ ფარგლებში.

## ურთიერთობები სხვა სამთავრობო ორგანოებთან ან დანესებულებებთან

20. პირის მიმართ სამართლიანი და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, პროკურორები ისწრაფვიან ითანამშრომლონ პოლიციასთან, სასამართლოებთან, იურისტებთან, სახალხო დამცველებთან, საზოგადოებრივ ბრალმძებლებთან და სხვა სამთავრობო ორგანოებთან და დანესებულებებთან.

## დისციპლინური სასჯელები

21. პროკურორთა დისციპლინური დასჯის საკითხები კანონით ან ნორმატიული აქტებითაა დადგენილი. პროკურორთა წინააღმდეგ შემოსული საჩივრები, სადაც აცხადებენ, რომ მათ თავიანთი მოქმედებით აშკარად დაარღვიეს პროფესიული სტანდარტები, დაუყოვნებლივ და მიუკერძოებლად უნდა იქნეს განხილული სათანადო პროცედურების შესაბამისად. პროკურორებს უფლება აქვთ, მათი საქმე განხილული იქნეს სამართლიანად. მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება დამოუკიდებელი უწყების შეფასებას.
22. პროკურორთა მიმართ დისციპლინური სასჯელის გამოყენების საკითხის განხილვა უზრუნველყოფს ობიექტურ შეფასებას და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას. იგი ხორციელდება კანონის, პროფესიული ქცევის კოდექსის და სხვა დადგენილი სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების შესაბამისად, ამ სახელმძღვანელო პრინციპების შუქზე.

## სახელმძღვანელო პრინციპების დაცვა

23. პროკურორები იცავენ ამ სახელმძღვანელო პრინციპებს. ისინი ასევე, თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში, აღკვეთენ სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევის შემთხვევებს და აქტიურად იბრძვიან ასეთი დარღვევების წინააღმდეგ.
24. პროკურორები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მოხდა ამ სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევა, ან შეიძლება ასეთი რამ მოხდეს, ამის შესახებ ატყობინებენ თავიანთ ზემდგომ ხელმძღვანელობას, ხოლო, აუცილებლობის შემთხვევაში, – სხვა შესაბამის ორგანოებს ან ხელისუფლებას, რომლებსაც ასეთი დარღვევების განხილვის ან გამოსწორების უფლება მოსიღება აქვთ.



# ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია [REC(2000) 19] ნეკრი სახელმწიფოებოსათვის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასში საჯარო პროკურორთა როლის შესახებ<sup>2</sup>

## ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების 15.b მუხლის საფუძველზე,

შეახსენებს, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრ სახელმწიფოთა შორის ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცება,

ითვალისწინებს, რომ ევროპის საბჭოს მიზანია კანონის უზენაესობის ხელშეწყობა, რომელიც ყველა ქვემარტივი დემოკრატიის საფუძველია;

მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულება გადამწყვეტ როლს ასრულებს კანონის უზენაესობის დაცვაში;

ათვითცნობიერებს საერთო მოთხოვნას ყველა წევრი სახელმწიფოსთვის უკეთ იბრძოლონ კრიმინალურ სიტუაციასთან როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე;

თვლის, რომ ამ მიზნით მიზანშეწონილია როგორც ეროვნული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეფექტიანობის გაზრდა, ისე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით დაცული პრინციპების შესაბამისად;

ათვითცნობიერებს, რომ პროკურატურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში და ასევე საერთაშორისო თანამშრომლობაში;

დარწმუნებულია, რომ, ამ მიზნით, ხელი უნდა შეეწყოს წევრ სახელმწიფოებში საჯარო პროკურორებისთვის საერთო პრინციპების განსაზღვრას;

---

2 მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2000 წლის 6 ოქტომბერს, მინისტრთა მოადგილეების 724-ე შეხვედრაზე.

ითვალისწინებს მინისტრთა კომიტეტის მიერ სისხლის სამართლის საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ ტექსტებში მოცემულ პრინციპებსა და ნორმებს;

რეკომენდაციას აძლევს ნევრ სახელმწიფოებს, თავიანთ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორების როლთან მიმართებით, იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებით:

## საჯარო პროკურორთა ფუნქციები

1. “საჯარო პროკურორები” არიან სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირები, რომლებიც, საზოგადოების სახელით და მისი ინტერესების დაცვით, უზრუნველყოფენ კანონის შესრულებას, როდესაც ეს სისხლის სამართლის წესითაა სანქცირებული, ამასთან ითვალისწინებენ როგორც ინდივიდუალურ პირთა უფლებებს, ისე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის საჭირო ეფექტიანობას.
2. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ყველა სისტემაში პროკურორები:
  - ლეზულობენ გადაწყვეტილებას დევნის დაწყების ან გაგრძელების თაობაზე;
  - ახორციელებენ ბრალდებას სასამართლოს წინაშე;
  - შეუძლიათ წარადგინონ სარჩელი სასამართლო ორგანოს მიერ მიღებულ ყველა, ან ზოგიერთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ.
3. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ზოგიერთ სისტემაში საჯარო პროკურორები ასევე:
  - ახორციელებენ ეროვნულ პოლიტიკას სისხლის სამართლის სფეროში, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მის ადაპტირებას რეგიონული და ადგილობრივი რეალობის შესაბამისად;
  - უშუალოდ აწარმოებენ გამოძიებას ან ზედამხედველობას უწევენ გამოძიების პროცესს;
  - ზრუნავენ, რომ დაზარალებულებმა მიიღონ ეფექტიანი დახმარება;
  - გადაწყვეტილებას ლეზულობენ დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების თაობაზე;
  - და სხვა.

## პროკურორთა აღიარებული გარანტიები მათი ფუნქციების განსახორციელებლად

4. სახელმწიფოებმა სათანადო ზომები უნდა მიიღონ, რათა პროკურორებმა თავიანთი უფლებები და პროფესიული ვალდებულებები განხორციელონ

სათანადო სამართლებრივ და ორგანიზაციულ პირობებში, ასევე შესაბამისი საშუალებების უზრუნველყოფის პირობებში, როგორცაა საბიუჯეტო სახსრები. ეს პირობები უნდა განისაზღვროს პროკურატურასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

5. სახელმწიფოებმა ზომები უნდა მიიღონ, რათა:

- a) პროკურორთა დანიშვნა, დანიშნაობა და გადაყვანა ხორციელდებოდეს ზუსტი და მიუკერძოებელი პროცედურების საფუძველზე, რომლებიც მოიცავს დამცავ მექანიზმებს ნებისმიერი მიდგომის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უწყობს კონკრეტული ჯგუფების ინტერესებს და გამორიცხავს დისკრიმინაციას ნებისმიერი ნიშნით, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებები, ეროვნული ან სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონებრივი, წოდებრივი ან სხვა მდგომარეობა;
- b) საჯარო პროკურორთა კარიერის განვითარება, დანიშნაობა და შეცვლა დაფუძნებული იყოს საყოველთაოდ ცნობილ და ობიექტურ კრიტერიუმებზე, როგორცაა კომპეტენტურობა და გამოცდილება;
- c) პროკურორთა შეცვლა ასევე ხდებოდეს სამსახურის მოთხოვნებიდან გამომდინარე;
- d) ამ ფუნქციების შესასრულებლად კანონით იყოს გარანტირებული გონივრული პირობები, კერძოდ, ხელფასი, თანამდებობაზე ყოფნის ვადა და პენსია — დაკისრებული ამოცანების სირთულის შესაბამისად, ასევე სათანადო საპენსიო ასაკი;
- e) პროკურორებისათვის დისციპლინური ღონისძიებები კანონით იყოს გათვალისწინებული, რომელიც შეფასების და ზუსტი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა და დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ კონტროლს ექვემდებარება;
- f) საჯარო პროკურორებს ხელი მიუწვდებოდეთ კანონით დადგენილ საჩივრების პროცედურებზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, საქმის სასამართლოში განხილვაზე, თუ საქმე მათ სამართლებრივ სტატუსს ეხება;
- g) საჯარო პროკურორები, თავიანთ ოჯახებთან ერთად, ფიზიკურად იყვნენ დაცული ხელისუფლების მიერ, როცა მათი პირადი უსაფრთხოება საშიშროების წინაშე დგას სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელების შედეგად.

6. სახელმწიფოებმა ასევე ზომები უნდა მიიღონ, რათა პროკურორებს ჰქონდეთ სიტყვის, რელიგიის და გაერთიანების თავისუფლების ეფექტიანი უფლება. კერძოდ, მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამართლის, მართლმსაჯულების განხორციელების და ადამიანის უფლებათა ხელშეწყობის და დაცვის საკითხებზე გამართულ ნებისმიერ საჯარო დისკუსიაში, გაერთიანდნენ ან დააფუძნონ ნებისმიერი ადგილობრივი, ეროვნული ან საერთაშორისო ორგანიზაცია და მონაწილეობა მიიღონ მის შეკრებებში როგორც კერძო პირებმა, მათი კანონიერი მოქმედების ან კანონიერ ორ-

განიზაციაში განვეერიანების ნიადაგზე მათი პროფესიული ზრდის ხელშეშლის გარეშე. ზემოაღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილ ფარგლებში და რამდენადაც ეს აუცილებელია საჯარო პროკურორთა კონსტიტუციური<sup>3</sup> როლის უზრუნველსაყოფად. როდესაც ადგილი აქვს ზემოაღნიშნული ნებისმიერი უფლების დარღვევას, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ეფექტიანი სამართლიანი დაცვის საშუალება.

7. პროკურორებისთვის განათლება ერთდროულად არის მოვალეობაც და უფლებაც, როგორც მათ დანიშვნამდე, ისე მუდმივად, მათი ფუნქციების შესრულების განმავლობაში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებმა სათანადო ზომები უნდა მიიღონ პროკურორთა ადეკვატური განათლებისათვის, როგორც თანამდებობაზე დანიშვნამდე, ისე მათი მუშაობის პერიოდში. პროკურორებმა, კერძოდ, სათანადოდ უნდა იცოდნენ:
  - a) მათ ფუნქციებთან დაკავშირებული პრინციპები და ეთიკური მოთხოვნები;
  - b) ეჭვმიტანილთა, დაზარალებულთა და მონმეთა დაცვის კონსტიტუციითა და კანონით გარანტირებული საშუალებები;
  - c) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით დაცული უფლებები და თავისუფლებები, განსაკუთრებით მე-5 და მე-6 მუხლებში აღნიშნული უფლებები;
  - d) იურიდიულ კონტექსტში შრომის ორგანიზების, მართვის და ადამიანური რესურსების თეორია და პრაქტიკა;
  - e) მათი შეთანხმებული საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები და ელემენტები.

გარდა ამისა, სახელმწიფოებმა ეფექტიანი ზომები უნდა მიიღონ კონკრეტული საკითხების ან კონკრეტული სექტორების სწავლების მიზნით, მათი აქტუალობის შესაბამისად, და განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინონ დამნაშავეობის მახასიათებლები და განვითარება, ასევე სისხლის სამართლის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობა.

8. დანაშაულის მზარდ ფორმებზე, განსაკუთრებით ორგანიზებულ დანაშაულზე უკეთ რეაგირების მიზნით, სპეციალიზაცია პრიორიტეტად უნდა იქნეს მიჩნეული პროკურატურის ორგანიზების თვალსაზრისით, ასევე განათლებისა და კარიერული ზრდის კუთხით. ასევე უნდა განვითარდეს სპეციალისტთა ჯგუფების შექმნის სისტემა, პროკურორთა დახმარების მიზნით შექმნილი მრავალდისციპლინური ჯგუფების ჩათვლით.
9. პროკურატურის ორგანიზებისა და შიდა ფუნქციონირების ასპექტები; კერძოდ, საქმეების განაწილება და გადაცემა მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს და მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის

3 სიტყვა 'კონსტიტუციური' აქ გამოყენებულია საჯარო პროკურორთა სამართლებრივად დადგენილ მიზნებსა და უფლებამოსილებებზე მითითებისთვის და არა რომელიმე სახელმწიფოს კონსტიტუციაზე.

ჯეროვან ფუნქციონირებას, კერძოდ, თითოეულ გამოკვეთილ სფეროში იურიდიული კვალიფიკაციისა და სპეციალიზაციის ამაღლებას.

10. ყველა საჯარო პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს მისთვის განკუთვნილი ინსტრუქცია მიიღოს წერილობით. როდესაც იგი დარწმუნებულია, რომ ინსტრუქცია უკანონო ან მის სინდისს ეწინააღმდეგება, უნდა არსებობდეს მისი შესაძლო შეცვლის ადეკვატური შიდა პროცედურა.

### **საჯარო პროკურორთა ურთიერთობა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან**

11. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა პროკურორებმა თავიანთი პროფესიული მოვალეობების შესრულება შეძლონ გაუმართლებელი ჩარევის ან სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივი ან სხვა პასუხისმგებლობის გაუმართლებელი დაკისრების გარეშე. თუმცა პროკურორმა პერიოდულად და საჯაროდ ანგარიში უნდა ჩააბაროს თავისი საქმიანობის შესახებ, კერძოდ, იმ გზების შესახებ, რომლის მეშვეობითაც მისი პრიორიტეტები განხორციელდა.
12. პროკურორები არ უნდა ჩაერიონ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციებში.
13. იქ, სადაც პროკურატურა არის მთავრობის შემადგენელი ნაწილი ან მას ექვემდებარება, სახელმწიფოებმა ეფექტიანი ზომები უნდა მიიღონ, რათა უზრუნველყონ, რომ:
  - a) პროკურატურის მიმართ მთავრობის უფლებამოსილების ბუნება და ფარგლები დადგენილი იყოს კანონით;
  - b) მთავრობა თავის უფლებამოსილებას ახორციელებდეს გამჭვირვალედ და საერთაშორისო ხელშეკრულებების, ეროვნული კანონმდებლობის და სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად;
  - c) იქ, სადაც მთავრობა ზოგადი ხასიათის მითითებებს იძლევა, ასეთი მითითებები უნდა გაკეთდეს წერილობით და შესაბამისი სახით გამოქვეყნდეს;
  - d) იქ სადაც მთავრობა უფლებამოსილია მითითება მისცეს კონკრეტულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით, ასეთი მითითებები აღჭურვილი იყოს ადეკვატური გარანტიებით, რომლებიც იცავს გამჭვირვალეობას და ობიექტურობას ეროვნული კანონის შესაბამისად; მთავრობას ევალება, მაგალითად:
    - წინასწარ მოიპოვოს წერილობითი რჩევა კომპეტენტური საჯარო პროკურორისაგან, ან ორგანოსგან, რომელიც დევნას ახორციელებს;
    - ჯეროვნად ახსნას თავისი მითითებები, განსაკუთრებით, როცა ისინი განსხვავდება საჯარო პროკურორის რჩევისაგან, და გადასცეს ისინი იერარქიული არსების მეშვეობით;

- სასამართლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყოს, რომ რჩევები და მითითებები დაერთოს საქმეს, რათა მათ შესახებ ინფორმაცია ჰქონდეთ სხვა მხარეებს და კომენტარის გაკეთება შეეძლოს;
  - e) საჯარო პროკურორებს თავისუფლად შეეძლოს სასამართლოს წარუდგინონ ნებისმიერი სამართლებრივი არგუმენტი თავიანთი შეხედულებებისამებრ, მაშინაც კი, როდესაც ისინი ვალდებული არიან წერილობით წარადგინონ ინფორმაცია მიღებული მითითების შესახებ;
  - f) მითითება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ პრინციპში აკრძალულ იქნეს. თუ საკითხი ამგვარად არ დგას, მაშინ ამგვარი მითითება უნდა იყოს გამონაკლისი და იგი უნდა დაექვემდებაროს არა მხოლოდ ზემოთ (d) და (e) ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებს, არამედ აგრეთვე შესაბამის კონტროლს, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გამჭვირვალება.
14. ქვეყნებში, სადაც პროკურატურა მთავრობისგან დამოუკიდებელია, სახელმწიფომ ეფექტიანი ზომები უნდა მიიღოს, რათა უზრუნველყოს, რომ პროკურატურის დამოუკიდებლობის ბუნება და ფარგლები კანონით იქნეს დადგენილი.
15. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის სამართლიანობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად პროკურორებმა უნდა ითანამშრომლონ სახელმწიფო ორგანოებთან და ინსტიტუტებთან, კანონით დადგენილ ფარგლებში.
16. საჯარო პროკურორები, ნებისმიერ შემთხვევაში, ისეთ მდომარეობაში უნდა იყვნენ, რომ მათ შეძლონ დევნა განახორციელონ ოფიციალურ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე ამ პირებისაგან ხელშეშლის გარეშე, განსაკუთრებით კორუფციასთან, ძალაუფლების არამართლზომიერ გამოყენებასთან, ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებთან და სხვა სახის დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლით არის აღიარებული.

### საჯარო პროკურორებისა და მოსამართლეთა ურთიერთობა

17. სახელმწიფოებმა ზომები უნდა მიიღონ, რათა საჯარო პროკურორთა სამართლებრივი სტატუსი, კომპეტენციები და მათი საპროცესო როლი კანონით იქნეს დადგენილი, იმგვარად, რომ რაიმე მართლზომიერ ეჭვს არ იწვევდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ. სახელმწიფოებმა განსაკუთრებით უნდა უზრუნველყონ, რომ ერთი და იმავე პირი ერთდროულად არ ასრულებდეს პროკურორისა და მოსამართლის მოვალეობებს.
18. თუმცა, თუ სამართლებრივი სისტემა ამის უფლებას იძლევა, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა ერთმა და იმავე პირმა შეძლოს ერთმანეთის მიმდევრობით განახორციელოს პროკურორის და მოსამართლის ფუნქციები, ან პირიქით. ფუნქციათა ასეთი მონაცვლეობა შესაძლებელია

მხოლოდ მოცემული პირის პირდაპირი მოთხოვნით და დაცვის მექანიზმების გათვალისწინებით.

19. საჯარო პროკურორები განუხრელად უნდა იცავდნენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას; კერძოდ, მათ ეჭვი არ უნდა შეიტანონ სასამართლოს გადანყვეტილებებში, ან ხელი არ უნდა შეუშალონ მათ აღსრულებას, გარდა გასაჩივრების საშუალებების ან სხვა ოფიციალური პროცედურების გამოყენებისას.
20. სასამართლო პროცესის განმავლობაში საჯარო პროკურორები უნდა იყვნენ ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, მათ სასამართლო უნდა უზრუნველყონ ყველა შესაბამისი ფაქტითა და სამართლებრივი არგუმენტით, რომლებიც აუცილებელია მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელებისთვის.

### საჯარო პროკურორებისა და პოლიციის ურთიერთობა

21. ზოგადად, საჯარო პროკურორები, უნდა ამოწმებდნენ პოლიციის გამოძიების კანონიერებას სულ ცოტა იმ სტადიიდან, როდესაც ხდება გადანყვეტილების მიღება, დაიწყოს თუ გაგრძელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ თვალსაზრისით საჯარო პროკურორებმა ასევე მონიტორინგი უნდა განახორციელონ პოლიციის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვაზე.
22. იმ ქვეყნებში, სადაც პოლიცია სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოს ექვემდებარება, ან სადაც საპოლიციო გამოძიებას პროკურორი ახორციელებს ან ზედამხედველობს, ასეთმა სახელმწიფომ ეფექტიანი ზომები უნდა მიიღოს რათა უზრუნველყოს, რომ საჯარო პროკურორმა შეძლოს:
  - a) პოლიციას მისცეს შესაბამისი მითითებები დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით, განსაკუთრებით გადანყვეტილების მისაღებად ისეთ საკითხებზე, როგორცაა, პირველ რიგში განსახილველი საქმეების კატეგორია, მტკიცებულების მოსაპოვებლად გამოყენებული საშუალებები, გამოძიებაში ჩართული თანამშრომლები, გამოძიების ხანგრძლივობა, საჯარო პროკურორისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია და სხვა;
  - b) როდესაც გამოძიების წარმოება სვადასხვა საპოლიციო დაწესებულებებს ევალებათ, კონკრეტული საქმეები გადასცეს დაწესებულებას, რომელიც უკეთ შეესაბამება მოცემული საქმის წარმოებას;
  - c) განახორციელოს შეფასება და კონტროლი იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს საჭიროა მის მიერ გაცემულ მითითებებთან და კანონთან შესაბამისობის მონიტორინგისთვის;
  - d) სათანადო შემთვევაში განსაზღვროს სასჯელი ან ხელი შეუწყოს შესაძლო დარღვევების დასჯას.
23. სახელმწიფოებმა, სადაც პოლიცია საზოგადოებრივი დევნის ორგანოსგან დამოუკიდებელია, ეფექტიანი ზომები უნდა მიიღონ დევნის ორგანობსა

და პოლიციას შორის სათანადო და ქმედითი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად.

### პროკურორთა მოვალეობები ინდივიდუალურ პირთა მიმართ

24. კერძოდ, თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, საჯარო პროკურორებმა:
  - a) თავიანთი ფუნქციები უნდა განახორციელონ სამართლიანად, მიუკერძოებლად და ობიექტურად;
  - b) პატივი უნდა სცენ და დაიცვან ადამიანის უფლებები, როგორც ეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაშია ჩამოყალიბებული;
  - c) უნდა უზრუნველყონ, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა შეძლებისდაგვარად სწრაფად ფუნქციონირებდეს.
25. საჯარო პროკურორებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი დისკრიმინაციისაგან სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების, ქონების, წარმომავლობის, ჯანმრთელობის, უნარშეზღუდულობის ან სხვა მდგომარეობის საფუძველზე.
26. საჯარო პროკურორებმა უნდა უზრუნველყონ კანონის წინაშე თანასწორობა, ასევე ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ ეჭვმიტანილთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას, რომელმაც შეიძლება ამ უკანასკნელზე იმოქმედოს როგორც დადებითად, ისე უარყოფითად.
27. საჯარო პროკურორებმა არ უნდა დაიწყონ ან გააგრძელონ სისხლის სამართლებრივი დევნა როდესაც მიუკერძოებელი გამოძიება უჩვენებს, რომ ბრალდება დასაბუთებული არ არის.
28. საჯარო პროკურორებმა ეჭვმიტანილის წინააღმდეგ არ უნდა წარმოადგინონ მტკიცებულება, რომლის შესახებ იციან ან გონივრული საფუძვლები აქვთ ირწმუნონ, რომ იგი მოპოვებულია მეთოდით, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება. ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში საჯარო პროკურორმა სასამართლოს უნდა სთხოვოს გადაწყვეტილება მიიღოს ასეთი მტკიცებულების დასაშვებობის საკითხზე.
29. საჯარო პროკურორებმა უნდა დაიცვან იარაღთა თანასწორობის პრინციპი, კერძოდ, სხვა მხარეებს გადასცენ — კანონით გათვალისწინებული გამოწვევის შემთხვევების გარდა — მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება იქონიოს პროცესის სამართლიანობაზე.
30. საჯარო პროკურორებმა საიდუმლოდ უნდა შეინახონ მათ მიერ მესამე მხარისაგან მოპოვებული ინფორმაცია, განსაკუთრებით როდესაც საქმე უდანაშაულობის პრეზუმფციას, თუ მისი გამჟღავნება აუცილებელი არ არის მართლმსაჯულების ინტერესებისთვის ან კანონითაა მოთხოვნილი.
31. როდესაც საჯარო პროკურორები უფლებამოსილი არიან განახორციე-



ლონ ლონისძიებები, რომლებიც ეჭვმიტანილის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევას იწვევს, ეს ლონისძიებები სამართლებრივ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს.

32. საჯარო პროკურორებმა ჯეროვნად უნდა გაითვალისწინონ მოწმეთა ინტერესები, კერძოდ, მიიღონ ან ხელი შეუწყონ ზომების მიღებას მათი სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით, ან იზრუნონ, რომ ასეთი ზომები მიღებული იქნეს.
33. საჯარო პროკურორებმა ჯეროვნად უნდა გაითვალისწინონ დაზარალებულის ინტერესები, როდესაც საქმე ეხება მის პირად ინტერესებს, და მიიღონ ან ხელი შეუწყონ ზომების მიღებას, რომლებიც უზრუნველყოფს დაზარალებულის ინფორმირებას მისი უფლებებისა და პროცესის მიმდინარეობის შესახებ.
34. დადგენილი ან ამოცნობადი სტატუსის მქონე დაინტერესებულ მხარეებს, განსაკუთრებით დაზარალებულებს, უფლება უნდა ჰქონდეთ გაასაჩივრონ პროკურორთა მიერ დევნის არდანყების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება; ასეთი გასაჩივრება, სათანადო შემთხვევაში, შეიძლება განხორციელდეს იერარქიული კონტროლის შემდეგ, ან სასამართლო განხილვის მეშვეობით, ან უფლებამოსილ მხარეთა მიერ კერძო გამოძიების გზით.
35. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროკურორები, თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, იცავდნენ “ქცევის კოდექსს”. ამ კოდექსის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს შესაბამისი სანქციები, ზემოთ მოცემული მე-5 პუნქტის შესაბამისად. პროკურორთა საქმიანობა რეგულარულ შიდა კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს.
36. a) საჯარო პროკურორთა საქმიანობის სამართლიანობის, თანმიმდევრულობისა და ეფექტიანობის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფოები უნდა ისწავლონ:
  - განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ორგანიზების იერარქიულ მეთოდებს, ამასთანავე, ეს მეთოდები ხელს არ უნდა უწყობდეს არაქმედითი ან ხელშემშლელი ბიუროკრატიული სტრუქტურების შექმნას;
  - განსაზღვრონ სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მიმართულებები;
  - განსაზღვრონ ზოგადი პრინციპები და კრიტერიუმები, რომლებზედაც გაკეთდება მითითება ინდივიდუალური საქმეების გადაწყვეტისას; ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში რაიმე თვითნებობის თავიდან აცილებას;
- b) ორგანიზების ზემოაღნიშნული მეთოდები, სახელმძღვანელო პრინციპები და კრიტერიუმები პარლამენტმა ან მთავრობამ უნდა დადგინოს, ან, თუ ეროვნული კანონი საჯარო პროკურორთა დამოუკიდებლობას ითვალისწინებს, — პროკურატურამ.
- c) საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული ორგანიზაციული სტრუქტურის, სახელმძღვანელო პრინციპებისა და კრიტერიუმების შესახებ; მათ შესახებ უნდა ეცნობოს ყოველ პირს, მოთხოვნის შესაბამისად.

## საერთაშორისო თანამშრომლობა

37. საერთაშორისო სამართლებრივ თანამშრომლობაში სხვა ორგანოებზე დაკისრებული როლის მიუხედავად, საჭიროა პირდაპირი კონტაქტების შემდგომი განმტკიცება სხვადასხვა ქვეყნის საჯარო პროკურორებს შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში — სადაც ისინი არსებობენ, ან სხვაგვარად, კონკრეტული შეთანხმებების საფუძველზე.
38. საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის კონტექსტში შემდგომი ღონისძიებები უნდა გატარდეს მთელ რიგ სფეროებში პროკურორთა თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. კერძოდ, ეს ღონისძიებები უნდა მოიცავდეს შემდეგს:
- ა) დოკუმენტების გავრცელება;
  - ბ) საკონტაქტო პირთა სიებისა და მისამართების დადგენა, სხვადასხვა პროკურატურებში სათანადო საკონტაქტო პირთა გვარების და ასევე მათი საქმიანობის კონკრეტული სფეროების, პასუხისმგებლობის ხარისხის და სხვა მონაცემების მითითებით;
  - ც) სხვადასხვა ქვეყნის საჯარო პროკურორებს შორის რეგულარული პირადი კონტაქტების დამყარება, კერძოდ, გენერალური პროკურორების რეგულარული შეხვედრების ორგანიზების გზით;
  - დ) ტრენინგებისა და საგანმანათლებლო სესიების ორგანიზება;
  - ე) უცხო ქვეყნებში იურისტი მოკავშირე ოფიცრის დანიშვნის პრაქტიკის შემოღება და განვითარება;
  - ფ) უცხოური ენების სწავლება;
  - გ) მონაცემთა ელექტრონული სახით გადაცემის მეთოდების გამოყენება;
  - ხ) სხვა სახელმწიფოებთან ერთად სამუშაო სემინარების ორგანიზება სისხლის სამართლის სფეროში ურთიერთდახმარების და გამოცდილების გაზიარების საკითხებზე.
39. ურთიერთდახმარების პროცედურების რაციონალიზაციისა და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა ძალისხმევა, რათა ხელი შეეწყოს:
- ა) ზოგადად პროკურორებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობაში ჩართვის საჭიროების გაცნობიერებას, და
  - ბ) ზოგიერთი პროკურორის მომზადებას საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში.

ამ მიზნით სახელმწიფოებმა ზომები უნდა მიიღონ, რათა მოცემული სახელმწიფოს საჯარო პროკურორს, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობაზეა პასუხისმგებელი, შეეძლოს ურთიერთდახმარებისთვის პირდაპირ მიმართოს შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს, რომელსაც შეუძლია მოთხოვნის შესაბამისი მოქმედებების განხორციელება, და რომ ამ უკანასკნელს შეეძლოს პირდაპირ მას დაუბრუნოს მოპოვებული მტკიცებულება.

# პროკურორთა პროფესიული პასუხისმგებლობის, ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების სტანდარტები<sup>4</sup>

ვინაიდან პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის მიზნები მისი კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტშია აღიარებული და იგი მოიცავს სისხლის სამართლის დანაშაულებზე სამართლიანი, ეფექტიანი, მიუკერძოებელი და ქმედითი დევნის განხორციელებას და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების მაღალი სტანდარტებისა და პრინციპების ხელშეწყობას,

ვინაიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, 1990 წელს, ჰავანაში (კუბა) გამართულ დანაშაულის პრევენციისა და პატიმრების მიმართ მოპყრობის საკითხისადმი მიძღვნილ მერვე კონგრესზე მიიღო სახელმწიფო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ;

ვინაიდან ერთა თანამეგობრობამ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები გამოაცხადა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და მის შემდგომ საერთაშორისო პაქტებში, კონვენციებსა და სხვა დოკუმენტებში;

ვინაიდან საზოგადოებისთვის აუცილებელია დარწმუნებული იყოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის პატიოსნებაში;

ვინაიდან ყველა პროკურორი გადამწყვეტ როლს ასრულებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებაში;

ვინაიდან გამოძიების სტადიაზე პროკურორთა მონაწილეობის ხარისხი სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისგან განსხვავდება;

ვინაიდან პროკურორთა დისკრეციული ფუნქციის განხორციელება მძიმე და სერიოზული პასუხისმგებლობაა;

და ვინაიდან ეს განხორციელება უნდა იყოს მაქსიმალურად ღია, პიროვნების უფლებების შესაბამისი, დაზარალებულთა ხლახალი დაზარალების თავიდან აცილებისადმი მგრძნობიარე და უნდა განხორციელდეს ობიექტურად და მიუკერძოებლად;

აქედან გამომდინარე, პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია, ყველა პროკურორისათვის ღებულობს პროფესიული საქმიანობის და მათი ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების სტანდარტებს:

4 მიღებულია პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ 1999 წლის 23 მაისს.

## 1. პროფესიული მოვალეობის შესრულება

პროკურორები:

- a) განუხრელად იცავენ მათი პროფესიის პატივსა და ღირსებას;
- b) მუდამ იქცევიან პროფესიული ნორმების დაცვით, კანონის, წესებისა და თავიანთი პროფესიის ეთიკის შესაბამისად;
- c) მუდამ იცავენ პატიოსნებისა და გულისხმიერების მაღალ სტანდარტებს;
- d) მუდმივად ეცნობიან სამართლის სფეროს განვითარების მიღწევებს;
- e) ისწარფვიან იყვნენ თანმიმდევრული, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი;
- f) განუხრელად ხელს უწყობენ ბრალდებულის მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებას, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ ბრალდებულის სასარგებლო მტკიცებულება შეგროვდეს კანონის ან სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების შესაბამისად;
- g) მუდამ ემსახურებიან საზოგადოების ინტერესებს და იცავენ მას; პატივს სცემენ, იცავენ და მხარს უჭერენ პიროვნების ღირსებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო კონცეფციას.

## 2. დამოუკიდებლობა

- 2.1. დევნაზე დისკრეციის გამოყენება, როდესაც ეს კონკრეტულ იურისდიქციაშია დაშვებული, უნდა განხორციელდეს დამოუკიდებლად და იგი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური ჩარევისაგან.
- 2.2. თუ არასაპროკურორო ორგანოებს უფლება აქვთ ზოგადი ან კონკრეტული ინსტრუქციები მისცენ პროკურორებს, ასეთი ინსტრუქციები უნდა:
  - იყოს გამჭვირვალე;
  - იყოს კანონიერი უფლებამოსილების შესაბამისი;
  - ექვემდებარებოდეს დადგენილ სახელმძღვანელო პრინციპებს, რათა დაცულ იქნეს დევნის ორგანოების დამოუკიდებლობის რეალური განხორციელება და მისი აღქმა.
- 2.3. არასაპროკურორო ორგანოების ნებისმიერი უფლება, რომელიც მიმართულებას აძლევს პროცესს ან წყვეტს კანონიერად მიმდინარე პროცესს, იმავე სახით უნდა განხორციელდეს.

## 3. მიუკერძოებლობა

პროკურორებმა თავიანთი მოვალეობები უნდა შეასრულონ შიშის, უპირატესობის მინიჭების ან წინასწარი განზრახვის გარეშე.

კერძოდ, ისინი ვალდებული არიან:

- a) თავიანთი მოვალეობები შეასრულონ მიუკერძოებლად;
- b) არ მოექცნენ ინდივიდუალურ პირთა ან ჯგუფების ინტერესების და საზოგადოების ან პრესის ზეგავლენის ქვეშ და პატივი სცენ მხოლოდ საზოგადოების ინტერესებს; იმოქმედონ ობიექტურად;
- c) გაითვალისწინონ ყველა სათანადო გარემოება, მიუხედავად იმისა, ისინი აუმაჯობესებენ თუ აუარესებენ ექვმიტანილის მდგომარეობას;
- d) ადგილობრივი კანონის ან სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების შესაბამისად, ისწრაფვოდნენ უზრუნველყონ, რომ ჩატარდეს ყველა საჭირო და გონივრული მოკვლევა, ხოლო შედეგები ცნობილი გახდეს, მიუხედავად იმისა, ისინი ექვმიტანილის ბრალეულობაზე მიუთითებს თუ უდანაშაულობაზე;
- e) მუდამ ეძიონ ჭეშმარიტება და სასამართლოს დაეხმარონ ჭეშმარიტების დადგენაში და უზრუნველყონ კანონის შესაბამისი და სამართლიანობით ნაკარნახევი გადანყვებილების მიღება დაზარალებულისთვის, ბრალდებულისა და მთელი საზოგადოებისთვის.

#### 4. როლი სისხლის სამართლის პროცესში

4.1. პროკურორები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ ობიექტურად, თანმიმდევრულად და სწრაფად.

4.2. პროკურორებმა სისხლის სამართლის პროცესში აქტიური როლი უნდა შეასრულონ, კერძოდ:

- a) იქ, სადაც კანონით ან პრაქტიკითაა დაშვებული მათი მონაწილეობა დანაშაულის გამოძიებაში, ან პოლიციის ან სხვა გამომძიებელთა ზედამხედველობა, ისინი ყველაფერს აკეთებენ ობიექტურად, მიუკერძოებლად და პროფესიულ დონეზე;
- b) დანაშაულის გამოძიების ზედამხედველობისას მათ უნდა უზრუნველყონ საგამოძიებო სამსახურების მიერ სამართლებრივი პრინციპებისა და ადამიანის საყოველთაო უფლებების პატივისცემა;
- c) რეკომენდაციების მიცემისას ისინი ისწრაფვიან დაიცვან მიუკერძოებლობა და ობიექტურობა;
- d) სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას საქმეს აგრძელებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი კარგად არის დასაბუთებული სანდო და დასაშვები მტკიცებულებებით, და არ აგრძელებენ სისხლის სამართლებრივ დევნას ასეთი მტკიცებულების არქონის შემთხვევაში; სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას საქმეს წარმართავენ მკაცრად, მაგრამ სამართლიანად; და მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით;
- e) საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებისას, ადგილობრივი კანონისა და პრაქტიკის შესაბამისად, სასამართლო გადანყვებილების

აღსრულებისას ან სხვა არასაპროკურორო ფუნქციების განხორციელებისას, ისინი მუდამ მოქმედებენ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

#### 4.3. გარდა ამისა, პროკურორები:

- a) იცავენ პროფესიულ კონფიდენციალობას;
- b) ადგილობრივი კანონის დაცვით და სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების შესაბამისად, ითვალისწინებენ დაზარალებულთა და მოწმეთა კანონიერ ინტერესებსა და შესაძლო პრობლემებს, როდესაც საფრთხე ემუქრება, ან შეიძლება დაემუქროს მათ პირად ინტერესებს, და ისწრაფვიან უზრუნველყონ დაზარალებულთა და მოწმეთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ; ასევე ანალოგიურად ისწრაფვიან, რომ თითოეულ მხარეს, რომელსაც ზიანი მიადგა, აცნობონ ზემდგომ ინსტანციაში/სასამართლოში გასაჩივრების უფლების შესახებ, ზიანის ანაზღაურების მიღების მიზნით, როდესაც ეს შესაძლებელია;
- c) სასამართლოსთან და სხვა შესაბამის ორგანოებთან ერთად იცავენ ბრალდებულის უფლებებს;
- d) ბრალდებულს, სასამართლო პროცესის დაწყებამდე, მაქსიმალურად სწრაფად აცნობებენ არსებული ინფორმაციის შესახებ, კანონის შესაბამისად და სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების გათვალისწინებით;
- e) ამონებენ წარმოდგენილ მტკიცებულებას, რათა დარწმუნდნენ, რომ იგი კანონის და კონსტიტუციის შესაბამისად არის მოპოვებული;
- f) უარს ამბობენ მტკიცებულების გამოყენებაზე, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი არამართლზომიერი მეთოდებითაა მოპოვებული, რომლებიც ეჭვმიტანილის ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევაა, განსაკუთრებით ისეთი მეთოდებით, რომლებიც წამებას ან სსტიკ მოპყრობას წარმოადგენს;
- g) ისწრაფვიან უზრუნველყონ შესაბამისი ზომების მიღება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ასეთი მეთოდების გამოყენებაზე არიან პასუხისმგებელნი;
- h) ადგილობრივი კანონის და სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების შესაბამისად, სათანადოდ ითვალისწინებენ, როდესაც ეს შესაძლებელია, ბრალდებაზე უარის თქმის, პროცესის პირობითი ან უპირობო შეწყვეტის და სისხლის სამართლის საქმეების წარმოებიდან გამოყოფის საშუალებას, განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, რომლებიც ეხება ახალგაზრდა დამნაშავეებს, ეჭვმიტანილისა და დაზარალებულის უფლებების ჯეროვანი პატივისცემით.

## 5. თანამშრომლობა

სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლიანობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, პროკურორები:

- a) თანამშრომლობენ პოლიციასთან, სასამართლოებთან, იურისტებთან, ადვოკატებთან, სახალხო დამცველებთან და ხელისუფლების სხვა ორგანოებთან, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე; და
- b) დახმარებას უწევენ სისხლისსამართლებრივი დევნის სამსახურებს და სხვა იურისდიქციის წარმომადგენელ კოლექტებს, კანონის შესაბამისად და თანამშრომლობის სულისკვეთებით.

## 6. უფლებამოსილებები

იმისათვის რომ პროკურორებს შეეძლოთ თავიანთი პროფესიული მოვალეობების შესრულება დამოუკიდებელად და ამ სტანდარტების შესაბამისად, ისინი დაცული უნდა იქნენ მთავრობის მხრიდან თვითნებური ქმედებებისგან. ზოგადად მათ უფლება აქვთ:

- a) თავიანთი ფუნქციები განახორციელონ დაშინების, დაბრკოლების, მუქარის, არასათანადო ჩარევის ან სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან სხვა პასუხისმგებლობის გაუმართლებელი დაკისრების გარეშე;
- b) თავიანთ ოჯახებთან ერთად ფიზიკურად იყვნენ დაცული სახელმწიფოს მიერ, როცა მათი პირად უსაფრთხოება საშიშროების წინაშე დგას მათ მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის სათანადო განხორციელების გამო;
- c) ჰქონდეთ მუშაობის სათანადო პირობები და ადეკვატური ანაზღაურება, რომელიც შეესაბამება მათ მიერ განხორციელებულ რთულ ფუნქციას და არ მოხდეს მათი ხელფასების ან შეღავათების თვითნებური შემცირება; უზრუნველყოფილ იქნენ თანამდებობაზე ყოფნის გონივრული ვადით, პენსიით და საპენსიო ასაკით, რომელიც უნდა განისაზღვროს სამუშაო პირობებით და სხვა კონკრეტული ფაქტორებით;
- d) მათი დანიშვნა და დანიშნაობა მოხდეს ობიექტურ ფაქტორებზე დაყრდნობით, კერძოდ, პროფესიული კვალიფიკაციის, უნარის, პატიოსნების, შემსრულებლობის და გამოცდილების გათვალისწინებით, სამართლიანი და მიუკერძოებელი პროცედურების საფუძველზე;
- e) მათ მიმართ დისციპლინური ზომების მიღების შემთხვევაში მათი საქმე განხილული იქნეს სწრაფად და სამართლიანად, კანონის ან ნორმატიული აქტების შესაბამისად, თუ მათ მიმართ შემოსულია საჩივარი მათ მიერ პროფესიული მოვალეობების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით;
- f) ასეთი დისციპლინური საქმეების განხილვა და მიღებული გადაწყვეტილება იყოს ობიექტური;
- g) შექმნან ან გაერთიანდნენ ასოციაციებში ან სხვა ორგანიზაციებში, თავიანთი ინტერესების წარმოდგენის, მათი პროფესიული მომზადების უზრუნველყოფის და მათი სტატუსის დაცვის მიზნით; არ შეასრულონ უკანონო ან მათი პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების საწინააღმდეგო ბრძანებები.

# სასარგებლო ვებგვერდები

## გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი

1211 ჟენევა

შვეიცარია

[www.unhchr.ch](http://www.unhchr.ch)

[www.un.org/rights](http://www.un.org/rights)

## ევროპის საბჭო

ადამიანის უფლებათა გენერალური დირექტორატი

F-67075 სტრასბურგი, ცედექსი

[www.coe.int](http://www.coe.int)

[www.echr.coe.int](http://www.echr.coe.int)

[www.cpt.coe.int](http://www.cpt.coe.int)

## პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია

ჰატოგრსტრაატი 13

2514 EP ჰააგა

ნიდერლანდები

[www.iap.nl.com](http://www.iap.nl.com)

## სასარგებლო წყაროები

ადამიანის უფლებათა ვებ-გვერდი

[www.hrweb.org](http://www.hrweb.org)

მინესოტას უნივერსიტეტი, ადამიანის უფლებათა ბიბლიოთეკა

[www.umn.edu/humanrts](http://www.umn.edu/humanrts)

დერეხოს ადამიანის უფლებები

[www.derechos.link](http://www.derechos.link)